

ნ. მაღლაკელიძე, ც. ურაშვილი,
ე. მაღლაკელიძე

ქართული ენისა და
ლიტერატურის
გაკვეთილები მეოთხე კლასში
(მასწავლებლის ნიგნი)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2009

რედაქტორები — ნელი ელიზბარაშვილი
მანანა ჩიკვილაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა — დავით კუტუბიძე
კორექტორი — მარინე კილაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

© ნ. მალლაკელიძე

მეთოდური მითითებანი მასწავლებელთათვის

ნათელა მაღლაკელიძის, ცისანა ყურაშვილის, ელენე მაღლაკელიძის მიერ ქართულ ენასა და ლიტერატურაში შედგენილი სასწავლო კომპლექტი IV-კლასელთათვის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) ქართული ენა და ლიტერატურა — მოსწავლის ნიგნი;
- ბ) აქტივობების რვეული;
- გ) მასწავლებლის ნიგნი;
- დ) ნიგნის სამყარო-4.

„მოსწავლის ნიგნი“ შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. მასში შეტანილი საკითხავი მასალა შერჩეულია და დალაგებული ე. წ. **თემატურ-ბუდობრივი** პრინციპით. აქ შეხვდებით როგორც კლასიკოსების (შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, გალაკტიონი...), ისე თანამედროვე ქართველი მწერლების (ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი, ოტია იოსელიანი, გურამ დოჩანაშვილი, გურამ რჩეულიშვილი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე...) შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს, ასევე — საზღვარგარეთის საყმანვილო მწერლობის ცნობილი წარმომადგენლების (მარჯ ტვენი, ასტრიდ ლინდგრენი...) თარგმანებს; გარდა სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებისა, ვრცლად არის წამოდგენილი ე. წ. **აღწერითი ტექსტებიც**, რომელთა მიზანია არა მხოლოდ კითხვის სტრატეგიების დაუფლება, არამედ საგნობრივი ცოდნის შეძენაც ხელოვნების, ისტორიისა და ბუნებისმეტყველების ამა თუ იმ საკითხებზე. ეს, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საგანთშორის კავშირსა და სასწავლო მასალის **ინტეგრაციას**, რაც დაწყებითი კლასებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და არსებითა.

ახალი მასალის დამუშავება ხდება სწავლების **ინტერაქტიური** მეთოდების გამოყენებით. ტექსტის დამუშავებისათვის წამოდგენილია სამი ტიპის კითხვები — **გაგებაზე, გააზრებასა და შეფასებაზე ორიენტირებული**. ეს სახელმძღვანელოში აღნიშნულია სათანადო პირობითი ნიშნებით და მასწავლებელს ვთხოვთ, მიაქციოს ამ გარემობას ყურადღება. ასევე, სათანადო პირობითი ნიშნით არის წარმოდგენილი ენობრივ მასალაზე **დაკვირვებაც**, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საკითხავ ტექსტებს. აქ მოცემულია ის განსაზღვრებები, წესები და სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობენ არა მხოლოდ ცალკეული გრამატიკული კატეგორიების გაცნობას, არამედ მათს გამოყენებას პრაქტიკულად — ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში. ენობრივი მასალის დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, დამატებით გამოიყენოს ამავე ავტორების მიერ შედგენილი (უკვე აპრობირებული) დამხმარე სახელმძღვანელოს — „**ჩვენი ენა ქართული**“ — განახლებული და გადამუშავებული გამოცემა, რომელშიც იგივე საკითხები განხილულია მეტი სილრმითა და სისტემატიკით და ხელს უწყობს მოსწავლეთა აღჭურვას ძირითადი სამეტყველო უნარ-ჩვევებით.

სასწავლო მასალა წარმოდგენილია 36 სამუშაო კვირისათვის. თითოეული თემის დამუშავებას სჭირდება დაახლოებით 2-3 აკადემი-



ური საათი (კვირაში საშუალოდ 2 მასალა); ასევე, გზადაგზა მასწავლებელს ვუტოვებთ 1-1 საათს თავისუფალი მუშაობისათვის. პედაგოგმა თავად გადაწყვიტოს, როგორ გაანაწილოს ეს საათები.

„აქტივობების რვეულში“ (ისე, როგორც გასულ წლებში) წარმოდგენილია ის ძირითადი სავარჯიშოები და აქტივობები, რომლებიც უნდა შესრულდეს ამა თუ იმ მასალის სწავლებისას. არ ვუთითებთ, რომელი სავარჯიშო უნდა შესრულდეს შინ და რომელი კლასში, ეს თავად მასწავლებლის გადასაწყვეტია. ასევე მეტ ადგილს ვტოვებთ „თავისუფალი“ წერისათვის. სავარჯიშო მასწავლებელს შეუძლია, თვითონ შეარჩიოს საკუთარი შეხედულებით. თითოეულ მასალასთან დაახლოებით 4-5 დავალებაა წარმოდგენილი. ძირითადი აქცენტი კეთდება ტექსტების აგებაზე, პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლებაზე, წერითი მეტყველების კულტურის დახვენაზე. მასწავლებელს კი (თუ მას დრო დარჩა და აქვს სურვილი) შეუძლია მათი გამრავალფეროვნება. „რვეულში“ სავარჯიშოების ერთი ნაწილი განკუთვნილია **წყვილებში** მუშაობისათვის, რაც სათანადო პირობითი ნიშნით არის აღნიშნული. ზოგიერთი სავარჯიშო წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ **ჯგუფური** მუშაობისათვისაც. გარდა წერითი დავალებებისა, მოცემულია ტესტური კითხვებიც, რომლებიც ძირითადად ტექსტის გააზრებაზეა ორიენტირებული. „რვეულში“ ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს დავალებები მოსწავლეთა ცოდნის თვითშეფასებისათვის. მასწავლებელს ვთხოვთ, არ გამორჩეს ეს გარემოება მხედველობიდან.



„წიგნის სამყარო — 4“ წარმოადგენს საკითხავი მასალის კრებულს დამოუკიდებელი კითხვისათვის. ვეცადეთ, შეგვერჩია ისეთი მაღალმხატვრული ტექსტები, რომლებიც საინტერესო იქნებოდა ამ ასაკის მოსწავლეთათვის; ამავე დროს, იქნებოდა შემეცნებითი და აღმზრდელობითი ხასიათის. ამ კრებულის მიზანია საკლასო კითხვის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისა და კითხვის უნარ-ჩვევების სრულყოფა,... მასალა აქაც წარმოდგენილია თემატურ-ბუდობრივი პრინციპით (სულ წარმოდგენილია 6 თემა: „შენ გიტოვებ, ეს ქვეყანა შენია...“, „ისტორიული საკითხავი, „კიდევაც დაიზრდებია...“, „ბუნება მპრანებელია“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ქვეყანა, სახელად „სიკეთე“. მასწავლებელს, რა თქმა უნდა, შეუძლია მათი გადაჯგუფება საკუთარი შეხედულებისამებრ.

„მასწავლებლის წიგნი“ გზამკვლევია პედაგოგისათვის. მისი მიზანია გაუადვილოს მასწავლებლებს გაკვეთილების დაგემვა თანამედროვე, სწავლების ინტერაქტიური მეთოდებით, უზრუნველყოს იმ შედეგების მიღწევა, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ „მასწავლებლის წიგნი“ არის **მხოლოდ და მხოლოდ საორიენტაციო და არა სავალდებულო**. პედაგოგს შეუძლია მასში ცვლილებების შეტანა საკუთარი შეხედულებისამებრ. „წიგნში“ წარმოდგენილია გაკვეთილების სცენარები ისე, რომ მასწავლებელს ექნება მათი გამრავლაფეროვნებისა და შემოქმედებითად გამოყენების შესაძლებლობა. აქ მითითებულა გაკვეთილების მიზნები და აქტივობები, ტექსტზე მუშაობის ძირითადი ეტაპები, ტესტური დავალებებისა და სავარჯიშოების პასუხები, ენ. „**დამატებითი ინფორმაცია**“ ტექსტში აღნიშნული რომელიმე ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ... თითოეული სცენარის ბოლოს სათანადო კოდით (ამ კოდით აღნიშნული შედეგი მასწავლებლის მიზანია). მასწავლებლის მიზანია გადაჯგუფება საკუთარი შეხედულებისამებრ.

ბელს შეუძლია იხილოს „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტებში“) მითითებულია გაკვეთილის ბოლოს მოსალოდნელი შედეგები. გზადაგზა პედაგოგებს ვაწვდით ე. წ. „სანიმუშო გაკვეთილების“ სცენარებს, სადაც დეტალურად არის აღნერილი გაკვეთილის თითოეული მომენტი საორიენტაციო დროის მითითებით.

„მასწავლებლის ნიგნში“, პედაგოგთა სურვილსამებრ, შევიტანეთ მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი შესასწავლი მწერლების შესახებ, სადაც მწერლების ძირითად ბიოგრაფიულ მომენტებთან ერთად მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტებიც არის მიმოხილული. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს „ცნობარიც“ და „დამატებითი ინფორმაციაც“ განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგებისათვის და მისი ამ სახით მიწოდება მოსწავლეთათვის დაუშვებელია.

წინასწარ ვუხდით მადლობას იმ პედაგოგებს, რომლებმაც არჩევანი ჩვენ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოზე შეაჩერეს. ყოველ საქმიან შენიშვნას დიდი მადლიერებითა და გულისყურით მოვეკიდებით.

ავტორები

გაკვეთილების მასალა

ანა კალანდაძის „საქართველოო ლამაზო“,
მარტივი ტექსტის აგება – „როგორ გავატარე ზაფხული“

მიზნები

- პოეტური ტექსტის აღქმა
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- მარტივი თემატური ტექსტის აგება და წერა
- წერის მარტივი სტრატეგიების (წერითი დავალების მოკლე გეგმის შედგენა, ტექსტის დანიშნულებისა და მიზნის განსაზღვრა, ნაწერის კორექტირება, თვითშეფასება...) დაუფლება

აქტივობები

- მოსწავლე გამომეტყველებით კითხულობს ტექსტს
- საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ კავშირზე
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ
- აკვირდება ლექსში გამოყენებულ მხატვრულ სახეებს
- ქმნის მარტივ თემატურ ტექსტს
- ეუფლება წერის მარტივ სტრატეგიებს

I. ლექსის გამომეტყველებითი კითხვა და ანალიზი

1) გაკვეთილის პირველი ნაწილი დაეთმობა მოსწავლეთა ზაფხულის შთაბეჭდილებების გაზიარებას.

2) მასწავლებელი ტექსტს კითხულობს გამომეტყველებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ნიმუშს, რამდენადაც სწორედ გამომეტყველებითი კითხვის პროცესში ხდება მოსწავლეთა პროვოცირება, ამავე დროს ბევრი უცნობი სიტყვისა თუ ფრაზის მნიშვნელობა შეიძლება, სწორედ ამ დროს გაიაზრონ მოსწავლეებმა. აუცილებელია, წინასწარ სწორად იქნეს შერჩეული სათანადო ინტონაცია, ტემპი და ხმის ტემპი, გააზრებულ იქნეს ლოგიკური მახვილებისა თუ პაუზების ადგილი ტექსტში...

მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით ვარჯიშობენ ტექსტის გამომეტყველებით კითხვაზე, გზადაგზა აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები (ძენა — ტირიფის სახეობა; ნაავადარი — დაავადებული; ეჭვებით ნაავადარი — ეჭვებით შეპყრობილი; სადარი — შესადარი, მსგავსი; როს — როცა; დანაბინდები — დაბინდული...). აუცილებელია, კითხვის პროცესში მოსწავლეები პრაქტიკულად, ტერმინების მიწოდების გა-

რეშე, დავაკვირვოთ, თუ როგორ ახერხებს მწერალი ტექსტში სილამაზისა და მუსიკალობის მიღწევას (**რითმა: სად არი — სადარი, მზად არი — სად არი... რეფრენი:** ერთი და იმავე ფრაზის გამეორება — სხვა საქართველო სად არი?! ალიტერაცია: მსგავსი ბგერების თანაზომიერი განმეორება — ცა არცა რისი სადარი... მეტაფორა: გორში იტირებს ატამი...).

3) ტექსტის ანალიზი — ა) წაიკითხეთ ტექსტიდან ის ადგილი, სადაც აღნერილია საქართველოს ბუნება, ბ) მოძებნეთ ის ფრაზა, რომელიც ლექსში რამდენჯერმე მეორდება; თქვენი აზრით, რატომ იმეორებს პოეტი ამ ფრაზას? რის გამოხატვა სურს მას ამ სიტყვებით? („**სხვა საქართველო სად არი?**“ ჩასმულია ბრჭყალებში იმის გამო, რომ იგი ამოღებულია გრ. ორბელიანის ლექსიდან); გ) თუ ჩანს ლექსში პოეტის განწყობა? რომელი სიტყვებით გადმოგვცემს პოეტი ამას? („**გული საფრენად მზად არი**“), დ) თქვენი აზრით, რამდენად სწორად აქვს შერჩეული ლექსს სათაური?

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ანა კალანდაძე — (1915 — 2008 წლები), ცნობილი ქართველი პოეტი ქალი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1946 წელს, პირველი კრებული გამოსცა 1953 წელს; მისმა ლექსებმა მაშინვე მიიპყრო ყურადღება სინატი-ფითა და პოეტური აზროვნების კულტურით, მისი პოეტური სტილი სისადავითა და ჰარმონიული ფორმით გამოირჩევა; სინამდვილე მის ლირიკაში მხოლოდ განწმენდილი, გაფაქიზებული სახით არის წარმოდგენილი; მაღალი პათეტიკისა და წრფელი გულითადობის შეზავება ზომიერი არქაიზაციისა და სასაუბრო ინტონაციების შერწყმით არის მიღებული. მისი ლექსების კრებული მრავალჯერ გამოიცა. თარგმნილია რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, თურქულ, არაბულ... ენებზე.

II. მარტივი თემატური ტექსტის შექმნა

მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით ადგენენ მარტივ თემატურ ტექსტს ზაფხულის არდადეგების შესახებ. ეცნობიან „აქტივობების რვეულში“ მოცემულ სამახსოვროს: „**ერთად შევადგინოთ ტექსტი**“:

1. შეთავაზებული სათაურებიდან ირჩევენ ერთ-ერთს („როგორ გავატარე ზაფხული“, „ჩემი ზაფხული“, „ზაფხულის შთაბეჭდილებანი“... შეუძლიათ, თავადაც მოიფიქრონ მსგავსი სათაური);

2. ადგენენ გეგმას (თანმიმდევრობით ჩამოწერენ საკითხებს, რომლებზეც აპირებენ საუბარს);

3. ადგენენ ტექსტს ამ გეგმის მიხედვით;
4. კითხულობენ და ასწორებენ საკუთარ დაწერილს;
5. უკითხავენ სხვებს.

6. აფასებენ საკუთარ ნაწერს (როგორ შევასრულე დავალება — „ძალიან კარგად“, „კარგად“, „გამიჭირდა“, ერთმანეთს უდარებენ მასწავლებლისა და საკუთარ შეფასებას, აკეთებენ დასკვნას — რა გაუჭირდათ, რატომ, მომავალში როგორ უნდა აიცილონ თავიდან მოსალონდელი შეცდომები...)

უმჯობესია, ეს დავალება კლასში შესრულდეს ინდივიდუალურად.

შედეგების კოდი: IV.1, IV.3, IV.6, IV. 7, IV.10, IV.11.

გაპგეთილების მასალა

ნოდარ დუმბაძის „ბებია და ზურიკელა“ (ნაწევეტი), ფრაზეოლოგიზმები,
დიალოგი, სხვათა სიტუაციების -თ.

მიზნები

- გაბმული მეტყველების განვითარება, სხვადასხვა პირში თხრობა
- დიალოგზე დაკვირვება
- სხვათა სიტყვის -ო-ს მართლწერა
- ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება, მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამ-
დიდრება
- კითხვის მარტივი სტრატეგიების (წაკითხულის გააზრება, მითითებული ადვი-
ლის მოძებნა, პერსონაჟთა საქციელის შეფასება, წაკითხულისადმი საკუთარი
დამოკიდებულების დაფიქსირება...) დაუფლება
- შესწავლილი ნაწარმოების მიხედვით წერილობითი თხზულების შედგენა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს სხვადასხვა პირში
- აფასებს მოქმედ პირთა საქციელს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას
წაკითხულისადმი
- წერს
- ეუფლება მართლწერის საკითხებს (სხვათა სიტყვის -ო, სიტყვის დამარცვლა და
გადატანა)
- მუშაობს წყვილებში, ჯგუფურად

I. ტექსტის კითხვა და ანალიზი

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს უჩვენებს წიგნს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ეკითხება, რა სმენიათ ამ წიგნის გმირების შესახებ (მოსწავლეთა უმრავლესობას ნანახი აქვს ფილმი, ერთ ნაწილს კი უნახავს ამ პერსონაჟების მონუმენტები დასვენების პარკ „მზიურში“), 6. დუმბაძის რომელი ლექსები იციან... მარტივად, კლასისათვის გასაგები ენით საუბრობს 6. დუმბაძის შემოქმედებაზე.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ნოდარ დუმბაძე (1928-1984 წლები), დაამთავრა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, 1950 წლიდან მისი ლექსები და იუ-
მორისტული მოთხოვებები სისტემატურად იბეჭდება ქართულ პრესაში. მოთხოვებების პირველი წიგნი
— „სოფლელი ბიჭი“ — გამოქვეყნდა 1960 წელს. აღიარება მოუტანა პირველივე რომანებმა: „მე, ბებია,

ილიკო და ილარიონი“ (1960 წ.), „**მე ვხედავ მზეს**“ (1962 წ.). 1975 წელს რომანისათვის „**თეთრი ბაირალები**“ მიენიჭა რუსთაველის პრემია. მისი ნაწარმოებების ოპტიმიზმია, თანამედროვე პრობლემების ღრმა წვდომამ, თხრობის ლირიზმია და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მწერლის პოპულარობა. ნ. დუმბაძის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. მისი რომანების მიხედვით („**მე ბებია, ილიკო და ილარიონი**“, „**მე ვხედავ მზეს**“, „**ნუ გეშინია, დედა**“, „**თეთრი ბაირალები**“, „**მზიანი ლამე**“) დაიდგა სპექტაკლები; რეჟისორებმა თ. აბულაძემ („**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**“), ლ. ლოლობერიძემ („**მე ვხედავ მზეს**“), თ. კოკოჩაშვილმა („**გზა მშვიდობისა, ჯაყო**“ — რომანის „**ნუ გეშინია, დედა**“ ეკრანიზაცია)... გადაიღეს ფილმები, რომლებიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობენ დღემდე.

2. ტექსტის კითხვა და ლექსიკური ანალიზი — მასწავლებელი ტექსტს კითხულობს გამომეტყველებით. ამ დროს გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ ტექსტის დიდი ნაწილი დაწერილია დიალოგის ფორმით. ამიტომ აუცილებლად უნდა შეირჩეს სათანა-დო ინტონაცია და ტემპი.

ავალებს მოსწავლეებს წაიკითხონ ტექსტი ჩუმად და მოძებნონ მათთვის გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. აიხსნება: **უსულგულო** — ცივი, გულგრილი; **ლაფშიანი** — იტყვიან ადამიანზე, რომელსაც დიდი პირი აქვს; **უცხვირპირო** — უხასიათო; **პირშავი** — უსინდისო; **რუმბივით გაგიხდი ცხვირ-პირს** — იმდენს გირტყამ, ცხვირ-პირს დაგისიებ; **ამოუპირავი** — გაუმაძლარი; **ლვთის პირიდან გადავარდნილი** — შერცხვენილი, უსინდისო; მოსწავლეებს ავუხსნით აგრეთვე **საფოსტო მარკის** მნიშვნელობასაც (ძველად იმ წერილებში, რომლებსაც არ ეკრა საფოსტო მარკა, ადრესატი ვალდებული იყო გადაეხადა გარკვეული თანხა).

3. წაკითხულისანალიზი — მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის გამომეტყველებით კითხვაზე (ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ როლებად კითხვაც: **ზურიკელა, ბებია**). აკვირდებიან, რამდენი ადამიანის საუბარია ტექსტში გადმოცემული (ორი: ტექსტის ერთი ნაწილი წარმოადგენს ზურიკელასა და ბებიას დიალოგს), ეძებენ და კითხულობენ იმ ადგილებს, სადაც ორი ადამიანის საუბარია მოცემული. გაანალიზდება, ვინ ჰყვება ტექსტში გადმოცემულ ამბავს (თავად ზურიკელა), როგორ ჰყვება (სასაცილოდ)... მეტყველებისას როგორ სიტყვებს იყენებს ბებია (იწყევლება, იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: **ლაფშიანი, უცხვირპირო, პირშავი, ლვთისპირიდან გადავარდნილი**)... მათი აზრით, რატომ იყენებს ბებია ასეთ სიტყვებს მეტყველებისას, თვითონაც ხომ არ გაიხსენებენ მსგავს სიტყვებს, რომლებსაც მათი ბებიები და ბაბუები იყენებენ საუბრისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაბრაზებული არიან; რატომ უწოდებს ზურიკელა თავის ბებიას „**ბრძენს**“, ბებიას რა „**სიბრძნე**“ ჩანს ამ ტექსტში; რატომ არის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, ბებიას აზრით, „**უსულგულო**... დაახასიათონ ბებია და ზურიკელა ტექსტის მიხედვით და თითოეული თვისების ნათელსაყოფად ტექსტიდან დაასახელონ სათანადო ადგილი (მაგ. ზურიკელა ზარმაცია იმიტომ, რომ არ ეხმარება ბებიას, არ უყვარს სწავლა, მის ბებიას ხშირად იბარებენ სკოლაში, აცდენს გაკვეთილებს, სკოლას გაჭირვებით ამთავრებს...); გაარკვიონ, თუ ჩანს ტექსტში მწერლის დამოკიდებულება მისი გმირებისადმი...

3. თხრობა — მოსწავლეები თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. ამ დროს ყურადღება მახვილდება III პირში თხრობაზე.

4. წაკითხულის გააზრება — ტექსტის დამუშავების მერე წაკითხულის გააზრების მიზნით სრულდება ტესტური დავალებები (სწორი პასუხები: 1 ა, 2 ა), ასევე — დავალებები: №1 და №2. №2 დავალების შესრულებისას მოსწავლეები წინასწარ ადგენენ გეგმას და ზეპირად მუშაობენ თხზულებაზე. კლასში გაანალიზდება რამდენიმე ვარიანტი, შემდეგ კი იგივე სავარჯიშო სრულდება წერით, ინდივიდუალურად.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა: მოსწავლეები აკვირდებიან სიტყვა „პირის“ მნიშვნელობას წინადადებებში: „პირი იმიტომ არსებობს, რომ ენა დაატიოს კაცია შიგ. პირი ზოგს პატარა აქვს, ზოგს — დიდი. ვისაც დიდი პირი აქვს, იმას ლაფშიანს ეძახიან “ და ფრაზებში: „პირშავი კაცი“ — შერცხვენილი, უსინდისო ადამიანი, „უპირო კაცი“ — მოღალატე, მატყუარა ადამიანი; „უცხვირპირო“ — უხასიათო... რაც შეეხება, „ზმის პირს“, მასწავლებელი კლასს ეუბნება, რომ სულ მალე ზმის პირსაც შეისწავლიან და სთხოვს დაიმახსოვრონ ეს ფრაზა („ზმის პირი“). აქვე ჯგუფურად შეიძლება ჩატარდეს ერთგვარი შეჯიბრიც: ვინ მეტ სიტყვას დაწერს „პირის“ გამოყენებით (ხელ-პირი, თავ-პირი, პირნათელი, პირსახოცი, პირუტყვი, პირფერი, პირჯუში, პირლია...)

2. სხვათა სიტყვის -ო—ს მართლწერა — დაფაზე იწერება ფრაზები:

„ბებიამ ზურიკელას ჰეკითხა:

— რასაა, რომ იზუთხავ?

ზურიკელამ უპასუხა:

— ზმის პირიანობას ვსწავლობ. “

და

„ბებიამ ზურიკელას ჰეკითხა: რასაა, რომ იზუთხავო. ზურიკელამ უპასუხა: ზმის პირიანობას ვსწავლობომ“.

მოსწავლეებს ვაკვირვებთ, რომ პირველ შემთხვევაში ბებიასა და ზურიკელას ნათქვამი სიტყვასიტყვით არის გადმოცემული, მეორე შემთხვევაში კი ზურიკელასა და ბებიას ნათქვამს იმეორებს სხვა (ამ შემთხვევაში ავტორი) და ორივე წინადადებას ბოლოში თ დაერთვის.

ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება აქტივობების რვეულში მოცემული №3 დავალება, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირ ნათქვამთან სხვათა სიტყვის „ო“-ს მართლწერას.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: თუ ვისიმე ნათქვამი სიტყვასიტყვითაა გადმოცემული, ამას პირდაპირი ნათქვამი ჰქვია. **თუ პირდაპირი ნათქვამი სხვის (III პირის)** ნათქვამს გულისხმობს, მას ჩვეულებრივ ბოლოში „ო“ დაერთვის, რასაც სხვათა სიტყვის „ო“ ჰქვია. ჩვენ მიერ მოტანილ ყველა მაგალითში მთქმელი იმეორებს სხვის (III პირის) ნათქვამს, ამიტომ ყველაგან „ო“-ს გამოყენებაა საჭირო.

3. ქართული ანბანის განმეორება (დავალება №4).

4. სიტყვის დამარცვლა და გადატანა (დავალება №5).

შედეგების კოდი: IV.2, IV.3, IV.4, IV.6, IV.7, IV.10, IV.12, IV.13.

გაკვეთილების მასალა

ოტია იოსელიანის „ქაჩორა მტრედის მოტანილი ბარათი“,
მარტივი მიზნობრივი და თემატური ტექსტების შექმნა;
დიალოგი, მონოლოგი (პრაქტიკულად)

მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- მარტივი მიზნობრივი („სკოლის აბრა“) და თემატური („ჩემი სკოლა“) ტექსტების შექმნა
- გაბმულ მეტყველებაზე ვარჯიში
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- მარტივი პუნქტუაციური და ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება
- თხრობის დიალოგურ და მონოლოგურ ფორმებზე დაკვირვება (პრაქტიკულად)

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ,
აყალიბებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- ადგენს და წერს მარტივ ტექსტს თემაზე: „ჩემი სკოლა“,
- აკვირდება ტექსტში თხრობის დიალოგურ და მონოლოგურ ფორმებს
- იხსენებს შესწავლილ მეტყველების ნაწილებს (არსებითი სახელი, ზედსართავი
სახელი, ზმნა) და ამოიცნობს მათ ტექსტში სათანადო სემანტიკურ ნიშნებზე
დაყრდნობით (რას აღნიშნავს, რა კითხვა დაესმის)
- ვარჯიშობს ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაში

I. ტექსტის კითხვა და ანალიზი

1. კითხვისათვის მზადება — შეიძლება წარიმართოს სხვადასხვანაირად: а) მასწავლებელმა კლასს გაახსენოს წინა კლასებში შესწავლილი ოტია იოსელიანის ნაწარმოებები და იმსჯელონ მათ შესახებ; б) კლასს ჯგუფური მუშაობისათვის შესთავაზოს თემა „ჩემი სკოლა“. მუშაობისათვის ეძლევათ დაახლოებით 5 წუთი. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ვარიანტს, რომელიც გაანალიზდება და შეფასდება კლასში.

2. ტექსტის კითხვა — მასწავლებელი სანამ ტექსტის კითხვას დაიწყებს, კლასს განუმარტავს, რომ მოცემული ნაწყვეტი ამოღებულია ოტია იოსელიანის წიგნიდან „მუხლზე დაწერილი მოთხოვნები“. თუ წაკითხული ნაწყვეტი დააინტერესებთ, შეუძლიათ, ბიბლიოთეკაში ამ წიგნის მოძიება და წაკითხვა.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ოტია იოსელიანი (1930, წყალტუბო, სოფ გვიშტიბი), დაამთავრა სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტერატურული კურსები 1961 წელს, მოთხოვდებს აქვეყნებს 1954 წლიდან, პირველი კრებული „კარის მეზობლები“ გამოსცა 1957 წელს. ნაყოფიერად მუშაობს როგორც ნოველისტიკაში, ისე რომანულ უანრში, წერს პიესებსა და კინოსცენარებსაც. ავტორია ათამდე პიესისა, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით იღებოდნენ როგორც ქართულ, ისე უცხოურ სცენებზე („სანამ ურემი გადაბრუნდება“, „ადამიანი იბადება ერთხელ“, „როცა სიყვარული მოვა“, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“...). ყურადღებას ამახვილებს ზეობრივ-ეთიკურ პრობლემატიკაზე. ინტენსიურად მუშაობს საბავშვი მწერლობის დარგში („დაჩის ზღაპრები“, „ცაგამთენია“, „მუხლზე დაწერილი მოთხოვდები“, „ხელისგულისტოლა ზღაპრები“...). მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე.

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით. ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ ტექსტში თხრობის **დიალოგურ** ფორმას ენაცვლება **მონოლოგური**, ამიტომ მათი კითხვისას უნდა შეირჩეს განსხვავებული **ინტონაცია**, ტემპი და **ლოგიკურ-ფსიქოლოგიური მახვილები**.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: დიალოგი — მეტყველების ფორმა, რომლითაც გადმოცემულია ორი ადამიანის მონაცვლეობითი საუბარი. ასეთია ტექსტში სკოლის დარაჯისა და ავტორი საუბარი. **მონოლოგი** არის მხატვრული სახის შექმნის ერთ-ერთი ხერხი. ის არის ისეთი მეტყველება, რომელიც სხვისადმი ან საჯუთარი თავისადმი არის მიმართული, მაგრამ არ მოითხოვს სხვა პირისაგან საპასუხო რეაქციას. გმირის მონოლოგში გადმოიცემა არა მარტო მისი პირადი განცდები, ფიქრები, არამედ მასში ხშირად მოცემულია ნაწარმოების მთავარი, საკვანძო იდეები. ენობრივი თვალსაზრისით მონოლოგს ახასიათებს შემდეგი ნიშნები: მიმართვების, ნაცვალსახელების, II პირის ფორმების სიჭარბე, რიტორიკული შეკითხვები... მოცემულ ტექსტში მონოლოგური თხრობის ნიმუშებია: „აჲა, ზარმაცი და უქნარა ძევითის ხარჯზე გადის... უნდათ თუ არ უნდათ, იძევითონ“; „არა, ჭკუას კი არავის ვასწავლი... რა საკვირველებითაა სავსე სამყარო“.

მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს და გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რისთვისაც იყენებენ „სიტყვის სალაროს“. მასწავლებელი კლასს ავალებს ტექსტის **ჩუმად** წაკითხვასაც და მასში გარკვეული ადგილების მონიშვნას (მაგ. მოინიშნეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც აღნერილია **ა) ცრუ** და მატყუარა ბავშვების სკოლა, **ბ) ზარმაცთა და უქნარათა სკოლა**, **გ) მოჩხუბართა და აყალმაყალის ამტეხთა სკოლა**, **დ) ავყიათა სკოლა**...).

3. ტექსტის ანალიზი — ყურადღება მახვილდება შემდეგ მომენტებზე: ა) რამდენად შეეფერება ნაწარმოებში აღნერილი ამბავი სინამდვილეს (არ შეეფერება, ამბავი ხდება არარსებულ ქვეყანაში, რომელსაც სახელიც კი არ აქვს), ბ) როგორია მწერლის დამოკიდებულება ნაწარმოებში აღნერილი ამბისადმი (თავდაპირველად უარყოფითი — „**გავცეცხლდი, მაგრამ რა გავცეცხლდი!**“ შემდეგში იგი იცვლის აზრს — „**იძულებული იქნებიან გაანძრიონ ხელი და იძევითონ**“, „**ონავრებსა და ჩეუბისთავებს საწყალ ბავშვებთან აქვთ დიდი გული**“...), გ) როგორია მწერლის დამოკიდებულება ბავშვებისადმი (მას ძალიან უყვარს ბავშვები — „**ამ უკიდეგანო ქვეყანაზე ყველაზე უფრო ბავშვები მიზიდავენ**“...), დ) როგორ არის აღნერილი ტექსტში სხვადსხვა ტიპის სკოლები (კითხულობენ სათანადო ადგილებს ტექსტიდან), ე) რამდენად მართებულია, მოსწავლეთა აზრით, ამ ტიპის სკოლების არსებობა (აქ შეიძლება მცირე დისკუსიაც კი გაიმართოს, მოსწავლეებს ეძღვათ აზრის გამოთქმისა და დასაბუთების საშუალება, მოქმედებს პრინციპი:

ყველა აზრი მისაღებია), ვ) ახასიათებენ საკუთარ სკოლას და სათანადო აპრასაც „ურჩევენ“ მას (ეს სამუშაო შეიძლება შევთავაზოთ ჯგუფურადაც)... წაკითხულის გააზრებისათვის სრულდება **ტესტური დავალება** (სწორი პასუხია ზღაპარი) — ამბავი მნერლის მიერ გამოგონილ ქვეყანაში ხდება), ზ) ვინ და ვინ არიან ნაწარმოების მოქმედი პირები (თავად ავტორი, სკოლის დარაჯი, ბავშვები)... მარტივად ახასიათებენ მათ.

4. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები ადგენენ გეგმას (სავარაუდო საკითხები: 1) მნერლის მოგზაურობა, 2) ცრუ და მატყუარა ბავშვთა სკოლა, 3) ზარმაცთა და უქნარათა სკოლა, 4) მოჩხუბართა და აყალამაყალის ამტეხთა სკოლა, 5) ავყიათა სკოლა, 6) ნერილი ბავშვებთან); გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ნაწილ-ნაწილ ამ გეგმის მიხედვით. შინაარსის გადმოცემისას ყურადღება მახვილდება III პირში თხრობასა და დიალოგური ფორმების პერიფრაზზე.

5. წერა — ამ მიზნით „აქტივობების რვეულში“ წარმოდგენილი 2 სავარჯიშო: 1) შინაარსის გადმოცემა ერთ-ერთი საკითხის მიხედვით (**დავალება №2**) და 2) თხზულება (**დავალება №3**). მასწავლებელს თავისი შეხედულებით შეუძლია მათი განაწილება საკლასო და საშინაო სამუშაოებისათვის.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. III პირში თხრობა — გაირკვევა, ვინ ყვება ნაწარმოებში გადმოცემულ ამბავს (თავად ავტორი, რომელიც ამავე დროს ნაწარმოების ერთ-ერთი მოქმედი პირიცაა), რატომ მიმართავს ამ ხერხს ავტორი (რომ უფრო დააინტერესოს მკითხველი, უფრო ზუსტად გვითხრას თავისი სათქმელი); გადმოსცენ ტექსტის შინაარსი ისე, თითქოს მას გარეშე პირი გვიყვება.

2. დიალოგსა და მონოლოგზე დაკვირვება (ტერმინების გარეშე) — მოძებნონ ტექსტში ის ადგილები, სადაც: ა) ორი ადამიანი საუბარია აღნერილი, ბ) სადაც მნერალი მიმართავს, ესაუბრება საკუთარ თავს.

3. სასვენ ნიშნებზე დაკვირვება — ეძებენ ტექსტში ადგილს, სადაც „**მრავალ-ნერტილია**“ გამოყენებული, იხსენებენ წინა კლასში ნასწავლ „მრავალნერტილის“ ფუნქციას (აზრი არ არის დამთავრებული); თავად ამთავრებენ აზრს („მშობლებს ახლოს არ აკარებთ“... — გარეთ არ უშვებთ, ახლობლებთან ურთიერთობას უკრძალავთ, ბავშვებს ცუდად ექცევით... „აქ სწავლობენ, თამაშობენ, ერთობიან, მღერიან“... — აქ ყოფნა ძალიან მოსწონთ, თავს კარგად გრძნობენ... „თან ცრუობენ, თაღლითობენ“... — ყველას ატყუებენ, ცუდად იქცევიან...).

4. სიტყვის დამარცვლა და გადატანა — დავალება №4 (არ გადაიტანება: აქ, დღე, და, ამა, თუ, იმ, ხალხს).

5. მეტყველების ნაწილები — დავალება №5.

შედეგების კოდი : IV.2, IV.3, IV.5, IV.6, IV.8, IV.9, IV.10, IV.12.

გაკვეთილების მასალა

აკაკი წერეთლის „გიმნაზიაში“ (ნაწევეტი „ჩემი თავის ადასავლიდან“) სხვათა სიტყვის ნაწილაკის (-მეთქი) გამოყენებაზე დაკვირვება

მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება
- გაბმულ თხრობაზე მუშაობა
- წერილობით თხზულებაზე მუშაობა, ნაწერის კორექტირება
- მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა
- სხვათა სიტყვის ნაწილაკის (-მეთქი) გამოყენებაზე დაკვირვება
- ქართული ანბანის განვითარების საფეხურებზე დაკვირვება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს
- ადგენს გეგმას
- წერილობით გადმოსცემს ტექსტის ერთ-ერთი მონაკვეთის შინაარსს
- ადგენს მარტივ წერილობით თხზულებას
- აფასებს მოქმედი პირების საქციელს
- მუშაობს სქემაზე „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“
- ვარჯიშობს სხვათა სიტყვის ნაწილაკის „-მეთქი“ სწორად გამოყენებაზე
- აკვირდება და ერთმანეთს უდარებს ქართული ანბანის განვითარების საფეხურებს (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული)

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (7 ნუთი):

გაკვეთილი იწყება პროვოცირებით, მასწავლებელი ცდილობს მობილიზება გაუკეთოს მოსწავლეთა ცოდნას აკაკი წერეთლის შემოქმედებასთან დაკავშირებით. კლასს ყოფს სამ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ჩამოურიგებს ბარათებს და ავალებს ბარათში მოცემული აკაკი წერეთლის ლექსის არეული სტრიქონები დაალაგონ ისე, რომ ლექსის სტროფი მიიღონ: (ჯგუფებში მუშაობა).

I ბარათი:

1. ნათელი — ჭკუა-გონება,
2. სანთელი ჩემი ხორცია,
3. იმათგან გამონაშუქი.
4. სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,
(2, 4, 1, 3)

II ბარათი:

1. ჩემი ხატია სამშობლო,
 2. არ შემიძლია მეც განა?
 3. სახატე მთელი ქვეყანა,
 4. და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
- (1,3,4,2).

III ბარათი:

1. შენს მიწას მიმაბარეო,
 2. ჩემო სამშობლო მხარეო.
 3. ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 4. დედა-შვილობას ბევრს არ გთხოვ,
- (4.1.3,2).

მოხდება შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. თითოეული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გამომეტყველებით წაიკითხავს მიღებულ სტროფს.

გაიხსენებენ აკაკის ნაწარმოებებს: „ყმაწვილი და პეპელა“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (თარგმანი), „მოსწავლე და მასწავლებელი“. შეჩერდებიან ამ უკანასკნელზე. იმსჯელებენ რომელი იყო მართალი: მოსწავლე თუ მასწავლებელი, როგორ იმართლა თავი მასწავლებელმა მეფის წინაშე. ამ ნაწარმოების მიხედვით შეავსებენ წინადადებას: „სწავლა და მეცნიერება... (სტუმარია), ჭკუა კი... (მასპინძელი), და თუ თავში... (ჭკუა) მწყრალად არის, აღარც ისინი მოიცდიანო“.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის.

მოკლე ცონბები აკაკი წერეთლის ბიოგრაფიიდან: ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წლის 21 ივნისს საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში შეძლებული თავადის ოჯახში, დედა — ეკატერინე აბაშიძე — იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შვილიშვილის შვილი იყო. პატარა აკაკი აღსაზრდელად ძიძას მიაპარეს სოფელ სავანეში. აქ აკაკი ძიძიშვილებთან და მეზობელი გლეხის ბავშვებთან იზრდებოდა. იგი მთელ დღეებს ატარებდა ყანებში, ტყეებში, საქონლის მოვლასა და სხვა საქმიანობაში. 1852 წლიდან ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, 1859-1863 წლებში კი პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშივე გაუმძაფრდა მას მშობლიური ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნის, თავისი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი.

1863 წლს ცოლად შეირთო ნატალია ბაზილია ბაზილევსკაია და ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. ლექსების წერა ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში დაიწყო. მიუხედავად მუდმივი მატერიალური გაჭირვებისა, არასოდეს შესულა სახელმწიფო სამსახურში, მან აირჩია მშრომელი ქვეყნის და ერის კეთილდღეობისათვის, მისი ძედნიერი მომავლის მოპოვებისათვის უანგარო მოღვაწეობის ნარეკლიანი გზა. ი. ჭავჭავაძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ეროვნულ განმათავისუფლებელ და რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში. აკაკის უდიდესი დამსახურება მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასა და მის მრავალფეროვან საქმიანობაში, მუდმივი თეატრალური დასის და დრამატული საზოგადოების შექმნასა და მუშაობაში, ქართული უურნალისტიკის განვითარებაში... მისი მრავალი ლექსი: „იმერული ნანინა“, „ჩემო თავო ძედი არ გიწერია“, „მუხამბაზი“, „აღმართ-აღმართ“, „გაზაფხული“, „ჭალარა“, „განთიადი“, „სულიკო“ ქართველი ხალხის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა.

ეროვნული თვითშევნების აღორძინებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა აკაკის პოემებმა: „თორნიკე ერისთავი“, „თამარ ცბიერი“, „კიკოლას ნაამბობი“, „გამზრდელი“, შესანიშნავმა რომანმა „ბაშიაშუკი“, ავტობიოგრაფიულმა ნაწარმოებმა „ჩემი თავგადასავალი“.

პოეტის საყოველთაო აღიარების დადასტურებაცაა მისი მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი იუ-

ბილე (1908), პოეტის მოვ ზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912 წ.), რომლებიც გრანდიოზულ ეროვნულ დღესას-ნაულად გადაიქცა.

აკაკი წერეთელი გარდაიცვალა 1915 წლის 25 იანვარს, დაკრძალულია მთაწმინდაზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (15 ნუთი):

მასწავლებელი კითხულობს ტექსტის პირველ აბზაცს, კითხვას განაგრძობს კითხვა-ში განაფული სამი მონაფე (თითო მოსწავლე თითო აბზაცს კითხულობს). განმეორებითი ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს მოსწავლეთა ძალებით დაიძებნება და მათივე მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. გამოიყენებენ სახელმძღვანელოში მოცემულ „სიტყვის სალაროს“, აიხსნება აგრეთვე გამოთქმები: **თავზე ხელი გადამისვა — მომეფერა; მეტი რა გზა მქონდა — საშუალება არ მქონდა; ჩემს დღეში არ მენახა — არასოდეს მენახა.**

ტარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის მიერ დასმული პირველი დონის კითხვების პასუხებს მოსწავლები სახელმძღვანელოში ამოიკითხავენ:

— როგორ ექცეოდნენ გიმნაზიაში ახალმოსულ მოსწავლეებს? („ახალმოსწავლე პატარები კი... ვიდრე ამ ყოფაში იყვნენ, სანამ კითხვას ისწავლიდნან“).

— როგორაა აღნერილი პატარების ტანჯვა? („ნარმოიდგინეთ 7-8 წლის ბავშვი... ვიდრე ყურადღებას არავინ აქცევდა“).

— ამოიკითხეთ აკაკის გიმნაზიაში მისვლის პირველი დღე („შესვლისთანავე პირველ კედელთან დამაყენეს... უფროსებთან დამსვა სკამზე“).

— როგორ სჯიდნენ გიმნაზიელებს ქართულად ხმის ამოღებისთანავე? („იმ დროს შემოღებული იყო თუნეუქის ფირფიტა... მთელი დღით უსადილოდ“).

— დასჯის ეს სახეობა რა გავლენას ახდენდა მოსწავლეებზე? („ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა... ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდნენ“).

— ამოიკითხეთ აკაკისა და პატარა ყმანვილის ქართულად გასაუბრება (ბოლო აბზაცი).

აქტივობა 3 — გეგმის შედგენა (6 ნუთი):

მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ: (აქტივობების რვეული, დავალება №1)

ნერა-კითხვის სწავლების მეთოდი ძველად;

ახალმოსული პატარების ტანჯვა;

აკაკის პირველი დღე სკოლაში;

სასჯელი ქართულად ხმის ამოღებისათვის;

პატარა ბიჭისა და აკაკის შეხვედრა.

(გეგმის შედგენაში მონაწილეობს მთელი კლასი, დასახელდება თითოეული მონაკვეთის რამდენიმე სათაური და შეარჩევენ უკეთესს).

აქტივობა 4 — ორთოეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა (2 ნუთი): დაიმახსოვრე, როგორ წარმოითქმის და იწერება: შეეძლებოდა, საათიდან, ნაშუადღევი, ივრძნობთ, ცდილოყო: შერჩებოდა, ტკბილი, რასაკვირველია, ჩემმა მოწინააღმდეგემ...

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (4 ნუთი):

მოსწავლეები აკვირდებიან, ვინ მოგვითხრობს ტექსტში აღწერილ ამბავს (მწერალი — აკაკი წერეთელი)

— ვის უყვება მწერალი ამ ამბავს (მსმენელს). უკვირდებიან აგრეთვე სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებას:

„რა გენალვლება, მარტო ვართ, ვინ გაიგებს-მეთქი, — ვეხვენებოდი მე“.

„მე მასწავლებელს ვთხოვდი, არ დამსაჯო-მეთქი“.

რას ამჩნევთ?

ამჩნევენ, რომ თუ ვინმე თავის ნათქვამს სიტყვა-სიტყვით იმეორება, წინადადების ბოლოს დაესმის -მეთქი.

აქტივობა 6 — შეჯამება (3 ნოტი):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (გაიგეს როგორ ასწავლიდნენ წერა-კითხვას ძველ სკოლაში, დასჯის რა მთოდებს იყენებდნენ, როგორ კრძალავდნენ ქართულ ენაზე ლაპარაკს, როგორი მეთოდით ცდილობდნენ ძველ გიმნაზიაში ესწავლებინათ ბავშვებისათვის რუსული ენა...)

აქტივობა 7 — შეფასება (3 ნუტი):

მოსწავლეთა შეფასება ხდება ზეპირად, სიტყვიერი კომენტარით, ამ დროს ყურადღება ექცევა როგორც საშინაო დავალების შესრულების ხარისხს, ასევე კლასში ჩართულობასა და აქტიურობას.

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (2 ნუტი):

„გიმნაზიაში“ (ტექსტში მოინიშნონ ის ადგილი, რომელმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ; წერითი დავალება №2 (აქტივობების რვეული).

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — საშინაო დავალების შემოწმება (2 ნუტი):

გაკვეთილს ვიწყებთ წინა გაკვეთილზე მიცემული დავალების (ტექსტში მოინიშნონ ის ადგილი, რომელმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ) ირგვლივ მსჯელობით. მასწავლებელი იმ მოსწავლეებს წააკითხებს, რომელთაც განსხვავებული ადგილები აქვთ მონიშნული. გადმოსცემენ, თუ რატომ დააფიქრათ იმ ადგილმა, როგორი გუნება-განწყობა შეექმნათ მისი წაკითხვის დროს, მოსწავლეები შეავსებენ ერთმანეთის პასუხებს.

აქტივობა 2 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა (10 ნუტი):

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით:

— როდის მოხდა ნაწარმოებში აღწერილი ამბავი? (ძველ დროში). — რატომ ფიქრობენ ასე? (ტექსტში აღწერილია, როგორ კრძალავდნენ ქართულად საუბარს, მოსწავლეებს აიძულებდნენ, ელაპარაკათ რუსულად; ნახსენებია სიტყვები: ნუსხური, მხედრული...)

— როგორ არის აღწერილი ტექსტში წერა-კითხვის სწავლების პროცესი გიმნაზიაში? (კედელზე ჩამოკიდებულ ქაღალდზე ეწერა ანბანი და აკითხებდნენ მოსწავლეებს. პატარები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და როცა შემოუვლიდნენ კედლებს, მერე ჰქონდათ ნება, სკამებზე დამსხდარიყვნენ).

- პატარა აკაკისათვის რა იყო უბედურება? (რუსულის უცოდინრობა).
 — დასჯის რა მეთოდებია აღწერილი ამ ნაწარმოებში?
 (წკეპლით ცემა, სახაზავის ხელზე დარტყმა, ფეხზე დიდხანს დგომა, მშიერ-მწყურ-ვალი ყოფნა დილის 7-დან ნაშუადლევის 2 საათამდე, ზოგჯერ მთელი დღე უსადილოდ დატოვება. იმსჯელებენ, მათვან თვითონ რომელს მიიჩნევენ ყველაზე მიუღებლად).
 — როგორ ცდილობდნენ ძველ გიმნაზიაში, ესწავლებინათ ბავშვებისათვის რუსული ენა?
 — რას მიიჩნევს მწერალი „გამრყვნელ“ ჩვეულებად? (ტყუილს, დაბეზლებას).
 მოსწავლეები ადრე შედგენილი გეგმის მიხედვით ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ გაბმული თხრობით.

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება (4 ნუთი):

- აკაკის თანაკლასელის რა თვისება ჩანს ამ ნაწარმოებში? (ფარისევლობა, თვალთ-მაქცობა, მლიქვნელობა, ცბიერება, ეშმაკობა, შეუბრალებლობა....)
 -თქვენი აზრით, რატომ იქცეოდა იგი ასე? (ფირფიტა როგორმე თავიდან მოეშორებინა, რათა საღამომდე უსადილოდ არ დარჩენილიყო)
 — თუ ავლენს მწერალი ამ ნაწარმოებში თავის დამოკიდებულებას მომხდარი ამ-ბისადმი? სად ჩანს ეს? (მწერალს არ მოსწონს მომხდარი ამბავი, რაც ჩანს შემდევი სტრიქონებიდან: „ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა. ყმანვილები ცდილობდნენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებინათ, გაებრიყვებინათ როგორმე და ცბიერება-ფარისელობას ეჩვეოდნენ). სრულდება **დავალება №4** (სკოლა ძველად და ახლა).

აქტივობა 4 — მოთხოვის გაგრძელებაზე მუშაობა (3 ნუთი):

- მასწავლებელი სვამს კითხვას: მასწავლებელთან დაბეზლების შემდეგ როგორ მოიქცეოდა მასწავლებელი? აკაკი? (ზოგის აზრით მასწავლებელი სცემდა აკაკის, და კუთხეში დააყენებდა თუნუქის ფირფიტით ხელში. აკაკი ეცდებოდა, როგორმე სხვა ბავშვი მოეტყუებინა, რათა ფირფიტა სხვისთვის გადაეცა, თვითონ უსადილოდ რომ არ დარჩენილიყო... ზოგის აზრით კი, აკაკი არ დაემორჩილებოდა მასწავლებელს, სულ და-ტოვებდა გიმნაზიას....).

გაიხსენებენ კინოფილმს „აკაკის აკვანი“.

აქტივობა 5 — ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობა (4 ნუთი):

„თავზე ხელი გადაუსვა“ ნიშნავს მოფერებას.

რას ნიშნავს:

- ხელს არ გაანძრევს?** — (არაფერს გააკეთებს)
ხელს აიღებს? (ვინმეზე, რამეზე) — (მიატოვებს)
ხელს გამოიღებს? — (იშრომებს, გაირჩება)
ხელს გაუმართავს? — (დახმარებას გაუწევს)
ხელში ჩაიგდებს? — (დაეპატრონება)

ხელიდან წავა? — (გაცუდლუტდება, გაფუჭდება)
ხელს წაუკრავს? — (ცოტა ხანს მოეხმარება)
— სხვა ენა არ ვიცოდი — აქ ენა ნიშნავს აზრის გამოხატვისა და გაგებინების საშუალებას.

რას ნიშნავს:

ენაზე მოადგება — (თქმას დააპირებს)
ენა უსწრებს — (ზედმეტს ლაპარაკობს)
ენა უჭრის — (კარგი ლაპარაკი იცის)
ენას მიუტანს — (სხვის ნათქვამს გაუმჯდავნებს)
ენას ვერ იბრუნებს — (ხმას არ იღებს, ლაპარაკს ვერ ახერხებს)
ენა ექავება — (ლაპარაკის გუნებაზეა)
ენად გაიკრიფება — (ბევრს ილაპარაკებს)
ენაზე ადგას — (იცის და ვერ მოუგონებია)

აქტივობა 6 — ენობრივ მასალაზე მუშაობა (10 ნუთი):

— სხვათა სიტყვის ნაწილაკის პრაქტიკულად გამოყენება (ასრულებენ მე-5 დავალებას., „აქტივობების რვეული“)

ინფორმაცია მასწავლებლისთვის: თავისი (I პირის) ნათქვამის გამეორებისას ნინადადებას ბოლოში დაერთვის -მეთქი, რომელიც წარმომდგარია მე ვთქვი-სგან. ეს ნაწილაკი იხმარება მარტო ზმნის I პირის მხ. რიცხვის ფორმასთან.

— აკვირდებინა სახელმძღვანელოში მოცემულ დამწერლობის სამივე სახეს (მრგვ-ლოვან-ასომთავრული, ნუსხური, მხედრული). სასურველია, მასწავლებელმა გააცნოს რიცხვების ასოითი მნიშვნელობა.

ინფორმაცია მასწავლებლისთვის: ქართულმა დამწერლობამ თავისი განვითარების პერიოდში სამი საფეხური გაიარა: **მრგვლოვანი** (ასომთავრული), **ნუსხური**, **მხედრული**.

მრგვლოვანი — ქართული ანბანის უძველესი სახე, სახელწოდება დარქმეული აქვს ასოთა მრგვალი მოხაზულობის გამო; გავრცელებული იყო V-IX საუკუნეებში, IX სასუკუნიდან გამოიყენებოდა ასომთავრულის ფუნქციით.

ნუსხური — ქართული დამწერლობა (IX-XI ს.), რომელიც შემდგომი განვითარება იყო ასომთავრულისა (მრგვლოვანისა), მეორენაირად ნუსხაუცურსაც ეძახიან.

ხუცური — საერთო სახელწოდებაა ძველი ქართული დამწერლობისა — ასომთავრულისა და ნუსურის (მხედრულის საპირისპიროდ).

მხედრული — სახელწოდება თანამედროვე ქართული დამწერლობისა, რომელიც განვითარდა ნუსხურიდან მე-11-12 საუკუნეებში.

ასოების სამუალებით ხდებოდა ძველად რიცხვების გამოხატვა. ძველ ქართულში იყო 37 ასო. ანბანის პირველი 9 ასო გამოხატავდა ერთეულებს (მაგ. ა-1, ბ-2, გ-3, დ-4...), მეორე ცხრა — ათეულებს (ი-10, კ-20...), მესამე ცხრა — ასეულებს (რ-100, ს-200...), მეოთხე ათეული — ათასეულებს (ჩ-1000, ც-2-2000...); მაგ.:

ტ ა ბ უ ს ა

(შველი გართული ასოები, მათი მხადული ზესატყვისები, საჭირო და
რიცხვითი მნიშვნელობა)

ნივთი	მაგრავანი	ნუსახი	მხედრული	სახელი	რიცხვითი მნიშვნელობა	ნივთი	მაგრავანი	ნუსახი	მხედრული	სახელი	რიცხვითი მნიშვნელობა
1	ც	წ	ო	ან	1	20	ც	ც	ს	სან	200
2	ქ	ყ	ბ	ბან	2	21	ქ	ქ	ტარ	300	
3	ჭ	ჰ	გ	გან	3	22	ჰ	ჰ	კუე	400	
4	ჩ	ჩ	ჩ	ჩონ	4	23	ი	უ	უ	უნ	—
5	ე	ე	ე	ენ	5	24	ფ	ძ	ფ	ფარ	500
6	თ	თ	თ	თინ	6	25	თ	თ	ქ	ქან	600
7	ძ	ძ	ძ	ძენ	7	26	ი	ი	ი	ღან	700
8	რ	ჩ	ც	ცე	8	27	ჰ	ჰ	ჰ	ჰარ	800
9	ტ	ტ	თ	თან	9	28	ყ	ყ	შ	შინ	900
10	რ	რ	ი	ინ	10	29	ჩ	ჩ	ჩ	ჩინ	1000
11	ხ	ხ	ჳ	ჳან	20	30	ც	ც	ც	ცან	2000
12	ბ	თ	წ	წას	30	31	ძ	ძ	ძ	ძილ	3000
13	ჭ	ჭ	ა	მან	40	32	ჩ	ჩ	წ	წილ	4000
14	ჩ	ჩ	ხ	ხარ	50	33	გ	გ	ჭ	ჭარ	5000
15	ც	ც	ა	აჯ	60	34	ლ	ლ	ხ	ხან	6000
16	ა	ა	ო	ოჩ	70	35	ყ	ყ	ჺ	ჺარ	7000
17	უ	უ	პ	პარ	80	36	ჯ	ჯ	ჯ	ჯან	8000
18	ყ	ყ	ე	ეან	90	37	ს	ს	ჰ	ჰაე	9000
19	ქ	ქ	რ	რაე	100	38	ძ	ძ	ძ	ძოჲ(ძო)	10000

ახორი რიცხვითი მნიშვნელობის მაჩვენებელი ცხრილი

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეულები	ა	ბ	გ	დ	ვ	ჟ	ჸ	ე	თ
ათეულები 0	0	1	2	3	4	5	6	7	8
ასეულები 00	რ	ს	ტ	ბ	შ	ჟ	ჸ	ე	თ
ათასეულები 000	ჩ	ი	ძ	წ	ჭ	ჰ	ჸ	ე	თ
ბევრეული 0000	გ								

აქტივობა 7 — ავსებენ სქემას (5 წთ): რა ვიცოდი ქართული ანბანის შესახებ, რა გავიგე და რის გაგება მაინტერესებს (აქტივობების რვეული. დავალება №6).

ვიცოდი	ვისწავლე	მინდა ვიცოდე
1. ანბანი არის გარკვეული რიგით დალაგებული ასოები	1. თანამედროვე დამწერლობას მხედრული ჰქვია.	1. რამდენი ასო-ბერა იყო ნუსხურში
2. ქართული ანბანი თავისი სიძეულით გამოირჩევა	2. ძველი პერიოდის დამწერლობას მრგვლოვანი (ასომთავრული) ერქვა	2. ასომთავრულით წერა
3. მსოფლიოში სამი ათასამდე ენაა, ანბანი კი — რამდენიმე. მათ შორის ერთ-ერთი ქართულია.	3. საშუალო პერიოდის დამწერლობას ნუსხური (IX-X ს.) ერქვა	3. რიცხვების ასოებით გამოხატვა
4....	4. თითოეულ რიცხვს თავისი ასოითი მნიშვნელობა ჰქონდა.	4....
5....		5....

აქტივობა 8 — შეფასება (3 წუთი): გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად სიტყვიერად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს — საშინაო დავალების შესრულება, პრაქტიკული მუშაობა, მსჯელობა კლასში, პრეზენტაცია.

აქტივობა 9 — საშინაო დავალება (2 წუთი): „გიმნაზიაში“ (თხრობით). წერითი დავალება №3 — ჩემი კლასი.

შედეგების კოდი: III.1, III.2, III.4, III.7, III.9.

გაკვეთილების მასალა

იღია ჭავჭავაძის „მზიანი დღე“ (ნაწევეტი „გლახის ნამზობიდან“) არსებითი სახელის ცვლა დაბოლოების მიხედვით (3 სთ)

მიზნები


- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- ლიტერატურული მასალის ანალიზის, სინთეზის უნარ-ჩვევების ფორმირება, კრიტიკული აზროვნების განვითარება
- სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- არსებითი სახელის ბრუნებაზე დაკვირვება (პრაქტიკულად, ტერმინის გარეშე)

აქტივობები

- მოსწავლე აანალიზებს და აფასებს წაკითხულს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- აყალიბებს საკუთარ პოზიციას და ასაბუთებს მას
- ავლენს განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის უნარს
- ეუფლება და მეტყველებაში იყენებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს
- აკვირდება არსებითი სახელის ცვლას დაბოლოების მიხედვით

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (7 ნუთი): — ივსება ასოციაციური რუკა:



ამ თემაზე შესწავლილი ნაწარმოებების გახსენების მიზნით ჩატარდება ასეთი სამუშაო: მასწავლებელი ყოფს კლასს სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ურიგებს წინას-წარ მომზადებულ ბარათებს, რომელზედაც ამონარიდებია შესწავლილი ნაწარმოებიდან გარკვეული დავალებით:

პარათი 1

„ცოდნაზე უკეთესი ცისქვეშეთში არაფერია. მას ვერც წაგართმევენ და ვერც მოგ-პარავენ“. რომელი ნაწარმოებიდანაა? როგორ არის დახასიათებული ცოდნა?

პარათი 2

„როცა მეცნიერი სამშვიდობის გავიდა, თქვა: თავის დროზე თურმე ყველა ხელობა კარგი ყოფილა“. რომელი ნაწარმოებიდანაა? რას იტყვი ამ ნაწარმოების მიხედვით ცოდ-ნა-სწავლაზე?

პარათი 3

„თუ რამ სასიკეთო მომხდარა, მომხდარა მხოლოდ სწავლით, შრომით და სიყვარუ-ლითო“ . რომელი ნაწარმოებიდანაა? აქ როგორ არის დახასიათებული ცოდნა?

(პირველი ამონარიდი არის ბულგარული ზღაპრიდან „ყველაზე ძვირფასი ნაყ-ოფი, მეორე — ქართული ხალხური ზღაპრიდან „მეცნიერი და მენავე“, მესამე კი — გ. ხორგუაშვილის „ნატვრისთვალიდან“).

თითოეული ჯგუფი მსჯელობს მოცემული საკითხის ირგვლივ. მასწავლებელი აჯამებს თითოეულის პასუხს ილია ჭავჭავაძის სიტყვებით: „**ცოდნა ყველაფერია, ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად ჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია**“.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ილია ჭავჭავაძე (1837-1907) დაიბადა ყვარელ-ში, გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი საქართველოს ისტორიული ტრადიციები. 1848 წ. მიაბარეს თბილისში, რაევსკის პანსიონში, სადაც 1851 წლამდე სწავლობდა. შემდეგ შევიდა გიმნაზიაში. 1857 წ. ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ოთხი წელი ისწავლა (1857-61).

ამ ოთხმა წელმა დიდი როლი ითამაშა ილიას, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, მოაზროვნის და მნერლის ჩამოყალიბებაში. მისი პროგრესული სოციალ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და ესთეტიკური მრნამსის შემუშავებაში; სწავლობდა საქართველოს ისტორიას და მნერლობას, ევროპისა და რუსეთის ლიტერატურას, ფილოსოფიას. ამ პერიოდში შექმნა ეროვნული და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე ნაწარმოებები, რომლებიც აღმავალი ეტაპი გახდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და აზ-როვნების ისტორიაში: პოემა „აჩრდილი“ (1859 წ.), პოემა „ქართვლის დედა“ (1860), პოემა „კაკო ყაჩალი“ (1860), რომლებიც მძაფრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებითა და სოციალური პრობლემებითაა გამსჭვალული. იმავე პერიოდში თარგმნა შილერის, ჰაინრიხ რიუკერტის, ბაირონის, სკოტის, პუშკინისა და ლერმონტოვის ნაწარმოებები. დაწერა პროგრესული სოციალური და ეროვნული იდეალებითა და სიახ-ლეებით აღბეჭდილი ლექსები: „გუთნისდედა“, „ქართვლის დედას“, „ჩემი თარიიარალი“ (სამივე 1858 წ.) „ნანა“ (1859), „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, „მუშა“, „იანიჩარი“ (სამივე 1860 წ.) და მრავალი სხვა. ამავე ხანებშია დაწერილი ილიას მხატვრული პროზის შესანიშნავი ნიმუშები: „გლახის ნამბობი“ (I-VI თავები), ესკიზი მოთხოვნისა „კაცია ადამიანი?!\“, მრავალი წერილი, რომლებშიც ნათლადაა ჩამოყალიბებული მნერლობისა და ხელოვნების დანიშნულება და არსი.

1863 წ. ილია აარსებს უურნალ „საქართველოს მოამბეს“, 1877 წ. „ივერიას“, რომლებიც საქართველოს ეროვნული, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითად ცენტრად იქცა.

ილია თავის პუბლიცისტურ წერილებში, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ეროვნული ბურჯის — ქართული ენის — დაცვისათვის ბრძოლას მჭიდროდ უკავშირებდა მშობლიურ ენაზე სხავლებას, სახალხო სკოლების ქსელის ზრდის მოთხოვნებს.

მთელი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობით ილია დიადი მიზნის განხორციელებას — ქართველი ხალხის ერთიანობას, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების გამოცოცხლებას და ამაღლებას, ეროვნული და სოციალური თავისუფლების დამკვიდრებას ემსახურებოდა.

შეუძლებელია ერისა და ქვეყნის ნინაშე ილია ჭავჭავაძის ყველა დამსახურების ჩამოთვლა. XIX ს-ში რომ საქართველოს ის არ მოვლენოდა, უკულმა ნარიმართებოდა ჩვენი ქვეყნის ისედაც გაუკულმართებული ბედი. ძნელი იქნებოდა ამ ეროვნული დვრიტის გაღვივება და აღმოცენება, რომლის გარეშეც ერი ერი არ არის და ქვეყანა — ქვეყანა. ალბათ ამანგააღიზუანა და გადარია ბედი ძალები, შინაური და გარეული, და 1907 წ. სიცოცხლე მოუსწრავეს ერის მამას. თავისი ერის სიყვარულისა და მსახურებისთვის არსად მნერალი არ მოუკლავთ. ეს სირცებილი საუკუნეების მანძილზე გაგვყვება!

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი (15 წუთი): მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას. წაიკითხავს სამ აბზაცს. რის შემდეგ 3-4 მოსწავლე განაგრძობს კითხვას. აიხსენება უცნობი სიტყვები და გამოთქმები (გამოიყენებენ „სიტყვის სალაროს“):

ბარ-საკვეთი — სასოფლო-სამეურნეო იარაღები

გულის ვითარება — გულის ტკივილი

ეჩო — ხის სათლელი იარაღი

ბალანი — ბეწვი, თმა

მისნობა — ჯადოქრობა

სახტად დარჩა — გაოცდა

ჭოჭმანი — ყოყმანი, მერყეობა, ორჭოფობა...

ნარიმართება გამოკრებითი კითხვა. მოსწავლეებს ევალებათ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხი ტექსტიდან ამოიკითხონ:

— რა პასუხი გასცა პეტრემ მასწავლებლის პირველ შეკითხვას? („მართალი გახლავთ... უპასუხა თამამად პეტრემ“).

— რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ გლეხაკაცს ბევრი შრომა უხდება?

(„დღე და ღამე ოფლი უნდა ვინუროთ და პური ისე უნდა ვჭამოთ“)

— რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ გლეხაკაცი მინის კმაყოფილია?

(„ის დალოცვილი მინა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნნდება, რომ მიბარებული ერთი-ორად არ დაგვიბრუნოს, ტყუილად კი არ ეძახიან მინას „დედაო“).

— რა შეკითხვები დაუსვა დაღონებულმა მასწავლებელმა პეტრეს?

(„რომ არ გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება... რა გეშველებოდა?“)

— საიდან იცოდა პეტრემ გუთნის გამოყვანა, ხვნა? ამოიკითხეთ პეტრეს პასუხი („მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მქონია, მინახავს, ყური მქონია — მსმენია, გულისყური მქონია — მივხვედრილვარ, ხსოვნა მქონია — გონებაში ჩამრჩენია“).

— რაც უნახავს, სმენია, მიხვედრია, გონებაში ჩარჩენია — ყველაფერ ამას რას ეძახდა — პეტრე? (გამოცდილებას, ჭირნახულობას, ცოდნას).

— რა შეკითხვა დაუსვა ბოლოს მნერალმა პეტრეს?

(„მე რომ გიჩვენო იმისთანა რამ... შორიდან დაგელაპარაკო, რას იტყვი?“)

— რა თქვა სახტადდარჩენილმა პეტრემ? (ბოლო აბზაცი).

გზადაგზა კლასის საერთო ძალებით, მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხ-სნება შემდეგი გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები: **ოფლი უნდა ვიწუროთ** — ბევრი უნდა ვიშრომოთ. **ხელის მიწვდომა** — შეძლება, უნარი, რისიმე გაკეთებისა, მოხერხება რისიმე ან ვისიმე დაუფლებისა; **ჭირნახული** — აქ: ვინც ჭირი, გაჭირვება ნახა, ჭირ-ვარა-მი გამოიარა. **შენი კვნესამე** — შენს მაგივრად მე ვიტანჯო, მე ვიწვალო, მე გამიჭირდ-ეს, **გულისყური** — ნიჭი, ალღო, მიხვედრილობა, **თვალთახედვა** — სივრცე, რომელსაც თვალი სწვდება — მხედველობის არე.

აქტივობა 3 — ნაკითხულის გააზრება (3 ნუთი):

გაირკვევა ვინ არის ნაწარმოების ავტორი (ილ. ჭავჭავაძე), რომელ დროს შეეხება ნაწარმოებში აღწერილი ამბავი (ძველ დროს), რა არის ნაწარმოებში მთავარი (აუცილე-ბელია, გლეხვაცმა იცოდეს წიგნი).

აქტივობა 4 — რთული სიტყვების ორთოგრაფიაზე მუშაობა (3 ნუთი):

გლეხვაცი, გულ-ღვიძლი, ბარ-საკვეთი, მამა-პაპით. გულისყური, ჭირნახულობა, დედამიწა, თვალებდაჭყეტილი, თავბრუ, თვალახილული, თავდაპირველი, ყველაფერი.

აქტივობა 5 — დიალოგზე დაკვირვება (3-4 ნუთი):

რამდენი ადამიანის საუბარია ტექსტში გადმოცემული?
(ორის — მასწავლებლისა და პეტრესი)

აქტივობა 6 — არსებითი სახელის ფორმაცვლაზე დაკვირვება (4 ნუთი):

„**შვილის** ცოდვაში ვდგებოდი... ჩემმა **შვილმა** წიგნი უნდა იცოდეს! **შვილო**, ეს დღე დაიხსომე! — უთხრა **შვილს** პეტრემ“.

- რამდენი წინადადებაა ამ ნაწყვეტში? (ოთხი)
- რომელი არსებითი სახელი მეორდება ყველა წინადადებაში?
(შვილი)
- როგორი ფორმითაა თითოეულ წინადადებაში?
(შვილის, შვილმა, შვილო, შვილს).
- ამ არსებითი სახელის რომელი ნაწილია უცვლელი? (შვილ)
- რით ბოლოვდება თითოეულ წინადადებაში იგი? (-ის, -მა, -ო, -ე)

აქტივობა 7 — ტექსტში კითხვითი წინადადებების ამოკითხვა (4 ნუთი):

ყურადღება გამახვილდება კითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებებზე („როგორ თუ, არა იყო გვარი მისი?“ „წიგნი კარგია, ვინ არ იცის?“ ... რა გეშველებოდა?“ „ამას სულ ერთიანად რას ეძახი?“ „რა ვიცი, შე დალოცვილო?“, „რამდენი შენზე უფრო მცოდნე კა-ცია ქვეყანაზე?“ „რას იტყვი?“)

აქტივობა 8 — შეჯამება და შეფასება (3 ნუთი).

აქტივობა 9 — საშინაო დავალება (2 ნუთი): ილია ჭავჭავაძის „მზიანი დღე“, დავალება №3. (აქტივობების რვეული: ტექსტიდან ამოიწერე 5 არსებითი სახელი და გაარჩიე მოცემული სქემის მიხედვით).

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტის კითხვა (5 ნუთი):

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. გამოიყენება კითხვის ყველა სახე, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება გამომეტყველებით კითხვაზე (ტექსტი დიალოგის ფორმისაა. ამასთან მრავლადაა კითხვითი და ძახილის წინადადებები...)

აქტივობა 2 — ტექსტის ანალიზი და შინარსის გადმოცემა (18 ნუთი):

მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსა:

— პეტრეს აზრით, რა არის გლეხკაცის „ნიგნი“? რას ადარებს იგი მიწას? რატომ? (გლეხკაცის „ნიგნი“ არის დედამიწა. პეტრე მიწას ადარებს დედას, რადგან დედასავით არასოდეს დაიღლება და არც გაძუნდება).

— რა არის გლეხკაცის „თავდაპირველი სატკივარი“?

(„... ჯერ კუჭი უნდა გავაძლოთ, კუჭი...“)

— რას ეძახის პეტრე თავის „გამოცდილებას, ჭირნახულობასა და ცოდნას“?

(რაც უნახავს, სმენია, მიხვედრილა და გონებაში ჩარჩენია)

— როგორ ცდილობს მასწავლებელი პეტრეს დარწმუნებას სწავლის საჭიროებაში? როგორ ასაბუთებს იგი თავის აზრს? მიაღწია თუ არა მან თავის მიზანს?

(მასწავლებელი უდასტურებს პეტრეს, რომ ქვეყანაზე პეტრეზე უფრო მცოდნე უამრავი კაცია, მათი ცოდნარომ პეტრეს ცოდნას დაემატოს, ნაკლები შრომით მეტ მოსავალს მიიღებს... ეს დღე ჩემთვის მზიანია, — ასკვნის პეტრე).

ამ კითხვებზე პასუხებით მოსწავლეები ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება (4 ნუთი):

მოსწავლეები მსჯელობენ, აუცილებელი იყო თუ არა პეტრეს ვაჟისათვის სკოლაში სიარული, ჩანს თუ არა მწერლის დამოკიდებულება ამ ამბისადმი, გამოთქვამენ და ადასტურებენ თავიანთ აზრს.

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (6 ნუთი):

— რა ანდაზებს იყენებს პეტრე საუბრისას?

(„არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. „მჯობნის მჯობნი არ დაილევა“).

— რატომ იყენებს ამ ანდაზებს?

(თავისი სიმართლე, შეხედულება კიდევ მეტად რომ დაუმტკიცოს მასწავლებელს...)

— ილიას რომელი ფრაზა ახლავს ტექსტს?

(„უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“)

აანალიზებენ ამ ფრაზას და ადასტურებენ მის კავშირს ტექსტთან.

— „წელან მე გელაპარაკებოდი ბრმა“ — ეუბნება პეტრე მასწავლებელს რატომ იყენებს ამ სიტყვას აქ მწერალი? რა იგულისხმება „სიბრმავეში“? (სიბრმავეში იგულისხმება უწიგნურობა, უცოდინარობა, გაუნათლებლობა.


აქტივობა 5 — ტექსტში ძახილის წინადაღებებზე დაკვირვება (3 ნუთი):

(„არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“, შენი ჭირიმე!

— ჩემს გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემს ცოდნას, შენი ჭირიმე!

„კარგი იქნება!“, „იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს, ეგ ხომ მისნობა იქნება!“ „აპა, მაგისთანა მისანია წიგნი!“ „ჩემმა შვილმა წიგნი უნდა იცოდეს!“ შვილო, ეს დღე დაიხსომე!“ „ეს დღე მე და შენთვის მზიანია!“).

აქტივობა 6 — ფრაზეოლოგიური მუშაობა (3 ნუთი). შეაერთე თავის მნიშვნელობასთან:



აქტივობა 7 — შეჯამება და შეფასება (4 ნუთი).

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (2 ნუთი):

„წიგნი და გლეხკაცი“, დავალება №1 აქტივობების რვეულიდან „უპასუხე კითხვებს“).

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვებზე პასუხი (5 ნუთი):

(ამით მოწმდება წინა დღით მოცემული წერითი საშინაო დავალების ხარისხიც).

— პეტრეს რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში? (შრომისმოყვარეობა, დაკვირვებულობა, მიხვედრილობა, გამოცდილება, ჭირნახულობა, მოსმენისა, გაგებისა და დაჯერების უნარი, სიჭკვიანე, თავმდაბლობა)

— მასწავლებლის რა თვისებები ჩანს?

(განათლება, გულისხმიერება, სიკეთე, სხვისი დახმარების სურვილი, განსხვავებული აზრისადმი პატივიცემა, გაგებინების უნარი, თავმდაბლობა...)

— როგორ არის აღნერილი წიგნის მნიშვნელობა?

(წიგნის საშუალებით მთელი ქვეყნის ოსტატობა და გამოცდილება სულ ხელთ გექნება).

— რას უწოდებს პეტრე მისნობას? (წიგნს)

— როგორია პეტრე ნაწარმოების დასაწყისში? დასასრულს? რამ შეცვალა იგი?
(დასაწყისში არის ბრმა — არ უნდა შვილმა ისწავლოს. დასასრულს კი თვალხილუ-
ლი. თანახმაა — მისმა შვილმა წიგნი იცოდეს. პეტრე შეცვალა მასწავლებლის შეგონე-
ბამ)

აქტივობა 2 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა (10 ნუთი): მოსწავლეები ტექსტის
შინაარსს გადმოსცემენ ჯერ ნაწილ-ნაწილ:

- 1) პეტრეს შეხედულება განათლების შესახებ
- 2) პეტრესა და მასწავლებლის საუბარი წიგნის შესახებ
- 3) სახტადდარჩენილი პეტრე —
— შემდეგ კი მთლიანად.

აქტივობა 3 — წერითი სამუშაოს შესრულება (10 ნუთი): „წიგნის მნიშვნელობა
გლეხვაცისათვის“ (დავალება №2, აქტივობების რვეული)

თითო ჯგუფიდან აირჩევა თითო ნამუშევარი და გაანალიზდება კლასის წინაშე. შე-
ფასება-შემოწმებაში აქტიურად მონაწილეობს ყველა მოსწავლე.

აქტივობა 4 — ილიას ცნობილი სტროფების გახსენება (5 ნუთი):

მასწავლებელი ამბობს ილიას ცნობილი სტროფების მხოლოდ დასაწყისს:

„სიკეთით სძლიერ შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა...“

„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე...“

„წუთისოფელი ესეა, ღამე დღეს უთენებია...“

მოსწავლეები კი ამთავრებენ:

„სულგრძლეობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა...“

„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე.“

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.“

ეს მუშაობა შეიძლება ჩატარდეს ჯგუფურადაც. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს
აძლევს ბარათს, რომელზეც მხოლოდ ლექსის დასაწყისი წერია, მოსწავლეებმა უნდა
დაამთავრონ იგი და თან გაარკვიონ, რის თქმა სურს ამ ლექსით ილიას.

აქტივობა 5 — ომონიმებზე მუშაობა (3 ნუთი):

„**ხერხი** სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“

„მთა და **ბარი** გადათეთრდა“.

ხაზგასმულ სიტყვებს მეორე მნიშვნელობაც აქვს, დაასაბუთეთ.

(„გლეხმა **ხერხი** წაიღო ტყეში შეშის გადასახერხავად“).

„ერთი ხისაგან **ბარიც** გამოვა და ნიჩაბიცო“.

ხერხი პირველ წინადადებაში მოხერხებას ნიშნავს, მეორეში სამუშაო იარაღია.

ბარი პირველ შემთხვევაში დაბლობ ადგილს აღნიშავს, მეორე შემთხვევაში — სამ-
კურნალო იარაღს.

აქტივობა 6 — სინონიმებზე მუშაობა (2 ნუთი):

შეცვალე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებით:

ჭკვიანი — გონიერი, აზრიანი, ბრძენი

გულისყური — ყურადღება, შესმენა

ჭოჭმანი — ყოყმანი, ორჭოფობა, მერყეობა, გაუბედაობა

მცოდნე — სწავლული, განათლებული

სახტად დარჩენა — გაკვირვება, გაოცება, გაცეცება, გაშტერება.

მწვრთნელი — მასწავლებელი, აღმზრდელი, მოძღვარი, დამრიგებელი

აქტივობა 7 — ნასახელარ ზმნებზე დაკვირვება (ტერმინის გარეშე) (2 ნუთი):

გამდიდრდება — მდიდარი

გაღარიბდება — ...

გაბოროტდება — ...

გაავდება — ...

გასულელდება — ...

აქტივობა 8 — არსებითი სახელების ფორმაცვლაზე დაკვირვება (3 ნუთი): სა-ვარჯიშო №4 აქტივობების რვეულში). დაასრულებენ სიტყვებს (კაცი, კაცმა, კაცს, კა-ცის, კაცით, კაცად, კაცო)

სიტყვის „კაცი“ დაბოლოება შვიდნაირად შეიცვალა: -ი, -მა, -ს, ის, -ით, -ად, -ო. უცვლელი დარჩა სიტყვის ნაწილი კაც.

აქტივობა 9 — გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (3 ნუთი).

აქტივობა 10 — საშინაო დავალება (2 ნუთი):

„წიგნი და გლეხკაცი“ (თხრობით). ამ ტექსტის მიხედვით სამი შეკითხვის მოფიქრება.

შედეგების კოდი : IV.1, IV.3, IV.4, IV.5, IV.7, IV.12, IV.10, IV.12.

გაპგეთილების მასალა

„სამი მეცნიერი და ერთი გლეხი“, არსებითი სახელის ფვლა დაბოლოების მიხედვით – ბრუნება (თანხმოვანფუძიანი, ფუძეულმშევრი სახელების მაგალითზე)

მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული თხრობა
- წაკითხულის შეფასება, დასკვნების გაკეთება და საკუთარი აზრის დასაბუთება
- თემატური ტექსტის აგება და წერა
- არსებითი სახელის ბრუნებაზე დაკვირვება, ბრუნვათა სახელწოდებების გაცნობა


აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- ყოფს ტექსტს ნაწილებად, ადგენს გეგმას
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს როგორც თხრობით, ისე — წერილობით
- ადგენს და წერს მარტივ თემატურ ტექსტს სათაურისა და საყრდენი სიტყვების გამოყენებით
- აკვირდება არსებითი სახელის ფორმაციების მიხედვით, გაიაზრებს ტერმინებს: „ბრუნება“, „ბრუნვის ნიშნები“, „ბრუნვათა სახელწოდებანი“
- მუშაობს ჯგუფურად და ინდივიდუალურად

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — შეიძლება წარიმართოს სხვადასხვანაირად: а) მას-ნავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს დავალებად აძლევს გაიაზროს, რას ნიშნავს ილია ჭავჭავაძის ფრაზა: „არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდან გამოხედვა“. მოსაფიქრებლად ეძლევათ რამდენიმე წუთი. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ვარიანტს, რომელიც განიხილება და გაანალიზდება კლასის აქტიური მონაწილეობით.

ბ) დაფაზე იხაზება გონებრივი იერიშის რუკა, რომელიც უნდა შეივსოს კლასის საერთო ძალებით:



2. ტექსტის კითხვა — ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს კითხვაში განაფული რომელიმე მოსწავლე. გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები: **ადგილმდებარეობა** — რაიმე ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა; **გაავდრდება** — ცუდი ამინდი იქნება; **შემერგება** — აქ: მარგებს...

გაირკვევა, რა მიზნით დადიოდნენ მეცნიერები სოფლებში (ამინდისა და აგილმდებარეობის შესასწავლად), რამ გააოცა ისინი (გლეხეაცის ვახშამმა — მან ძილის ნინღობიო მიირთვა და სასმელიც დააყოლა), როგორ ივახშმეს თავად მეცნიერებმა (უფრო მსუბუქად, მაგრამ გემრიელად), როგორ ახსნა გლეხმა თავისი მოქმედება („მე ვიცი, რა თანხმიმდევრობითაც უნდა მივირთვა, ჭამამდე არაყი დავლიე, ჭამის დამთავრებისას — ღვინო, შუაში ლობიო მოვაქციე; „სასმელი ბევრია არ დაულევია, ასე მიღებული საკვებიკი, გლეხეაცის აზრით, საჭმლის მონელებას უწყობს ხელს“); რატომ ურჩია გლეხმა სტუმრებს შინ დაწოლა (ის ნინასწარ გრძნობდა, რომ ამინდი შეიცვლებოდა), სად შეიძინა გლეხმა ცოდნა, ვინ იყო მისი მასწავლებელი (გლეხს ეს ცოდნა მისცა გამოცდილებამ, ცხოვრებაზე დაკვირვებამ, მას სპეციალური განათლება არ მიუღია და არც ნიგნები წაუკითხავს), რა აზრია ამ ნაწარმოებში გატარებული (ცოდნა მარტო ნიგნებიდან არ შეიძინება, ამისათვის საჭიროა ცხოვრებისეული გამოცდილებაც, დაკვირვება, სხვისი გამოცდილების გათვალისწინება...).

მოსწავლეები მარტივად ახასიათებენ მეცნიერებს, გლეხს; ასაბუთებენ საკუთარ აზრს ტექსტიდან (მეცნიერები განათლებულები არიან, მაგრამ არ ესმით ბუნების ენა, მათ მხოლოდ ნიგნიდან ამოკითხული ცოდნა აქვთ; გლეხეაცს კი განათლება არ მიუღია სკოლაში, არც ნიგნები წაუკითხავს, მაგრამ აქვს გამოცდილება, აკვირდება საგნებსა და მოვლენებს და ისე გამოაქვს დასკვნები, ესმის ბუნების „ენა“ — ეს ხალხური სიბრძნეა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა)...

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მასწავლებელი კლასს ავალებს წაიკითხონ ტესტი **ჩუმად**, დაყონ ცალკეულ მონაკვეთებად და შეადგინონ გეგმა (**დავალება №1**), ამ გეგმის მიხედვით კლასში თხრობით გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს, შინ კი წერილობით ასრულებენ **№2 დავალებას**.

4. ტექსტის აგება — დავალება №3.

II. გრამატიკულ გასაჭახო მუშაობა

არსებითი სახელის ბრუნება — დაფაზე წინასწარ არის ჩამონერილი წინადადებები:

- 1) ველზე მშვენიერი **ყვავილი** გაიფურჩქნა.
- 2) **ყვავილმა** იქაურობა დაამშვენა.
- 3) **ყვავილს** მაშინვე პეპელა ეწვია.
- 4) **ყვავილის** სურნელით გაბრუებული დიდხანს დასტრიალებდა თავს.
- 5) **ყვავილით** დამშვენებული მინდორი ბავშვებსაც იზიდავდა.
- 6) პეპელაც კი **ყვავილად** მოეჩვენათ პატარებს.
- 7) **ყვავილო**, ჩვენც მოხიბლულები ვართ შენი მშვენებით.

მოსწავლეებს ევალებათ, თანმიმდევრობით ამონერონ ამ წინადადებებიდან ის სიტყვა, რომელიც ყველგან მეორდება (ყვავილი, ყვავილმა, ყვავილს, ყვავილის, ყვავილით, ყვავილად, ყვავილო); აკვირდებიან, რამდენნაირად შეიცვალა დაბოლოება ამ სიტყვამ (7-ნაირად); შეიცვალა თუ არა ამ დროს მისი მნიშვნელობა (არა, შეიცვალა მხოლოდ დაბოლოება). ეცნობიან ბრუნების რაობას — „**არსებითი სახელის ცვალას დაბოლოების მიხედვით ბრუნება ეწოდება. თითოეულ ბრუნვას თავისი სახელწოდება აქვს: სახელობითი, მოთხოვობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი**“. ამ სახელწოდებებს თანმიმდევრულად მიუწერენ სათანადო ბრუნვის ფორმებს:

სახელობითი	ყვავილი
მოთხოვობითი	ყვავილმა
მიცემითი	ყვავილს
ნათესაობითი	ყვავილის
მოქმედებითი	ყვავილით
ვითარებითი	ყვავილად
წოდებითი	ყვავილო

(ამ ეტაპზე მოსწავლეებს ვაკვირვებთ მხოლოდ ბრუნების რაობაზე და ვაცნობთ ბრუნვათა სახელწოდებებს ბრუნვის ნიშნების გარეშე).

ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება სახელმძღვანელოს მე-19 გვერდზე მოთავსებული სავარჯიშო, ასევე „აქტივობების რვეულში“ **დავალებები: №4 და №5.**

შედეგების კოდი : IV.3, IV.4, IV.6, IV.9, IV.10, IV.12, IV.13.

გაკვეთილების მასალა

დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ (ნაწევეტი); აფორიზმი; არსებითი სახელის ბრუნება, ბრუნვათა სახელწოდებანი, ბრუნვის ნიშნები (წინა თემის გაგრძელება), არსებითი სახელის ფუძე

მიზნები

- პოეტური ტექსტის აღქმა
- ნაწარმოების ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება
- დ. გურამიშვილის შესახებ მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება
- გამომეტყველებით კითხვაზე ვარჯიში
- აფორიზმებზე დაკვირვება
- არსებითი სახელის ბრუნებაზე დაკვირვება, ბრუნვის ნიშნებისა და ფუძის გაცნობა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და გაიაზრებს ტექსტს
- ვარჯიშობს გამომეტყველებით კითხვაზე
- აკვირდება მხატვრულ სახეებს, აფორისტულ გამოთქმებს
- შესწავლილი ნაწარმოების მიხედვით წერს მარტივ თემატურ ტექსტებს
- ვარჯიშობს თანხმოვანფუძიანი, ფუძეულუმშველი სახელების ბრუნებაზე, ეცნობა ბრუნვის ნიშნებისა და ფუძის რაობას

III. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს უჩვენებს დ. გურამიშვილის პორტრეტს და მარტივად, კლასისათვის გასაგები ენით საუბრობს მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. შეიძლება კლასს გაახსენოს კინოფილმი „დავით გურამიშვილი“.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

დავით გურამიშვილი (1705-1792) დაიბადა საგურამოში. სიჭაბუკე თავის მამულში, საგურამოში გაატარა. შემდეგ მისი ცხოვრება ტრაგიკულად ნარიმართა. გურამიშვილების ოჯახი ქსნის ხეობაში სოფელ ლამისყანაში გაიხიზნა. სწორედ აქედან გაიტაცეს დავით გურამიშვილი ლეკებმა და დაატყვევეს სოფ. ოროქოლოში. იგი ტყვეობიდან გაიპარა 1729 წ. რუსეთში ჩააღწია და ქართლიდან ლტოლვილი ვახტანგ VI-ის ამაღლას შეუერთდა.

1738-60 წლებში დავითი მონაწილეობდა ოსმალეთის, შვეციისა და პრუსიის ნინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში, თავი ისახელა სიმამაცით. პრუსიის ომში ტყვედ ჩავარდა და 1759 წ. დეკემბრამდე მაგდე-

ბურგის ციხეში იჯდა. ტყვეობიდან პოეტი დაუძლურებული ჩამოვიდა. 1760 წ. თავი დაანება სამხედრო სამსახურს და მეუღლესთან ტატიანა ავალიშვილთან ერთად საბოლოოდ დამკიდრდა უკრაინაში, თავის მამულში, გარდაიცვალა მირგორობში, დასაფლავებულია ლვითისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

1787 წ. პოეტმა საკუთარი ხელით გადაწერა და ერთ წიგნში „დავითიანში“ მოუყარა თავი ყველა იმ თხზულებას, რომლებსაც მთელი სიცოცხლე ქმნიდა და პოტიომეინის კარზე მყოფ მირიან ბატონიშვილს (ერეკლეს ძეს) გამოატანა საქართველოში. ესაა სამშობლოს უბედურებით გულშეძრული პოეტის მოთქმა და გოდება. პოეტი ღრმად ჩასწვდა იმ მიზეზებს, რომლებმაც საქართველო უფსკრულის პირას მიიყვანეს.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით, შემდეგ აკითხებს მოსწავლეებს, კლასის საერთო ძალებით გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები (იხ. „სიტყვის სალარო“). ავალებს კიდევ ერთხელ წაიკითხონ ლექსი ჩუმალ და მოძებნონ, თუ დარჩა მათთვის გაუგებარი რომელიმე სიტყვა ან ფრაზა. ასეთები კი ლექსში მრავლად არის. სიტყვების დიდი ნაწილი წარმოადგენს ლექსიკურ ან გრამატიკულ არქაზმებს, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ამ ფაქტზე ყურადღება. მოსწავლეებს მათთვის გასაგები ენით აუხსნის, რომ ამგვარი ფორმების სიჭარბე ლექსში გამოწვეულია მისი სიძველით — იგი დაინერა მე-18 საუკუნეში, მაშინ ამგვარი ფორმები საყოველთაოდ მიღებულ ნორმას წარმოადგენდა. „სიტყვის სალაროში“ მითითებული ლექსიკური ერთეულების გარდა, მოსწავლეთათავის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები და გამოთქმები: **მიითვლი** — აქ: მიიჩნევ, „შვებად მიითვლი ვნებასა“ — ვნებას, გაჭირვებასაც კი ლხინად მიიჩნევ; **სიკვდიმდე** — სიკვდილამდე; „არ არის გასყოფელი“ — არ არის გასაყოფი, არ გაიყოფა; **რაზომს** — რამდენად, „რაზომსაც დაეტარების“ — რამდენადაც კი შესაძლებელია მისი ტარება; „**ხელი არ შაეკარების**“ — ხელს ვერ შეახებ; **მალვით** — უჩუმრად; **მოიხმარების** — მოიხმარება, გამოიყენება; „**ჭკვა ცოდნით მოიხმარების**“ — ჭკვის გამოყენებას ცოდნა უნდა...

ლექსის ანალიზისას ყურადღება გამახვილდება შემდეგ მომენტებზე: ა) ვის მიმართავს ამ ლექსით პოეტი (მოსწავლეებს, „სწავლის მძებნელებს“), სად, ლექსის რომელ სტრიქონში ჩანს ეს („ისმინე, სწავლის მძებნელო“), რას ურჩევს იგი ახალგაზრდებს („ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი“), რას გულისხმობს პოეტი „სიმწარეში“ (სწავლის პროცესს), „სიტკბოში“ (სწავლის შედეგს, ცოდნას), რა არის ცოდნის უპირატესობა (იგი მუდამ თან ახლავს მცოდნელს, მისი არც მოპარვა და არც ძალით წართმევა არ შეიძლება), რასთან არის შედარებული ცოდნა (უხილავ, თვალით შეუმჩნეველ საუნჯესთან, სიმდიდრესთან), რა სჭირდება ჭკვის მოხმარებას (ცოდნა), რა ელის უცოდინარ ადამიანს (მახეში თავის გაყოფა), რას გულისხმობს პოეტი ამ სიტყვებში (დამარცხებას)... რამდენად მისაღებია მათთვის პოეტის რჩევა (ამ თემაზე კლასში შეიძლება დისკუსიაც კი გაიმართოს, ოღონდ მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა სცადონ საკუთარი აზრის დასაბუთება ცხოვრებისეული ფაქტებით, ლიტერატურული მასალით, ნანახით, გაგონილით...); გაივლება პარალელი III კლასში შესწავლილ ილია ჭავჭავაძის ცნობილ გამონათქვამთან: „ცოდნა სიმდიდრეა, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება“.

მასწავლებელი კლასს ერთხელ კიდევ თავიდან ბოლომდე აკითხებს ლექსს და ყურადღებას ამახვილებს ფრაზაზე: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“, გაირკვევა მისი მნიშვნელობა (უცოდინარი ადამიანი ცხოვრებაში დაიტანჯება) და ისიც,

რომ პოეტის სათქმელი ყველაზე ნათლად ამ სტრიქონში ჩანს. ეძლევათ ტერმინი აფორიზმი — „აფორიზმი სხარტულად გამოთქმული აზრია, რომელშიც განზოგადებულია ხალხური სიბრძნე“.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის — აფორიზმი უახლოვდება ანდაზას, მაგრამ ანდაზისაგან განსხვავებით, აფორიზმს აუცილებლად აქვს რიტმული წყობა, ამავე დროს ჰყავს კონკრეტული ავტორი და აქედან ვრცელდება ხალხში.

მასწავლებელი კლასს ახსენებს წინა კლასებში შესწავლილ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს.

წერა — საწერად მოსწავლეებს ვთავაზობთ „აქტივობების რვეულში“ მოთავსებულ №1 და №2 დავალებებს. თავად მასწავლებლის გადასაწყვეტია, რომელი შეასრულებინოს მოსწავლეებს კლასში და რომელი — შინ.

III. გრამატიკულ მასალაზე მუშაობა

ამ გაკვეთილებზე გრძელდება არსებითი სახელის ბრუნებაზე დაკვირვება. მოსწავლეები ეცნობიან ბრუნვის ნიშნებს; არსებითი სახელის ფუძეს, როგორც სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის. ვარჯიშობენ ამა თუ იმ ბრუნვის ფორმიდან ბრუნვის ნიშნებისა და ფუძის გამოყოფაზე (იხ. სახელმძღვანელო, აგრეთვე — „აქტივობების რვეული“, დავალებები №3 და №4).

შედეგების კოდი: IV.3, IV.5, IV.6, IV.8, IV.10, IV.12, IV.13.

გაქვეთილების მასალა

შოთა რუსთაველი (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით), „ვეფხისტეაოსნის“
აფორიზმები, არსებითი სახელის ბრუნება

მიზნები

- შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება
- აღწერითი ტექსტის კითხვა და გააზრება
- გაბმული თხრობა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების გაცნობა და ანალიზი
- შესწავლილი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით არსებითი სახელის მორფოლოგიური გარჩევა
- ბრუნვის ნიშნების მართლწერა


აქტივობები

- მოსწავლე ეცნობა მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ
- კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- ყოფს მას ნაწილებად, ადგენს გეგმას
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- ეცნობა და აანალიზებს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს
- წერს
- ეუფლება ბრუნვის ნიშნების მართლწერას
- მუშაობს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, წყვილებში

I. ტექსტის მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს უჩვენებს შოთა რუსთაველის პორტრეტს, „ვეფხისტყაოსანს“ და ავალებს გაიხსენონ, რა იციან ამ პოეტისა და მისი პოემის შესახებ. შედგება „გონებრივი იერიშის“ რუკა: (ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს ჯგუფებშიც. მოსაფიქრებლად ეძლევათ რამდენიმე წუთი. თითოეული ჯგუფის პასუხი გაანალიზდება და შეფასდება კლასში).

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა პასუხებს, აწვდის დამატებით ინფორმაციასაც.



დამატებითი ინფორმაცია მასნავლებლისათვის: შოთა რუსთაველი (XII-XIII სს) მსოფლიოს უდიდესი პუმანისტი პოეტია. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთადერთი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც გამოხატულია ქართველი ერის უძმვენიერესი მისწრაფებანი, უმაღლესი იდეალები.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ შენახულა, მაგრამ მრავალი ხალხური და ლიტერატურული გადმოცემის, თუ სამეცნიერო ჰიპოთეზის მიხედვით მკვლევარნი ასკვნიან:

სრული უეჭველობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სახელად შოთა, თამარ მეფის თანამედროვე დიდგვაროვანი პირი, იყო ჰერეთის ან რუსთავის მფლობელი. (აქედან ზედნოდება — რუსთაველი), საქართველოს სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესი, რომელმაც ხანდაზმულობაში შეაკეთებინა იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერი და მოახატვინა სვეტები. აქ დამსახურების აღსანიშნავად მონასტრის სააღაპე წიგნში შეიტანეს მისი სახელი, ხოლო მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე დამასკელის ფრესკათა შორის მისი სურათი გამოსახუს.

ვარაუდობენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ 1189-1207 წლებშია დაწერილი. მასში ასახულია XI-XII საუკუნეთა საქართველოს სინამდვილე. XII საუკუნის ქართული სახელმწიფოს სიდიადე შთაგონებული პოეტის აზრით, სახელმწიფოებრივი წყობის უმაღლესი პრინციპი, ცენტრალური მონარქიაა.

რუსთაველის რელიგია ქრისტიანობაა. იგი XII საუკუნის ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს მკვიდრია, მისი აპოლოგეტი, თეისტი. აღიარებს ღმერთის არსებობას და სულის უკვდავებას, იცის და ეყრდნობა ბიბლიას.

„ვეფხისტყაოსანი“ დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე თარგმნილი. ზოგ ენაზე კი მაგალითად, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე — ორ-ორჯერ.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს მასნავლებელი. ვინაიდან ტექსტი არის აღნერითი, ინტონაცია და კითხვის ტემპი შეირჩამისი. პაუზები კეთდება თითოეული აბზაცის შემდეგ.

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გაანალიზდება აფორიზმები. მასწავლებელი კლასს ავალებს ტექსტი წაიკითხონ ჩუმად, დაყონ ნაწილებად და შეადგინონ გეგმა (გეგმა დაახლოებით ასეთ ხასიათს მიიღებს: ა) შოთა რუსთაველის ვინაობა, ბ) „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის, გ) შოთა რუსთაველის სიბრძნე, დ) პოემის უკვდავება). მოსწავლეები საუბრობენ თითოეული საკითხის შესახებ, ავსებენ მას დამატებითი ინფორმაციითაც.

ტექსტის ანალიზისას გაირკვევა, რას ნიშნავს „რუსთაველი“, საიდან მიიღო პოემის ავტორმა ეს სახელი; რატომ მიიჩნევენ ამ პოემას გენიალურ ნაწარმოებად; ი. გოგებაშვილი (ამ თხზულების ავტორი) რას მიიჩნევს „გენიოსთა ხვედრად“; რა სიტყვებით აფასებს

ი. გოგებაშვილი შოთა რუსთაველს (უნიჭიერესი პოეტი, ბრძენი), რაში გამოიხატება პოეტის სიბრძნე (აზროვნებით წინ უსწრებდა თავის დროს), რა აფორიზმებს იყენებს პოეტი ნაწარმოებში; როგორ არის ახსნილი ტექსტში თითოეული აფორიზმის მნიშვნელობა...

სახელმძღვანელოში მოცემულია სხვა აფორიზმებიც, მოსწავლეები კითხულობენ მათ (მათი ერთი ნაწილი მოსწავლეთათვის უკვე ნაცნობია III კლასიდან), მასწავლებლის დახმარებით აანალიზებენ და „**აქტივობების რვეულში**“ ასრულებენ №1 დავალებას.

3. შეჯამება — მიღებულ ინფორმაციას მოსწავლეები აჯამებენ წყვილებში „რა ვიცოდი შოთა რუსთაველის შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს“ („**აქტივობების რვეული**“, №2).

II. გრამატიკულ გასაღაზე მუშაობა

1. ბრუნვის ფორმებზე დაკვირვება — სახელმძღვანელო, გვ. 24.

2. ბრუნვის ნიშნების მართლწერა — „**აქტივობების რვეული**“, №3.

3. არსებითი სახელის გარჩევა შესწავლითი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით — დავალება №4.

შედეგების კოდი: IV.2, IV.6, IV.10, IV.13, IV.14.

გაპგეთილების მასალა

„ჭაში ჩავარდნილი კაცის ამბავი“ (ნაწევეტი „ვეფხისტეოსნიდან“), არქაიზმები (ტერმინის მიწოდების გარეშე), სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის (-ად) მართლწერა

მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა
- ლექსიკურ და გრამატიკულ არქაიზმებზე დაკვირვება (ტერმინის გარეშე)
- პარალელების გავლება შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან
- სხვათა სიტყვის ნაწილაკის (-ო) მართლწერა
- ვითარებითი ბრუნვის ნიშნის (-ად) მართლწერა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს როგორც თხრობით, ისე — წერილობით
- ავლებს პარალელებს შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან და აკეთებს სათანადო დასკვნებს
- აკვირდება ლექსიკურ და გრამატიკულ არქაიზმებს
- ვარჯიშობს ორთოეპიასა და ორთოგრაფიაში

I. ტექსტის მუშაობა

1. ტექსტის კითხვა — მასწავლებელი თავიდან ბოლომდე კითხულობს ნაწყვეტს, აკითხებს კითხვაში განაფულ მოსწავლესაც, შემდეგ მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს, „სიტყვის სალაროსა“ და მასწავლებლის დახმარებით ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და ფრაზებს, აშინაარსებრენ თითოეულ სტრიქონს და გადმოსცემენ ნაკითხულის შინაარსს, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

„ორი კაცი უცხო ადგილას მიდიოდა. უკანა კაცმა წინა კაცი ჭაში ჩავარდნილი დაინახა, მივიდა ახლოს, ჩასძახოდა და ტიროდა, „ვაის“ იძახდა.

ასე უთხრა: ამხანაგო, მანდ იყავი და მომიცადე, მე თოვის მოსატანად წავალ, მინდა, რომ ამოგიყვანო; ქვემოთ მყოფს გაუცინა, მეტად გაუკვირდა, დაუყვირა: რომ არ დაგიცადო, სად გაგებულ, სად წავიდე?“

ვინაიდან ტექსტი ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ რთულია, მასწავლებელი კლასს ჯერ უსვამს შინაარსზე ორიენტირებულ კითხვებს, რომელთა პასუხები წიგნში

უნდა ამოიკითხონ:

- სად მიდიოდა ორი კაცი?
- რა შეემთხვა წინამავალს?
- როგორ გადაწყვიტა უკან მიმავალმა მისი დახმარება? რის მოტანა გადაწყვიტა მან?

- რა სთხოვა მან ჭაში ჩავარდნილს?
- რა უპასუხა ჭაში ჩავარდნილმა?...

მოსწავლეები კითხვებზე პასუხებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. შეიძლება შედგეს გეგმაც:

დაისმება უფრო მაღალი დონის (ანალიზზე, სინთეზზე, შეფასებაზე ორიენტირებული) კითხვებიც:

- რატომ გაეცინა ჭაში ჩავარდნილს?
- რის თქმა სურს პოეტს ამ ტექსტით მკითხველისათვის?
- რომელი ანდაზა გაგახსენდათ ამ ტექსტის კითხვისას? („წინა კაცი უკანას ხიდიაო“).

— რამდენად შეეფერება ეს ანდაზა ამ ტექსტს? რატომ ფიქრობთ ასე?

— შევადაროთ ეს ნაწარმოები ადრე, III კლასში, შესწავლილ სულხან-საბა ორბელიანის ივავ-არაკს „საყველური ტყვეობაზე უარესია“. რა საერთო აქვს ამ ორ ტექსტს? (მსგავსება მხოლოდ გარევნულია, ორივე მათგანში ორმოში ჩავრდნილ კაცსა და მის შველაზეა საუბარი); განსხვავებული? (განსხვავებულია აზრი: პირველ მათგანში საუბარია იმაზე, რომ სიკეთე უხმაუროდ უნდა გაკეთდეს; მეორეში კი ყურადღება გამახვილებულია სიტყვაზე, რომლის თქმისას აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ, გავითვალისწინოთ სათქმელის თქმის დრო და ადგილი).

ტექსტის გააზრებისათვის სრულდება ტესტური დავლება (სწორი ჰასუხია ბ).

წერილობით სრულდება დავალება №1.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

1. **არქაიზმებზე დაკვირვება** — მოსწავლეები ტექსტში ეძებენ სიტყვებს, რომლებიც დღეს აღარ იხმარება: **შიგან, ჩაპყიოდა, იზახის, თოკთა, ქვეშეთსა, მოსახმელად, შემოჰყივლა...** ასახელებენ ძველი ფორმით გამოყენებულ არსებით სახელებს (კაცნი, თოკთა...). და ზმებს (ტირს, მნადს, გაეცინეს...).

2. **სხვათა სიტყვის „-ო“ მართლწერა** (სახელმძღვანელო, გვ. 26)

3. **ვითარებითი ბრუნვის ნიშნის (-ად) მართლწერა** („აქტივობების რვეული“, დავალება №2. ამ სავარჯიშოს შესრულებამდე სასურველია, მოსწავლეები ვავარჯიშოთ ორთოეპიაში).

შედეგების კოდი: IV.3, IV.4, IV.5, IV.6, IV.12, IV.13, IV.14.

გაპგეთილების მასალა

რევაზ ინანიშვილის „შემოდგომის დღე“, არსებითი სახელის ფუძე,
არსებითი სახელის ფუძის მონახვა

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხულის მიმართ
- გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა, შინაარსის გადმოცემა (თხრობით, წერილობით)
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ტექსტის აგება, ლიტერატურული პერსონაჟისათვის წერილის მიწერა
- არსებითი სახელის ფორმაციების დაკვირვება, სახელის ფუძის მოძებნა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- გამოხატავს თავის დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ
- ადგენს გეგმას
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს თხრობით და წერილობით
- სწერს წერილს წარმოსახვით ადრესატს (ლიტერატურულ პერსონაჟს)
- ეუფლება არსებითი სახელის ფუძის მონახვის ხერხს

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვანაირად: ა) მასწავლებელი კლასს აძლევს საყრდენ სიტყვებს: „გვიანი შემოდგომა,“ „ყვითელი ფოთლები“, „მშვენიერი სანახაობა“, „შემოდგომის ტყე“... — და ავალებს შეადგინონ ზეპირი თხზულება შემოდგომის შესახებ. ეს სამუშაო უმჯობესია შესრულდეს ჯგუფურად; ბ) მოსწავლეები იხსენებენ წინა კლასებში შესწავლილ რ. ინანიშვილის ნაწარმოებებს და საუბრობენ მათ შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

რევაზ ინანიშვილი (1926-1991 წ.წ.), 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; პირველი მოთხრობა „სახსოვარი“ გამოაქვეყნა ლიტ. ალმანახ „პირველ სხივში“ 1950 წელს, ხოლო მოთხრობების პირველი კრებული — „პირველი მოთხრობები“ — 1953 წელს; გამოსცა რამდენიმე კრებული („მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“, „წვეთები ფოთლებზე“, „ცის-ფერი გორგალი“, „საღამო ხანის ჩანაწერები“, „ბარისაკენ მიფრინავს ჯაფარა“, „ჩიტების გამომზამთრებელი“...); 1977 წელს მიენიჭა რუსთაველის პრემია; განსაკუთრებით ნაყოფიერია საბავშვო ლიტერატურის

სფეროში. არის მრავალი საყმანვილო მოთხოვის ავტორი; მისი შემოქმედების მთავარი თემაა ქართული სოფელი; მწერალს გააჩნია ადამიანის სულში ჩახედვისა და თანაგრძნობის უდიდესი უნარი; მისი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ლირიკული თხრობა, ცოცხალი სახეების შექმნის ხელოვნება; მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია საბავშვო კინოფილმი „**არდაღეგები**“.

2. ტექსტის კითხვა — მასწავლებელი თავიდან ბოლომდე კითხულობს ტექსტს გამომეტყველებით, ტექსტის დიდი ნაწილი **აღნერითია**, ამიტომ უნდა შეირჩეს სათანადო **ინტონაცია** და **ტემპი**. მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ და ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. **ჩუმი** კითხვის პროცესში კი ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ (გეგმის შედგენა). გეგმა სავარაუდოდ ასეთ სახეს მიიღებს:

შემოდგომა ხეობაში
თევზებიანი ტბორი
დასვენება ტყეში
მშვენიერი სანახაობა
ლამაზი დღის დაბნელება

მოსწავლეები გეგმის მიხედვით ჰყვებიან ნაკითხულის შინაარსს; შემდეგ კია ირჩევენ ერთ-ერთ საკითხს, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ნაწარმოებში, და წერილობით გადმოსცემენ მის შინაარსს (**დავლებები №1 და №2**).

3. ტექსტის ანალიზი — გაირკვევა, როგორ აღწერს მწერალი ნაწარმოებში შემოდგომის ტყეს, რომელ ზედსართავ სახელებს იყენებს ამ მიზნით (ჩამოცვენილი ფოთლები, **მწვანე** მდინარე, ყვითლად **აბრიალებული** ხეები, **კვირტებდაბერილი** წვრილი ტოტები...), რამ მოხიბლა იგი ტყეში, რა წამოილო მან ტყიდან და რატომ, რატომ უძლვნა მან მადლობა მიწას, როგორ გამოხატა მან თავისი მადლიერება, რა განწყობა დაეუფლა მას ამ სანახაობის ხილვის შემდეგ, რატომ შეეცვალა მას განწყობა, რომელი სიტყვებით გადმოგვცემს მწერალი თავის განწყობის შეცვლას („ნათელ, ლამაზ დღეს უცემ გადაეფარა თალხი“), რის თქმა სურს მწერალს ჩვენთვის (ადამიანი ანადგურებს ბუნების მშვენებას), თუ შეცვლიან რამეს ამ ნაწარმოებში და როგორ...

ტექსტის გააზრებას ეხმარება „**რვეულში**“ მოთავსებული ტესტური დავალება (სწორი პასუხია ა).

4. წერილის მიწერა წარმოსახვითი პერსონაჟისადმი (წყვილებში მუშაობა) დავალება №3 — წერის დაწყებამდე მოსწავლეები იხსენებენ, როგორ იწერება წერილი, რა არის აუცილებელი მისი წერისას — კონვერტზე მისამართის, ადრესატისა და ადრესანტის (გამგზავნის) — მითითება; როგორ იწყებენ წერილის წერას — ადრესატისადმი მიმართვით, რას წერენ წერილი ბოლოს — გამგზავნის სახელსა და თარიღს...

II. გრამატიკულ გასაჭახე მუშაობა

არსებითი სახელის ფუძის მონახვა— მოსწავლეები ტექსტის პირველ აბზაცში ეძებენ არსებით სახელებს (ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ფოთლები, წნორის, ფესვები, ხეები, ტოტები, ეკლები..), აჯგუფებენ მათ რიცხვის მიხედვით, გან-საზღვრავენ მათი ბრუნვის ფორმას, გამოყოფენ ბრუნვის ნიშნებს... სვამენ არსებით სახელებს — გაზაფხული, ზაფხული — მოთხოვობით ბრუნვაში: გაზაფხულ-მა, ზაფხულ-მა; აცილებენ ბრუნვის ნიშანს. ეძლევათ დასკვნა — **თუ არსებით სახელს ჩავსვამთ მოთხოვობით ბრუნვაში და ჩამოვაცილებთ ბრუნვის ნიშანს, დარჩება ფუძე.** ამ შემთხ-ვევაში არსებითი სახელების ფუძეებია: **გაზაფხულ, ზაფხულ.**

ვარჯიშობენ სხვა ბოლოთანხმოვნიანი ფუძეუკუუმშველი სახელების ფუძეების მო-ნახვაზე (სახელმძღვ. გვ. 29), ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV.3, IV.4, IV.5, IV.6, IV.7, IV.13, IV.14.

გაქვეთილების მასალა

ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (ნაწევეტი), არსებითი სახე-ლის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები — ორი გ

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- საგანთშორისი კავშირი ეკოლოგიასთან
- წაკითხულის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- გაბმულ მეტყველებაზე ვარჯიში
- სხვადასხვა პირში თხრობა
- მართლწერის ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს, ავლებს პარალელებს ბუნების-მეტყველების გაკვეთილებზე მიღებულ ინფორმაციასთან
- გამოხატავს დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ, აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- ადგენს გეგმას
- წერს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს I-სა და III პირში
- ეცნობა ვაჟა-ფშაველას შესახებ მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას
- ვარჯიშობს მართლწარმოთქმასა და მართლწერაში
- ჩამონერს საკითხებს ლიტერატურულ პერსონაჟთან წარმოსახვითი ინტერვიუსათვის
- მუშაობს ინდივიდუალურად, წყვილებში

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვანაირად: **ა)** მასწავლებლი კლასს სთავაზობს თემას: „**ადამიანი და ცოცხალი ბუნება**“. მოსწავლეები საუბრობენ ბუნების დაცვის შესახებ, ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს დამოკიდებულებაზე; **ბ)** კლასი იხსენებს წინა კლასებში შესწავლილ ვაჟა-ფშაველას ლექსებს და იმ ინფორმაციას, რაც მათ უკვე იციან ამ პოეტის შესახებ. მასწავლებელი ავსებს და აჯამებს ამ ინფორმაციას.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი, 1861-1915) დაიბადა სოფელ ჩარგალში (ახლანდელი დუშეთის რაიონი). რვა წლამდე ჩარგალში იზრდებოდა ჯერ სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ 1877-79 წლებში თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო

სასწავლებელში, 1879 წლიდან გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1882 წელს. 1883-84 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი იყო. ხელმოკლეობის გამო უნივერსიტეტი დატოვა და მასწავლებლობა დაიწყო მთის სოფლებში. 1888 წლიდან კი ჩარგალში დამკვიდრდა. აქ დაიწერა მისი გენიალური პოემები, ლექსები, მოთხრობები. დროდადრო ცხენზე გადაკიდებული ხურჯინით თბილისში ჩამოჰქონდა თავისი ნაწერები. მძიმე ცხოვრებამ და გაჭირვებამ ადრე შეარყია ვაჟას ჯანმრთელობა და 54 წლისა გარდაიცვალა თბილისში, ჰოსპიტლის პალატაში (ამჟამინდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა). სიკვდილის წინ ახლად მოთიბული ბალახი და მთის წყარო ინატრა... დაკრძალეს დიდუბის პანთეონში 1935 წელს მისი ნემტი მთაწმინდაზე გადაასვენეს.

ვაჟას შემოქმედებაში ცხოვრება და სამყარო სინათლის და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი ჭიდილის სახითაა წარმოდგენილი.

ქართველ პოეტთა შორის ვაჟა ყველაზე ღრმად ჩასწედა ბუნების საიდუმლოებას. პოეტისათვის მშვენიერება განვითარია სინამდვილის აურაცხელ კონკრეტულ ფორმაში. სიცოცხლე მთელი თავისი ნაირვერობით, მაღალი გონიერების და სიკეთის განსახიერებად წარმოუდგენია.

ვაჟამ უღრმესი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებაზე, მის თხზულებებში სამშობლო დანახულია როგორც „ქვეყნიური ღმერთი“. ეს ღმერთი მრავალსახოვანია, ძირითადად ორი სახით ვლინდება, როგორც მარადიული, ზედროული, „დიდი ივერია“ და როგორც „ჯვარცმული ფიქრი“. ვაჟასათვის ერთ უკვდავი ფეხომენია, იგი შეიძლება შემცირდეს ან დაკინდდეს, მაგრამ მის უღრმეს არსებაში ხელუხლებლად არის შენახული პირველადი დვრიტა, განახლებისა და აღდგომის დაუთრგუნველი პოტეცია.

ვაჟა-ფშაველა, როგორც მოქალაქე და პოეტი, მხნე პატრიოტი იყო, მან უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებაზე, მანვე დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში პირვენული სრულყოფის — „კაი ყმის“ კულტი, რომლის მნიშვნელობა განუზოდებოდა.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — მასწავლებელი ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს გამომეტყველებით. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ და ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რისთვისაც იყენებენ „სიტყვის სალაროს.“ ტექსტის ანალიზისას გაირკვევა, რა არის შვლის ნუკრის სადარდებელი, რა ანუხებს მას ყველაზე მეტად, რატომ საყვედურობს იგი ადამიანს; ამ ტექსტის მიხედვით, როგორია შვლის ნუკრი, მისი დედა, ადამიანი; ადამიანის რა თვისება ჩანს (მოსწავლეები ტექსტში ეძებენ სათანადო ადგილებს და იშველიებენ საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას); რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი; რა საერთო აქვს მას წინა გაკვეთილზე წაკითხულ რ. ინანიშვილის მოთხრობასთან; თუ ჩანს ნაწარმოებში მწერლის დამოკიდებულება მომხდარის მიმართ; როგორია თავად მოსწავლეების დამოკიდებულება წაკითხული ტექსტისადმი, რატომ... რით ასაბუთებენ თავის აზრს, როგორ გააგრძელებენ მოთხრობას, როგორ დასასრულს მოუძებნიან მას...

მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის გამომეტყველებით კითხვაზე, შეიძლება ჩატარდეს ერთგვარი შეჯიბრიც.

3. წერა — მოსწავლეები ადგენენ გეგმას და ამ გეგმის მიხედვით წერენ „შვლის ნუკრის ჩივილი“ (დავალება №1); წყვილებში სრულდება დავალება №2 — გაესაუბრეთ შვლის ნუკრს.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. სხვადასხვა პირში თხრობა — მოსწავლეები აკვირდებიან როგორ, რომელი გმირის საშუალებით გადმოგვცემს მწერალი თავის სათქმელს (შვლის ნუკრის საშუალებით), რატომ მიმართავს ამ ხერხს მწერალი (უფრო მეტად რომ მოახდინოს მკითხველზე ზემოქმედება, უფრო ზუსტად რომ უთხრას მკითხველს თავისი სათქმელი...); რა შეიცვლებოდა, თუ მწერალი თავად მოგვითხრობდა ამ ამბავს. მოსწავლეები წაკითხულის შინაარსს ყვებიან III პირში.

2. დაფაზე იწერება წინადადებები:

- „ირემ... ირემს ბალახი მიაწოდა“,
- „დაჭრილმა ლომ... ლრიალი დაიწყო“,
- „ქათამ... ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩერიკა“.

მოსწავლეები თავის ადგილას სვამენ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს და აკვირდებიან სიტყვებში: „ირემმა“, „ლომმა“, „ქათამმა“ — რამდენი მ იყრის თავს, რატომ (ერთი ფუძის დაბოლოებაა, მეორე — მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილი); ვარჯიშობენ ამ ორთოგრამების მართლწარმოთქმასა და მართლწერაზე; ასახელებენ არსებით სახელებს, რომელთა ფუძე მ-ზე მთავრდება (დავალება №3); წერილობით ასრულებენ №4 დავალებას.

შედეგების კოდი: IV.1, IV.2, IV.3, IV.6, IV.7, IV.8, IV.9, IV.12, IV.14

გაკვეთილის თემა: ვაჟა-ფშაველას „არწივი“, არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხი (ორი ს) — ამ მასალის დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

გაპგეთილების მასალა

სერგო კლდიაშვილის „ორბი“, არსებითი სახელის რიცხვი,
მრ. რიცხვის ფორმანტი -ებ

მიზნები

- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ფორმირება
- საგანთშორის კავშირი ეკოლოგიასთან
- ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება
- არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმანტის (-ებ) გაცნობა
- არსებითი სახელის მორფოლოგიური გარჩევა შესწავლილი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- ადგენს გეგმას, გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს როგორც I, II, III პირში
- მუშაობს წყვილებში, ჯგუფურად, ინდივიდუალურად
- აკვირდება მხატვრული ტექსტის ენას
- ეცნობა არსებითო სახელის მრ. რიცხვის -ებ სუფიქსს
- არჩევს არსებით სახელს შესწავლილი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით
- წერს

I. ტექსტის მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ამ ეტაპის დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

კლდიაშვილი სერგო დავითის ძე, 1893—1986 წლები, დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მამასთან (ცნობილ მწერალ დავით კლდიაშვილთან) ერთად მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, საქართველოში დაბრუნდა 1917 წელს. მისი პირველი პროზაული მინიატურები დაიბეჭდა 1911 წელს თბილისის გაზეთ „სინათლეში“, 1916 წლიდან „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური წევრია. მწერალი ნოველის ჟანრის ერთ-ერთი უბრნყინვალესი ოსტატია. მწერლის ყურადღების ცენტრშია ადამიანი შემოქმედი, ადამიანი პატრიოტი. მას ეკუთვნის მთელი ციკლი სვანური მოთხოვნებისა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი „ლახუნდარელის თავგადასავალი“. ავტორია ნოველებისა: „ჭინკა ბიჭები“, „ობროდი“, „გორგასალის თასი“, „სერაფიტი“,

„შემოდგომის წვიმა“, „ჯორდანო ბრუნო..“ აქტიურად მუშაობდა დრამატურგიაშიც, მისი პიესები („გმირთა თაობა“, „ირმის ხევი“, „დაბრუნება“...) წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე. თარგმნილია მრავალ ენაზე.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ პაუზებით, თითოეული პაუზის შემდეგ გამოთქვამენ ვარაუდს მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ და ასაბუთებენ საკუთარ შეხედულებას, გზადაგზა, კითხვის პროცესშივე, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ, აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებად და ადგენენ გეგმას, ასევე ტექსტს კითხულობენ გამოკრებით — მაგ. **მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში ის მონაკვეთი, სადაც აღწერილია:** ა) სვანეთის ბუნება, ბ) სვანეთის მოსახლეობა, გ) სანადიროდ მზადება, გ) მონადირეთა იმედგაცრუება, დ) ბრძოლა ფრინველებთან, ე) დაჭრილი ორბი, ვ) მასპინძლის უკმაყოფილება... გაანალიზდება საქართველოს რომელი კუთხით ტექსტში აღწერილი; როგორ აღწერს მწერალი სვანეთსა და სვანებს; როგორია ადამიანი ბუნებასთან დამოკიდებულებაში; სად, ნანარმოების რომელ ადგილას ჩანს ეს; როგორია თავად მწერლის დამოკიდებულება ბუნებისადმი (მას უყვარს ბუნება, გული სტკივა, როცა ადამიანისაგან განადგურებულს ხედავს მას, ტკბება ბუნების მშვენებით, მაგრამ ამავე დროს არც თვითონ უფრთხილდება (კოცხალ ბუნებას...), მომხდარისადმი (თავდაპირველად მწერალი ჯეროვანად ვერ აფასებს მომხდარს — „რა უნდა ექნა ჩემთვის ფრინველს, თუნდაც ისეთს, როგორიც ორბია“, შემდევ კი შეშინდება — „ბოლოს გადავისროლე მისკენ ბარტყები და კლდიდან სასწრაფოდ ჩამოვცოდი“)...

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის — ორბი, ფრინველთა გვარი ბავარდნისნაირთა რიგისა. ტანად დიდია. მისი სხეულის სიგრძე 1 მ-ს აღწევს; ფრთების შლილი — 2,5 მ-ს, მასა — 8 კგ-ს. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში გარცელებული ორბი მთამაღალას ტიპია, ბუდობს კლდეებზე, ხევებსა და ბორცვებზე, ფრენისას ვერტიკალურად აღწევს 3400 მ სიმაღლეს. ჩვეულებრივ დებს 1 კვერცხს, კრუხობს ორივე მშობელი 45-54 დღეს. იკვებება მძორით. საქართველოში მისი რაოდენობა თანდათან კლებულობს, შეტანილია „წითელ წიგნში“.

სრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია ა), ასევე — დავალებები №1 და №2.

3. ნერა — დავალება №3.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

- 1. სხვადასხვა პირში თხრობა** — მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ I, შემდეგ — III პირში.
- 2. არსებითი სახელის რიცხვი** — დავალებები №4 და №5.
- 3. რიცხვში მონაცვლე ზმნებზე დაკვირვება (პრაქტიკულად):** ბარტყები უბეში ჩავისხი — ბარტყები უბეში ჩავისვი, დათვები დავხოცეთ — დათვი მოვკალი.

შედეგების კოდი: IV.1, IV.2, IV.3, IV.4, IV.6, IV.7, IV.10, IV.12, IV.14

მომდევნო ორი თემის — სვანური ზღაპრის „სწორ-მრუდის მაკრატელი“ და მეგრული ლექსის „ბჟა დიდა რე ჩქიმი“ — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

გთავაზობთ დამატებით ინფორმაციას ქართველური ენების შესახებ:

მსოფლიოში მრავალი ენაა. მათში გამოიყოფა საერთო ნარმოშობის ენები, რომელთაც **მონათესავე** ენები ჰქვია. მონათესავე ენები მომდინარეობს ერთი ნინარე ენის, „ფუძე-ენის“, დიალექტებისაგან, რომლებიც გარკვეულ პერიოდში დაშორდნენ ერთმანეთს და დამოუკიდებელ ენებად იქცნენ. საერთო ნარმოშობის ენები ქმნიან მონათესავე ენათა ოჯახს. გამოყოფენ ასეთ ენათა რამდენიმე ოჯახს.

ქართული ენის სხვა ენებთან მიმართების გარკვევას დიდი მეცნიერული ინტერესი ახლავს. ამჟამად კარგად არის გამოკვლეული და დადგენილი, რომ **ქართულის** მონათესავე ენებია **ზანური (მეგრულ-ჭანური)** და **სვანური**. ეს სამი მონათესავე ენა ქმნის ქართველურ ენათა ჯგუფს. ეს ენები მომდინარეობს ერთი საერთო ნინარე ენის დიალექტებისაგან, რომლებიც დროთა განმავლობაში დასცილდნენ ერთმანეთს და **დამოუკიდებელ** ენებად იქცნენ (თუმცა ზოგიერთი მკვლევარ მათ დღესაც დიალექტებად თვლის), აქვთ საკუთარი ლექსიკური შედგენილობა და გრამატიკული ნყობა. ამათგან ქართული ენა **ეროვნული** ენაა, ზანური და სვანური კი **ტომობრივი** ენებია.

ქართული ენა ძველი **სამწერლობო** ენაა, ძველი მწერლობის ენებს კულტურულ ენებს უნიდებენ; მაშასადამე, ქართული კულტურულ ენათა რიცხვს განეკუთვნება. იგი ყველა ქართული ტომის **საერთო სალიტერატურო ენა** იყო ისტორიულად და არის დღესაც. ის ქართველების საერთო ეროვნული ენაა.

ქართველური ენების სხვა ენებთან ნათესაობის თაობაზე რამდენიმე თეორია არ-სებობს, მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ არ არის გამოკვლეული. ამჟამად გავრცელებული შეხედულების თანახმად (რომლის ავტორებიც არიან ი. ჯავახიშვილი და არნ. ჩი-ქობავა), ქართველური ენები ენათესავება მთის კავკასიურ ენებს და სხვა ჯგუფებთან (აფხაზურ-ადილეურ, დაღესტნურ და ქისტურ-ბაცბურ ენებთან) ერთად ქმნიან მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს, თუმცა ამ საკითხზე არსებობს მეცნიერთა რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებიც (ნ. მარი, თ. გამყრელიძე...).

გაპგეთილების მასალა

მურმან ლებანიძის „ზამთრის პირი“, არსებითი სახელის რიცხვთან
დაკავშირებული მართლწერის საკითხი (ორი ე)

მიზნები

- პოეტური ტექსტის აღქმა
- გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- მარტივი აღნერითი ტექსტების შექმნა და წერა
- ორთოეპიული და ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ლექსს
- ეცნობა ახალ ლექსიკურ ერთეულებს, იყენებს მათ მეტყველებაში
- ვარჯიშობს გამომეტყველებით კითხვაზე
- ქმნის მარტივ აღნერით ტექსტებს საყრდენი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით
- წერს
- ვარჯიშობს ორთოეპიასა და ორთოგრაფიაში
- მუშაობს ჯგუფურად, ინდივიდუალურად

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას — გაიაზრონ ფრაზა „ზამთრის პირი“ და ააგონ მარტივი ტექსტი ამ სათაურის მიხედვით. მოსაფიქრებლად ეძლევათ რამდენიმე წუთი. პასუხების პრეზენტაცია და ანალიზი ხდება კლასის აქტიური მონაწლეობით.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

მურმან ლებანიძე, 1922-2002, ცნობილი ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მონაწილეობდა // მსოფლიო ომში (1942-43 წ), 1946 წლიდან მუშაობდა უურნალ-გაზეთების რედაქციებში, იყო რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ლირიკული ლექსების პირველი კრებული გამოაქვეყნა 1950 წელს, აქტიურად მოღვაწეობდა საბავშვო მწერლობაში.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — მასწავლებელი კლასს ლექსს უკითხავს გამომეტყველებით, შემდეგ აძლევს დავალებას — წაიკითხონ ლექსი ჩუმად, მოძებნონ და ანსან გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გამოიყენონ ამ მიზნით „სიტყვის სალარო“;

მოინიშნონ ის უცნობი სიტყვებიც, რომლებიც წიგნში არ არის ახსნილი. ამ სიტყვების ახსნა ხდება კლასის საერთო ძალებით.

გაირკვევა, წელიწადის რა დროა აღნერილი ნაწარმოებში, რას უწოდებს პოეტი „ზამთრის პირს“ (შემოდგომის მიწურულს, ნოემბრის დამლევს), დაასაბუთონ ლექსის მიხედვით (რთველი დამთავრებულია, მოსავალი დაბინავებული; ბუნება გაყუჩებულა — „არცა ქვითქვითი მწყრის, არცა გუგულის გუგუ“; მთები დათოვლილია, საცაა ბარშიც მოთოვს, ნისლია, ცივა, ხალხი ბუხარს მიჰფიცხებია...); როგორ არის აღნერილი ბუნება („ჩადის დაღლილი მზე“, „კენტად შერჩენილი ფოთოლი“, „წვიმს, საცერივით ცრის“, „დაპატარავდა დღე“...); აკვირვებს მხატვრულ სახეებზე (სათანადო ტერმინის გარეშე): „ჩადის დაღლილი მზე“, „თავი წაუკრავთ მთებს თოვლისფერ ჩაბალახით“, „დაკოდა-ლაობს ყრუდ სადღაც ნაჯახი ტყეში“...

ლექსის მიხედვით აღნერენ ზამთრის პირს სოფლად, სრულდება დავალება №1. ასევე საყრდენი სიტყვების გამოყენებით აღნერენ წლის ამავე დროს ქალაქად (**დავალება №2**).

მოსწავლეები ვარჯიშობენ ლექსის გამომეტყველებით კითხვაზე. შეიძლება ჩატარდეს ერთგვარი შეჯიბრიც.

II. ენობრივ მასალაზე მუშაობა

1. ლექსიკაზე დაკვირვება — ადამიანის შრომა-საქმიანობის ამსახელი ლექსიკა ტექსტში (რთველი, სიმინდის ტეხა, ხვნა), ადამიანთა ხმიანობის ამსახველი ლექსიკა (ყიუინი, სიმღერა, ლაპარაკი), ცხოველთა და ფრინველთა ხმიანობის ამსახველი ლექსიკა (ბურვაკის ღრუტუნი, მწყრის ქვითქვითი, გუგულის გუგუ), წყლის ხმიანობა (ჩხრიალი), წისქვილის ხმიანობა (ღუღუნი)... იგონებენ ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობის ამსახველ სხვა ლექსიკურ ერთეულებსაც (ქათმის კაკანი, ინდაურის კივკივი, ბატის სისინი, ბაყაყის ყიყინი, ძროხის ზმუილი, ცხენის ჭიხვინი, ძალის ყეფა/ღრენა...).

2. ორთოგრაფიასა და ორთოეპიაზე ვარჯიში — სახელმძღვანელო, გვ. 46. „აქტივობების რვეული“, დავალებები №3 და №4.

მომდევნო თემის: ნ. კეცხოველის „ბუნების კალენდარი“, სიტყვათა განმეორება წინადადებაში და მისი თავიდან აცილება — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ნიკო კეცხოველი (1897-1983 წ), ცნობილი ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ქართული ბოტანიკური სკოლის ფუძემდებელი, მეცნ. დოქტორი, აკადემიკოსი, თსუ რექტორი 1945-52 წლებში. სამეცნიერო შრომებთან ერთად აქვს მრავალი ლიტ. ნარკვევი, ნოველა და მოთხოვბა, რომლებიც საქართველოს ბუნებასა და მის დაცვას ეხება. 1974 წ. მიენიჭა რუსთაველის პრემია.

გაპგეთილების მასალა

გურამ რჩეულიშვილის „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, ზირის ნაცვალსახელების: მე, შენ, ის — გაცნობა.

მიზნები

- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- წაკითხულის შეფასება, დასკვნების გაკეთება და საკუთარი აზრის დასაბუთება.
- ლიტერატურულ პერსონაჟთა მარტივი დახასიათება
- ლიტერატურულ პერსონაჟებთან გასაუბრება
- მოთხოვის გაგრძელებაზე მუშაობა
- ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება
- დიალოგზე დაკვირვება
- პირის ნაცვალსახელებზე: მე, შენ, ის (იგი) დაკვირვება
- პუნქტუაციასა და ინტონაციაზე ვარჯიში

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გადმოსცემს ტექსტის შინაარსს
- გამოხატავს დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ, აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს საკუთარ აზრს
- ჩამოწერს საკითხებს (კითხვებს) ლიტერატურულ პერსონაჟთან გასაუბრებისათვის, წერს მოსალოდნელ პასუხებსაც
- მარტივად ახასიათებს ლიტ. პერსონაჟებს
- ყოფს ტექსტს მონაკვეთებად და ასათაურებს
- ავლენს თავის ფანტაზიას მოთხოვის გაგრძელებისას
- ვარჯიშობს პირის ნაცვალსახელების: მე, შენ, ის (იგი) — პრაქტიკულ გამოყენებაზე.
- ეუფლება პუნქტუაციურსა და ინტონაციურ ჩვევებს

| გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (7 წუთი):

მასწავლებელი კლასს შესთავაზებს დავალებას — გაიაზრონ ფრაზა: „**შემოდგომაზე შრომასა და ფუსფუსში ღამდება**“. კლასს ყოფს ორ ჯგუფად, ერთ ჯგუფს ავალებს ეს ფრაზა დაუკავშირონ სოფელს, მეორეს კი — ქალაქს, გაამახვილონ ყურადღება ამ დროს ადამიანის შრომა-საქმიანობაზე. მოხდება შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. თითოეული ჯგუფი გვთავაზობს თავის მოსაზრებებს ამ საკითხის ირგვლივ. მოქმედებს პრინციპი: **ყველას აზრი საყურადღებოა**. მასწავლებელი არ ერევა მოსწავლეთა პასუხებში, იძლევა მხოლოდ გეზს, რომ სწორად წარიმართოს დისკუსია.

მოსწავლეები იხსენებენ მაგალითებს ცხოვრებიდან, ლიტერატურული მასალიდან, ამყარებენ თავიანთ მოსაზრებებს სათანადო არგუმენტების მოშველიებით. ამ ეტაპზე მთავარია არა მხოლოდ ჭეშმარიტების ძიება, არამედ დისკუსიის ხელოვნების თანდა-თანობით დაუფლებაც. მოსმენა, სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებელთათვის:

1. ქართველი მწერალი გურამ რჩეულიშვილი (4.VI.1934, თბილისი, 23.VIII.1960, გაგრა, დაკრძალულია თბილისში). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1957 წ.) პირველი მოთხრობები, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდათ, „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1957 წელს. სულ ოთხიოდე წელი იღვანა სამწერლო სარბიელზე. 26 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა. მოთხრობათა პირველი კრებული „სალამურა“ გამოქვეყნდა მწერლის გარდაცვალების შემდეგ (1961 წ.). მისი ძირითადი კრებულებია: „მოთხრობები, პიესა“ (1965), „მოთხრობები“ (1977), რომლებმაც საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა. მისმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ (მოთხრობები, ნოველები, მინიატურები, პიესა) მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია თანამედროვე ქართული პროზის განვითარებას.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ჩეხურ, ლიტ-ვურ, რუსულ ენებზე.

2. თვეების სახელები

დღევანდელი	ქველქართული
იანვარი	აპნისი
თებერვალი	სურწყუნისი
მარტი	მირკანი
აპრილი	იგრიკა
მაისი	ვარდობისთვე
ივნისი	თიბათვე
ივლისი	მკათათვე
აგვისტო	მარიამობისთვე
სექტემბერი	ენენისთვე
ოქტომბერი	ღვინობისთვე
ნოემბერი	გიორგობისთვე
დეკემბერი	ქრისტეშობისთვე

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (16 წუთი):

მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს ტექსტის ნაწილს (თავიდან ... „ბაბუა კოტე მოგონებებში ჩაიძირა“), შემდეგ კითხვას განაგრძობს 2-3 მოსწავლე. ამ დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ტექსტის ერთი ნაწილი დაილოგის ფორმისაა, ამასთან მრავლადაა კითხვითი და ძახილის წინადადებები (კითხვით-ძახილისაც), ამიტომ აუცილებელია, შეირჩეს სათანადო ინტონაცია და ტემპი.

განმეორებითი ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს მოსწავლეთა ძალებით დაიძებნება და მათივე მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: **მტრის თვალს არ დაენახვება** — მეტად კარგია; **ყასიდად** — მოსაჩვენებლად, განგებ; **გულიც მოეცა** — გათამამდა, გამხნევდა; **ცივად შემობრუნდა** — გულგრილად, უგულოდ, უსიამოვნოდ შემობრუნდა; ერთბაშად, უსიტყვოდ შემობრუნდა.

ტარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის მიერ დასმულ პირველ დონის კითხვების პასუხებს მოსწავლეები სახელმძღვანელოში ამოიკითხავენ.

— რა საუბარი გაიმართა ბაბუა კოტესა და თეკლეს შორის პირველად? („არ უნდა გამეყიდა ის სახლი... ეჲ! კარგი ერთი“) — მეორედ? („გუშინ ჩვენებური ჩამოსულა... აბა, ნამეტანი გამოვიკეტეთ, თქვა თეკლემ და ისევ მოეძვა“).

- როგორ იგონებდა ბაბუა კოტე თავის ბალის ქართულ, ბარაქიან შემოდგომას?
- რა ქნა ბაბუა კოტემ, როცა უზომოდ მოუნდა მიწა მოეჩიჩქნა? („გაახსენდა, რომ ქუჩაში ქვაფენილის გასწვრივ მდგარი ხეების ძირში მიწა ეყარა... ცივად შემობრუნდა, თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა).

აქტივობა 3 — წაკითხულის გააზრება (5 ნუთი):

გაირკვევა, ვინაა ნაწარმოების ავტორი (გურამ რჩეულიშვილი). რომელ დროს შეეხება ნაწარმოებში აღნერილი ამბავი (დღევანდელობას), რა არის ნაწარმოებში მთავარი (მოხუცებს ძალიან ეძნელებათ სოფლის დატოვება, ქალაქში ცხოვრება — არ შეუძლიათ უსაქმოდ და უმეზობლოდ ყოფნა). რატომ აქვს სათაურად „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, (პირველად ატარებს ბაბუა კოტე შემოდგომას ქალაქში, იგონებს სოფელში გატარებულ შემოდგომას და ძალიან შეწუხებულია).

შეასრულებენ აქტივობების რვეულში მოცემულ ტესტურ დავალებას: ბაბუა კოტეს ყველაზე მეტად აწუხებს: а) ქალაქში ცხოვრება; ბ) სიბერე და ავადმყოფობა; გ) უსაქმოდ და უმეზობლოდ ყოფნა. პასუხია: გ)

აქტივობა 4 —

ა) ენობრივ მასალაზე დაკვირვება (3 ნუთი):

— რამდენი ადამიანის საუბარია ტექსტში გადმოცემული? (ორის — ცოლ-ქმრის ბაბუა კოტესა და თეკლესი).

— როგორი განწყობა დაგეუფლათ ამ დიალოგის წაკითხვისას? (სევდიანი). რატომ? (ორივე მოქმედი პირი შეწუხებულია თავიანთი მდგომარეობით, ჩვენც გადმოგვედო მათი მწუხარება...)

ბ) ტექსტში კითხვითი და ძახილის წინადადებების ამოკითხვა: გაირკვევა ძახილის წინადადებების სახეები (4 ნუთი):

კითხვითი წინადადებები:

— კოტე, ახლა ჩვენი მანდარინები ვითომ შეყვითლებული იქნება? რას მეუბნები, არ გახსოვს? (კითხვითსიტყვიანია — რას?) შენ ჩემზე უკეთესად გახსოვს?
ძახილის წინადადებები:

— „ბაბუა, ჩემი ვედრო და ნიჩაბი ჩამოუშვი რა!“ (გამოხატავს თხოვნას). „შევც-დი, შევცდი!“ (მწუხარების გამომხატველია). „როგორ უყვარდა შემოდგომა, ბარაქიანი, ქართული შემოდგომა!“ (დანანებას გამოხატავს). „აღარ შეგვეძლო და!.. არ უნდა გამ-ეყიდა ის სახლი! (ორთავე მწუხარებას გამოხატავს).

ყურადღება გამახვილდება აგრეთვე კითხვით-ძახილის წინადადებაზე „მე მასწავლი?!“ კითხვასაც გამოხატავს და გაკვირვებასაც. ვარჯიშობენ ამ წინადადებების სა-თანადო ინტონაციით წაკითხვაზე.

გ) მრავალნერტილზე დაკვირვება

მოძებნეთ ტექსტში ის ადგილები, სადაც მრავალნერტილია ნახმარი: („დავბერდით, მეტი ვეღარ შევძელით და...“),

„აღარ შეგვეძლო და!.. მოშვებულად თქვა ბებია თეკლემ“).

— როგორ ფიქრობთ, რატომ ხმარობს მწერალი მრავალნერტილს? (ნათქვამი არაა დამთავრებული).

— დაამთავრეთ წინადადებები და მრავალნერტილის ნაცვლად ჩასვით საჭირო სიტყვები.

(ნიმუში: „დავბერდით, მეტი ველარ შევძელით და რაღა უნდა გვექნა, მომხმარე არავინ გვყავდა.

„ალარ შეგვეძლო და! მეტი რა გზა გვქონდა! ამან გადაგვაწყვეტინა ქალაქში შვილებთან და შვილიშვილებთან წამოსვლა“.).

აქტივობა 5 — შეჯამება (3 ნუთი): მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (როგორი იყო ბაბუა კოტეს შემოდგომა ქალაქში და სოფელში, რატომ იყვნენ შეწუხებული ცოლ-ქმარი, განსაკუთრებით რამ დასწყვიტა მათ გული).

აქტივობა 6 — შეფასება (3 ნუთი): გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად სიტყვიერად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასება წამახალისებელია, მა-გრამ მასში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პარამეტრები: ა) საშინაო დავალების შესრულების ხარისხი, ბ) აქტიურობა, გ) საკუთარი აზრის დასაბუთება, დ) კორექტულობა.

აქტივობა 7 — საშინაო დავალება (2 ნუთი): შემოდგომა ბაბუა კოტესი (ტექსტში მოინიშნონ ის ადგილები, სადაც ბაბუა კოტეს განცდებია მოცემული).

წერითი სამუშაო. დავალება № 2 (აქტივობების რვეული), მოთხოვთ გაგრძელება.

შედეგების კოდი: IV1, IV3, IV5, IV6, IV8, IV9

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტის კითხვა და გეგმის შედგენა (12 ნუთი):

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. ყურადღება მახვილდება გამომეტყველებით კითხვაზე (ტემპი, ტემპრი, პაუზა, მახვილი, ინტონაცია). კითხულობენ ტექსტში იმ ადგილებს, სადაც ორი ადამიანის საუბარია გადმოცემული, მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ. მოისმენენ რამდენიმე დასათაურებას და მათგან შეარჩევენ საუკეთესოს. გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს

პატარების გართობა ეზოში
ბაბუა კოტესა და თეკლეს სევდიანი საუბარი
სოფლის ბარაქიანი შემოდგომის გახსენება
მოხუცების განცდები
ბაბუა კოტეს სურვილი
ეზოში ჩასვლა
ცრემლები ბაბუა კოტეს თვალებზე
(გეგმა შეიძლება დაფაზე დაიწეროს).

აქტივობა 2 — ტექსტის ანალიზი და შინაარსის გადმოცემა (16 ნუთი):

მასწავლებელი სვამის მაღალი დონის (ანალიზზე, სინთეზზე, გამოყენებასა და შეფასებაზე ორიენტირებულ) კითხვებს:

— რას განიცდის ბაბუა კოტე?

— რატომ წუხს ის ასე ძლიერ სოფელში სახლის გაყიდვას?

— რა სიტყვებით გამოხატავს თავის წუხილს?

(განიცდის სოფლის დატოვებასა და ქალაქში მეხუთე სართულზე უსაქმოდ და უმ-ეზობლოდ გამოკეტვას. ის ხშირად იმეორებს: „არ უნდა გამეყიდა ის სახლი!“);

— ბაბუა კოტეს რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში? (შრომისმოყვარეობა, თავის სახლ-კარისადმი უზომო სიყვარული, მეუღლისადმი პატივისცემა, ხალხთან კონტაქტის სურვილი, უზომო სიკეთე, თავაზიანობა, გულჩილობა, დარდიანობა...) თითოეულ თვისებას ამტკიცებენ ტექსტის მიხედვით.

— რატომ მოადგა მოხუცს თვალებზე ცრემლი?

(პირველად ცრემლი მოადგა თვალებზე, როცა ვალერიანის სიტყვები გადასცა თეკლემ „თქვენი ლელვები მტრის თვალს არ დაენახვებათ;“ — ეს იყო სოფლის მონატრებით გამოწვეული ცრემლი.

მეორედ თვალებზე მომდგარი ცრემლი მაშინ მოინტენდა, როცა ეზოში ჩასულმა ხეს ვერ შემოუჩიჩენა მინა, რადგან „ქვაფენილსა და ხეს შორის ოთხკუთხედი დამცველი ბადე იყო ჩადგმული, ალბათ ძალლების საწინააღმდეგოდ“).

— როგორი განწყობა დაგეუფლათ ამ მოთხოვნის ნაკითხვის შემდეგ? რატომ? (სევდიანი განწყობა, რადგან თვით მოხუცები ძალიან დარღობენ. ადამიანი სადაც დაიბადება და გაიზრდება სიბერეც იქ უნდა გაატარონ. „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბალდადიც იქ არისო“).

წინასწარ შედგენილი გეგმისა და ამ კითხვების დახმარებით მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

აქტივობა 3 —

ა) ლექსიკური მარაგის გამდიდრება (6 წუთი):

— წელიწადის რომელი დროა აღნერილი ნაწარმოებში? (შემოდგომა)

— რა მინიშნებებია ამის შესახებ ტექსტში? („როგორ უყვარდა შემოდგომა, ბარაქიანი „ქართული შემოდგომა“, ახლა მის ბალში მანდარინი მწიფდება“. „ოც დღეში უკვე მოსაკრეფი გახდება“. „თურმე ჩვენი ლელვი დამწიფებულა“.).

— შემოდგომის რომელი თვეებისა ნახსენები ტექსტში? (ენკენისთვე, გიორგობისთვე).

— როგორია მათი დღევანდელი შესატყვისი? (სექტემბერი, ოქტომბერი).

— რატომ იყენებს მათ მწერალი ძველი სახელწოდებებით? (ალაპარაკებს სოფლის მოხუცებს).

— მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები ასახელებენ თვეების ქართულ ხალხურ სახელებს. (ივნისი — თიბათვე, ივლისი — მკათათვე, აგვისტო — მარიამობისთვე, სექტემბერი — ენკენისთვე, ოქტომბერი — ღვინობისთვე, ნოემბერი — გიორგობისთვე, დეკემბერი — ქრისტეშობისთვე).

ბ) ფრაზეოლოგიური მუშაობა (2 წუთი):

შეაერთეთ თავის მნიშვნელობასთან:

გულზე დარდი შემოაწვა
თვალები გაუბრნებუნდა

მეტად კარგია
უიმედოდ უსიტყვოდ (შემობრუნდა)

მტრის თვალს არ დაენახვება	დადარდიანდა
გული მოეცა	გაუხარდა
ცივად (შემობრუნდა)	გათამამდა

გ) სინონიმებზე მუშაობა (4 ნუთი):

მიუწერეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (ჯგუფური მუშაობა):
ორ ბარათზე ჩამოიწერება სიტყვები. თითო ჯგუფს მიეცემა თითო ბარათი.

ბარათი I

- ბაბუა — (პაპა)
- მოხუცი — (ხანდაზმული, ბებერი, ხნიერი)
- უყურა — (უცქირა, უმზირა)
- კოხტად მორთული — (მოკაზმული, გამოწყობილი, გამოკოპნიავებული)
- ბარაქიანი — (უხვი)

ბარათი II

- ყასიდად — (განგებ, განზრახ მოსაჩვენებლად)
- ეამბორა — (აკოცა, ხელზე ემთხვია)
- ისაუბრეს — (იბაასეს, ილაპარაკეს)
- სიუხვე — (სიმდიდრე)
- იხედებოდა — (იცქირებოდა)

აქტივობა 4 — შეჯამება და შეფასება (3 ნუთი)

აქტივობა 5 — საშინაო დავალება (2 ნუთი)

„შემოდგომა ბაბუა კოტესი“ — შინაარსი
„წერითი სამუშაო“ დავალება №1 (აქტივობების რვეული) — „ბაბუა კოტეს წუხილი“.

შედეგების კოდი: IV3, IV4, IV7, IV8.

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — გაკვეთილი იწყება წინა დღით მიცემული წერითი დავალების — „ბაბუა კოტეს წუხილი“ — შემოწმებით. მსჯელობენ, როგორ შეასრულეს დავალება, მათ მიერ შემოხაზული პასუხები (თვითშეფასება) ა) ძალიან კარგად, ბ) კარგად, გ) გამიჭირდა, — დაემთხვა თუ არა მასწავლებლის შეფასებას. მსჯელობენ, რა გაუჭირდათ უფრო მეტად (6 ნუთი).

აქტივობა 2 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა (13 ნუთი):

მოსწავლეებიტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერნანილ-ნანილ, წინაგაკვეთილზე შედგენილი გეგმის მიხედვით (თითო მოსწავლე გეგმის თითო საკითხზე საუბრობს; შემდეგ კი — შინაარსს გადმოსცემენ მესამე პირში).

აქტივობა 3 — გაესაუბრებიან ბაბუა კოტეს (წყვილებში მუშაობა), (10 ნუთი):

ჯერ ზეპირად, მერე — წერილობით (დავალება № 3, აქტივობების რვეული).

ნიმუში:

კითხვა: რატომ გადაწყვიტეთ სოფლის დატოვება?

პასუხი: მოვხუცდით და ვეღარ შევძელით მარტო ცხოვრება.

კითხვა: განსაკუთრებით რა გენატრებათ?

პასუხი: სოფელში ჩემი ეზო-გარემო, სახლ-კარი, ახლობლები...

კითხვა: დაუბრუნდებოდით თუ არა ისევ თქვენს სოფელს?

პასუხი: დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ მოხუცებულობის გამო ვერ გავბედავდი.

კითხვა: განსაკუთრებით რას ვერ ეგუებით ქალაქში?

პასუხი: მარტოობასა და უსაქმურობას.

აქტივობა 4 — გრამატიკულ მასალაზე მუშაობა (10 წუთი): პირის ნაცვალსახელები: **მე, შენ, ის (იგი).**

მასწავლებელი წერს დაფაზე წინადადებებს:

1. „მე მასწავლი? შენ ჩემზე უკეთესად გახსოვს?“ — ამბობს ბაბუა კოტე.

— თავის თავზე საუბრისას რომელ სიტყვას იყენებს ბაბუა კოტე?

— იყენებს სიტყვას **მე**.

— ცოლს, თანამესაუბრეს რომელი სიტყვით მიმართავს?

— მიმართავს სიტყვით **შენ**.

2. „საფეხურზე ხტომით მიმავალმა ბიჭმა გაუსწრო, არც ის მისალმებია ბაბუა კოტეს“

— ამ წინადადებაში სიტყვა **ის** რომელი სიტყვის ნაცვლად არის გამოყენებული?

— გამოყენებულია სიტყვის — **ბიჭი** — ნაცვლად.

გამოაქვთ დასკვნა:

როცა კაცი თავისთავზე ლაპარაკობს, **მე** სიტყვას ხმარობს; ვისაც ელაპარაკება, მიმართავს **შენ** სიტყვით, როცა სხვაზე ლაპარაკობს ამბობს — **ის (იგი)**. **მე, შენ, ის (იგი)** ნაცვალსახელებია.

ასრულებენ აქტივობების რვეულში მოცემულ მე-4 დავალებას: მოძებნე ნაცვალ-სახელები წინადადებებში (პირველ წინადადებაში ნაცვალსახელია **მე**, მეორეში — **შენ**, მესამეში — **ის**, მეოთხეში — **მე, შენ**; მეხუთეში — **შენ, მე**; მეექვსეში — **ის**, მეშვიდეში — **მე, მერვეში** — **იგი**).

მასწავლებლის დავალებით თვით მოსწავლეები ასახელებენ წინადადებებს ნაცვალ-სახელების (**მე, შენ, ის (იგი)**) გამოყენებით.

აქტივობა 5 — გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (4 წუთი):

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წუთი): „შემოდგომა ბაბუა კოტესი.“ ბაბუა კოტეს დახასიათება. წერითი დავალება №5 — ჩასვი გამოტოვებული ნაცვალსახელები (აქტივობების რვეული).

(პირველ წინადადებაში უნდა ჩაისვეს ნაცვალსახელი **მე**, მეორეში — **ის**, მესამეში — **მე, მეოთხეში** — **შენ**, მეხუთეში — **ის-იგი**).

შედეგების კოდი: IV4, IV7, IV9, IV11, IV14.

გაკვეთილების მასალა

კარლო არსენიშვილის „ნასოფლარი“ (შემოკლებით);
ზირის ნაცვალსახელების: ჩვენ, თქვენ, ისინი — გაცნობა

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება
- შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის პარალელების გავლება
- მოქმედ პირთა შედარებითი დახასიათება
- ლიტერატურული პერსონაჟისათვის წერილის მიწერა
- მოსწავლეთა ფანტაზიის განვითარება
- მოსწავლეებში ჰუმანიზმისა და სიკეთის გრძნობის გაღვივება
- პირთა ნაცვალსახელებზე ჩვენ, თქვენ, ისინი დაკვირვება.

აქტივობები

- მოსწავლე გადმოსცემს ტექსტის შინაარსს თხრობით და წერილობით
- ავლებს პარალელს შესწავლილ ნაწარმოებებს შორის
- ადარებს ერთმანეთს მოქმედ პირებს, პოულობს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას
- ავლენს თავის ფანტაზიას მოთხრობის გაგრძელებისას, ცალკეულ მოქმედ პირთა შეფასებისას, დასკვნების გამოტანისას...
- აგებს ლიტერატურული პერსონაჟისათვის მისაწერი წერილის ტექსტს
- ავლენს თავის დამოკიდებულებას ტექსტში გადმოცემული ამბისადმი
- ვარჯიშობს პირის ნაცვალსახელების ჩვენ, თქვენ, ისინი — პრაქტიკულად გამოყენებაზე.

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (6 ნუთი). აქ ვთავაზობთ მასწავლებელს 2 ვარიანტს. ვარიანტი I:

გავიხსენოთ, რომელი შესწავლილი ქართული ხალხური ზღაპარი მთავრდება ასე: „შვილები დარცხვენილი იდგნენ მამის წინაშე და ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდნენ?“ („მიწას პატრონი უნდა“). გაიმართება მსჯელობა: რატომ იდგნენ შვილები დარცხვენილი მამის წინაშე? (შვილებმა არ დაუჯერეს მამას: აიხირეს, მიწის ჩიჩქნას გვირჩევნია, სხვაგან წავიდეთ და ქონება ვიშოვოთო. დაჰკრეს ფეხი და წავიდნენ). რა ბედი ენია შვილებს? (რამდენიმე ხნის შემდეგ გამათხოვრებულნი დაბრუნდნენ შინ).

— რა შეხედულების იყო მოხუცი მიწაზე? (— მიწაზე დიდი ქონება არ არისო, მიწა პირველი მარჩენალი და მასა ზრდოუბელია. თუ ხელს გაანძრევ, არ გიღალატებს. მიწა დიდი სიმდიდრეა, მას გაფრთხილება, პატრონი უნდა).

— საიდან ჩანს მოხუცის მიერ მიწის უდიდესი სიყვარული? (მამას გული უკვდებოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ასე ნალოლიავებ მიწას პატრონი არ ეყოლებოდა და სხვის ხელში ჩავარდებოდა. მოხუცმა გაჭირვების გამო თავის ქონება ჩალის ფასად გაყიდა, ბოლოს ჯერი მიწაზე მიდგა, მაგრამ მოხუცი მიწის გაყიდვაზე ვერაფრით ვერ დაითანხმეს).

— ვინ ეხმარებოდა მოხუცს მიწის მოვლაში? (მეზობლები: მიწა მოხნეს, ვენახიგასხლეს და შემოდგომაზე ჭირნახული დაახვავეს).

— ყველაფერი რომ გაეყიდა მოხუცს, სახლ-კარის ნაცვლად, რა დახვდებოდა შვილებს? (ნასახლარი).

— როგორ გააგრძელებთ ამ ზღაპარს? (— უკან დაბრუნებული შვილები ამოუდგებოდნენ მხარში მამას და ააყვავებდნენ თავის ეზოგარემოს...)

ამის შემდეგ დაიწყება ახალი მასალის — „ნასოფლარი“ — კითხვა.

ვარიანტი II:

— წარმოიდგინეთ, რომ ბაბუა კოტე თავის მეუღლესთან ერთად სოფელში დარჩა. როგორი იქნებოდა იქ მათი ცხოვრება? (ამ სამუშაოს უმჯობესია მიეცეს **ჯგუფური** სახე. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს პასუხის საკუთარ ვარიანტს, რომლის შეფასება და ანალიზი ხდება კოლექტიურად).

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (14 ნუთი). მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით. I პაუზა — „მთელი სოფელი აიყარა“, II პაუზა — „სახლის წინ მდგარ ხეებსაც პატრონის ხელი ეტყობოდა“, III პაუზა — „მხოლოდ ჩიტი მოფრინდა ერთხელ“, IV პაუზა — ისინი თავის ენაზე ესაუბრებოდნენ მოხუცს, V პაუზა — „ბერიკაციკურდლებს ეფერებოდა და თან თავის მოყვანილ კომბოსტოს ფოთლებს უყრიდა“, VI პაუზა — „უთხრა გამომშვიდობებისას მადლიერმა მოხუცმა სტუმარს“, VII პაუზა — „როდის სციოდა ბაჯ-ბაჯას და როდის სცხელოდა, სულ იცოდა“. თითოეული პაუზის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება სიუჟეტის შემდგომი განვითარების შესახებ (ტექსტი უნდა განავრძონ საკუთარი ინტერპრეტაციით), მხოლოდ ამის შემდეგ აცნობს მასწავლებელი კლასს ავტორისეულ ვარიანტს, მსჯელობენ, დაემთხვა თუ არა მათი ვარაუდი ტექსტს. ამას მოსდევს მოთხრობის ნაწილ-ნაწილ კითხვა და ახალი სიტყვა-გამოთქმების ახსნა: **ლიჭა** — ეკლიანი ბალახი; **უსიერი ტყე** — გაუვალი, ულრანი ტყე; **იმასლაათეს** — ისაუბრეს, ილაპარაკეს; **მასლაათი** — საუბარი, ლაპარაკი; **ჩულები** — აქ, ძონძები; **უკაცრიელი ადგილი** — დაუსახლებელი ადგილი; **ასულდგმულებს** — აძლებინებს; **ფეხი ვერ მოაცვლევინეს** — ვერ დაძრეს ადგილიდან, ვერ წაიყვანეს. პატრონის ხელი ეტყობოდა — კარგი მოვლილი იყო; **გზისკენ თვალი აწყდებოდა** — სულ გზისკენ იყურებოდა.

ფაქტებზე ორიენტირებული კითხვების მიხედვით ჩატარდება გამოკრებითი კითხვები (პასუხებს ტექსტიდან ამოიკითხავენ):

- რატომ აიყარა სოფელი?
- რატომ არ ეთმობოდა ნასოფლარი ბერიკაცს?
- როგორი საუბარი გაიმართა ჩიტსა და ბერიკაცს შორის?
- როგორ დააიმედა კურდლელმა ბერიკაცი?
- რა სიკეთე გაუხსენა ქორბუდამ ბერიკაცს?
- ამოიკითხეთ ის ადგილი, სადაც აღწერილია დათუნიას სტუმრობა.
- რას ამბობდნენ მგზავრები სიბრალულით ნასოფლარზე?

აქტივობა 3 — გეგმაზე მუშაობა (8 ნუთი):

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ცალკეულ, აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებად და თითოეულ მათგანს ასათაურებენ:

- სიცოცხლე სოფელში
- სოფლის გადაქცევა ნასოფლარად
- ბერიკაცი ნასოფლარში
- ჩიტების სტუმრობა
- კურდღლების სტუმრობა
- ქორბუდას სტუმრობა
- დათუნიას სტუმრობა
- მგზავრების სიბრალული...

აქტივობა 4 — ტექსტის ანალიზი და გააზრება (7 ნუთი):

შინაარსისა და ფაქტობრივი მასალის გააზრების შემდეგ დაისმის **ანალიზზე, სინთეზზე, გამოყენებასა და შეფასებაზე** ორიენტირებული კითხვები:

— რატომ აიყარა ხალხი სოფლიდან? (ერთს მობეზრდა სოფლის შრომა და მოისურვა ნასვლა, სხვებმაც მას მიბაძეს).

— როგორ გადაიქცა სოფელი ნასოფლარად? სახლები — ნასახლარად? (ადარ ისმოდა ბავშვების ურიამული, ძროხების ბლავილი, მამლების ყივილი. ნასახლარს ბალახმა გადაუარა).

— რა აძლებინებდა მოხუცს ნასოფლარში? (ცივი წყალი, სუფთა ჰაერი, მოუღლელი შრომა, ფრინველები და ცხოველები...).

— რისი იმედი ჰქონდა მოხუცს? (ქალაქიდან როდისმე ვინმე ჩავიდოდა).

— რატომ ვერ ტოვებდა იგი ნასოფლარს? (ქალაქში ეშინოდა უსაქმოდ ყოფნისა).

— თქვენი აზრით, რისი თქმა სურს ავტორს მკითხველისთვის? (არ უნდა შეელიო ადვილად შენს კერიას, სადაც დაბადებულხარ, გაზრდილხარ... სულ სიკეთე უნდა აკეთო და სამაგიერო გადაგეხდება...).

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

ა) რთული სიტყვების ორთოგრაფიაზე ვარჯიში (ჯგუფებში მუშაობა) (3 ნუთი):

ბარათებზე ჩამონიერილია ტექსტში მოცემული რთული სიტყვები, ზოგი შეცდომითაა დაწერილი, რომლებიც უნდა გადახაზონ:

ბარათი I

გადახაზეთ შეცდომით დაწერილი

შარა-გზა

შვილიშვილი

არემარე

ბერი-კაცი

მიხვეულმოხვეული

კრამიტ-გადახურული

ბარათი II

გადახაზეთ შეცდომით დაწერილი

რკინი-გზა
პაპაჩემი
ბიძა-შვილი
ხანდახან
გოგობიჭები
ყველაფერი
(გადაიხაზება: შარა-გზა, ბერი-კაცი, მიხვეულმოხვეული, რკინი-გზა, კრამიტ-გადა-ხურული, ბიძა-შვილი, გოგო-ბიჭები)
მოსწავლეები გაეცნობიან აქტივობების რვეულში მოცემულ ტესტს და შემოხაზავენ პასუხს:

ბერიკაცი არ წავიდა ქალაქში იმიტომ, რომ
ა) არ ენატრებოდა თავის შვილები,
ბ) არ მოსწონდა ქალაქში ცხოვრება,
გ) ძალიან უყვარდა თავისი სოფელი.
სწორი პასუხია გ).

ბ) სიტყვათა წარმოქმნა (2 ნუთი):

განაგრძეთ: **ნასოფლარი** — სოფელი
ნასახლარი — (სახლი)
ნაქალაქარი — (ქალაქი)
ნასაყდრალი — (საყდარი)

აქტივობა 6 — შეჯამება და შეფასება (3 ნუთი).

აქტივობა 7 — საშინაო დავალება (2 ნუთი): „ნასოფლარი“

წერითი დავალება № 2 (აქტივობების რვეული) — გეგმის მიხედვით
ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა.

შედეგების კოდი: IV3, IV5, IV6, IV7.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — საშინაო დავალების შემოწმება:

ა) გაკვეთილს ვიწყებთ წინა გაკვეთილზე მიცემული წერითი დავალების — გეგ-მის მიხედვით ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა-შემოწმებით (4 ნუთი):

დაწერილს კითხულობს რამდენიმე მოსწავლე. მსჯელობენ როგორ შეასრულეს დავალება. მათ მიერ შემოხაზული პასუხები (შეფასებები): ა) ძალიან კარგად; ბ) კარგად; გ) გამიჭირდა — დაემთხვა თუ არა მასწავლებლის შეფასებას. მსჯელობენ რა უფრო მეტად გაუჭირდათ შინაარსის დაწერისას.

ბ) ტექსტის შინაარსის ვრცლად გადმოცემა (10 ნუთი):

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ ნაწილ-ნაწილ, გეგმის მიხედვით, შემდეგ კი მთლიანად, შინაარსს გადმოსცემენ მესამე პირში.

მსჯელობენ, რატომ ჰქვია ამ ნაწარმოებს „ნასოფლარი“, სწორად შეურჩია თუ არა ავტორმა ტექსტს სათაური. ურჩევენ სხვა სათაურსაც („მოლოდინი“, „იმედი“, „უკაცრი-ელი ადგილი“, „სიკეთე“...)

აქტივობა 2 — პარალელის გავლება შესწავლილ ნაწარმოებებთან (4 ნუთი): „ნასოფლარს“ ადარებენ ზღაპარს „მიწას პატრონი უნდა“ და მოთხრობას „შემოდგომა ბაბუა კოტესი“. ადგენენ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას.

„ნასოფლარში“ ბერიკაცი მარტოდმარტო რჩება მთელ სოფელში, ზღაპარში „მი-ნას პატრონი უნდა“ მოხუცი მარტოდმარტო რჩება სახლში. ორივენი ძალიან მარჯვენი არიან, ორთავეს უყვარს თავის სოფელი, სახლ-კარი, პირველს ყურადღებას აქცივენ მხოლოდ ფრინველები და ცხოველები, მეორეს კი — მეზობლები, პირველი გასცერის გზას შვილების მოლოდინში, მეორეს კი შვილები დაუბრუნდა.

ბაბუა კოტე და ბერიკაცი: ორივენი კეთილები, მშრომელები, თავისი სოფლისა და თავისი კერის მოყვარულნი, ამასთან, დარდიანები არიან. ბაბუა კოტე შეაშინა სიბერემ და თავისი ნებით წავიდა ქალაქში, ენატრება თავისი სახლ-კარი (რომელიც გაყიდა), სოფელი, ახლობლები, ეზო-გარემო (ვერ ეგუება უსაქმოდ ყოფნას).

ბერიკაცი კი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სოფელი აიყარა, ნასოფლარში მარტოდმარტომ გაბედა დარჩენა, შრომობს, მხოლოდ ფრინველები და ცხოველები ეხმაურებიან, მას ქალაქისაკენ აწყდება თვალები, იმედი აქვს, „რომ როდესმე ვინმე ჩამოვა ქალაქიდან“.

აქტივობა 3 — მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა (3 ნუთი) (ჯგუფური მუშაობა):

ისეთი მიმართულება მივცეთ, რომ ბერიკაცი გახარებული დარჩეს: „ხშირად ჩამოდიან შვილები და შვილიშვილები მოხუცის სანახავად, უგზავნიან წერილებს მეზობლები, ბევრი სოფლელი უკან დაბრუნდა საცხოვრებლად...“

აქტივობა 4 — მარტოდ დარჩენილი ბერიკაცისათვის წერილის მიწერაზე მუშაობა (წყვილები) (8 ნუთი):

ასრულებენ მე-3 დავალებას (აქტივობების რვეული).

აქტივობა 5 — ანდაზებზე მუშაობა (3 ნუთი):

— რომელი ანდაზაა მოცემული ტექსტში? („თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამა“).

— თქვენი აზრით, შეესაბამება თუ არა იგი ამ ნაწარმოებს? (შეესაბამება: ერთი გადასახლდა სოფლიდან, მას მიბაძა მთელმა სოფელმა...)

— თქვენ რომელი ანდაზები გავახსენათ ამ ნაწარმოებმა?

„კარგი ქენი, ქვას დადევი, გაივლი და ნინ დაგხვდება“;

„სიკეთის თესლი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“;

„ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბალდადი ის არისო...“.

აქტივობა 6 — გრამატიკულ მასალაზე მუშაობა — პირის ნაცვალსახელები: ჩვენ, თქვენ, ისინი (7 ნუთი):

მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები „ნასოფლარში“ მოძებნიან მათთვის ცნობილ ნაცვალსახელებს: **მე, შენ, ის (იგი).**

(ტექსტში შვიდჯერაა ნახმარი ეს ნაცვალსახელები).

მასწავლებელი მოსწავლეებს აკვირვებს წინადადებებზე.

„ჩვენ, კურდლებს, სიკეთე არ გვავინყდება“ — თქვა კურდლელმა.

„თქვენ, მეგობრები, მაძლებინებთ ამ უსიერ ტყეში“ — უთხრა მადლიერმა ბერიკაცმა სტუმარს.

„ისინი (ჩიტები) თავის ენაზე ესაუბრებიან მოხუცს“.

ადგენენ: ვის გულისხმობს კურდლელი სიტყვაში „ჩვენ“? (კურდლებს).

ვის გულისხმობს ბერიკაცი სიტყვაში „თქვენ?“ (მეგობრებს).

ვის გულისხმობს ავტორი სიტყვაში „ისინი?“ (ჩიტები).

გამოაქვთ დასკვნა: ჩვენ, თქვენ, ისინი ასევე ნაცვალსახელებია. როცა კაცი თავის თავზე ლაპარაკობს და თავის თავთან ერთად სხვებსაც გულისხმობს, ამბობს ჩვენ; როცა ერთზე მეტს ელაპარაკება, ამბობს თქვენ; როცა სხვებზე ლაპარაკობს, ამბობს ისინი.

მოსწავლეები ასახელებენ წინადადებებს ნაცვალსახელების ჩვენ, თქვენ, ისინი გამოყენებით.

აქტივობა 7 — გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (2 ნუთი)

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (2 ნუთი): „ნასოფლარი“ თხრობით.

წერითი სამუშაო: „აქტივობების რვეულიდან“ დავალება № 4: ჩასვით წინადადებებში საჭირო ნაცვალსახელები.

(პირველ წინადადებაში უნდა ჩაისვას ჩვენ; მეორეში — თქვენ, ჩვენ, თქვენ; მესამეში — ჩვენ, ისინი; მეოთხეში — ისინი; მეხუთეში — ისინი).

შედეგების კოდი: IV1, IV2, IV4, IV8, IV9, IV12, IV14.

გაკვეთილების მასალა

გურამ დოჩანაშვილის „ხმაურიანი ქალაქი”,
ზირის ნაცვალსახელები (თემის გაგრძელება)

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- გაბმული თხრობა
- მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციების მიწოდება: а) ძველ თბილისზე,
ბ) ნიკო ფიროსმანზე
- პირის ნაცვალსახელების გაცნობა
- პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირებული მარტივი სტილური ჩვევების
ფორმირება — სიტყვათგანმეორებისათვის თავის არიდება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- ყოფს ცალკეულ ნაწილებად, ადგენს გეგმას
- გადმოსცემს მის შინაარსს
- აჯამებს მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას ნიკო ფიროსმანის შესახებ
- ეცნობა ძველი თბილისის ყოფისათვის დამახასიათებელ ლექსიკას
- აკვირდება პირის ნაცვალსახელების ფუნქციას და იყენებს მათ მეტყველებაში
სწორი ფორმით
- წერს
- მუშაობს ჯგუფურად, წყვილებში, ინდივიდუალურად

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს ახსენებს II კლასში მიღებულ ინფორმაციას ნიკო ფიროსმანის შესახებ. ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს ჯგუფურად. ამავე ეტაპზე ათვალიერებენ მოსწავლეების სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიკო ფიროსმანის სურათების რეპროდუქციებს; მსჯელობენ, ძირითადად რა არის მათზე ასახული...

დამატებითი ინფორმაციები მასწავლებლისათვის:

ა) ფიროსმანაშვილი ნიკოლოზ ასლანის ძე, დაიბადა სოფ. მირზაანში (დედოფლისწყაროს რაიონი) 1862 წელს, გარდაიცვალა თბილისში 1918 წელს. მშობლების გარდაცვალების შემდეგ იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1880-იან წლებში გახსნა აბრების სახელოსნო და ღებულობდა შეკვეთებს აბრების დამზადებაზე, მუშაობდა რკინიგზაზე კონდუქტორად, ვაჭრობაშიც სცადა ძედი... ძირითადად თბილისელ ვაჭრებთან აფარებდა თავს, მათი შეკვეთით

ხატავდა აბრებს, პორტრეტებს. მთელი ცხოვრება თავი ვერ დააღწია გაჭირვებას. გარდაიცვალა მარტობაში და მისი საფლავიც კი უცნობი დარჩა. მისი შემოქმედებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს სიკვდილის შემდეგ. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ძმებ ზდანევიჩებს — მხატვარ კირილსა და პოეტ ილიას; მხატვრებს: დიმიტრი შევარდნაძეს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, პოეტ გიორგი ლეონიძეს. განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი მისი შემოქმედებისადმი მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოიცა უამრავი წიგნი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, რეჟისორმა გ. შენგელაიამ გადაიღო მის შესახებ ბიოგრაფიული ფილმი. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაიდგა სპექტაკლი „მარტობის დღესასწაული“, მოენყო მისი სურათების გამოფენა როგორც თბილისში, ისე — მსოფლიოს დიდ ქალაქებში. თბილისში დადგეს მისი ძეგლი, სოფ. მირზაანში გაიხსნა მისი სახლმუზეუმი. მხატვრის შემოქმედების დიდი ნაწილი ინახება საქართვლოს ხელოვნების მუზეუმში, აგრეთვე — საზღვარგარეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. ფიროსმანის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ქეიფის სცენებს, თემატურად ამ სცენებს ენათესავება ნატურმორტები და აბრები, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი თბილისის პეიზაჟებს. მკვეთრი სოციალური დახასიათებით გამოირჩევა ფიროსმანის ხელოსნების, მედუქნების, კინგოების, მუშების... პორტრეტები. იგი ძირითადად მუშამბაზე ხატავდა. ნახატებში ყველგან იგრძნობა, რომ მას სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. მისი სურათების უპირველეს ძალას ნარმოადგენს მათი შინაგანი სიმართლე, უშუალობა, დიდი ექსპრესიულობა, ხასიათის მკაფიო გამოხატვა...

3) ტექსტის ავტორი გურამ დოჩანაშვილი — დაიბადა თბილისში 1939 წელს, 1962 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი, პირველი მოთხრობები: „პირველი კონცერტი“ და „თანამგ ზავრი“ გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ 1961 წელს. ავტორია მოთხრობების კრებულებისა: „ნაბიჯი“, „საქმე“, „მხიარული ბორცვი“, „სამოსელი პირველი“... ნინამდებარე ნაწყვეტი ამოღებულია მოთხრობიდან „მთვარიანი ლამე — ფიქრები ფიროსმანზე“.

2. ტექსტის კითხვა — ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ, ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში აიხსნება სიტყვები და გამოთქმები (იხ. „სიტყვის სალარო“), ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზე, რომ ახლადგაცნობილი ლექსიკური ერთეულების დიდი ნაწილი ძველი თბილისის ყოფის ამსახველია (**ფაეტონი, კინტო, არლანი, ერდო...**), მათი ერთი ნაწილი დღეს აღარ გამოიყენება და გაქრა ძველი თბილისის ყოფასთან ერთად.

ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ, კითხულობენ გამოკრებით:

- ა) ძველი თბილისის ქუჩები, გ) გართობა ძველ თბილისში, გ) ძველი თბილისელები, დ) მხატვარი ნიკალა, ე) თბილისელები და მხატვარი, ვ) მშობლიური სოფლის მონატრება.

3. ტექსტის გააზრება — მოსწავლეები მსჯელობენ, თუ როგორ არის აღნერილი ტექსტში ძველი თბილისი, ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი რა ნიშნები ჩანს მასში (მრავალი ეროვნებისა და ადათ-ნესის ადამიანი ცხოვრობს, ქუჩაში კინტო უკრავს არლანზე, ვინრო ქუჩებში ფაეტონი დარახრახებს, დგას ერდოიანი სახლები, ერდოზე ნოხები და მუთაქებია...), როგორები არიან მწერლის თვალით დანახული ძველი თბილისელები (ერთი აზრი არა აქვთ არაფერზე; უყვართ გართობა: აჩხუბებები ყოჩებს, აძიგილავებებს მამლებს, სახლების ერდოებზე საღამოობით ქალები უკრავენ და ცეკვავენ, ხშირად ქეიფობებს; ქალაქელები ეხმარებიან ერთმანეთს...), როგორ არის აღნერილი ნიკალა (შავებში ჩაცმული, შავი წვერ-ულვაშით, უყვარს შავ მუშამბაზე ხატვა, მისი დახატული ადამიანები მუდამ მოწყენილნი არიან...), რაზე მიგვანიშნებს ამით მნ-

ერალი (ნიკალა სევდიანია, ამიტომაც უყვარს შავი ფერი და ამიტომაც ხატავს მოწყენილ ადამიანებს; უყვარს ქალაქელებთან ყოფნა, მაგრამ მუდამ თავისი სოფელი ენატრება); როგორია ქალაქელების დამოკიდებულება ნიკალასადმი (ქალაქელებს ძალიან უყვართ ნიკალა — ხშირად იწვევენ სუფრაზე, პატივს სცემენ, მნერალი მას „ქალაქის შვილობილს“ უწოდებს)... სრულდება დავალებები: № 1 და №2.

მოსწავლეები წყვილებში ასრულებენ №3 დავალებას (**რა ვიცოდი ფიროსმანის შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს**).

ვარჯიშობენ ტექსტის შინაარსის გადმოცემაზე.

I. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება — რომელი წინადადებები მეორდება ტექსტში („მხატვარს ქალაქში სიარული უყვარდა“... „ეს, ქალაქელებს რას გაუგებდი!...“), რატომ იმეორებს ამ წინადადებებს მნერალი (რომ უფრო საინტერესო გახადოს თხრობა; გვიჩვენოს, რომ მხატვარს უყვარს და იზიდავს ქალაქი, მაგრამ ბოლომდე არ ესმის ქალაქელების...), რა სიტყვებია გამოყენებული ძველი თბილისის აღნერისათვის...

2. რთული სიტყვების მართლწერაზე დაკვირვება — **სტუმართმოყვარე, წყალწალებული, ქუდჩამოფხატული, თეთრწვერიანი...** — როგორ იწერება ეს სიტყვები (ერთად), რატომ (მათ შორის და კავშირის ჩასმა არ შეიძლება). ამ სიტყვების გამოყენებით შედგება და დაფაზე დაიწერება წინადადებები.

3. პირის ნაცვალსახელებზე დაკვირვება — სრულდება სახელმძღვანელოს 43-ე გვ.-ზე მოთავსებული დავალება და ეძლევა განსაზღვრა, რომ **მე, ჩვენ** I პირის ნაცვალსახელებია; **შენ, თქვენ** — II პირის; **ის (იგი), ისინი** — III პირის. სრულდება დავალებები №4 და №5.

შედეგების კოდი: IV3, IV4, IV5, IV6, IV7, IV8, IV11, IV13.

მომდევნო მასალის — ლადო ასათიანის ლექსის „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“ — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ. ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინ-ფორმაციას ლადო ასათიანის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის — ასათიანი ლადო, დაიპადა 1917 წელს ქუთაისში, გარდაიცვალა 1943 წელს თბილისში. 1938 წ დაამთავრა ქუთაისის პედ. ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, პირველი ლექსი „თებერვლის დილა“ გამოაქვეყნა ქუთაისში გაზეთ „სტალინელში“. მის ადრეულ ლექსებშივე (“ლხინი კახელებთან”, „ფშაური ბალადა“) გამოვლინდა მისი პოეზიის თავისებურებანი, რაც დაკავშირებული იყო ქართული ხალხური პოეზიისა და XIX საუკუნის ქართული კლასიკური ლირიკის ტრადიციებთან. მისი პოეზიის არსებითი ნიშანია მაჟორული ხმოვანება და ეროვნულ-პატრიოტული განწყობა. საქართველოს ისტორიის მძაფრი პერიპეტიები მის შემოქმედებში ორგანულად ერწყმის თანამედროვეობის ეროვნულ განცდას. ნაადრევი სიკვდილის შიში, რაც გამონვეული იყო მისი ფიზიკური მდგომარეობით, დაძლეულია სიცოცხლის შეუპოვარი რჩმენით. მის პოეზიას განსაკუთრებულ ელფერს სძენს ფრაზის მუსიკალობა, სისადავე, აზრის აფორისტული სიზუსტე და ნრფელი არტისტიზმი. მისმა პოეზიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მისი თანატოლებისა და მომდევნო თაობის ქართველი პოეტების შემოქმედებაზე. აღსანიშნავია ლექსების ციკლი ფიროსმანზე („ოთხი უსათაურო“, „ფიროსმანის დუქანი“).

გაკვეთილების მასალა

ნინო ნაკაშიძის „ლეგენდა თბილისზე”,
ზმნის პირი და რიცხვი (პრაქტიკულად)

მიზნები

- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული თხრობა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება: а) თბილისზე, ბ) ვახტანგ გორგასალზე
- პირისა და რიცხვის მიხედვით ზმნის ფორმაცვლაზე დაკვირვება (პრაქტიკულად)

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს
- გადმოსცემს ტექსტის შინაარსს
- წერს
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებს
- აჯამებს მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას ვახტანგ გორგასლისა და თბილისის შესახებ
- აკვირდება ზმნის ფორმაცვლის მარტივ შემთხვევებს
- იყენებს ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ფორმებს

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას — გაიხსენონ და ჩამოწერონ, რა იციან თბილისის შესახებ.

დამატებითი ინფორმაციები მასწავლებლისათვის:

ა) **თბილისი:** არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ თბილისი დასახლებული ადგილი ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში. პირველი წყაროსეული მოხსენიება განეკუთვნება ახ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის II ნახევარს, როცა ამ ადგილას მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. IV საუკუნის დასასრულს თბილისი სპარსელი პიტიახშის რეზიდენცია იყო. V საუკუნის შუა წლები-დან იგი კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. ვახტანგ გორგასალმა თბილისი აღადგინა და გააშენა, ამიტომაც არის მიჩნეული იგი ქალაქის დაამარსებლად. მისმა მემკვიდრემ — დაჩი I-მა უჯარმელმა — VI საუკუნის დამდეგს დაამთავრა ქალაქის ზღუდე-გალავნის აგება და, მამის ანდერძის თანხმად, სატახტო

ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. თავისი ადგილმდებარეობის გამო თბილისი მოექცა მომიჯნავე სახელმწიფოთა სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების სფეროში. VI საუკუნის ბოლოდან იწყება მრავალ-საუკუნოვანი ბრძოლა თბილისისათვის. 570-580 წლებში ქალაქს სპარსელები ფლობდნენ. 627 წელს თბილი-სი დაარბია ბიზანტია-ხაზარეთის ლაშქარმა; 736-738 წლებში — არაბთა მთავარსარდლმა მურვან-ყრუმ (მარვან II იბნ-მუჰამადი). ამიერიდან თბილისი ახლადნარმოქმნილი არაბული საამიროს ცენტრი ხდება. 883 წელს ხალიფას ხელისუფლების განმტკიცების მიზნით იგი დალაშქრა არაბმა სარდალმა ბუღა თურქმა. 1037-1051 წლებში მეფე ბაგრატ IV-მ არაერთხელ სცადა თბილისის დაკავება, მაგრამ ქალაქში შექმნილი არამყარი პოლიტიკური სიტუაციის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. 1068 წელს ქალაქი თურქ-სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა დალაშქრა და დაიკავა. 1122 წელს ქალაქი უცხოელთა ბატონობისაგან დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა და აქ გადმოიტანა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი.

ბ) ვახტანგ გორგასალი — ქართლის მეფე V საუკუნის II ნახევარში. იბრძოდა ირანის უღლიდან ქვეყნის განთავისუფლებისათვის, მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. მის სახელს უკავშირდება მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმის გატარება, კათალიკოსობის ინსტიტუტის შემოღება, კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი ბიზანტიასთან. ჩაატარა დიდი საქალაქო მშენებლობა, განზრახული პქნოდა ქართლის დედაქალაქი გადმოეტანა მცხეთიდან თბილისში, რაც საბოლოოდ მისმა ძემ — დაჩიმ — განახორციელა. 482 წელს მოაწყო აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ, სიკვდილით დასაჯა ირანელების დასაყრდენი ქართლში — ვარსქენ პიტიახში. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულმა ბრძოლამ იგი ეროვნულ გმირად აქცია. დასაფლავებულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

გ) ტექსტის ავტორი ნინო ნაკაშიძე (ანთაძე) (1872-1963 წლები), ქართველი საბავშვო მწერალი, მას გამორჩეული ადგილი უჭირავს აგრეთვე ქართული უურნალისტიკის ისტორიაშიც. მოღვაწეობდა „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“, განსაუტრებული აღნიშვნის ღირსია მისი მოღვაწეობა საბავშვო უურნალ „ნაკადულში“ (1904-1928 წლები). მისი თაოსნობით დაარსდა აგრეთვე პირველი ქართული საბავშვო თეატრი. მრავალფეროვანია მისი შემოქმედების თემატიკა: სამშობლო, მეგობრობა, ჰუმანიზმი, დიდაქტიკა, ბუნება... მწერალი არ ღალატობს ტრადიციულ ნორმებს ბავშვის ინტელექტუალურ-ესთეტიკური აღზრდის შესახებ და ბოლომდე იცავს თავისი წინამორბედების (ვაჟა, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი...) ლიტერატურულ-დიდაქტიკურ პრინციპებს.

2. ტექსტის კითხვა — ტექსტს კითხულობენ მოსწავლეები. ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, რისთვისაც გამოიყენება „სიტყვის სალარო“. (უმჯობესია ტექსტის ცალკეული თავის დამუშავებას ცალკეული საათი დავუთმოთ). ტექსტი იყოფა ცალკეულ ნაწილებად და კლასის აქტიური მონაწილეობით შედგება გეგმა, რომელიც, სორიენტაციონული და ასეთ სახეს მიიღებს:

მზადება ნადირობისათვის
ირემზე ნადირობა
ხოხობზე ნადირობა
შეშინებული ბაზიერები
სამკურნალო წყალი
მეფის გადაწყვეტილება...

მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით ეძებენ და გამოკრებით კითხულობენ

ტექსტში იმ ადგილებს, სადაც აღნერილია: **ა) მეფის პატრიოტიზმი, ბ) მეფის ჰუმანიზმი, გ) მომავალი ქალაქის მნიშვნელობა...** ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ჩუმი კითხვაც.

4. ტექსტის ანალიზი — კლასის საერთო ძალებით გაანალიზდება, როდინდელი ამბავია ტექსტში აღნერილი, რატომ ჰქვია ამ ტექსტს „ლეგენდა თბილისზე”, რას აღნიშნავს სიტყვა „ლეგენდა“ (რომ ტექსტში აღნერილი ამბავი დაყრდნობილია არა ისტორიულ ფაქტებზე, არამედ ხალხის გადმოცემაზე, ამდენად, შეიძლება, იგი არც შეესაბამებოდეს სინამდვილეს), ვინ არის ამ ტექსტის მთავრი გმირი (ვახტანგ გორგასალი), მისი ხასიათის რა თვისებები ჩანს ტექსტში (პატრიოტიზმი, დაკვირვებულობა, სტრატეგიული ნიჭი, თავმდაბლობა...), რა ნიშნებით შეარჩია მეფემ მომავალი დედაქალაქისათვის ადგილი (იგი მტრისათვის მიუდგომელია, მოქცეულია მთებს შორის, „მრისხანე ციხედ დახვდება სამტროდ მოსულს“, ლამაზია...). წერილობით სრულდება დავალებები №1 და №2; წყვილებში — დავალება №3. ასევე მასწავლებელმა კლასს შეიძლება შესთავაზოს საწერ თემად „**რატომ დაერქვა თბილისი**“. წერითი ნამუშევრების ანალიზისას გამოიყენება ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ფორმები.

5. მოსწავლეები გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

II. ენობრივ გასაღაზე დაკვირვება

1. თემატურ ლექსიკაზე დაკვირვება — მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს სიტყვებს: **ბაზიერი, მიმინო, მწევარი, შავარდენი ...** და კლასს ეკითხება — რასთან ასოცირდება ეს სიტყვები (ნადირობასთან), ხომ არ გაიხსენებენ ნადირობასთან დაკავშირებულ სხვა სიტყვებსაც (აქ შეიძლება ერთგვარი შეჯიბრიც ჩატარდეს);

2. ზმის ფორმაციების გადაკვირვება — მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოს 46-ე გვ.-ზე მოთავსებულ სავარჯიშოს და გამოაქვთ დასკვნა, რომ **ზმია იმ პირშია, რომელი პირის ნაცვალსახელიც შეეწყობა მას**. ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება დავალება №4. შეიძლება ამ მიზნით გამოვიყენოთ საკითხავი ტექსტიც.

შედეგების კოდი: IV2, IV4, IV5, IV7, IV8, IV13, IV14.

გაკვეთილების მასალა

რევაზ ინანიშვილის „ჩვენი უოჩალი სკვინჩა”, I-სა და III პირში თხრობა

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- გაბმული მეტყველების განვითარება
- საგანთშორისი კავშირი: а) ბუნებისმეტყველებასთან, ბ) მუსიკასთან
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავება
- აღწერითი და მხატვრული ტექსტების შექმნა
- სხვადასხვა პირში თხრობა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს და ასაბუთებს თავის აზრს
- ქმნის მარტივ დარგობრივ და მხატვრულ ტექსტებს
- წერს
- გაბმული თხრობით გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს როგორც I, ისე III პირში
- ვარჯიშობს გამომეტყველებით კითხვაში
- აკვირდება სიტყვის (ამ შემთხვევაში **ზედსართავი სახელის**) გამომსახველობით მხარეს

I. ტექსტზე მუშაობა

1 კითხვისათვის მზადება — ამ ეტაპის დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის — სკვინჩა, ფრინველი ბეღურასნაირ-თა რიგისა, მამლის თავი ნაცრისფერია, ზურგი — ყავისფერი, აქა-იქ მწვანე ურევია, მკერდი ღვინისფერ-წითელია, დედალი უფრო ბაცია. გარცელებულია ევროპაში, დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრინველია, ბინადრობს ყველა ტიპის ტყეში. აპრილში დებს 2-3 კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 2 კვირამდე. ზოგჯერ მეორედ ბუდობს ივნისში. იკვე-ბება მცენარეების მწვანე ნაწილებით, თესლებით, მწერებით. არის კარგი მგალობელი.

2. ტექსტის კითხვა — ტექსტს მასწავლებელი კითხულობს გამომეტყველებით თავიდან ბოლომდე. ტექსტი ემოციურია, შეიცავს **აღწერას, მსჯელობას, დიალოგს,**

მონოლოგს, ამიტომ კითხვისას საგანგებოდ უნდა შევარჩიოთ ტემპი, ინტონაცია, ლოგიკური და ფსიქოლოგიური მახვილები...

ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები. გზადაგზა, კითხვის პროცესში, მოსწავლეთა საერთო ძალებით აიხსნება გაუგებარი ლექსიკური ერთეულები (სავარაუდოდ ასეთი შეიძლება იყოს: **ფანტელი** — ფიფქი, **სკვერი** — ბატარა ბალი, **ძიძგნიდა** — აქ: წინკნიდა, ჭამდა; **ფეხები აზრება** — ფეხები ეყინება; **პროთეზი** — სხეულის ხელოვნური ნაწილი, რომელიც გაკეთებულია დაკარგული სათანადო ბუნებრივი ნაწილის ნაცვლად...).

მოსწავლეები ასათაურებენ ტექსტის თითოეულ მონაკვეთს და ადგენენ გეგმას, რომელიც, სავარაუდოდ, ასეთი შეიძლება იყოს (ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ **ჩუმი კითხვა**):

დეკემბრის დღე
შეხვედრა გოგონასთან
ცალფეხა სკვინჩა
დამშვიდობება...

3. ტექსტის ანალიზი — გაირკვევა, წელიწადის რა დროა აღნერილი ტექსტში (ზამთრის დამდევი), როგორ არის აღნერილი (ქარიანი დღე, მუქი ღრუბლები, სველი თოვლი, გადამხმარი მდელოები, ვერცხლისფერი ნაძვი...), როგორ არიან აღნერილი გამვლელები (პალტოების საყელო წამოუწევიათ, სახე შიგ ჩაურგავთ, შინისაკენ მიიჩქარიან), ვინ და ვინ არიან ამ მოთხრობის გმირები (მწერალი-მთხრობელი და გოგონა), მათი რა თვისებები ჩანს აქ (მწერალი კეთილია, ძალზე ებრალება ცალფეხა სკვინჩა, მაგრამ გოგონას ამშვიდებს, რათა მას ამის გამო გული არ ეტკინოს; გოგონაც ასევე კეთილია, ის დანაღვლიანებულია სკვინჩას მდგომარეობის გამო, სურს შეუმსუბუქოს მას მდგომარეობა, უყრის პურის ნამცეცებს; თავაზიანია — ეს მისი საუბრიდან და მოქცევიდან ჩანს...); რის თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის (ადამიანის სიკეთე სულ უმნიშვნელო რამეშიც კი მუდავნდება); რატომ ჰქვია ნაწარმოებს „ჩვენი ყოჩალი სკვინჩა“, ხომ არ შეურჩევენ ამ ტექსტს სხვა სათაურს; როგორი განწყობა დაეუფლა მწერალს მზიას გაცნობის შემდეგ; რამ შეუქმნა მას ასეთი განწყობა (გოგონას საქციელმა, სკვინჩას გამბედაობამ); რატომ მოუნდა მწერალს **წყნარი, კეთილი** მუსიკის მოსმენა... (კარგი იქნება, თუ ამ მასალის სწავლებას დავუკავშირებთ მუსიკის გაკვეთილს და მოსწავლეებს მოსასმენად შევთავაზებთ მუსიკას, დავაკვირვებთ, მოცემულ შემთხვევაში შეუძლია თუ არა მუსიკას გადმოსცეს ადამიანის განწყობა. რეკომენდებულია პ. ჩაიკოვსკის „ნელინა-დის დრონიდან“ „შემოდგომის სიმღერა“, ან შესაბამისი განწყობის სხვა პიესა)...

სრულდება დავალებები: №1, №2 და №3. სამივე დავალება გულისხმობს დარგობრივი და მხატვრული ტექსტების შექმნას. მასწავლებლის გადასაწყვეტია, რომელი დავალება შეიძლება შესრულდეს შინ და რომელი — კლასში.

4. მოსწავლეები გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

ა) სიტყვის გამომსახულობით მხარეზე დაკვირვება — მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის | აბზაცს და ასახელებენ იმ ზედსართავ სახელებს, რომლებსაც მწერალი დეკომპრის დღის აღნერისათვის იყენებს (**ქარიანი, მუქი, ცივი, სველი, პნელი, გადამხმარი**), ავარჯიშებს მათი სინონიმების შერჩევაზე; აკვირვებს, რამდენად ზუსტად შეძლო მწერალმა ამინდის აღნერისათვის ზედსართავი სახელების შერჩევა, თვითონ რომელი ზედსართავი სახელებით აღნერენ დეკომპრის დღეს...

ბ) სხვადასხვა პირში თხრობა — ტექსტი დაწერილია | პირში. მასწავლებელი კლასს ახსენებს რევაზ ინანიშვილის სხვა მოთხრობებსაც, რომლებიც ასევე | პირშია დაწერილი („შემოდგომის დღე“, „მაყვალზე“, „ნვიმასა და მზეში“...); არკვევენ, რატომ მიმართავს ამ ხერხს მწერალი ასე ხშირად (უფრო ზუსტად და უშუალოდ რომ გვითხრას თავისი სათქმელი), რომელ ნაცვალსახელს იყენებს ამ დროს (**მე — | პირის ნაცვალსახელს**), გადმოსცენ ტექსტის შინაარსი | | პირში და გამოიყენონ ნაცვალსახელი **ის (იგი)**. სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV2, IV3, IV4, IV6, IV9, IV11, IV13, IV14.

მომდევნო თემების: მურმან ლებანიძის „**სურათი**“ და ვაჟა-ფშაველას „**საახალწლო ფიქრები**“ — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

გაქვეთილების მასალა

რევაზ ინანიშვილის „დიდი ზამთარი”,
ზმნის ფორმაციების მიხედვით

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- საგანთშორისი კავშირი: а) ეკოლოგიასთან, ბ) სახვითსა და გამოყენებით ხელოვნებასთან
- ზმნის ფორმაციების დაკვირვება (რომელი პირია)
- ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- ავლებს პარალელებს ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მიღებულ ინფორმაციასთან
- ასურათებს ტექსტს
- წერს
- იღებს ინტერვიუს ლიტერატურული პერსონაჟისაგან
- აკვირდება ზმნის ფორმაციების მიხედვით, აკეთებს სათანადო დასკვნებს
- ვარჯიშობს სხვადასხვა პირში თხრობაზე

I. ტექსტის მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ეს სამუშაო შეიძლება ორგვარად ჩატარდეს: **ა)** მასნავლებელი კლასს ავალებს გაიხსენონ რევაზ ინანიშვილის შესწავლილი ნაწარმოებები და იმსჯელონ, რა აქვთ მათ საერთო (სიკეთე, ადამიანის დამოკიდებულება ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებასთან...), **ბ)** კლასს მისცეს თემა: „ადამიანი და ტყე“ (“ტყე შეუნახე შვილებსა”). ორივე აქტივობას შეიძლება მივცეთ ჯგუფური მუშაობის სახე.

2. ტექსტის კითხვა — მოთხრობა იკითხება თავიდან ბოლომდე. ტექსტი ძირითადად აღწერითი ხასიათისაა, მსჯელობა მონოლოგურია, გამომეტყველებითი კითხვისას ამ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება.

ახალი ლექსიკური ერთეულების ახსნისათვის შეიძლება გამოვიყენოთ **ჩუმი** კითხვა: კლასს ვავალებთ წაიკითხონ ტექსტი **ჩუმად** და მოინიშნონ გაუგებარ სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც შემდეგ კლასის აქტიური მონაწილეობით აიხსნება. „სიტყვის სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულების გარდა, მოსწავლეებისათვის, სავარაუდოდ, გაუგებარი შეიძლება აღმოჩნდეს სიტყვები: **სამკაული** — ნივთი ვისიმე ან რისამე შესამკობად, მოსართავად; **გარინდდება** — გაჩუმდება; **ხორხოცით** — ხმაურით; **გახუ-ხული პური** — გაცხელებული, გაფიცხებული პური; **ტყისმცველი** — პირი, რომელიც ტყეს იცავს; **ბურუსი** — ნისლი; **შეიშმუშნებიან** — შეირჩევიან....

ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ და ადგენენ გეგმას, რომელსაც, სავარაუდოდ, ასეთი სახე შეიძლება მიეცეს:

თოვლიანი ტყე
ტყის სტუმარი
კეთილი მასპინძელი
სტუმრის გაცილება
ხეების გაოცება...

მოსწავლეები ტექსტიდან მასწავლებლის მითითებით კითხულობენ ცალკეულ ადგილებს (გამოკრებითი კითხვა), გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

3. ტექსტის ანალიზი — გაირკვევა: **ა)** როგორ აღწერს მწერალი თოვლიან ტყეს, რა ენობრივ საშუალებებს იყენებს ამისათვის (ხეები ადამიანებივით ცოცხალ არსებებად არიან გამოყვანილი — მათ რცხვენიათ, უკვირთ, იშმუშნებიან, სამკაულებით არიან მორთული, სცივათ...), რატომ უწოდებს მწერალი ტყეს გაქვავებულ სამეფოს (ყველაფერი გაყინულია, ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმის), **ბ)** როგორ აღწერს მწერალი პოეტისა და ტყის ურთიერთობას (პოეტს თითქოს მუსიკა ესმის, ისეთი კმაყოფილებით უგდებს ყურს რაღაცას; ტკბება ტყის მშვენებით, ამიტომაც ეწვია იგი ასეთ ყინვაში გვიან დამით ტყეს); **გ)** როგორ აღწერს მწერალი ტყისმცველს (ჯან-ღონით სავსე, დინჯი, სახენათელი კაცი...), **დ)** როგორ აღწერს მწერალი სტუმარ-მასპინძლის შეხვედრას...

მოსწავლეები მარტივად ახასიათებენ ლიტერტურულ პერსონაჟებს — პოეტსა და ტყისმცველს, ასაბუთებენ თავის აზრს ტექსტის მიხედვით. სრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ).

კლასს ჯგუფური მუშაობისათვის შეიძლება შევთავაზოთ დავალება — შეადგინონ ტექსტი სახელწოდებით „**თოვლიანი ტყის ზღაპარი**“, წყვილებში სრულდება დავალება №3, ინდივიდუალურად — დავალებები №1 და №2.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. შესწავლილ მეტყველების ნაწილებზე დაკვირვება — წაიკითხონ ტექსტის პირველი აბზაცი და დაასახელონ იქიდან არსებითი სახელები ზედსართავთან ერთად; შეცვალონ ზედსართავი სახელები სინონიმური ფორმებით (**დიდი ზამთარი** — თოვლიანი ზამთარი; **დიდი ღამე** — გრძელი ღამე; **ვეებერთელა მთვარე** — უშველებელი მთვარე; **ლამაზი სამკაული** — მშვენიერი /ძვირფასი/ სამკაული...).

2. რთული სიტყვების მართლწერა — მოძებნონ ტექსტში და ამონერონ რთული სიტყვები, რომლებიც: **ა)** იწერება ერთად (ტყისმცველი, ტყისპირი); **ბ)** იწერება დეფისით (თავ-პირი, სტუმარ-მასპინძელი, ჯან-ღონები); დაასაბუთონ, რატომ იწერება ეს სიტყვები ასე.

3. ზმნის ფორმაცვალზე დაკვირვება — სრულდება სახელდვანელოს 53-ე გვ-ზე მოცემული დავალება, რომელიც ითვალისწინებს პირის მიხედვით ზმნის ფორმაცვლაზე დაკვირვებას. ეძლევა დასკვნა — **ზმნას სამი პირი აქვს: I, II და III. ზმნა იცვლება პირების მიხედვით.** ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება ამავე გვერდზე მოცემული სავარჯიშო — მოცემული ზმნები ცვალე პირების მიხედვით. „აქტივობების რვეულში“ სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV3, IV4, IV6, IV7, IV8, IV10, IV11, IV13, IV14.

გაპგეთილების მასალა

გიორგი შატბერაშვილის „მოჩხუბარიძე”; ზმნის ზირი, ზირის ნიშნების გაცნობა (სუბიექტური ზირის მაგალითზე – ტერმინის გარეშე)

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- მთავარი და არამთავარი გმირების გაცნობა
- მოქმედი პირების მარტივად დახასიათება
- ზმნის პირის ნიშნების გაცნობა (სუბიექტური პირის მაგალითზე)
- ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება

აქტივობები

- მოსწავლე ეცნობა მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას ალ. ყაზბეგის შესახებ
- კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს
- გამოყოფს მთავარ და არამთავარ გმირებს
- ყოფს ტექსტს ნაწილებად
- გადმოსცემს მის შინაარსს
- წერს
- ზოგადად ეცნობა პირის ნიშნების რაობას (სუბიექტური პირის ნიშნების მაგალითზე — სათანადო ტერმინის გარეშე)

I. ტექსტზე მუშაობა

დამატებითი ინფორმაციები მასწავლებლისათვის:

ა) ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) — დაიბადა 1848 წლის 8 იანვარს, გარდაიცვალა 1893 წლის

13 იანვარს. ყაზბეგიანთ გვარი ნარმოდგება ჩოფიკაშვილებისაგან, რომლებიც სტეფანწმინდის მოურავები იყვნენ. მათი სახლ-კარი ხევში სიმდიდრითა და შეძლებით გამოირჩეოდა. პატარა სანდროც ფუფუნებში იზრდებოდა. სოფელში დაუახლოვდა იგი თავისი ნაწარმოებების მომავალ გმირებს, რომელთა მიმართ იგი ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდა, რაც ამ ტექსტშიაც არის ასახული. 1859 წელს იგი თბილისში გადმოიყვანეს სასწავლებლად და ერთ-ერთ პრესტიულ სასწავლებელში მიაპარეს. ოჯახური მდგომარეობის გამო სწავლას თავი დაანება 1865 წლიდან, რასაც ძალიან განიცდიდა. 1867 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა მოსკოვში, სადაც ჩაირიცხა სამეურნეო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლის დამთავრება ვერ შეძლო და 1870 წელს დაბრუნდა სამშობლოში. 1871 წელს იგი უბრალო მეცხვარედ ნავიდა მთაში, თუმცა ჰქონდა შესაძლებლობა, გაეკეთებინა კარიერა. მისთვის ხალხთან სიახლოვე ნარმოადგენდა შემოქმედების წყაროს. ისიც აღსანიშნავია, რომ თავისი იქ ყოფნით იგი ბევრად უმსუბუქებდა უბრალო მოხევეებს ყოფას. 1879 წლიდან გადმოდის თბილისში და აქ აგრძელებს მოღვაწეობას. მის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ე. ნ. „მთის

ციკლის "ნაწარმოებები. მან საოცარი დამაჯერებლობით დაგვიხატა ჩვენთვის მანამდე უცნობი — მოხე-ვეთა — სამყარო. მისი შემოქმედების თავისებურება განაპირობა მთის უბრალო ხალხის ბუნების კარგმა ცოდნამ, მათთან სიახლოვებ".

ბ) ტექსტის ავტორი ვიორგი შატბერაშვილი — 1910-1965 წ. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ლიტ. მოღვაწეობას იწყებს 1929 წლიდან, პირველი პოეტური კრებული გამოიცა 1933 წელს. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებლია უანრობრივი მრავალფეროვნება. აღსანიშნავია, რომ ნაყოფიერად შრომობდა საპავშვი ლიტერატურის სფეროში, ეკუთვნის მრავალი საბავშვო მოთხოვა; მათ შორის აღსანიშნავია „სათაფლია“ და „მტკვრის სათავისაკენ“.

გ) ძმადგაფიცვა — ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი ფორმა. საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო მთიელთა შორის. არსებობს ძადგაფიცვის რამდენიმე წესი: 1. ძადგაფიცვის მსურველები ნეკა თითებს გაიჭრიდნენ და ისე გადააჭდიბდნენ, რომ სისხლს ერთმანეთში არეულიყო; 2. დაჭრილი თითებიდან გამოხურულ სისხლს წყალში გაურვედნენ და შესვამდნენ; 3. ორივე პირი ძმად გაიფიცებოდა ხატში ნათესავების თანდასწრებით, ხევისძერი დაკლავდა მათ მიერ მოყვანილ საკლავს, მის სისხლს აპეურებდა ძმადგაფიცვის მსურველთ და დალოცავდა; 4. იარაღის ვერცხლის შემკულობიდან ვერცხლს ჩაფხეყდნენ სასმელიან თასში, რომელსაც ორივე ძმადნაფიცი შესვამდა. ძმადგაფიცვა შეიძლებოდა როგორც მამაკაცებს, ისე ქალსა და მამაკაცს შორის. ძმადშეფიცულებს ეკისრებოდათ სისხლით ნათესავის უფლება-მოვალეობაზი (მაგ. სისხლის აღება...), მათ შორის აკრძალული იყო ქორწინება...

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს უჩვენებს ალ. ყაზბეგის პორტრეტს და მარტივად ესაუბრება ამ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წინა პლანზე წამოიწევს მწერლის ბავშვობა, აგრეთვე მეცხვარეობაში გატარებული წლები, რამაც დასაბამი მისცა მის შემოქმედებაში მოხევეთა ცხოვრების ასახვას. ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე,. რომ წინამდებარე ტექსტში გამოყვანილი ბავშვები (ძირია, ელგუჯა, გირგოლა, მათია, ვაჟია, კობა) შემდგომში მისი ნაწარმოებების გმირებად იქცნენ.

2. ტექსტის კითხვა — ტექსტს კითხულობენ მოსწავლეები, ამ დროს აიხსნება მოსწავლეთათვის გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, მასწავლებელი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ფრაზაზე „**ძმად გაფიცვა**“; ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტზეც, რომ მწერალი ხშირად იყენებს სალიტერატურო ენისათვის მიუღებელ ფორმებს (ქალავ, კობავ, ელგუჯავ, მათიავ, გირგოლავ...), რაც იმით აიხსნება, რომ ამ მოთხოვნის გმირები საქართველოს ერთ-ერთი მთიანი სოფლის მკვიდრნი არიან და ამგვარად მეტყველებენ (ტერმინების — სალიტერატურო ენა და დიალექტი — ხსენება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის). გაანალიზდება, სად არის მდინარე თერგი, დარიალის ხეობა, როგორ აღნერს მწერალი მათ. ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში შედგება შინაარსის გადმოსაცემი გეგმა (დავალება №1), რომელიც, საორიენტაციოდ, ასეთ სახეს მიიღებს:

დარიალის ხეობა
პატარა მეცხვარები
ძირია და გირგოლა
სანდროს გაბედულება
ძმად გაფიცვა
დედის რჩევა...

მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი გეგმის ერთ-ერთ საკითხზე და წერილობით გადმოსცენ მისი შინაარსი (დავალება №2), დაასაბუთონ, რატომ შეაჩერეს არჩევანი მაინცდამაინც ამ საკითხზე.

ვარჯიშობენ შინაარსის თანმიმდევრობით გადმოცემაზე. ამ მუშაობაში შეიძლება ჩავრთოთ მთელი კლასი და თითოეული ნაწილის შინაარსი ცალკ-ცალკე გადმოვაცემინოთ.

3) ტექსტის ანალიზი — გაირკვევა, საქართველოს რომელი კუთხეა ასახული ამ ტექსტში, ვინ და ვინ არიან ნაწარმოების გმირები, რომელია მათ შორის მთავარი გმირი, მისი ხასიათის რა თვისებები ჩანს ტექსტში (პატარა სანდროს უკვე აქვს წერის ნიჭი — უყვარს ბუნება და აღნერს მის სილამაზეს თავის რვეულში, დღიურს წერს; გულაბდილია — დედას არაფერს არ უმაღლავს; თავმდაბალია — ძმად გაეფიცა უბრალო სოფლელ ბავშვებს; გაბედულია — ესარჩლება თავის ბუსტს, არ ეშინია თავის ზე ძლიერის; ნიჭიერია...), რამდენად შეეფერება მის ხასიათს ზედმეტსახელი „მოჩხუბარიძე“; რატომ მისცა დედამ რჩევა — ებრძოლა არა მუშტით, არამედ — კალმით; რამდენად სწორი იყო დედის მიერ მიცემული რჩევა; რა მიჩნიათ მისაღებად და რატომ, რას შეცვლიდნენ ამ ნაწარმოებში... შეიძლება ეს ტექსტი კლასს გასაგრძელებლად შევთავაზოთ (ჯგუფებში მუშაობა).

II. ენობრივ მასალზე დაკვირვება

1. სხვადასხვა პირში თხრობა — გაირკვევა, რომელ პირშია დაწერილი ტექსტი (III), გადმოსცენ ტექსტის შინაარსი ისე, თითქოს მას თავად სანდრო მოგვითხრობს; დააკვირდნენ, რომელი პირის ნაცვალსახელს „იყენებს“ სანდრო თავისთავზე საუბრისას...

2. ზმნის პირის ნიშნების გაცნობა — მასწავლებლი დაფაზე წერს ზმნას:

I პირი	ვ-წერ
II პირი	წერ
III პირი	წერ-ს

— რომელია ამ ზმნაში საერთო, უცვლელი ნაწილი? (წერ)

— I პირში მას რა ნიშანი დაერთვის? სად დაერთვის?

— II პირში თუ დაერთვის ნიშანი?

— III პირში რა ნიშანი დაერთვის? სად დაერთვის ეს ნიშანი?

მოსწავლეებს ვავალებთ აუდლონ ზმნები: **გალობს, სატავს, წვება** — და გამოყონ პირის ნიშნები.

ეძლევა დასკვნა: I პირის ნიშანია ვ-. იგი ზმნას თავში დაერთვის, ამიტომ თავსართია, II პირს ნიშანი არ აქვს, III პირის ნიშნებია -ს და -ა. ისინი ზმნას ბოლოში დაერთვის, ამიტომ ბოლოსართია.

ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება დავალებები: №3 და №4.

3. ფრაზეოლოგიური მუშაობა — დავალება №5.

შედეგების კოდი: IV2, IV3, IV6, IV7, IV8, IV12, IV13.

გაკვეთილების მასალა

აღწერითი ტექსტი „საიდან ვიცით ჩვენი ქვეუნის ისტორია“
 (სვიმონ გამსახურდიას მიხედვით); ზმნის პირთან დაკავშირებული
 მართლწერის საკითხები (ორი ვ-, ვ-ს სმარება უ-სა და ო-ს წინ I პირში)

მოწენა

- მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ისტორიიდან
 - ამ ინფორმაციის შეჯამება, სათანადო დასკვნების გაკეთება და დასაპუთება
 - მარტივი აღწერითი ტექსტის კითხვა
 - ტექსტის ანალიზი, კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
 - ლექსიკური მარაგის გამდიდრება
 - ზმნის პირთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხების გაცნობა, ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე იხსენებს და აჯამებს იმ ინფორმაციას, რაც მან საქართველოს ისტორიის შესახებ იცის
 - კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
 - ყოფს მას ცალკეულ ნაწილებად, ადგენს გეგმას
 - ავსებს სქემას: **რა ვიცოდი, რა გავიგე, რის გაგება მსურს**
 - წერს
 - ეუფლება ორთოგრაფიისა და ორთოეპიის საკითხებს

I. ტექსტიზაცია მუსიკალური

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: „ქართლის ცხოვრება“ — ძველი ქართული საისტორიო თხზულებების კრებული, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი წყარო, მასში მოიპოვება საყურადღებო ცნობები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის სხვა ქვეყნების (სომხეთი, ალბანეთი, ჩრდილო კავკასიის), ასევე თურქეთისა და ირანის შესახებაც.

განსაკუთრებული წვლილი „ქართლის ცხოვრების“ შესწავლაში შეიტანა ივ. ჯავახიშვილმა. წყაროთმცოდნეობის ძირითადი საკითხების დამუშავებასთან ერთად მან საყურადღებო მოსაზრებები გამოიტავა კრებულის შედგენის დროის, შედგენილობის, თანდათანობით შევსების თაობაზე; დაადგინა ცალკეულ თხზულებათა მოცულობა, სათაურები, დანერის დრო და ავტორთა ვინაობა. მის მიერ შემოთავაზებული პირობითი სქემის მიხედვით, „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილში შემდეგი ნაწარმოებები შედის: **ლეონტი მროველის „მეფეთა (ცხოვრება“ (უძველესი ხანიდან Vსაუკუნეები), ჯავახიშვილის „ცხოვრება“**

ბა და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა” (V—VIII საუკუნეები), XI საუკუნის ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისა” (VIII-XI საუკ.), ლეონტი მროველის „ნამება არჩილისა” (XI საუკ.), XII საუკუნის ანონიმი ავტორის „ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისა”, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა” (უძველესი ხანიდან XI საუკუნემდე), ლაშა ვიორგის მატიანე, თამარის ორი უსახელო ისტორიკოსის თხზულებები: „ისტორიანი და აზმანი შარაგანდთანი”, „ცხოვრება მეფეთ მეფე თამარისი”, XIV საუკუნის ანონიმი ისტორიკოსის — უამთააღმნერლის — თხზულება... ვარაუდობენ, რომ „ქართლის ცხოვრების” შედგენა დაწყებულა XII საუკუნის I ნახევარში, შემდეგ იგი თანდათან ივსებოდა XV საუკუნემდე. „ქართლის ცხოვრების” უძველეს ხელნაწერად ითვლება მე-15 საუკუნის ე. ნ. ანასეული ხელნაწერი.

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად და აძლევს დავალებას — ჩამონერონ ყველაფერი, რაც საქართველოს ისტორიის შესახებ ახსოვთ (მეფები, ბრძოლები, გმირები...). მოსწავლეები მსჯელობენ, რა იციან ჩვენი ქვეყნის ნარსულის შესახებ, საიდან იციან (ნაუკითხავთ, გაუგიათ, უნახავთ კინოფილმებში...), რამდენად არიან დარწმუნებულნი ამ ცნობების უტყუარობაში, რატომ... დაასაბუთონ თავისი აზრი....

ამის შემდეგ მასწავლებელი აჯამებს ინფორმაციას და ატარებს შესავალ საუბარს საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ, მის მნიშვნელობაზე, წყაროებზე, საიდანაც მოიპოვება ეს ინფორმაცია (უძველესი ქრონიკები, არქეოლოგიური გათხრები, ხელოვნების ნიმუშები...), თვალსაჩინოების სახით შეიძლება გამოიყენოს სათანადო ბუკლეტებიც (ქართული ხელოვნების ნიმუშები, უძველესი ქართული ციხე-სიმაგრეების ფოტოები), წიგნი „ქართლის ცხოვრება” ...

2. ტექსტის კითხვა და ანალზი — ტექსტი არ არის მაინცდამაინც დიდი მოცულობის, მაგრამ გაჯერებულია ინფორმაციით, ამიტომ უმჯობესია გავყოთ 2 ნაწილად და ცალ-ცალკე დავამუშავოთ. ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გაანალიზდება ის ინფორმაცია, რომელიც თითოეულ აბზაცშია მოცემული. ამგვარად, ტექსტის დამუშავების გზა **ინდუქციურია** — ნაწილიდან მთელი-საკენ. ტექსტს მოსწავლეები თავიდან ბოლომდე კითხულობენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეტალურად გაანალიზდება თითოეული მონაკვეთი (აქ შეიძლება გამოვიყენოთ **ჩუმი** კითხვა).

ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში გაირკვევა, თუ რა წყაროებია დასახელებული ტექსტში საქართველოს ისტორიის შესასწავლად (ისტორიკოსების — მემატიანეების — თხზულებანი, არქეოლოგიური გათხრები, კულტურის ძეგლები...), რომელი მემატიანეები არიან ტექსტში ნახსენები (ლეონტი მროველი, ჯუანშერი), აიხსნება „ქართლის ცხოვრების“ რაობა, ტერმინ „ქართლის“ მნიშვნელობა XI საუკუნემდე... გაირკვევა, რომელი კავკასიელი ტომები არიან ნახსენები ტექსტში, ამ ტომებიდან რომლები არიან დღეს შემორჩენილი, ვინ იყო თარგამოსი (კავკასიელი ტომების ნინაპარი), რაზე მეტყველებს ეს ფაქტი (ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიელი ტომები ერთმანეთს ენათესავებიან), რა დამსახურება აქვს მეფე ფარნავაზს ქართველი ხალხის ნინაშე (შექმნა ქართული მნიგნობრობა, ზრუბავდა ქართული ენის დამკვიდრებაზე), რატომ უწოდებდნენ ვახტანგ მეფეს „გორგასალს“... შედგება გეგმა, რომელიც სავარაუდოდ ასეთ სახეს მიიღებს:

„ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის შესახებ

არქეოლოგიური გათხრების მნიშვნელობა

მწერალი და ისტორია
ძველი მემატიანების ენა
ლეონტი მროველი კავკასიულების შესახებ
ლეონტი მროველი მეფე ფარნავაზის შესახებ
ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის შესახებ

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ფრაზაზე: „ისტორიკოსების დამუშავებულ მასალას იყენებენ მწერლები“; გაახსენებს მოსწავლეებს იმ ნაწარმოებებს, რომ-ლებშიც ისტორიული ფაქტებია ასახული („მეფე მნიგნობარი“, „რუქნადინის დამარცხება“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „სამასი თავდადებული არაგველი“...), იხსენებენ, რა ისტორიული ფაქტებია აქ ასახული...

სრულდება დავალებები №1 და №2, წყვილებში სრულდება დავალება №3.

III. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

ზმის პირთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები — ორი ვ-, უ-ს ნინ ვ-, ო-ს ნინ ვ— | პირში:

დაფაზე იწერება წინადადება „მემატიანე ვარაუდობს, რომ ვახტანგ გორგას-ლის სახელი სწორედ აქედან მოდის“. ყურადღება მახვილდება ზმის „ვარაუდობს“, გაანალიზდება, რომელი პირის ფორმაა (III), რა არის III პირის ნიშანი (-ს), რა ბერით იწყება ზმია (ვ— ბერით), გადაიყვანონ ეს ზმია | პირში და დაწერონ, მიაქციონ ყურა-დღება, რამდენი ვ— იყრის თავს | პირში, რატომ... ავარჯიშებს მათს წარმოთქმაზე, ავა-ლებს შეადგინონ და დაწერონ წინადადებები, რომლებშიც ეს ზმია | პირში იქნება. ასევე გაანალიზდება ზმის: ვარცხნის, ვაჭრობს, ვარდება, ოცნებობს, უამბობს... მასწავ-ლებელი კლასს ავალებს, გადაიყვანონ ეს ზმის | პირში, მათი გამოყენებით შეადგი-ნონ წინადადებები, დაწერონ დაფაზე, დააკვირდნენ, როგორ წარმოითქმის და როგორ იწერება ეს ზმის. ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება დავლებები №4 და №5.

შედეგების კოდი: IV2, IV4, IV5, IV8, IV12, IV14.

გაპგეთილების მასალა

რევაზ ინანიშვილის „ლოჭინში”;
ზმნის რიცხვი, ზატივისცემის მრავლობითი

მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის შეჯამება დავით აღმაშენებლის შესახებ: „რა ვიცოდი, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს”
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ზმნის მრავლობითი რიცხვის გაცნობა, სამეტყველო ეტიკეტის დაუფლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- ყოფს მას ცალკეულ ნაწილებად
- გადმოსცემს მის შინაარსს
- წერს
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებს
- ეცნობა რთულფუძიანი ზედსართავი სახელების მართლწერას (პრაქტიკულად)
- ეცნობა ზმნის რიცხვს
- მეტყველებაში გააზრებულად იყენებს „პატივისცემის მრავლობითს”
- აკვირდება მრავალწერტილის ფუნქციას

I. ტექსტზე მუშაობა

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ა) **დავით აღმაშენებელი**, მეფე გიორგი II-ის ძე, მეფობდა 1089-1125 წლებში. გამეფდა 16 წლის. გადმოცემის მიხედვით, ხალხმა თავად მოითხოვა ჭაბუკის გამეფება, რადგან იყო თავიდანვე ამჟღავნებდა დიდ ჭაუა-გონებას, სიმწნევეს, მტერთან შეურიგებლობას. ამიტომაც მისმა მამამ თავისი ნებით თქვა ტახტზე უარი, შვილი გაამეფა, თავად კი ბერად აღიკვეცა. ჭაბუკ მეფეს წილად ერგო მტრისაგან დაქცეული და განადგურებული ქვეყანა. სოფლები და ქალაქები დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, რომელიც მტრის შიშით ტყეებსა და მთებს აფარებდა თავს. პირველ რიგში ყმანვილმა მეფემ ყმა-მოლაშქრეებისა და აზნაურებისაგან შექმნა ჯარი, რომლითაც სდევნიდა თურქ-სელჯუკებს ქვეყნის ტერიტორიიდან, ხელს უწყობდა და მოსახლეობის დაპრუნებას საცხოვრებელ ადგილებში. 1099 წლიდან მან თურქ-სელჯუკებს შეუწყვიტა ხარჯის მიცემა და საბოლოოდ განდევნა ჩვენი ქვეყნიდან. მეფე შეუდგა ქართული მინა-ნებლის გაერთიანებას და ამიტომაც დაუპირისპირდა ქვეყნის დეცენტრალიზაციის მოსურნე ფეოდალებს. გააუქმა კლდეკარის საერისთავო, დაიპყრო ზედაზენი, შემოიერთა პერეთი და კახეთი.

დავითი დაუნდობელი იყო მოღალატე სამღვდელოების მიმართაც, რომელიც ხშირად უხემად ერე-ოდა მეფის ფუნქციებში. სწორედ ამ მიზნით მოიწვია მეფემ 1103 წელს რუს-ურბისის საეკლესიო კრება, რომელმაც ალაგმა თავგასული საეკლესიო ფეოდალები. მანვე შემოიღო მნიღნობართუხუცეს-ჭყონ-დიდელის თანამდებობა, რომელიც ერთდროულად იყო სასულიერო და საერო საქმეების მმართველი.

დავითმა გზა გაუხსნა განათლებას. მოსახლეობის ყველა ფენისათვის დააარსა სკოლები, განსაკუთრებით ნიჭიერებს კი საზღვარგარეთ გზავნიდა განათლების მისაღებად. თავისი ხარჯით გამართა სამკურნალოები, სადაც მეურნალობა ყველასათვის უფასო იყო. ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას, დიდი ღონისძიებები გაატარა სამონეტო (ფულად-საკრედიტო) სისტემის გასაუმჯობესებლად, განამტკიცა ფულის კურსი, გაატარა სასამართლო რეფორმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აღმაშენებლის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმა, გარდაქმნა ბრძოლის ტაქტიკა, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოასახლა 40 000-მდე ყივჩაყი. მათგან მეფემ შექმნა მუდმივი ჯარი. სწორედ ამ სამხედრო რეფორმის დამსახურებაა დიდგორის გამარჯვება 1121 წელს, როდესაც დამარცხდა მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი. ამ გამარჯვების შემდეგ შემოირთა მან თბილისი, სადაც მანამდე თურქები იყვნენ გამაგრებული. გააძლიერა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი, გავლენა მეზობელ ქვეყნებზე. 1124 წელს შირვანელებთან ერთად შირვანიდან განდევნა თურქები, უფრო ადრე კი — 1123 წელს — ანისიდანაც.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება გელათის ტაძრის მშენებლობა, გელათის აკადემიის დაარსება. დიდია მისი ხელილი ქართული სასულიერო მნიშვნელობის განვითარების საქმეშიც („გალობანი სინანულისანი“).

დავით აღმაშენებელი კავკასიის მადლიერმა ხალხებმა მეფეთა მეფედ აღიარეს, ეკლესიამ კი იგი ნმინდანად შერაცხა.

ბ) ლოჭინის ხეობა, მდინარე ლოჭინი — საცხენისი, მდინარე გარდაბნის რაიონში, მტკვრის მარცხენა შენაკადი, სიგრძე 30 კმ., საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მინისქვეშა წყლებით, იყენებენ სარწყავად.

1) კითხვისათვის მზადება — კლასს ვავალებთ, გაიხსენონ რა ინფორმაციას ფლობენ დავით აღმაშენებლის შესახებ. მოსწავლეთა პასუხები ჩამოიწერება დაფაზე და გაანალიზდება. ეს მუშაობა შეიძლება ჩატარდეს ჯგუფურადაც.

2) ტექსტის კითხვა და ანალიზი — მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. შემდეგ ეტაპზე ტექსტის თითოეული ნაწილისათვის შეირჩევა სათაური და შედგება შინაარსის გადმოსაცემი გეგმა, რომელიც, სავარაუდოდ, ასეთ სახეს მიიღებს:

მეფე — მნიღნობარი
თურქები ლოჭინის ხეობაში
მეფე დავითის ბრძანება
მეფე-მეომარი
თურქების დამარცხება
თბილისის დაბრუნება...

მოსწავლეები საუბრობენ თითოეული საკითხის ირგვლივ, იშველიებენ ტექსტს.

გაირკვევა, რომელი საუკუნეა აღნერილი ტექსტში (მე-12), რა მდგომარეობაში იყო იმ დროს საქართველო (ქვეყანაში თურქები ბატონობდნენ, თბილისი მათ ხელში იყო, ძალიან აგდებულად ეცევოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, სტაცებდნენ საქონელს...), მეფე დავითის რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში (უყვარს წიგნები, მოსწონს ბუნებაში ყოფნა, მაგრამ დროს არც მაშინ კარგავს — კითხულობს; ნინასნარ აწყობს საბრძოლო გეგმას, გაუაზრებლად და მოუმზადებალად არ მოქმედებს, ეს მიზანი ჰქონდა ლოჭინში

ნასკლასაც; შეუდრეკელი და უშიშარი მეომარია, კარგი მხედართმთავარია...), რამ გააოცა მხედრები (მეფის გაუფრთხილებლობამ, თავგანწირვამ მტერთან პრძოლაში...). წყვილებში სრულდება დავალება №2, ინდივიდუალურად — დავალება №1.

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, ყურადღება მახვილდება ლოგიკური თანმიმდევრობით ფაქტების გადმოცემაზე, III პირში თხრობაზე.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. მრავალწერტილის ფუნქციაზე დაკვირვება — სად იყენებს მწერალი მრავალწერტილს, რატომ არ ამთავრებს აზრს (ამას მკითხველს მიანდობს), რა სიტყვები შეიძლება ჩავნეროთ მრავალწერტილის ნაცვლად („თბილისი კი ისევ თურქების ხელში იყო“).

2. რთული სიტყვების მართლწერა — მოსწავლეები ორი სიტყვის შეერთებით ღებულობენ ზედსართავ სახელებს და მათი გამოყენებით ადგენენ წინადადებებს, განმარტავენ, რატომ იწერება ეს ზედსართავი სახელები ერთად — დავალება №4.

3. ზმნის რიცხვი, პატივისცემის მრავლობითი — მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოს მე-60 გვ-ზე მოცემულ მასალას და გამოაქვთ დასკვნა, რომ ზმნას არსებითი სახელის მსგავსად აქვს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი. ეძებენ ტექსტში ზმნებს და აჯგუფებენ მათ რიცხვის მიხედვით (დავალება №5). ასევე ეცნობიან ე.წ. „პატივისცემის მრავლობითს“ და განმარტავენ, რა შემთხვევაში იყენებენ მას (როცა უფროსს, პატივსაცემ პიროვნებას ესაუბრებიან). ასახლებენ სათანადო მაგალითებსაც.

შედეგების კოდი: IV1, IV2, IV3, IV7, IV8, IV10, IV14.

შემდგომი მასალის: **ანა კალანდაძის „ფეხი დამადგით...“** და ზმნის პირის ნიშნები — გაცნობას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ. ვაწვდით მხოლოდ **დამატებითი ინფორმაციას** დავით აღმაშენებლის ნაწარმოების — „**გალობანი სინანულისანი**“ — შესახებ:

დავით აღმაშენებლის „**გალობანი სინანულისანი**“ ნარმოადგენს მეფე დავით აღმაშენებლის პოეტურ ქმნილებას. დაინერა მისი სიცოცხლის ბოლო ნლებში, შედგება 9 საგალობლისაგან. აქ მეფე-პოეტი გვევლინება საკუთარი თავის უმკაცრეს მსაჯულად. მასში გაისმის საკუთარი თავის დამდაბლების მოტივები. მეფე-პოეტი თავის თავს ჩვეულებრივ ცოდვილად მიიჩნევს. იგი ცოდვილობას ხსნის ფართო საფუძველზე, როგორც ადამიანის დაცილებას ღვთაებისაგან; თავის შეცოდებათა დახასიათებისას მიმართავს ბიბლიას, სულის წინაშე აცოცხლებს ძველი და ახალი აღთქმის მაგალითებს, ჩამოთვლის იმ ცოდვებს, რომლებიც კაცთა მოდგმას ჩაუდენია და ავლებს პარალელს საკუთარ ცოდვებთან. იგი თავის თავს ცოდვილთა შორის უცოდვილესად სახავს: „*მე ვარ ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილნებითა ღვართაი*”, — გოდებს იგი. ამ პოეტური ქმნილებიდან კარგად ჩანს, რომ მის ცხოვრებაში საძიებელია არა რომელიმე კონკრეტული ცოდვა, არამედ ჩადენილი შეცდომების შეგრძნების არაჩვეულებრივი უნარი და მაღალი ეთიკური მრნამსი. ეს არის ჰიმნი ადამიანზე, რომელიც საკუთარი შეცდომებისა და ცოდვების შეცნობის გზით შინაგან განწმენდასა და სრულებრივას აღწევს.

მისი ხასიათის ამ თვისებას უკავშირდება მისი ანდერძიც — დაესაფლავებინათ გელათის მონასტრის შესასვლელში. სწორედ მეფის ანდერძი და მისი თავმდაბლობა აქვს მხედველობაში ანა კალანდაძეს, როცა მეფის „*მიუტევებ ცოდვასა*“ და „*მაღალთა თავმდაბლობაზე*“ საუბრობს.

გაქვეთილების მასალა

იაკობ გოგებაშვილის „კრწანისის ბრძოლა”;
არსებითი სახელის რიცხვი მრავლის აღმნიშვნელ სიტყვასთან

მიზნები

- ისტორიული სტატიის კითხვა და ანალიზი
- საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება კრწანისის ბრძოლის შესახებ
- ამ ინფორმაციის შეჯამება, სათანადო დასკვნების გაკეთება, საკუთარი აზრის დასაბუთება
- კრიტიკული აზროვნების განვითარება, დისკუსიის ხელოვნების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- წერითი მეტყველების განვითარება — მარტივი აღნერითი ტექსტის შექმნა
- მარტივი სტილური ჩვევების ფორმირება (არსებითი სახელისა და ზმინის რიცხვში შეთანხმება)

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- კლასში განიხილავს სადაც საკითხებს, ეუფლება დისკუსიის ხელოვნებას
- წერს
- ეცნობა არსებითი სახელისა და ზმინის რიცხვში შეთანხმების კონკრეტულ შემთხვევას
- ეუფლება სტილურ ჩვევებს

I. ტექსტზე მუშაობა

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: კრწანისის ბრძოლა გაიმართა 1795 წლის სექტემბერში კრწანისის ველზე ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის. აღა-მაჟმად-ხანმა საქართველოზე თავისი ბატონობის აღდგენის მიზნით მეფე ერეკლეს — ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფეს — მოსთხოვა, გაეწყვიტა რუსეთთან კავშირი. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წელი) ერთგული ქართველი მეფე ამაღდ სთხოვდა რუსეთს დახმარებას. რუსეთმა მარტოდმარტო დატოვა ერეკლე II სპარსელების მრავალრიცხოვანი ჯარის პირისპირ. აღა-მაჟმად-ხანი 8 სექტემბერს 35-ათასიანი ლაშქრით მოადგა თბილისის საზღვრებს. რუსეთის დახმარების მომლოდინე მეფე ერეკლე მტრის ჯარს რამდენადმე მოუმზადებელი შეხვდა. ქართველთა ლაშქარი 5 ათასამდე მეომარს ითვლიდა, აქედან 2 ათასი იმერეთის სამეფოდან იყო სოლომონ II-ის მეთაურობით. ქართველთა ჯარს სარდლობდნენ: თავად ერეკლე II, დავით, იოანე და ვახტანგ ბატონიშვილები, ოთარ ამილახვარი. ბრძოლა 9 სექტემბერს დაიწყო. ქართველები თავ-განწირვით იბრძოდნენ, ერთგვარ წარმატებასაც მიაღწიეს და გარკვეული პერიოდით უკანაც დაახევინეს

სპარსელთა დაშვარს. მაგრამ მოღალატემ მტერს ქართველთა სიმცირე შეატყობინა და მანაც 11 სექტემბერს ხელახლა მოიტანა ქალაქზე იერიში. ჯართან ერთად იბრძოდნენ თბილისელებიც, რომელთაც სასახლის მსახიობთა დასის მეთაური მაჩაბელი ედგა სათავეში. უთანოსწორო ბრძოლა მტრის გამარჯვებით დასრულდა. 11 სექტემბრის დღის // ნახევარში მტერი ქალაქში შემოიჭრა. მოსახლეობამ ქუჩებში გაუმართა მომხდურს ბრძოლა. სპარსელებმა ქალაქი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ ცეცხლს მისცეს. მრავალი ათასი ქართველი ტყვედ წაიყვანეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისა და გადამდები სწეულებისაგან დაიღუპა. ერეკლე // -მ თავის მხლებლებთან ერთად ქალაქიდან გასვლა მოასწორო და მთიულეთს შეაფარა თავი.

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს შეახსენებს, რა ახსოვთ საქართველოს ისტორიიდან, რომელ გმირ მეფეებს გაიხსენებენ (ფარანვაზი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე //...), რა იციან ამ მეფეთა მოღვაწეობის შესახებ... საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ერეკლე // -ზე, იმ რთულ პერიოდზე, როცა მას უხდებოდა მოღვაწეობა... მოსწავლეთათვის გასაგები ენით საუბრობს კრწანისის ბრძოლაზე, რომლიც ქართველთა დამარცხებით დასრულდა.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს. ამ დროს აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, თითოეული აზრობრივად დასრულებული მონაკვეთისათვის შეირჩევა სათაური (გეგმის შედგენა). ტექსტის დამუშავების გზა ამჯერად ინდუქციურია — ნაწილიდან მთელისაკენ. ჯერ დამუშავდება აზრობრივად დასრულებული თითოეული მონაკვეთი, შემდეგ კი — მთლიანად ტექსტი. დაისმება ტექსტის საანალიზო კითხვები, გაირკვევა, რომელი ისტორიული ფაქტია ტექსტში აღნერილი, რომელი ისტორიული პირები არიან მასში ნახსენები, რას გულისხმობდა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, რამდენად შეასრულეს მათ ეს პირობა, რატომ აღმოჩნდა მეფე ერეკლე მარტოდმარტო მტრის პირისპირ, ქართველთა რა თვისებები ჩანს ტექსტში, რატომ გახდა იძულებული მეფე ერეკლე გაქცეულიყო ქალაქიდან... საგანგებო ყურადღება მახვილდება ამ ბრძოლაში ქართველთა დამარცხების გამომწვევი მიზეზების ანალიზზე, ამ დროს მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვრონ ეს მიზეზები და დაასაბუთონ თავისი აზრი. ეს სამუშაო უმჯობესია, შესრულდეს ჯგუფურად. მოქმედებს პრინციპი: **ყველას აზრი მისაღებია.** მასწავლებელი არ ერევა დისკუსიაში, ცდილობს სწორი მიმართულება მისცეს მას, რათა მოსწავლეები მიეჩვივნენ არა მხოლოდ საკუთარი აზრის გამოთქმას, არამედ სხვის მოსმენასაც, სხვისი აზრის პატივისცემას... ავალებს, ჩამოწერონ ის კითხვები, რომლებიც ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაუჩნდათ და ეცადონ თავად გასცენ პასუხი მათ.

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოიცემა ტექსტის შინაარსი, სრულდება დავალება №3.

ტექსტი აღნერითი ხასიათისაა. გაირკვევა, ჩანს თუ არა მასში ავტორის პოზიცია (ჩანს — სპარსელებს იგი მტრებს უწოდებს), საიდან შეიძლება აეღო მწერალს მასალა ამ ტექსტისათვის (მატიანედან, არქეოლოგიური გათხრებიდან თუ თვითმხილველთა მონათხოვიბიდან...), დაასაბუთონ თავისი აზრი.

სრულდება №1 და №2 დავალებები.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

არსებითი სახელის რიცხვი მრავლის აღმნიშვნელ სიტყვასთან — დავალება №4.

შედეგების კოდი: IV1, IV2, IV3, IV7, IV8, IV12, IV14.

მომდევნო ორი მასალის — ელგუჯა მერაბიშვილის „კრწანისის ყაყაჩო“ და გალაკტიონ ტაბიძის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

გალაკტიონ ტაბიძე — 1891-1959 წ., დაიბადა ვანის რ-ნ სოფ. ჭყვიშში, 8 ნლისა შეიყვანეს ქუთაისის სას. სასწავლებელში, 1908 წ. სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1911 წლიდან ცხოვრობს ქუთაისში, 1919 წ დაიბეჭდა მისი პირველი წიგნი, 1919 წ — მეორე კრებული „არტისტული ყვავილები“. 1918 წლიდან მკვიდრდება თბილისში, 1927 წ გამოვიდა მისი ერთომეული, 1932 წ მიენიჭა სახალხო პოეტის წოდება, 1944 წ აირჩიეს საქ. მეცნ. აკად. ნამდვილ წევრად. ძალიან ძნელია სიტყვებით შეაფასო მისი შემოქმედება. 6. დუმბაძე წერდა: „ხუთი ძედნიერი სახელი ვიცი მე საქართველოში — შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი. გალაკტიონთან ძალიან ახლოს მისვლა არ შეიძლება. იმიტომ კი არა, რომ ვერ გაიგებ მას... არა სრულებითაც არა! იმიტომ, რომ მოქმედ ვულკანია, თვლებს როგორც ლავა და ღმერთმა უწყის, როდის გაიღვიძებს...“

გაკვეთილების მასალა

გილოგი წატროშვილი – „ოსტატის საიდუმლო“, ზმნის დრო (განმეორება) (2 სთ)

მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- წაკითხულის გააზრება, შეფასება, დასკვნების გაკეთება და საკუთარი აზრის დასაბუთება
- მოქმედ პირებთან გასაუბრება
- დიალოგზე დაკვირვება
- სხვადასხვა დროში თხრობა
- საგანთაშორისი კავშირის დამყარება (კავშირი მათემატიკასთან)
- სინონიმებზე დაკვირვება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- ყოფს მოთხრობას წანილებად და ასათაურებს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- გაესაუბრება მოქმედ პირებს (კითხვა — პასუხი)
- აკვირდება ტექსტში მოცემულ დიალოგს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს სხვადასხვა დროში
- ახდენს ცოდნის ტრანსფერს (მათემატიკიდან ენაში და პირუკუ)
- აკვირდება მსგავსი (სინონიმები) შინაარსის ფორმებს, მართებულად იყენებს მათ მეტყველებაში.

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (6 წუთი):

დაფაზე იწერება ხალხური გამონათქვამი: „თუ შენ დაკარგე ფული — არაფერი დაგიკარგავს, თუ დაკარგე ჯანმრთელობა — დაგიბრუნდება, თუ დაკარგე მაღლი ყველაფერი დაგიკარგავს“ (ეს გამონათქვამი შეიძლება პლაკატითაც მივაწოდოთ).

კლასი იყოფა სამ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი გვთავაზობს თავის მოსაზრებას გამონათქვამის ირგვლივ. აუცილებელია ამ მოსაზრების დასაბუთება. მოქმედებს პრინციპი: **ყველას აზრი საყურადღებოა.** მასწავლებელი არ ერევა მოსწავლეთა პასუხებში, აძლევს მხოლოდ გეზს, რათა სწორად წარიმართოს დისკუსია და არ მიიღოს დაპირისპირების ხასიათი. მოსწავლეები იხსენებენ მაგალითებს ცხოვრებიდან. განსაკუთრებით გამახვილდება ყურადღება „**მაღლის დაკარგვაზე**“. ამ ეტაპზე მთავარია არა მხოლოდ ჭეშმარიტების ძიება, არამედ — დისკუსიის ხელოვნების თანდათან დაუფლებაც: მოსმენა, სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება და დასაბუთება.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებელთათვის: გიორგი ნატროშვილი — მწერალი, კრიტიკოსი, უურნალისტი. დაიბადა (10-XI. 1910 წ.) სოფ. ზემო მაჩხაანში, ახლ. დედოფლისწყაროს რაიონში. დაამთავრა თსუ ფილოლოგის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს იყო „ლიტერატურული გაზეთის“, უურნალების: „დროების“, „მნათობის“ — მთავარი რედაქტორი.

მისი პირველი წიგნი იყო „დავით კლდიაშვილის შემოქმედება“. მასვე ეკუთვნის მოთხოვების კრებულები „დასავლეთის ფრონტზე“, „ნინაპრები და თანამედროვები“, „ორი საუკუნის მიჯნაზე“ და სხვ. მას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. გიორგი ნატროშვილის თხზულებები თარგმნილია რუსულ, სომხურ, აფხაზურ ენებზე.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (შინაარსის რეალიზება) (16 ნუთი):

მასწავლებელი კითხულობს ტექსტის ოთხ აბზაცს. („...ერეკლემ ყველაზე უკეთესი ოსტატი დაუსახელა — ისე გაასწორებს, ვერც გაიგებო“). კითხვას განაგრძობს კითხვაში განაფული რამდენიმე (2-3) მოსწავლე. განეორებითი ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს მოსწავლეთა ძალებით დაიძებნება და მათივე მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: „დაქვეითდა“, „მოუხმო“, „ნახელავი“ (იხ. სიტყვის „სალარო“, „სახელმძღვანელო“, გვ. 14). აიხსნება აგრეთვე სიტყვები: ქარქაში — ხმლის, ხანჯლის, დანის და მისთ. ბუდე; ხმალი — ფოლადის ცივი იარაღი, გრძელი და წვერისკენ მოხრილი. ტიალი — უპატრონო, ოხერი; ოსტატი — თავის საქმის კარგად მცოდნე ხელოსანი. ძველად მასწავლებელი — აღმზრდელი; მამაპაპეული — მამა-პაპის კუთვნილი, მამა-პაპის ნაქონი.

დააკვირდებიან სიტყვას „შინ“ ნინადადებებში „მხედარი ომიდან შინ ბრუნდებოდა“, „...მარჯვენა დაულოცა და შინ გამოისტუმრა“. (შინ ნიშნავს საკუთარ ოჯახში ყოფნას, სახლში კი ნიშნავს შენობაში ყოფნას).

ნარიმართება სიტყვათა გათვალსაჩინოებაზე მუშაობა, ახლად ახსნილ უცნობ სიტყვებსა თუ გამოთქმებს სხვადასხვა ნინადადებებში გამოიყენებენ.

ტარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის მიერ დასმული პირველი დონის კითხვების პასუხებს მოსწავლეები ტექსტიდან ამოიკითხავნენ:

— როგორ მოექცა მეფე ერეკლე ახალგაზრდა მხედარს? („ვაჟკაცობა უქო ჭაბუკს, მარჯვენა დაულოცა და შინ გამოისტუმრა“).

— რა გაუკვირდა მეფეს? („ჭაბუკს ბრძოლის დამთავრების შემდეგაც ხმალი შიშვლად ეჭირა, ქარქაშში არ ჩაევო“).

— რა საუბარი გაიმართა ჭაბუკსა და ოსტატს შორის? („ძვირფასი ხმალია, მამაპაპეული.... აგრე იყოს! — დაეთანხმა ჭაბუკი“).

— როგორ გაასწორა მჭედელმა ხმალი? („შეატრიალ-შემოატრიალა ხელში ფეხისგული დაარტყა“).

— რატომ უთხრა ჭაბუკს „შენ შენთვის და მე ჩემთვის“? („ეს ადვილი რამ ყოფილა... როგორც გაკეთებამდე იყო“).

— რატომ დაეცა ჭაბუკი მინაზე გულშეღლონებული? („გამოართვა ბიჭმა ხმალი... ითქრიალა სისხლმა ჭრილობიდან“).

— როგორ იზრუნა ოსტატმა ავადმყოფ ჭაბუკზე? („ხმაურზე მჭედელმა გამოიხედა ... ერთი კვირა არ ნამოაყენა ლოგინიდან, მოარჩინა“).

— რატომ აპატია წყენა ოსტატმა ჭაბუკს?

— რა შეფასება მისცა ჭაბუკმა ოსტატს? („ოსტატი კაცისა მარტო ხელი და თვალი კი არა, ფეხიც ისტატი ყოფილაო — ამის შემდეგ მეცოდინება, რა მადლი გქონია“).

აქტივობა 3 — გეგმის შედგენა (7 ნუთი):

მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ (აქტივობების რვეული, დავალება №:1).

ახალგაზრდა მხედრის სიხარული

ერეკლე მეფის გაკვირვება
მეომრისა და მჯედლის შეთანხმება
პირობის შეშლა
მოულოდნელი ხიფათი
ოსტატის მადლი
ოსტატობის საიდუმლო

აქტივობა 4 — ორთოეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა (3 წუთი):

დაიმახსოვრე, როგორ წარმოითქმის და იწერება: ვაჟკაცობა, ბრძოლის, ქარქაშ-ში, გაასწორებს, დაქვეითდა, გაასწორე, მოგცემ, შეატრიალ-შემოატრიალა, დააგდო, დაარტყა, ფეხისგული, გულშელონებული, დედაბერი, გარეთ, ჯარისკაცი, გქონია, ადვილად.

აქტივობა 5 — დიალოგზე დაკვირვება (2 წუთი):

რამდენი ადამიანის საუბარია ტექსტში გადმოცემული (სამის: — მეფის, ჭაბუკის, ოსტატის...).

აქტივობა 6 — ტექსტში კითხვითი და ძახილის წინადადებების ამოკითხვა (3 წუთი):

— ხმალს რატომ ქარქაშში არ აგებ? (კითხვითსიტყვიანი), — ერთხელ დაჰკარი ფეხი და ამაში თუმანი გინდა აიღო? (არაკითხვითსიტყვიანი). — აგრე იყოს! (თანხმობის გამომხატველი), აჳა, შვილო, შენ შენთვის და მე ჩემთვის! (გაბრაზების, წყენის გამომხატველი). — ამის შემდეგ მეცოდინება, რა მადლი გქონია! (მადლიერების გამომხატველი) — მაგრამ, აბა, სცადე! (გაკვირვების გამომხატველი).

აქტივობა 7 — შეჯამება (3 წუთი):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (გაიგეს ოსტატის ფასი, მისი საიდუმლო — ოსტატი კაცის მარტო ხელი და თვალი კი არა, ფეხიც ტატი ყოფილა, მიხვდნენ რა მადლი ჰქონია ოსტატს...)

აქტივობა 8 — შეფასება (2 წუთი):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს (იყენებს განმავითარებელი შეფასების ფორმებს):

— პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა); მსჯელობა კლასში (აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა); პრეზენტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება), კორექტულობა.

აქტივობა 9 — საშინაო დავალება (2 წუთი):

„ოსტატის საიდუმლო“. წერითი დავალება №2. გეგმის მიხედვით ტექსტის შინაარსის გადმოცემა. („აქტივობების რვეული“).

შედეგების კოდი: IV2, IV5, IV8, IV12, IV13.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტის კითხვა (5 ნუთი)

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ როლებად (ავტორი, მეფე, ჭაბუკი, ოსტატი; რადგან ავტორის სიტყვები ვრცელია, ამიტომ ავტორის როლში შეიძლება ორი მოსწავლე გამოიყენოთ). გამოიყენება კითხვის ყველა სახე. განსაკუთრებით მახვილდება ყურა-დღება გამომეტყველებით კითხვაზე (ტექსტი დიალოგის ფორმისაა; ამასთან კითხვითი და ძახილის წინადადებების შემცველი).

აქტივობა 2 — ტექსტის ანალიზი და თხრობა (სიღრმისეული წვდომა) (7 ნუთი):

მოსწავლეები, ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ მასწავლებლის დამხარე კითხვების საშუალებით:

- რით იყო ჭაბუკი მხედარი გახარებული? (ომიდან გამარჯვებული და ერეკლე მეფის მიერ დალოცვილი და შექებული ბრუნდებოდა შინ).
- რატომ ეძვირა მას მჯედლის შრომის გასამრჯელო? (მჯედლის შრომა ადვილი და უბრალო ევონა...)
- როგორ დარწმუნდა იგი მჯედლის ოსტატობაში? (როცა მან ფეხის ერთი დარტყმით ხმლის გასწორება მოინდომა, ითქრიალა სისხლმა ჭრილობიდან, ერთი ამოიკვნესა ჭაბუკმა და გულშედონებული დაეცა მინაზე).
- როგორ მოექცა მჯედელი ავადმყოფ ჭაბუკს?
- როგორ მოინანია ჭაბუკმა თავისი საქციელი?

...შემდეგ კი მოსწავლეები ადრე შედგენილი გეგმის მიხედვით ტექსტის შინაარს გადმოსცემენ გაბმული თხრობით.

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება (6 ნუთი):

— ახალგაზრდა ჯარისკაცის რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში? (კარგი მებრძოლია, მაგრამ ძუნნი, უმადური, პირობის გამტეხი. თუმცა ბოლოს კი მიხვდა სიმართლეს. „ოსტატი კაცისა მარტო ხელი და თვალი კი არა ფეხიც ოსტატი ყოფილაო...“).

— მჯედლის რა თვისებებზე ამახვილებს მწერალი ყურადღებას? (ოსტატობაზე, სამართლიანობაზე, სიკეთესა და პატივის უნარზე)

- ტექსტის მიხედვით, რაშია ოსტატის საიდუმლო?
- თქვენი აზრით, რის თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის?

ახალგაზრდა ჯარისკაცისა და მჯედლის თითოეულ თვისებას ადასტურებენ ტექსტიდან.

აქტივობა 4 — გასაუბრება ტექსტის ერთ-ერთ გმირთან (5 ნუთი): (დავალება № 3. „აქტივობების რვეული“) წყვილებში მუშაობა.

ნიმუში: გაესაუბრებიან, ვთქვათ, ახალგაზრდა მხედარს.

კითხვა: რატომ ხართ ასე გახარებული?

პასუხი: ომიდან გამარჯვებული შინ ვბრუნდები, ამასთან მეფე ერეკლემ ვაჟკაცობა შემიქო და მარჯვენა დამილოცა.

კითხვა: რატომ შეშალე პირობა მჯედელთან?

პასუხი: ოსტატმა ძალიან ადვილად, ფეხისგულის დარტყმით გაასწორა გამრუდებული ხმალი. ამიტომ, ჩემი აზრით, თუმნის ნაცვლად ივი აბაზს უნდა დასჯერებოდა.

კითხვა: რა შეფასება მიეცი ბოლოს ოსტატის შრომას?

პასუხი: ოსტატი კაცისა მარტო ხელი და თვალი კი არა, ფეხიც ოსტატი ყოფილა, მიეცვდი, ოსტატს რა მადლი ჰქონია.

აქტივობა 5 — საგანთაშორისი კავშირი მათემატიკასთან (2 ნუთი):

— ფულის რომელი ძველი ერთეულებია ნახსენები ტექსტში? (თუმანი, აბაზი). — ფულის კიდევ რომელ ძველ ერთეულებს გაიხსენებთ? (კაპიკი, შაური) — რომელია მათ შორის ყველაზე მცირე ერთეული? (კაპიკი) — ყველაზე დიდი? (თუმანი).

— თუმანში ათი მანეთია, მანეთში ხუთი აბაზია. რამდენჯერ მეტია თუმანი აბაზზე? გამოიანგარიშეთ.

აქტივობა 6 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (11 ნუთი):

1. — როდის მოხდა ტექსტში აღნერილი ამბავი? (წარსულში) — თხრობისას ზმნის რომელი დროის ფორმებს იყენებს მნერალი? (ძირითადად იყენებს ნარსულ დროს. გხვდება ზმნები ახლანდელ (აგებ, გთხოვ, იცლება, მიპატიებია, გქონია, სცადე...)) და მომავალ (გაასწორებ, გაიგებო, მოგცემ, მეცოდინება, შეხედავ, იტყვი, გავაკეთებო...) — დროებშიც).

მოსწავლეები ტექსტში მოცემულ ამბავს გადმოსცემენ ისე, თითქოს იგი ახლა, საუბრის მომენტში, ხდება. არკვევენ, ზმნის რომელ დროის ფორმებს იყენებენ თხრობისას. (ძირითადად იყენებენ ახლანდელ დროის ფორმებს).

2. — ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ მოცემულ მე-4 დავალებას. მოცემული ტექსტი იმგვარად გადააკეთე, რომ ყველა ზმნა წარსულ დროში იყოს (სრულდება ზეპირად): (დადიოდა, შედგებოდა, დაიყივლებდა, გაბედავდა, აუტეხდა, შეებრძოლებოდა, გაიმართებოდა, შეძვრებოდა, ბნელდებოდა).

3. — ფრაზეოლოგიური მუშაობა:

ამოლებული ხმალი — მუდამ შემართულია, მზად არის საპრძოლველად.

შენი ხმალი და ჩემი კისერი! — (ძვ.) რაც გსურდეს ის მიყავი.

ხმლის ტრიალი — ხმლებით ბრძოლა.

მოსწავლეები ასახელებენ წინადადებას ამ ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით.

4. — სინონიმებზე მუშაობა

გამრუდებული — გაღუნული

ძვირფასი — საუკეთესო, მდიდრული

შიშველი — ტიტველი

ტირილი — ქვითინი

ჭრილობა — იარა

მასწავლებელი კლასს დააკვირვებს ტექსტში მოცემულ წინადადებებზე „ხმალი შიშვლად ეჭირა ხელში“, „ზედ შიშველი ფეხისგული დაარტყა“. ავალებს სიტყვა „შიშველი“ შეცვალონ სინონიმით „ტიტველი“. წინადადებები ასეთ სახეს მიიღებს: „ხმალი ტიტვლად ეჭირა ხელში“, „ზედ ტიტველი ფეხისგული დაარტყა“. მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ წინადადებაში ზოგჯერ სიტყვის სინონიმით შეცვლა შეუძლებელია.

5. — ზმნაში ვ-ს ნინ უ-ს ხმარება (მართლწერის საკითხები) (3 ნუთი);
— გადაიყვანეთ პირველ პირში:

მან უქო მე--——(ვუქე)	მან დაულოცა მე--—————	მან უთხრა მე--—————
მან დაუსახელა მე--—————	მან უჩვენა მე--—————	მან უთხრა მე--—————
მან მოუხმო მე--—————	მან შეუხვია მე--—————	

აქტივობა 7 — გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (3 ნუთი).

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (2 ნუთი).

ოსტატის საიდუმლო — თხრობით. წერითი სამუშაო: დავალება № 5. შეადგინე მოთხოვობა, რომელშიც ყველა ზმნა მომვალ დროში იქნება. („აქტივობების რვეული“).

შედეგების კოდი: IV3, IV4, IV6, IV7, IV10, IV11, IV14.

გაკვეთილების მასალა

ელგუჯა მერაბიშვილი – „პირველი ნაბიჯი“, ზმნისწინი – მისი მირითადი ფუნქცია (მოქმედების მიმართულება) (3 სთ).

მიზნები

- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- მოთხოვის გაგრძელებაზე მუშაობა
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივი დახასიათება
- ანდაზის მიხედვით მოთხოვის შედგენა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ორთოეპისა და ორთოგრაფიული ჩვევების გამომუშავება
- ზმნისწინის რაობისა და მისი ძირითადი ფუნქციის გაცნობა

აქტივობები

- მოსწავლე ყოფს ტექსტს აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებად, ადგენს გეგმას, ეძებს მითითებულ ადგილებს ტექსტში
- ავლენს თავის ფანტაზიას მოთხოვის გაგრძელებისას, ცალკეულ მოქმედ პირთა შეფასებისას
- ახასიათებს მოქმედ პირებს, ავლენს თავის დამოკიდებულებას სხვადასხვა ადამიანური თვისებების მიმართ
- ანდაზის მიხედვით ადგენს მარტივ ტექსტს
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებს და მეტყველებაში იყენებს მას
- ვარჯიშობს ორთოეპიასა და ორთოგრაფიაში, ინტონაციასა და პუნქტუაციაში...
- წერს

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (6 წუთი):

დაფაზე იწერება ხალხური ლექსის არეული სტრიქონები, მოსწავლეებს ევალებათ სტრიქონები დაალაგონ ისე, რომ ლექსის სტროფი მიიღონ (წყვილებში მუშაობა):

1. იქით გორასა ძვრას ვუზამ,
 2. შევაჩერებ და ყლაპს ვუზამ.
 3. ადიდებულსა მდინარეს
 4. აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,
- (4, 1, 3, 2)

იმსჯელებენ, თუ როგორ ადამიანზე მიგვანიშნებს ეს ლექსი და შეურჩევენ შესაფერის სათაურსაც („ტრაპახა“, „მკვეხარა“...)

ჩატარდება დიდაქტიკური თამაში „რა ყოფილა“.

კლასი გაიყოფა ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ჩამოურიგდება ბარათები ლექსთა სტრიქონებით, რომლის მიხედვით უნდა გამოიცნონ, როგორი ბავშვია მითითებული პერსონაჟი: (ჯგუფური მუშაობა).

I ბარათი

კახას ათი ვაშლი ქონდა,
ერთი ვაშლი მისცა როდამს,
მხოლოდ ერთი ამყოფინა,
ისე როგორც უნინ.
რა ყოფილა?
..... (ძუნწი)

ძილი უყვარს ირინეს
გვიან-გვიან იღვიძებს,
ოთახს არ ასუფთავებს,
მტვერი ადევს მის წიგნებს.
დარიგება არ ესმის,
არც გაწყრომა — მუქარა;
— რა ყოფილა?
..... (უქნარა)

II ბარათი

„ტყეში მარტო ნუ წახვალო“,
დაარიგა პაპამ უჩა.
უჩა მაინც წაყერყეტდა,
უცნობ ბილიკს გაჰყვა კენტად,
გზის გაგნება გაუჭირდა,
ეკალ-ბარდში გაება.
რა ყოფილა?
..... (თავნება)

რეზო სცემდა თინას,
სუსტს და პანაწინას,
დაინახა ბენომ,
მოარიდა თვალი
— რა ყოფილა?
..... (მხდალი)

III ბარათი

მამამ ნათელას და მართას
მიუტანა ათი ბაფთა,
მართამ შვიდი აირჩია
და თავისთვის დაკეცა.
— რა ყოფილა?
..... (თავკერძა)

სოკო მოვკრიფე ბევრიო,
ბადრიმ ქვეყანა შეყარა,
კალათში ეწყო სულ ცოტა,
ზემოდან ნეშო ეყარა.
— რა ყოფილა?
..... (მკვეხარა)

IV ბარათი

ნია ქეთოს პირში აქებს,
ნამოინყებს ტიტინს.
ზურგს უკან მის აუგს ამბობს,
ვისთანაც კი მიდის!
— რა ყოფილა?
..... (ფლიდი)

ლადოს სული უწაკნაკებს
ლიმონათი სწყურია,
ნაკლულ ჭიქას ხელს არ ახლებს,
მხრები აუწურია.
— რა ყოფილა?
..... (წუნია)

ერთგვარი შეჯიბრიც შეიძლება დაწესდეს. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უნინ გამოიცნობს, ამასთან სხვა ჯგუფის ბარათებზეც ვინც მეტ პასუხს გასცემს.

დაფაზე დაიწერება ბარათების პასუხები: ძუნწი, უქნარა, თავნება, მხდალი, თავკერძა, მკვეხარა, ფლიდი, წუნია. დაასახელებენ ამ უარყოფითი თვისებების საპირისპირო

დადებით თვისებებს (ძუნნი — კეთილი, უქნარა — მარჯვე, თავნება — დამჯერი, მხდალი — მამაცი...)

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (12 ნუთი):

„პირველი ნაბიჯის“ პირველ თავს კითხულობს 2-3 მოსწავლე. განმეორებით, ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს აანალიზებენ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს: **ნეკერი** — კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები; **ვაცი** — მამალი თხა; **საწყალობლად** — საწყლად, საბრალოდ, საცოდავად; **ხეირიანად** — რიგიანად, კარგად. **ეშვი** — კბილი, რომელიც მოთავსებულია საჭრელ და ძირითად კბილებს შორის. ზოგ ცხოველს (მაგ: ტახს, სპილოს) იგი ორივე მხარეს გამოშვერილი აქვს.

გამოკრებითი კითხვა ჩატარდება ფაქტებზე ორიენტირებული კითხვებით (პასუხებს ტექსტში ამოიკითხავენ):

— რა იყვნენ ერთმანეთისათვის თაფლო და ბაცია? დაადასტურეთ ტექსტიდან (და და ძმა „უკვე ყველას ეშინია ჩემი, დროა, ფარის ნინამძღოლი გავხდე“, — ეტრაბახებოდა იგი თავის დაიკო თაფლოს“).

— ჩუმად, ბებერმა ვაცმა არ გაიგოს, — აჩუმებდა გათავხედებულ ძმას თაფლო“).

— რა არის ალიკაპი? („ეს იყო ნედლი ტირიფის ღერო, რომელიც მნარედ იჩხვლიო-ტებოდა...“).

— როგორ ახასიათებს ბაქია ბებერ ვაცს? („ბებერ ვაცს უკვე სიარული აღარ შეუძლია... უჭირს გზის გაგნება“).

— როგორ დაეხმარა ბებერი ვაცი წყალში ჩაძირულ ბაქიას? („ბებერი ვაცი მაშინვე იმ ადგილისაკენ გაექანა, სადაც ბაქია გაუჩინარდა და ძლივძლივობით ამოათრია წყლი-დან“).

ორთოეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობასაც მიეცემა სახალისო ფორმა დიდაქტიკური თამაშით „გაბმულხარ, ჩიტო, მახეში!“ (ჯგუფური მუშაობა). ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, ჯგუფის წარმომადგენლები შეამჩნევენ და გაასწორებენ კითხვისას დაშვებულ შეცდომას. იწერება + და —. იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც მეტ +-ს დააგროვებს. შეცდომები მოსალოდნელია შემდეგ სიტყვებში: შეეძინა, დაარქვა, ადვილად, დასდევდა, მეტისმეტად, გავხდე, ჩუმად, საათობით, ფიქრობს, დააგვიანა, საწყალო-ბლად.

აქტივობა 3 — ტექსტის ანალიზი (9 ნუთი):

მოსწავლეები პასუხობენ მასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ გაგებაზე, ანალიზზე, სინთეზზე ორიენტირებულ კითხვებს (II-III-IV დონე).

— რა ნიშნებით შეურჩია ბებია რუსუდანმა თიკნებს სახელები? (თაფლოს დედასთან მსგავსების მიხედვით, ბაციას კი — ბენვის ფერის მიხედვით...)

— რატომ ერიდებოდნენ ფარაში ბაციას? რატომ ეშინოდათ მისი? (ბაციას ალიკაპი გაუკეთეს. ალიკაპს ორი ბოლო ჰქონდა, მახვილი ეშვებით ნინგამოშვერილი, რომლებიც მნარედ იჩხვლიო-ტებოდა, ამიტომ ეშინოდათ და ერიდებოდნენ მას).

— რა შეარქვეს ფარაში მეტსახელად ბაციას?

— როგორ ფიქრობთ, ამართლებდა იგი ამ მეტსახელს? (ამართლებდა. რადგან ბაცია ძალზე ბაქია იყო. მეტისმეტად დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავისთავზე. „უკვე ყველას ეშინია ჩემი, დროა ფარის ნინამძღოლი გავხდე“ — ტრაბახობდა ბაქია).

— რატომ არ მოსწონდა ბაციას ფარის წინამძღოლი ბებერი ვაცი? (სიარული აღარ შეუძლია, საათობით ფიქრობს, უჭირს გზის გაგნება...).

- რა მოუვიდა მოუთმენელ ბაციას? (თავაწეულმა შეტოპა წყალში, ჩაიძირა....).
- რომელი ანდაზები გაგახსენათ ბაციას ამ საქციელმა? („დედის ნინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლის ძვილიო“, „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“.)

აქტივობა 4 — გეგმის შედგენა (5 ნუთი):

მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ (ჯგუფებში მუშაობა), თითოეული ჯგუფიდან მოისმენენ ცალკეული ნაწილის სათაურს, შეარჩევენ უკეთესს და წერენ დაფაზე. გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

თიკებისათვის სახელების შერქმევა
ონავარი ბაციასათვის ალიკაპის გაკეთება
ბაქიასთვის ზედმეტსახელის შერქმევა
ბაქიას გაუჩინარება წყალში

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

ა) როული სიტყვების მართლწერა (2 ნუთი)

წვერცანცარა, წვერგამოშვერილი, მეტისმეტად, წინამძღოლი, ბაქიბუქა, ზედმეტსახელად, თავაწეული, ძლივძლივობით.

არკვევენ, რატომ იწერება ერთად (მართალია, ორი ფუძისგან შედგება, მაგრამ ერთ საგანს აღნიშნავს. შუაში და კავშირის ჩასმა შეუძლებელია).

ბ) ომონიმებზე მუშაობა (2 ნუთი)

ტექსტში მოცემულ წინადადებებში — „უკვე ყველას ეშინია ჩემი; დროა, ფარის წინამძღოლი გავხდე“, „ბაციამ მხოლოდ ერთხელ მოახერხა წყლიდან თავის „ამოყოფა“. მოსწავლეები აკვირდებიან სიტყვებს „გავხდე“, „მოახერხა„. მასწავლებლის დავალებით ამ სიტყვებს იყენებენ წინადადებებში, რომლებშიც მათ განსხვავებული მნიშვნელობა ექნებათ; მაგ: „ბევრს ვვარჯიშობ, მინდა ცოტა მაინც გავხდე“. „მუშამ მორს ბოლო მოახერხა“.

„გავხდე“ პირველ წინადადებაში ნიშნავს რალაცის მიღწევას, მეორეში კი გახდომას — წონაში დაკლებას.

„მოახერხა“ პირველ წინადადებაში ნიშნავს მოხერხებას, მეორეში კი მოხერხვას.

გ) განაგრძეთ (2 ნუთი):

ნიმუში: ვისაც თავი აქვს აწეული — თავაწეული
ვისაც თავი აქვს დახრილი — (თავდახრილი)
ვისაც თავი აქვს გატეხილი — (თავგატეხილი)
ვისაც თავი აქვს მოტვლებილი — (თავმოტვლებილი)
ვისაც თავი აქვს მოჭრილი — (თავმოჭრილი.)

აქტივობა 6 — შეჯამება (3 ნუთი):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (რა არის ალიკაპი, რომელ შინაურ ცხოველს უკეთებენ და როდის, როდის და რის მიხედვით არქმევენ ზედმეტსახელებს; რა მოჰყვება დაუჯერებლობასა და თავზე მეტისმეტად დიდ წარმოდგენას).

აქტივობა 7 — შეფასება (2 ნუთი):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს.

პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა; ბ) მსჯელობა კლასში (აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა); გ) პრეზენტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა).

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (2 ნუთი):

„პირველი ნაბიჯი“ — I თავითხრობით. შეურჩიონ სათაური პირველ თავს („თაფლოდა ბაცია“, „ალიკაპი“, „ტრაპახა ბაცია“, „ბაქია ბაცია“...). შინ წაიკითხონ მოთხრობის მეორე თავიც და მთლიან ტექსტში მოინიშნონ (ამოინერონ) სიტყვები, რომლებიც ბაციას დამახასიათებელ თვისებებზე მიგვითითებს (ბაქია, წაზენვიანი, ბაცი ცისფერი ბეწვით შემოსილი, ონავარი, გათავხედებული, ცერცეტი).

შედეგების კოდი: IV1, IV2, IV5, IV12, IV14.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტზე მუშაობა („პირველი ნაბიჯი“, II თავი) — (8 ნუთი)

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ როლებად (**ავტორი, დედა, ბაცია, მწყემსი**). რადგან ავტორის სიტყვები ბევრია, მისი წაკითხვა შეიძლება დავავალოთ სამ ბავშვს. ხელმეორედ, ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: **ციცაბო, ძეძვნარი, გაეხირა, რევმატიზმი, ფონი, ბაკი, უგვანო** — ეს სიტყვები სახელმძღვანელოშია ახსნილი, სასურველია, აგრეთვე აიხსნას შემდეგი სიტყვები: **ირიბად — დახრილად, თავპირის მტვრევით — ძალიან ჩქარა, კისრისტებით. ფთილა — გაჩერილი ან გაპენტილი მატყლის (ბამბის) ხელისგულისდენა ნაწილი, რომელიც შემდეგ უნდა დაირთოს. ხევი — მდინარის ღრმა კალაპოტი (მთებში). პატარა მდინარე მთებს შუა; ჭალა — ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას. უთავბოლო — უწესრიგო, არეულ-დარეული. ზანზალაკი — პატარა ზარი.**

აქტივობა 2 — მოთხრობის დაყოფა მონაკვეთებად და დასათაურება (ჯგუფებში მუშაობა) (7 ნუთი):

ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს თითოეულ სურათს წარმოადგენს თითოეული ჯგუფი, მოსაწონი სათაურები დაიწერება დაფაზე. გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

**ბაქიას ტრაპახი
ძეძვნარში
ბაციას ავადმყოფობა
ბაციას სურვილი
დედის რჩევა
მწყემსის სტუმრობა
ახალი წინამძღოლი**

აქტივობა 3 — ტექსტის ანალიზი (სიღრმისეული წვდომა) (11 ნუთი):

მოსწავლეები გამომეტყველებით კითხულობენ ტექსტს. უპასუხებენ მასწავლებლის მიერ დასმულ გაგებაზე, ანალიზზე, სინთეზზე ორიენტირებულ კითხვებს (II-III-IV დონე).

— როგორ განაგრძობდა ბაცია ფარის წინამძღოლის ბეჭერი ვაცის ლანძღვა-გინებას?

— რა დარიგებებს იძლეოდა დედა თხა?

— რამდენად მისაღებად გეჩვენებათ დედა თხის რჩევა დარიგებანი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— ბაციას რა თვისებები ჩანს ამ მოთხოვნაში? (ტრაბახა, ამპარტავანი, თავხედი, სულსნრაფი, ცერცეტი, ონავარი, დაუჯერებელი, მაგრამ ბოლოს ინანიებს თავის შეცდომას და სწორ გადაწყვეტილებას იღებს — თითოეულ თვისებას ადასტურებენ ტექსტის მიხედვით).

— როგორია ბაცია მოთხოვნის დასაწყისში? (ბაჯია და დაუჯერებელი).

— მოთხოვნის ბოლოს? (დაკვირვებული, ფიქრობს სწორი გზის არჩევაზე, პირველი ნაბიჯის სწორად გადადგმაზე, სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე).

— რამ შეცვალა იგი? (მწყემსმა იგი წინამძღოლად აირჩია; ბაციამ იგრძნო: რაკი ამხელა მოვალეობა დააკისრეს, უთავბოლო კუნტრუში აღარ შეშვენოდა; ამასთან — ბაციას სწორ გზაზე დაყენებას ხელი შეუწყო თითოეული მოქმედი პირის კეთილმა განწყობამ მის მიმართ).

— როგორ ფიქრობთ, რისი თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის? (შეიძლება შეცდომა დაუშვა, მთავარია, შენ თვითონ აღიარო და გამოასწორო, მიიღო სწორი გადაწყვეტილება).

უპასუხებენ აქტივობების რვეულში მოცემულ ტესტს:

ბაცია იყო:

ა) დიდგულა და ბოროტი

ბ) სულსნრაფი და თავისთავში ზედმეტად დარწმუნებული

გ) ამაყი და უკარება

(სწორი პასუხია ბ)

ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ მოცემულ პირველ დავალებას: თქვენი აზრით სწორი იყო დედის რჩევა? (დიახ, არა). ადასტურებენ თავიანთ აზრს.

აქტივობა 4 — შინაარსის გადმოცემა (6 ნუთი):

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს წინასწარი შედგენილი გეგმისა და მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მიხედვით.

აქტივობა V — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

ა) სიტყვათა მართლწერა (4 ნუთი) (გამოიყენება ტექსტი) — ვარჯიშობენ შემდეგი სიტყვების მართლწარმოთქმასა და მართლწერაზე

დაფრთხენენ, თავ-პირის მტვრევით, ნაზენვიან, ფთილა-ფთილად, ამაოდ, რევ-მატიზმი, წინამძღოლი, მიიღებდეს, კბილები, გამოცდილია, ამინდი, ჩრდილიანი, ჭკვიანად, ნიშნად, გრძნობდა, დააკისრეს, უთავბოლო, სხვადასხვა, ვაც-თიკანი, მოთმინებით.

ბ) გადაიყვანეთ ზმნები პირველ პირში:(3 წუთი): უ-ს წინ ვ-ს წერა
 ნიმუში: ძერამ გადაუფრინა ექიმმა დაუბარა
 მე გადავუფრინე მე —————— (დავუბარე)

წინამდოლი ურჩევს ექიმმა გაუშვა
 მე —————— (ვურჩევ) მე —————— (გავუშვი)

ბებიამ მოუყვანა ბაქია უსმენდა
 მე —————— (მოვუყვანე) მე —————— (ვუსმენდი)

გ) ანდაზებზე მუშაობა (3 წუთი) მოთხრობის შესაფერისი ანდაზების გახსენება („ზოგი ჭირი მარგებელია“, „დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის შვილიო“, „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“. „შეაყარე კედელს ცერცვი“...)

აქტივობა 6 — გაკვთილის შეჯამება და შეფასება (3 წუთი)

აქტივობა 7 — საშინაო დავალება (2 წუთი): „პირველი ნაბიჯი“, II თავი თხრობით. შეურჩიონ სათაური მეორე თავს („ახალი წინამდლოლი“, „ბაცია გამოსწორდა“. „ბაციას ფიქრები“...). წერითი სამუშაო: ტექსტის მიხედვით დაწერე „ზოგი ჭირი მარგებელია“ (დავალება №2. აქტივობების რვეული.).

შედეგების კოდი: IV4, IV6, IV7, IV9, IV10.

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა და ანალიზი (15 წუთი):

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. ყურადღება ექცევა მესამე პირში თხრობას (ტექსტში პირველი პირის ფორმითაა გადმოცემული ძირითადად ბაციას სიტყვები, ხოლო მეორე პირის ფორმით დედა თხის, თაფლოსა და მწყემსის მონათხრობი), ფაქტების ლოგიკური თანამიმდევრობას, ორთოეპიასა და ორთოგრაფიას.

ტექსტის საანალიზოდ მოსწავლეები ერთმანეთს დაუსვამენ კითხვებს (წყვილებში მუშაობა), აფასებენ შეკითხვებზე მიღებულ პასუხებს. მსჯელობენ ბაციას უარყოფით თვისებებზე, რამ შეუწყო ხელი ბაციას გამოსწორებას, რით მთავრდება მოთხრობა. („ფარა მოთმინებით ელოდა ახალი წინამდლოლის პირველ ნაბიჯს“). იმსჯელებენ, განსაკუთრებით რა მოეწონათ ამ მოთხრობაში, რომელი მოქმედი პირის საქციელია მოსაწონი. (მოსაწონია: **თაფლო** — იგი ყოველთვის არიგებდა გათავსედებულ ძმას, **ბე-ბერი ვაცი** — მიუხედავად იმისა, რომ ბაცია მას სულ დასცინოდა, როცა ბაცია წყალში გაუჩინარდა, ბებერი ვაცი მაშინვე იმ ადგილისაკენ გაექანა, სადაც ბაქია გაუჩინარდა, და ძლივდლივობით ამოათრია წყლიდან; **დედა თხა** — მუდამ სწორ რჩევასა და დარიგებას აძლევდა ბაციას: **ბებია რუსუდანი** — ექიმი მოუყვანა ბაციას, კარგად უვლიდა ავადმყოფს; **ექიმი** — კარგად მოუარა ბაციას და ბებიასაც სათანადო დარიგება მისცა, როგორ მოევლო ავადმყოფისათვის; **მწყემსი** — წინამდლოლად შეარჩია ბაცია, მანვე შეაბა ყელზე ზანზალაკი). ასე რომ თითქმის ყველა მოქმედი პირი ეხმარებოდა ბაციას, რამაც შეუწყო ხელი მის გამოსწორებასა და სწორ გზაზე დაყენებას.

აქტივობა 2 — მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა (10 ნუთი):

ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ №3 დავალებას — გააგრძელეთ ეს ტექსტი (წყვილებში მუშაობა) წერითი სამუშაო. (სასურველია, მოთხრობა ისე გაგრძელდეს, რომ ბაცია წარმოგვიდგეს კარგ წინამდლოლად: კმაყოფილი ჰყავს მთელი ფარა, იყენებს ბებერი ვაცის გამოცდილებას და ნანობს, რომ მას დასცინოდა და აუგად მოიხსენებდა).

აქტივობა 3 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (12 ნუთი):

აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ წინადადებებს:

„ბაცია გარეთ გა-ვარდა

ბაცია კლდიდან გადმო-ვარდა

ბაცია ძეძვნარში შე-ვარდა

ბაცია ძეძვნარიდან გამო-ვარდა


ბაცია წყალში ჩა-ვარდა“.

არკვევენ, რომელია ამ წინადადებებში ზმნები (გავარდა, გადმოვარდა, შევარდა, გამოვარდა, ჩავარდა), საიდან საით არის ამ ზმნებში მოქმედება მიმართული: „გა-ვარდა“ — მოქმედება მიმართულია შიგნიდან გარეთ, „გადმო-ვარდა“ — ზევიდან ქვევით, „შევარდა“ — გარედან შიგნით; „გამო-ვარდა“ — შიგნიდან გარეთ, „ჩა-ვარდა“ — ზემოდან ქვემოთ.

ასევე არკვევენ საიდან საით არის მოქმედება მიმართული ზმნებში ა-ვიდა (ქვევიდან ზევით), ჩამო-ვიდა (ზემოდან ქვევით), შე-ვიდა (გარედან შიგნით), გამო-ვიდა (შიგნიდან გარეთ), გადა-ვიდა (აქედან იქით — დაბრკოლების გადალახვით). ადგენენ, ამ ზმნებში მოქმედების მიმართულებას აღნიშნავს თავსართები ა, ჩამო, შე, გამო, გადა.

ამოკითხავენ **სათანადო წესს** სახელმძღვანელოში: **ზმნის წინა ნაწილს, რომელიც ზმნაში მოქმედების მიმართულებას აღნიშნავს, ზმნისწინი ეწოდება. გა, ჩამო-, შე-, გამო-, გადა... ზმნისწინებია.**

აგსებენ სქემას — ზმნისწინების დართვით იღებენ ახალ-ახალ ზმნებს:



აკვირდებიან და არკვევენ რა განსხვავებაა მათ შორის (აღნიშნავენ სხვადასხვა მიმართულებას).

ასრულებენ აქტივობების რვეულში მოცემულ № 4 დავალებას: მოცემული ტექსტიდან ამოინერე მხოლოდ ზმნისწინიანი ზმნები (პასუხია: ჩავყარე, ჩასულა, ამოვყარე, შემოჯდა, მოვუქნიე, გაიქცა, მოიყვანა, წამართვა).

აქტივობა 4 — გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 ნუთი)

**აქტივობა V — საშინაო დავალება (3 ნუთი): „პირველი ნაბიჯი“ — თხრობით.
წერითი დავალება:**

**ა) „აქტივობების რვეულში“ № 5 დავალება: შეავსე გამოტოვებული ადგილები
ზმნისწინებით (პასუხებია: მი, შე, ჩა, ამო, გა, გადა).**

**ბ) „პირველი ნაბიჯის“ მეორე თავის პირველ და მეორე აბზაციდან ამონერეთ
ზმნისწინიანი 7 ზმნა: (ნიმუში: მიაბაკუნებდა, გადახტა, გასწია, შეხვალთ, გადაუფრინა,
მიაშურეს, გარბოდნენ).**

შედეგების კოდი: IV3, IV4, IV6, IV7, IV8, IV12, IV14.

გაპგეთილების მასალა

„როგორ გაჩნდა ჭადრაკი“ (აღმოსავლური თქმულება),
ფრაზეოლოგიზმები

მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- საგანთშორისი კავშირი მათემატიკასთან
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- მარტივი საკომუნიკაციო ტექსტის შეთხზვა (ლიტერატურული პერსონაჟისათვის წერილის მიწერა)
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება
- ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- ადგენს გეგმას
- გადმოსცემს ტექსტის შინაარსს
- ავლებს პარალელს მათემატიკურ ცნებებთან (მრავალნიშნა რიცხვთა კლასი, მასის საზომი ერთეულები)
- აჯამებს წაკითხულს, აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- წერს
- ადგენს მარტივ საკომუნიკაციო ტექსტს
- ვარჯიშობს მცდარად დაწერილი ფორმების გასწორებაზე
- ეუფლება ფრაზეოლოგიზმებს, იყენებს მათ მეტყველებაში

I. ტექსტზე მუშაობა

1. შესავალი საუბარი — მასწავლებელი კლასს ესაუბრება ჭადრაკზე, არკვევს, რა იციან მოსწავლეებმა ამ თამაშის შესახებ, თუ იცნობენ ამ თამაშის წესებს, ჭადრაკის ფიგურების სახელწოდებებს...

ინფორმაცია მასწავლებლისათვის — ჭადრაკი, ინტელექტუალური თამაში, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის ელემენტები, ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას, თვითკრიტიკის განვითარებას. ჭადრაკის პარტიას თამაშობს 2 პარტნიორი თეთრი და შავი ფიგურებით 64 უჯრედიან დაფაზე, რომელიც დაყოფილია მუქი და ღია ფერის უჯრებით. ყოველ პარტნიორს აქვს 8 ფიგურა (მეფე, ლაზიერი, 2 ეტლი, 2 მხედარი, 2 კუ) და 8 პაიკი. ყოველი ფიგურა (მეფის გარდა) დადის გარკვეული წესრიგის შესაბამისად და მისი აყვანა

შეიძლება მოწინააღმდეგის ფიგურით. თამაშის მიზანია მოწინააღმდეგის მეფის დაშამათება. ეს თამაში აღმოცენდა ინდოეთში V საუკუნეში. ჭადრაკი მოხსენიებულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში. ჩვენში ჭადრაკის უძველესი ფიგურები დათარიღებულია XIII საუკუნით. პირველი ქართველი მოჭადრაკე, რომელიც გავიდა საერთაშორისო სარბიელზე, იყო ანდრია დადიანი (ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის შვილი). 1926 წელს მოენყო თბილისში მასობრივი ტურნირი, რომელშიც 600 კაცი მონაწილეობდა. 1928 წელს ჩატარდა ვაჟთა, ხოლო 1935 წელს — საქართველოს ქალთა ჩემბიონატები. ქართული ჭადრაკის პოპულარიზაციაზე განსაკუთრებით იმოქმედა მსოფლიოს ხუთგზის ჩემბიონის ნონა გაფრინდაშვილის საერთაშორისო ნარმატებებმა.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები, გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. ამავე მიზნით მოსწავლეები განმეორებით კითხულობენ ტექსტს ჩუმადაც. ახალი ლექსიკური ერთეულები აიხსნება „სიტყვის სალაროს“ დახმარებით, ასევე — მოსწავლეთა საერთო ძალებით. გაირკვევა, რის შესახებ არის დაწერილი ეს ტექსტი, ვინ და ვინ არიან მისი მთავარი მოქმედი პირები (მეფე და ფილოსოფოსი), არამთავარი გმირები (კარისკაცები — ვეზირები, სეფექალები, სასახლის მეჭურჭლეთუხუცესი), მათი ხასიათის რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში (მეფე ახალგაზრდაა, გამოუცდელი და თავისთავში დარწმუნებული; ადვილად იძლევა დაპირებებს, სჯერა თავისი კარისკაცების; ფილოსოფოსი ბრძენია, არ იზიდავს ამქვეყნიური სიმდიდრე და პატივი, შეუძლია მეფეს უთხრას სათქმელი არაპირდაპირ, თამაშის საშუალებით. მან შეძლო მეფისათვის თვალის ახელა და საკუთარი ნაკლოვანებების დანახვება, ამავე დროს მეტისმეტად მოხერხებულია; კარისკაცები და სეფექალები მლიქვნელები არიან)... მოსწავლეები თითოეული გმირის დახასიათებისათვის ეძებენ სათანადო ადგილებს ტექსტში და ამით ასაბუთებენ თავის აზრს.

გაანალიზდება, რატომ იყო მეფე მეტისმეტად თავდაჯერებული, რა იყო ამის მიზეზი (კარისკაცთა მლიქვნელობა, გამოუცდელობა, ახალგაზრდული ასაკი), როგორ შეძლო ფილოსოფოსმა მეფისათვის თვალის ახელა, რამდენად გამართლებულად ეჩვენებათ მისი საქციელი, რატომ... როგორია მეფე ტექსტის დასაწყისში, ტექსტის ბოლოს, რამ განაპირობა მისი ასეთი ცვლილება; რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი, რომელ სტრიქონებშია ეს გადმოცემული... რამდენად უკავშირდება ტექსტის ბოლოს მოცემული ანდაზა ტექსტის სათქმელს; რატომ ჰქვია ამ ტექსტს „თქმულება“, რა იგულისხმება „თქმულებაში“ (ტექსტში გადმოცემული ამბავი შეიძლება არ შეეფერებოდეს სინამდვილეს); შეეძლო თუ არა მეფეს, თავის დაეხსნა მოცემული სიტყვის შესრულებისაგან (შეეძლო, თუ თავად ფილოსოფოსს სთხოვდა ამ მარცვლების დათვლას).

3. საგანთშორისი კავშირი მათემატიკასთან — მრავალნიშა რიცხვებს ამ ეტაპზე მოსწავლეები უკვე იცნობენ, წერენ ამ რიცხვებს დაფაზე და აანალიზებენ ერთეულთა, ათასეულთა კლასებს; ეძებენ ტექსტში მასის საზომ ძველ ერთეულებს — ამბარი, საწყავი...

4. ნაკითხულის გააზრება — შეამოწმე შენი თავი (სწორი პასუხია გ) დავალება №1 (ა. მეფისათვის მთავარი ხალხის თანადგომაა, ბ. დაუფიქრებლად არავის არაფერს არ უნდა შეჰქირდე).

5. შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები ადგენენ შინაარსის გადმოსაცემად გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

მეფის თავდაჯერებულობა
ფილოსოფოსის გადაწყვეტილება
ჭადრაკის შექმნა
თამაშში ჩაქსოვილი სიბრძნე
გასამრჯელო ფილოსოფოსისათვის
ფილოსოფოსის ვალი
ამ საკითხებიდან მოსწავლეები არჩევენ ერთ-ერთს და წერილობით გადმოსცემენ მის შინაარსს. უნდა დაასაბუთონ თავისი აზრი, რატომ შეაჩერეს თავიანთი არჩევანი ამ საკითხზე. წერის დამთარებისას აფასებენ საკუთარ ცოდნას (დავალება შევასრულე: ა. ძალიან კარგად, ბ. კარგად, გ. გამიჭირდა), თვითშეფასებას უდარებენ მასწავლებლის შეფასებას, აკეთებენ სათანდო დასკვნას.

6. საკუმუნიკაციო ტექსტის შექმნა — დავალება №3.

II. ენობრივ მასალზე დაკვირვება

1. **სინონიმებზე მუშაობა** — პირველ აბზაცში გამოყენებულია სამი სინონიმური ზედსართავი სახელი: პირმოთნე — ლაქუცა-მლიქვნელი.

2. ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობა:

- ა) თავბრუ დაახვიეს — თავისთავზე დიდი წარმოდგენა შეუქმნეს
- ბ) ყური მოჰკრა — გაიგო
- გ) საგონებელში ჩავარდა — ჩაფიქრდა
- დ) თვალი აუხილა — სიმართლე გააგებინა
- ე) შიშის ზარი დაეცა — ძალიან შეშინდა

ამ ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით ადგენენ წინადადებებს.

3. **ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება** — დავალება №4. (შეცდომებია სიტყვებში: პირ-მოთნე — პირმოთნე, კარის კაცები — კარისკაცები, სეფე-ქალი — სეფექალი, თავ-ბრუ — თავბრუ, დახვია — დაახვია, ერთად ერთი — ერთადერთი, დასაყდენი — დასაყრდენი, ქვეშერდომები — ქვეშევრმდომები, მხოლოთ — მხოლოდ, მართველი — მმართველი, ძლევა მოსილება — ძლევამოსილება, თავ-დაჯერებული — თავდაჯერებული, ბრძენკაცების — ბრძენკაცების).

შედეგების კოდი: IV1, IV2, IV3, IV7, IV9, IV10, IV13.

გაპგეთილების მასალა

„სიტუაციის ძალა“, ადგილის ზმნიზედა, მირეული და წარმოქმნილი სახელები (პრაქტიკულად, ტერმინების მიწოდების გარეშე)

მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- წაკითხულის შეჯამება და გააზრება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება, საკუთარი აზრის დასაბუთება
- ადგილის ზმნიზედის გაცნობა და მასთან დაკავშირებული ორთოგრაფიულ-სტილური ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- გაიაზრებს წაკითხულს და აკეთებს სათანადო დასკვნებს
- ასაბუთებს თავის აზრს
- იხსენებს რთული სიტყვების მართლწერას
- აკვირდება ძირეულსა და წარმოქმნილ სახელებს (სათანადო ტერმინების მიწოდების გარეშე)
- წერს
- ეცნობა ადგილის ზმნიზედასა და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი დაფაზე წერს ფრაზას: „**სიტყვის ძალა**“ და მოსწავლეებს ეკითხება, როგორ გაიაზრებენ მას. ამ მიზნით შეიძლება კლასი დავყოთ ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს დავავალოთ, წარმოადგინოს თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ.

მოსწავლეთა პასუხების პრეზენტაციის შემდეგ კეთდება დასკვნა — სიტყვას ზოგ შემთხვევაში უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე საქმეს.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — უმჯობესია ტექსტი წავაკითხოთ მოსწავლეებს პაუზებით: I პაუზა: „... რომელზეც ცხენის პატრონს უნდა გამოევლო“, II პაუზა: „დამიხ-სენ სიკვდილისაგან“, III პაუზა: „... ცხენის პატრონმა ... დაუძახა მატყუარას“, IV პაუზა — „... უთხრა ცხენის პატრონმა“. თითოეული პაუზის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს მოქმედების შემდგომი განვითარების შესახებ. თავიანთ ვარაუდს მოსწავლეე-ბი უდარებენ ტექსტისეულ ვარიანტს. მოქმედებს პრინციპი: „ყველას აზრი მისაღებია“. გზადაგზა „სიტყვის სალაროს გამოყენებით“ და კლასის აქტიური მონაწილეობით აიხ-სნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. „სიტყვის სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულების გარდა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს:

დავრდომილი — ავადმყოფი, შეუძლოდ მყოფი

მუხლებში ჯანი არა მაქვს — ღონე არ მაქვს, სიარული არ შემიძლია

გაიკითხავენ — აქ: დაეხმარებიან

ტექსტის ანალიზისას გაირკვევა, რა ხერხს მიმართა უცხოელმა ცხენის ხელში ჩასაგდებად, რატომ მიმართა ამ ხერხს, მისი ხასიათის რა თვისებაზე მეტყველებს ეს საქციელი, რატომ აღმოუჩინა ცხენის პატრონმა მას დახმარება, მისი ხასიათის რა თვისე-ბა ჩანს აქედან, შეეძლო თუ არა მას მოცემულ შემთხვევაში სხვაგვარად მოქცევა, რა-ტომ ითხოვა უცხოელმა პატიება ცხენის პატრონისაგან, რამ იმოქმედა მასზე ასე ძლიერ (ცხენის პატრონის სიტყვებმა თუ მისმა საქციელმა), როგორ მოიქცეოდა ამის შემდეგ უცხოელი... რა არის მთავარი ამ ნაწარმოებში: а) ცხენის დაბრუნება, ბ) ცხენის პატრო-ნის კეთილშობილება, გ) საკუთარი დანაშაულის შეცნობა და მონანიება (სწორი პასუხია გ). ტექსტისათვის სხვა დაბოლოებას ხომ არ მოიფიქრებდნენ, რატომ ჰქვია ამ ტექსტს „სიტყვის ძალა“, შეიძლება თუ არა მას სხვა სათაური შევურჩიოთ...

მოსწავლეები რამდენიმე სიტყვით ახასიათებენ ტექსტის გმირებს: а) უცხოელს, ბ) ცხენის პატრონს (დავალება №1), საკუთარი შეხედულებისამებრ აგრძელებენ ტექსტს (დავალება №2).

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — ტექსტის შინაარსს მოსწავლეები გადმოსცე-მენ გაბმული თხრობით, შეიძლება გამოვიყენოთ ინსცენირებაც — როლებად კითხვა: მთხოვთ ცხენის პატრონი, უცხოელი.

4. თავისუფალ თემაზე ზეპირი თხზულების შედგენა — კლასს ვთავაზობთ შოთა რუსთაველის აფორიზმს: “გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი”, ვავალებთ შექმნან ტექსტი ამ აფორიზმის მიხედვით.

II. ენობრივ მასალზე დაკვირვება

1. რთული სიტყვების მართლწერა — დაფაზე იწერება სიტყვები: პირი-სახე, ხელ-ფეხი, ლუკმა-პური, გულკეთილი, ორგული. მოსწავლეები აანალიზებენ, რომელი სი-ტყვა იწერება დეფისით, რომლები — უდეფისოდ, იხსენებენ რთული სიტყვების მართლ-წერის სათანდო წესს, ასახელებენ სხვა მაგალითებსაც.

2. ძირეული და წარმოქმნილი სახელები :

ცხენი — ცხენოსანი
ფრიადი — ფრიად... (ოსანი)
გვირგვინი — გვირგვინ... (ოსანი)
მანდილი — მანდილ... (ოსანი)
ფრთა — ფრთ... (ოსანი)
ჩოხა — ჩოხ... (ოსანი)

(ბოლოსართი -ოსან ამ სიტყვებში აღნიშნავს რაიმეს ქონა-ყოლას).

3. ადგილის ზმნიზედა — დაფაზე იწერება წინადადება: „მასპინძელმა სტუმარი შინ მიიპატიჟა“. კლასს ვავალებთ, მოძებნონ ამ წინადადებში ის სიტყვა, რომელსაც დაესმის კითხვა „სად“? (შინ). გაირკვევა, რას აღნიშნავს იგი (მოქმედების ადგილს), რომელ სი-ტყვას დაერთვის (მიიპატიჟა — ზმნას). ეძლევა დასკვნა: **სიტყვა, რომელიც დაერთვის ზმნას და გვიჩვენებს, სად ხდება მოქმედება, ადგილის ზმნიზედაა.** მისი კითხვაა **სად?** (შინ, გარეთ, ზემოთ, ქვემოთ, წინ, უკან, მაღლა, დაბლა...). ამ ცოდნის გამოყენებთ სრულდება სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშო და დავალებები №3 და №4.

შედეგების კოდი: IV1, IV2, IV3, IV5, IV7, IV10, IV11, IV12, IV13.

მომდევნო 1 საათს მასწავლებელს ვუტოვებთ ე. წ. „თავისუფალი“ მუშაობისათვის.

გაპეტილების მასალა

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, დროის ზმიზედა

მიზნები

- ლიტერატურული ტექსტების კითხვა და გააზრება
- საკუთარი დასკვნების გაკეთება და დასაბუთება
- ლიტერატურის უანრებზე (იგავ-არაკი, ზღაპარი) დაკვირვება
- მხატვრული ტექსტის შექმნა ანდაზის მიხედვით
- დროის ზმიზედისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გაცნობა
- შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან პარალელების გავლება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს იგავ-არაკებს, აკეთებს დასკვნებს და ასაბუთებს თავის აზრს
- ავლებს პარალელებს შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან
- ერთმანეთთან აკავშირებს წაკითხულ მასალასა და ანდაზებს
- აკვირდება ლიტერატურული უანრების (იგავ-არაკი, ზღაპარი) სახეებს, ეძებს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას
- ადგენს მხატვრულ ტექსტს ანდაზის მიხედვით
- წერს
- ეცნობა დროის ზმიზედას
- მუშაობს წყვილებში, ჯგუფურად

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს ახსენებს წინა კლასებში შესწავლილ იგავ-არაკებს, ყურადღებას ამახვილებს იგავ-არაკის რაობაზე, იმ მსგავსებასა და განსხვავებაზე, რაც იგავ-არაკსა და ზღაპარს შორის არსებობს, მოკლედ ესაუბრება სულხან-საბა ორბელიანის შესახებ.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ა) **სულხან-საბა ორბელიანი** (1658—1725 წ.წ.), აღორძინების ხანის მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ენციკლოპედისტი, პოლიტიკური მოღვაწე. პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო ქართლის მეფის — გიორგი XI-ის — კარზე, 1698 წელს ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის მონასტერში და იწოდა **საბად** (ამით აიხსნება მისი ორმავი სახელი: ერობაში — სულხანი, ბერობაში — საბა). მაღვე ის კვლავ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაეხდა და ვახტანგ VI-ის უახლოესი მრჩეველი გახდა. 1713 წელს მან დიპლომატიური მისით იმოგზაურა იტალიასა და საფრანგეთში. 1724 წელს ვახტანგ VI-სთან ერთად წავიდა პოლიტიკურ ემიგრაციაში მოსკოვში და იქ გარდაიცვალა კიდევ 1725 წელს. იყო ავტორი ფრიად საგულისხმო ლიტერა-

ტურული და ფილოლოგიური ნაშრომებისა: „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“, „ქართული ლექსიკონი“. მასვე ეკუთვნის „ქილილასა და დამანას“ „ქართული თარგმანის რედაქციაც.

ბ) იგავ-არაკი — მცირე ზომის ლექსი ან მოთხობა, რომელშიც ამბავი გადმოცემულია ნართაულ-ად, ალევორიებით. ადამიანების გარდა, მის გმირებად ხშირად გვევლინებიან ცხოველები, ფრინველები, მწერები... თხრობის დასასრულს ავტორი მკითხველს სთავაზობს რჩევა-დარიგებას ყოფითს ან ზნეობრივ საკითხებზე. ეს უანრი ცნობილია უძველესი დროიდან: ეზოპეს (საბერძნეთი, ძვ. წელთაღრიცხვის VI ს.), ფედრუსის (რომი, ახ. წელთაღრიცხვის I ს.), ლაფონტენის (საფრანგეთი, XVII ს.), ლესინგის (გერმანია, XVIII ს.), აგრეთვე ინდური კრებული „პანჩატატრა“ (III-IV ს.ს.), რომელიც საქართველოში შემოვიდა სპარსეთიდან „ქილილასა და დამანას“ სახელწოდებით. ქართულ მნერლობაში იგავ-არაკები ძველთაგანვე დამკვიდრდა, გვაქვს როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი იგავ-არაკები. ისინი „ვეფხისტყაოსანშიც“ უხვად არის ჩართული. საქართველოში ამ უანრის პოპულარიზაციაში უდიდესი წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბე-ლიანმა, რომელიც თავის კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ იყენებს როგორც თარგმნილ, ისე ორიგინალურ იგავ-არაკებსაც.

გ) ზღაპარი — ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უანრი, უმეტესად პროზაული სახის, ჯადოსნური, სათავგადასავლო ან ყოფითი ხასიათის. ჯადოსნურ ზღაპრებს იგავ-არაკებთან ამსგავსებს ის, რომ აქაც მოქმედი პირები ცხოველები ან ფრინველები არიან, მაგრამ იგავ-არაკებისავან განსხვავებით, ზღაპარში ცხოველები და ფრინველები ადამიანის ალევორიული გამოხატულებანი არ არიან, არც რჩევა-დარიგებას სთავზობს იგი მკითხველს.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ თავიდან ბოლომდე. (თავად მასწავლებელს ვანდობთ იმის გადაწყვეტას, რამდენი იგავი დაამუშავოს ერთ გაკვეთილზე). კითხვის პროცესში აიხსნება ახალი სიტყვები და გამოთქმები. თითოეული იგავის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები აანალიზებენ, რისი თქმა სურს მწერალს, რა შეფარული დარიგებაა თითოეულ იგავ-არაკები, მოძებნონ და წაიკითხონ ტექსტიდან ის ადგილები, სადაც მწერლის სათქმელი ყველაზე ნათლად იკითხება, ავლებენ პარალელებს ადრე შესწავლილ იგავ-არაკებთან, მსჯელობენ, რა აქვთ მათ საერთო; ასევე ავლებენ პარალელს წინა გაკვეთილზე შესწავლილ ხალხურ თქმულებას „სიტყვის ძალასა“ და „ხალიფასა და არაბს“, „ენით დაკოდილს“ შორის (აქ მსგავსება შეიძლება მოვიძიოთ როგორც სიუჟეტებს, ისე მწერლის სათქმელს შორის); გაანალიზდება, რა არის მთავარი ამ იგავ-არაკებში („შეამოწმე შენი თავი“ — სწორი პასუხებია: 1ბ, 2ა, 3ა); მოსწავლეები ასაბუთებენ თავის აზრს (დავალება №1), იხსენებენ ანდაზებს, რომლებიც, მათი აზრით, შეეფერება წაკითხულ ტექსტებს („კარგი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“, „სხვას ნუ გაუკეთებ ავს და ავისაც ნუ გეშინია“, „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, „ხმალზე უფრი ძლიერად ჭრის პატარა და ლბილი ენა“, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“...); ზეპირად ასაბუთებენ მათს შესაბამისობას წაკითხულ ტექსტებთან, შემდეგ ერთ-ერთი ანდაზის მიხედვით ადგენენ და წერენ ტექსტს (დავალება №3); თხრობით გადმოსცემენ თითოეული იგავ-არაკის შინაარსს.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

დროის ზმნიზედა — დაფაზე იწერება წინადადება: „გუშინ თან არაფერი მქონდა წამოღებული, ახლა კი ეს ცხენი უკან მოგიყვანეთ“. — გაირკვევა, ამ წინადადებში რომელ სიტყვებს დაესმის კითხვა როდის? (გუშინ, ახლა). ეძლევა დასკვნა — სიტყვა, რომელიც ახლავს ზმნას და გვიჩვენებს როდის ხდება მოქმედება, ადგილის ზმნიზედაა. გუშინ, ახლა — ადგილის ზმნიზედებია. ასევე გაანალიზდება წინადადებები: „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, „ძველად ინდოეთს გამოუცდელი მეფე მართავდა“, „წინათ აქ მეფის სასახლე იყო“. გაირკვევა, რომ აქ დროის ზმნიზედებია: „დღეს“, „ძველად“, „წინათ“. ეძებენ შესწავლილ ტექსტში დროის სხვა ზმნიზედებსაც: შემდეგ, მაშინ, ერთხელ, გვერდზე, ერთ დღეს... წერილობით სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV2, IV3, IV5, IV6, IV7, IV9, IV11, IV14.

გაკვეთილების მასალა

გიორგი შატბერაშვილის „დინოზავრის ნაკვალევზე“ (ნაწევეტი მოთხოვიდან „სათაფლია“), ვითარების ზმნიზედა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები

მიზნები

- აღნერითი ტექსტის კითხვა და ანალიზი
- საგანთშორისი კავშირი ბუნებისმცოდნეობასთან
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ტექსტის შინაარსის გადმოცემა გაბმული თხრობით
- მოცემულ თემებზე მარტივი აღნერითი და მხატვრული ტექსტების შექმნა
- საგანმანათლებლო ინფორმაციის შეჯამება: რა ვიცოდი დინოზავრების შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს
- ვითარების ზმნიზედასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გაცნობა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს აღნერით ტექსტს
- აჯამებს მიღებულ ინფორმაციას
- ავლებს პარალელებს ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მიღებულ ინფორმაციასთან
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს, აგებს მარტივ აღნერით და მხატვრულ ტექსტებს
- ეცნობა და მეტყველებაში მართებულად იყენებს ვითარების ზმნიზედას, ეუფლება მასთან დაკავშირებულ პრაქტიკული სტილისტიკისა და ორთოგრაფიის საკითხებს

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ამ ეტაპის დაგეგმვა სხვადასხვანაირად შეიძლება მოხდეს:

ა) მოსწავლეები გაიხსნებენ რა იციან ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილებიდან ქვე-ნარმავლების კლასის შესახებ, ბ) ათვალიერებენ დინოზავრის სურათს და მსჯელობენ მის შესახებ (როდის ცხოვრობდა, რით იკებებოდა...), გ) თუ ამის საშუალებაა, ეს გაკვეთილი, შეიძლება დაუკავშირდეს ექსკურსიას სათაფლიას გამოქვაბულში.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ა) ცარცული პერიოდი დაიწყო 135-137 მილიონი წლის წინ და გრძელდებოდა დაახლოებით 70 მლნ. წელი. ამ დროს ხერხემლიანთა ფაუნაში გავრცელებული იყვნენ დინოზავრები, რომლებიც ამონგიდნენ ცარცული პერიოდის დამთავრებისთანავე. ცარცული პერიოდის ნალექები აღმოჩენილია ყველა კონტინენტზე.

ბ) სათაფლია — მღვიმე ქუთაისის მახლობლად, სამგურალის სერის მახლობლად, დერეფნის ტიპისაა, აქვს განშტოებები და დარბაზები, მისი საერთო სიგრძე 900 მეტრს აღწევს, მაქსიმალური სიმაღლე 10 მ-ია, სიგანე — 12 მ. აქვე მიედინება მდინარე ოდასკურა, რომელიც გამოსავალს პოულობს სამგურალის სერის სამხრეთით. ჰაერისა და წყლის ტემპერატურა აქ წლის განმავლობაში 12-13 გრადუსია. აღმოჩენისას პედაგოგ-მხარეთმცოდნები პეტრე ჭაბუკიანმა. აქვე, მღვიმის შესასვლელთან, აღმოჩენილია მტაცებელი და ბალახიჭამია დინოზავრების 200-მდე ნაკვალევი.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, ტექსტის დამუშავების გზა **ინდუქციურია** — ნაწილიდან მთელისაკენ. კითხვის პროცესში გაანალიზდება აზრობრივად დასრულებული თითოეული მონაკვეთის ლექსიკა, შინაარსი, ინფორმაცია; შედგება გეგმა, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ბიჭების სიხარული
მოგზაურობა სათაფლიისაკენ
დინოზავრების ნაკვალევი
ბიჭების გაოცება
დინოზავრის სურათი
რა დაემართათ დინოზავრებს
გაქვავებული ზღვის ნაპირი
განსხვავებული ნატერფალები...

გაირკვევა, როდის ცხოვრობდნენ დინოზავრები, რით იკვებებოდნენ, როგორ გამოიყურებოდნენ ისინი, როგორ გადაშენდნენ, როგორი იყო კავკასია ამ პერიოდში, რას უნიდებენ ამ პერიოდს, რატომ და როგორ დატოვეს დინოზავრებმა ნაკვალევი სათაფლიის გამოქვაბულთან, რატომ არის ეს ნაკვალევები სხვადასხვა ზომის, რის საფუძველზე სწავლობენ ამჟამად მეცნიერები ამ ცხოველებს... (მოსწავლეები კითხულობენ სათანადო ადგილებს ტექსტიდან); შემდეგ კი აჯამებენ მიღებულ ინფორმაციას და წყვილებში ასრულებენ №3 დავალებას.

ტექსტის მიხედვით აღნერენ: ა) დინოზავრს, ბ) უძველეს კავკასიას (დავალება №1). ადგენენ მარტივ ტექსტს „მოგზაურობა სათაფლიისაკენ“ (დავალება №4).

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეებითანმიმდევრობით გადმოსცემნ ტექსტის შინაარსს გეგმის თითოეული საკითხის მიხედვით.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

ა) პუნქტუაციასა და ინტონაციაზე ვარჯიში — მასწავლებელი კლასს აკვირვებს წინადადებაზე:

„— კი მაგრამ... — დაიწყო ელგუჯამ, მაგრამ პაპა პეტრემ გააწყვეტინა“.

— თქვენი აზრით, რატომ არის აქ ნახმარი **მრავალნერტილი?** რის კითხვა სურდა ელგუჯას? როგორ დაამთავრებთ ამ წინადადებას? **მრავალნერტილით** რაზე მიგვანიშნებს აქ მწერალი?

— მოძებნეთ ტექსტში ა) კითხვითი წინადადებები, ბ) ძახილის წინადადებები, ბ) ბრძანებითი წინადადებები და ნაიკითხეთ ისინი სათანადო ინტონაციით.

ბ) ვითარების ზმნიზედა — დაფაზე იწერება წინადადება „მათ წინ კოლხეთის ველი თავლნარმტაცად მოჩანდა“.

— რომელ სიტყვას დაესმის აქ კითხვა „როგორ“? რომელ სიტყვას დაერთვის იგი? რას აღნიშნავს?

ეძლევა დასკვნა: **სიტყვა, რომელიც დაერთვის ზმნას და გვიჩვენებს როგორ ხდება მოქმედება, ვითარების ზმნიზედაა.** მისი კითხვაა როგორ? თვალნარმტაცად ვითარების ზმნიზედაა.

ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება სახელმძღვანელოში მოცემული დავალება, აგრეთვე „აქტივობების რვეულში“ მოცემული №4, №5 და №6 დავალებები. №4 დავალებაში ყურადღება მახვილდება სიტყვათა მყარ შესამებებზე (ცალყბად მოიკითხა, ცალყბად დაპატიჟა; მკვახედ უპასუხა, მკვახედ თქვა; ყასიდად გაბრაზდა, ყასიდად გაიცინა), აიხსნება ამ ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობები და მათი გამოყენებით შედგება წინადადებები.

შედეგების კოდი: IV1, IV4, IV5, IV6, IV8, IV10, IV11, IV13, IV14.

გაქვეთილების მასალა

გურამ ზეტრიაშვილის „ჩატარა დინოზაფრები“, ზმნიზედა

მიზნები

- ლიტერატურული ზღაპრის კითხვა და ანალიზი
- წაკითხულის გაზრება, სათანდო დასკვნების გაკეთება და დასაბუთება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული თხრობა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ზმნიზედის ფუნქციაზე დაკვირვება, მათი მართლწერა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ზღაპარს
- ავლებს პარალელებს ხალხურ ზღაპართან, აკვირდება იმ მსგავსებასა და განსხვავებას, რაც მათ შორის არსებობს
- ავლებს პარალელს წინა გაკეთილზე შესწავლილ ნაწარმოებთან და აკეთებს სათანადო დასკვნებს
- აფასებს წაკითხულს, გამოხატავს თავის აზრს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- თხრობისას იყენებს ახლადშესწავლილ ლექსიკურ ერთეულებს
- წერს
- ქმნის მარტივ ტექსტს

I. ტექსტზე მუშაობა

1. შესავალი საუბარი — მასწავლებელი კლასს შეახსენებს, რა არის ზღაპარი, როგორ იწყება და მთავრდება ქართული ხალხური ზღაპრების უმრავლესობა („იყო და არა იყო რა“... „ჭირი იქა, ლხინი აქა“...), რა არის ზღაპრებისათვის დამახასიათებელი (მასში მოთხრობილია დაუჯერებელი ამბავი, ხშირად ცხოველები და ფრინველები არიან მთავარი გმირები, მიმდინარეობს ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ყოველთვის იმარჯვებს კეთილი); ესაუბრება ლიტერატურულ ზღაპარზე; გაარკვევს, რომელი ავტორების ზღაპარებს იცნობენ მთელ მსოფლიოში (ძმები გრიმები, შარლ პერო, ასტრიდ ლინგრენი...), რით ჰგავს ლიტერატურული და ხალხური ზღაპრები ერთმანეთს, რით განსხვავდება (ლიტერატურულ ზღაპარს აუცილებლად ჰყავს ავტორი, იგი მხოლოდ წერილობითი სახით არსებობს; ხალხური ზღაპრები კი უცნობი ავტორის მიერ არის შექმნილი და ზეპირად გადაეცემა თაობიდან თაობას, რა დროსაც მასში გარკვეული ცვლილებები შედის).

2. ტექსტის კითხვა — ტექსტი იკითხება თავიდან ბოლომდე, შეიძლება გამოვიყენოთ პაუზებით კითხვაც. პაუზას მასწავლებელი აკეთებს აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებთან და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გამოთქვან ვარაუდი მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ. გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. გარდა „სიტყვის სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები და გამოთქმები:

თავზესაყრელად ჰქონდათ — ძალიან ბევრი ჰქონდათ, **აგე** — აგერ, **კიდე** — ნაპირი, ბოლო; **მინდვრის კიდე** — მინდვრის ბოლო; **მცხუნვარება** — სიცხე; **გაყოყოჩდეს** — გაამაყდეს, თავის თავზე დიდი წარმოდგენა გაუჩნდეს...

მასწავლებელი კლასს ავალებს წაიკითხონ ტექსტი ჩუმად და შეადგინონ გეგმა, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

დინოზავრების ცხოვრება
პატარა დინოზავრის გაოცება
მზის განაწყენება
მზე და პატარა დინოზავრი
დედის გაპრაზება
გაქცევა
უირაფად გადაქცევა
უირაფის სიხარული

3. ტექსტის ანალიზი — გაირკვევა, რატომ იყვნენ დიდი დინოზავრები თავიანთი ცხოვრებით კმაყოფილები (მათ ბალახი თავზესაყრელად ჰქონდათ), რატომ ვერამჩნევდნენ მზეს (ისინი მთელ ცხოვრებას ბალახში თავჩარგულნი ატარებდნენ, არ აინტერესებდათ, რა ხდებოდა მათ გარშემო), რით განსხვავდებოდა პატარა დინოზავრი დანარჩენებისგან (მან პირველმა ასწია თავი ბალახებიდან და შეამჩნია ცაზე დიდი წითელი ბურთი; მას მხოლოდ ჭამა არ აინტერესებდა), რის გაგება სურდა მას (რა იყო ის წითელი ბურთი, ცაზე რომ მოჩანდა), რა სწყინდა (ყურადღებას რომ არავინ აქცევდა; დინოზავრებს რომ არაფერი აინტერესებდათ ჭამის გარდა), რატომ გაიქცა იგი (საერთო ვერაფერი ნახა დანარჩენ დინოზავრებთან), რატომ დაკარგა კუდი (დედამ დაადგა ფეხი), რატომ არ სწყინია დედას შვილის დაკარგვა (სამარცხვინოდ მიაჩნდა ასეთი შვილის ყოლა), რატომ აკოცა მზემ პატარა დინოზავრს (გაუხარდა, ერთმა დინოზავრმა მაინც რომ შეამჩნია), რატომ გადაიქცა დინოზავრი უირაფად (მისი ადგილი აღარ იყო დინოზავრებს შორის, იგი მათგან განსხვავდებოდა, მას მზის ხალები ჰქონდა), როდის მიხვდა პატარა დინოზავრი, რომ წითელი ბურთი მზე იყო (როცა უირაფად გადაიქცა)...

4. წაკითხულის გააზრება — მოსწავლეები ადარებენ ამ ტექსტს წინა გაკვეთილზე შესწავლილ „დინოზავრის ნაკვალევს“; აანალიზებენ, რა არის მათ შორის მსგავსი (ორივე ტექსტი დაწერილია დინოზავრების შესახებ, ორივე მათგანში აღწერილია მათი ცხოვრება). გაირკვევა, როგორ არის აღწერილი დინოზავრი პირველ ნაწარმოებში, მეორე ნაწარმოებში (კითხულობენ სათანადო ადგილებს), რა განსხვავებაა ამ ტექსტებს შორის (პირველი ტექსტი ემყარება ფაქტებს, სინამდვილეს, მასში არ ჩანს ავტორის დამოკიდებულება აღწერილი ამბისადმი, იგი გვაწვდის უტყუარ ინფორმაციას დიდი ხნის წინ გადაშენებული ამ ქვენარმავლების შესახებ; მეორე ტექსტში კი ავტორის გამონაგონი ამბავია მოთხოვილი, რაც არასოდეს მომხდარა, იგი სინამდვილეს არ შეეფერება; აქ ჩანს ავ-

ტორის დამოკიდებულება მოქმედი პირებისადმი — მას მოსწონს პატარა დინოზავრი — ჩიტები მას უგალობენ, იგი ყველას უყვარს... მოსწავლეები აფასებენ თავის დამოკიდებულებას ტექსტებში გადმოცემული ამბისადმი — რომელი ავტორი იჩენს მეტ სიზუსტეს (პირველი); რატომ (იგი ეყრდნობა სინამდვილეს და არა გამონაგონ ამბავს).

წაკითხულისგაზრება ხდება „აქტივობების რვეულში“ მოცემული ტესტების მიხედვით (სწორი პასუხებია: 1ა, 2ბ). წყვილებში სრულდება დავალება №2, დამოუკიდებლად ასრულებენ №1 დავალებას. მარტივად ახასიათებენ ლიტერატურულ პერსონაჟებს: ა) პატარა დინოზავრს, დ) დანარჩენ დინოზავრებს, გ) მზეს, დ) ჩიტებს. გამოხატავენ საკუთარ პოზიციას მათ მიმართ, ასაბუთებენ თავის აზრს.

5. თხრობა — მოსწავლეები გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. თხრობისას ყურადღება ექცევა ახლაშესწავლილი ლექსიკური ერთეულების გამოყენებასაც.

II. ენობრივ მასალზე დაკვირვება

1. ზმნიზედის ფუნქციაზე დაკვირვება — დავალებები №3 და №4.
2. ვითარების ზმნიზედების მართლწერა — სახელმძღვანელო, გვ. 21.

შედეგების კოდი: IV2, IV3, IV5, IV6, IV7, IV10, IV13, IV14.

გაქვეთილების მასალა

გოდერმი ჩოხელის „ცასწავალა“,
თანდებულის რაობა, თანდებულიანი სახელები

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- წაკითხულის გააზრება და შეფასება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული თხრობა
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება
- მარტივი ტექსტის შექმნა
- თანდებულიანი სახელების გაცნობა, თანდებულის რაობაში გარკვევა
- პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს
- ადგენს გეგმას
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს
- აკვირდება თანდებულიან სახელებს, ერკვევა თანდებულის რაობაში (ზოგადად)
- ვარჯიშობს პუნქტუაციაში

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ამ ეტაპის დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: გოდერძი ჩოხელი, თანამედროვე ქართველი მწერალი და კინორეჟისორი, დაიბადა 1954 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში, 1978 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, არის ავტორი წიგნებისა: „წერილი ნაძვებს“, „ბინდისფერი სოფელი“, „ადამიანთა სევდა“, „მგელი“, „თევზის წერილები“, „ბედის მდევარი“, „ცასწავალა“... აქტიურად მუშაობდა კინემატოგრაფიაში, არის ათზე მეტი ფილმის რეჟისორი და სცენარისტი („მიწისმზომელები“, „ადამიანთა სევდა“, „წერილი ნაძვებს“, „ცოდვის შეიღები“, „ლუკას სახარება“, „სამოთხის გვრიტები“, „მიჯაჭვული რაინდები“...). გარდაიცვალა 2008 წელს.

2. ტექსტის კითხვა — ტექსტი იკითხება პაუზებით. I პაუზა — „.... ბალახებში გაუჩინარდებოდა“; II პაუზა — „გადაწყვიტეს სასამართლო მოეწყოთ ჩიტისათვის“; III პაუზა: „.... საბრალო ცასწავალამ თავი მუხლებში ჩამალა“; IV პაუზა: „.... თვითონაც გაფრინდა“; V პაუზა: „ცა ... სანავარდოდ იხმობდა ყველას“; VI პაუზა: „მდუმარედ დაეცა ბალახებში“.

თითოეული პაუზის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ, შემდეგ ტექსტს უდარებენ საკუთარ ვარიანტს. ტექსტის კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად ფაქტობრივ მასალაზეა ორიენტირებული:

- სად ცხოვრობდა ცასწავლა? რატომ ერქვა მას ასეთი უცნაური სახელი?
- რას იძახდა ბალახებში ჩამოვარდნილი ცასწავლა? რატომ ტყუოდა იგი? რის დამალვა სურდა ამ სიტყვებით?
- რა გადაწყვიტეს ფრთოსნებმა? რატომ იყვნენ ისინი ცასწავლაზე გაბრაზებულნი?
- რა ბრალი წაუყენეს ცასწავლას? რა განაჩენი გამოუტანეს მას?
- რომელი ფრინველი ზრუნავდა ცასწავლაზე? როგორ შეძლო მან თავისი ზრუნვის გამოხატვა?
- რა პირობით გაათავისუფლეს ცასწავლა?
- რატომ ვერ შეძლო მან თავისი სიტყვის შესრულება?
- როგორ გამოხატეს ფრინველებმა თავისი მწუხარება?

კითხვა-პასუხის დამთავრების შემდეგ ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ვინ იყო ცასწავლა
ფრინველების გადაწყვეტილება
სასამართლო
მოლადურის სიკეთე
ცასწავლას განთავისუფლება
გატეხილი სიტყვა
ცასწავლას დაღუპვა
პატარა საფლავი გორაკზე

გეგმა შეიძლება შედგეს კლასის საერთო ძალებით ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში, კოლექტიურად; შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფებად მუშაობაც — კლასი იყოფა სამ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს დასათაურებისათვის ეძლევა ტექსტის გარკვეული მონაკვეთი.

გეგმის მიხედვით თხრობით გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს.
ამავე ეტაპზე წერილობით სრულდება დავალება №1.

3. ტექსტის ანალიზი — გაანალიზდება, ცასწავლას რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში (უდონოა, სუსტი, განსხვავდება სხვებისაგან, მაღლა ფრენის სურვილი აქვს, ვერ ახერხებს პირობის შესრულებას, თავის უდონობას ტყუილით ფარავს...), ფრინველთა რა თვისებები ჩანს (საკმაოდ მკაცრნი და სასტიკნი არიან, გამონაკლისია მოლადური);, რატომ არიან ისინი ასე მკაცრნი ცასწავლას მიმართ (მისი არ ესმით, თავად არ იზიდავთ ცა), რამდენად სარწმუნოა მათი წუხილი (აქ შეიძლება მოსწავლეებმა პასუხის ორივარიანტი შემოგვთავაზონ: **ა) მათი მწუხარება ნამდვილია, ბ) ისინი მოსაჩვენებლად წუხან.** ორივე აზრი მისაღებია, მთავარია მოსწავლეებმა შეძლონ მათი დასაბუთება); რით ჰგავს ცასწავლა პატარა დინოზავრს (ორივე განსხვავებულია თავისი თანამოძმებისაგან, მათი არავის ესმის), რამ შეუშალა ცასწავლას დასახული მიზნის მიღწევაში (უდონობამ,

მოძმეთა უნდობლობამ), რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიოთ (ეს თემა კლასს შეიძლება სადისკუსიოდაც შევთავაზოთ). ტექსტის გააზრებისათვის „აქტივობების რვეულიდან“ შესრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ). წერილობით სრულდება დავალებები №2 და №3.

II. ენობრივ გასაღაზე დაკვირვება

1. პუნქტუაციაზე ვარჯიში — დაფაზე იწერება წინადადება: „**მოგროვდა ყველა ჯურის ფრინველი ყვავი მიმინო ღობემძვრალა მოლალური ჩხივი ორბი**“. მოსწავლეები სვამენ მასში სასვენ ნიშნებს და ხსნიან თითოეული მათგანის ფუნქციას ამ წინადადებაში.

2. სინონიმებზე მუშაობა — დაფაზე ჩამოიწერება სიტყვები:

ჯიში
ფრინველი
საწყალი
ცრუობს
გაჩუმდნენ
შეკრეს
მოილაპარაკეს

მოსწავლეებს ევალებათ მოძებნონ მათი შინაარსით მსგავსი სიტყვები ტექსტში (ჯური, ფრთოსანი, საბრალო, ტყუის, გაისუსნენ, გაკოჭეს, ითათბირეს).

3. რთული სიტყვების მართლწერა — სახელმძღვანელო, გვ.

4. თანდებულის რაობა — დაფაზე იწერება წინადადებები:

„ცა-ზე ყვითელი მზე მოჩანდა“, „ცასწავალა ცა-ში აიჭრა“, „ცასწავალა გორაკ-თან დაეცა“. გაირკვევა, რას აღნიშნავს გამოყოფილი ბოლოსართები: -ზე, -ში, -თან. ეძლევა სათანადო დასკვნა. ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV2, IV3, IV5, IV6, IV7, IV10, IV12, IV13, IV14.

მომდევნო თემის: **ნაიარა გელშვილის „უცნაური ამბავი“ და ორი შ-ს მართლწერა — დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ.**

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ნაიარა გელაშვილი (1947 წ) — ცნობილი მწერალი, გერმანისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტ. ფაკულტეტი, კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, მუშაობდა მხატვრული თარგმნის სარედაქციო კოლეგიაში, 1993 წლიდან ხელმძღვანელობს „კავკასიურ სახლს“, გამოცემული აქვს „მოთხოვობები“ (1983 წ), „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ (1983), „დედის ოთახი“ (1987 წ), „სარკის ნატეხები“ (2006 წ)...

გაქვეთილების მასალა

ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგრსნები“,
თანდებული, ორი თ-ს მართლწერა

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული თხრობა
- პარალელების გავლება შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან
- მარტივი ტექსტის აგება და წერა
- შესწავლილ მეტყველების ნაწილებზე დაკვირვება
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- აკვირდება მხატვრულ სახეებს და მეტყველებაში იყენებს მათ
- ავლებს პარალელებს ვაჟა-ფშაველას ადრე შესწავლილ სხვა ნაწარმოებებთან და აკეთებს სათანადო დასკვნებს
- აგებს მარტივ ტექსტს
- წერს
- იმეორებს შესწავლილ მეტყველების ნაწილებს
- ეცნობა ორი თ-ს მართლწერის წესს და წერისას იყენებს მას

I. ტექსტზე მუშაობა

1. შესავალისაუბარი — მასწავლებელი კლასსა ახსენებს წინა კლასებში (გაკვეთილებზე) შესწავლილ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს („ზამთარი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „არწივი“...), გაირკვევა, ძირითადად რა აერთიანებს ამ ნაწარმოებებს (ბუნების თემა-ტიკა), აჯამებენ, რა იციან ამ მწერლის შესახებ, რა დაამახსოვრდათ, რა მოეწონათ, რა-ტომ...

2. ტექსტის კითხვა — ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს მასწავლებელი. გან-საკუთრებული ყურადღება ექცევა გამომეტყველებით კითხვას, რადგანაც მოსწავლეთა მიერ ამ ტექსტის სწორად აღქმა და გააზრება ბევრწილად სწორედ ამ მომენტზეა დამოკი-დებული. ტექსტი ძირითადად აღწერითი ხასიათისაა, შეიცავს **მონოლოგური** თხრობის ნიმუშებს, ამიტომ მასწავლებელმა გამომეტყველებითი კითხვისას ეს მომენტები უნდა გაითვალისწინოს და ამის მიხედვით შეარჩიოს **ტემპი, ინტონაცია და ფსიქოლოგიური** მახვილები.

მასწავლებლის შემდეგ ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები, ამ დროს აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. გარდა „სიტყვის სალაროში“ მითითებული ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს:

ცხოვლად ჩანდა — ნათლად, კარგად ჩანდა

სიმღერა სწყუროდა — სიმღერა უნდოდა

ჯაგები — ეკლიანი ბუჩქები

დაადუმოს — გააჩუმოს

მოუბარი — მოსაუბრე, მოლაპარაკე...

წაკითხულის გაგებისათვის მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:

— როგორ ხასიათზე იყო შაშვი?

— რა სწყუროდა მას?

— რატომ აღარ სძულდა მას არავინ?

— რამ შეუქმნა შაშვს ასეთი განწყობა?

— როგორ გადაარჩინა მან თავისი შვილები?

— როგორ გამოხატა შაშვმა თავისი სიხარული?

— რომელმა ფრინველმა განაგრძო გალობა? როგორ აღწერს მწერალი მის გალობას?

— რას ადარებს?...

მოსწავლეები ამ კითხვებზე პასუხებს ეძებენ ტექსტში და კითხულობენ სათანადო ადგილებს.

ადგენენ შინაარსის გადმოსაცემ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

შაშვის სიხარული

შვილების გადარჩენა

შაშვის მადლიერება

შემოღამების სურათი ტყეში

ბულბულის გალობა

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ როგორც ნაწილ-ნაწილ, ცალკეული საკითხების მიხედვით, ისე მთლიანად, გაბული თხრობით.

3. ტექსტის ანალიზი — გაირკვევა, როგორ აღწერს მწერალი ბუნების სურათებს, როგორ გამოხატავს ბუნება თავის მადლიერებას შაშვისადმი, რასთან არის შედარებული ბულბულის გალობა, რატომ იყენებს მწერალი ამ შედარებას, რატომ უნოდებს მწერალი შაშვსა და ბულბულს „ბუნების მგოსნებს“, თვითონ თუ დაასახელებენ ბუნების სხვა „მგოსნებს“ (მგალობელ ფრინველებს), რატომ უნოდებენ ვაჟას „ბუნების მგოსნებს“... ტექსტის გააზრებისათვის შესრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ). შეიძლება დავახასიათებინოთ პერსონაჟებიც: ა) შაშვი, ბ) ვასო. გაირკვევა, ადამიანის რა თვისება ჩანს აქ (ის არ უფრთხილდება ბუნებას, მასზე ბუნების მშვენიერება არ მოქმედებს...).

წერილობით სრულდება დავალებები №1 და №2.

III. ცენტრის მასალზე დაკვირვება

1. ორთოგრაფიაზე ვარჯიში — მოსწავლეები ეცნობიან ორი თ-ს მართლწერის შემთხვევებს და ამ ცოდნის გამოყენებით ასრულებენ სახელმძღვანელოსა და „აქტივობების რვეულში“ (№4) მოცემულ დავალებებს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მართლწარმოთქმას.

სრულდება „აქტივობების რვეულში“ №3 დავალება (მცდარად დაწერილი ფორმებია: ამჟამათ, გამარჯვებულათ, ძულდა, მოკეთეთ, დავინყდა, გამოსაჩეკათ, სრულიათ, გადუსანსლა, გამწარა).

2. შესწავლის მეტყველების ნაწილებზე დაკვირვება — დავალება №5.

შედეგების კოდი: IV1, IV2, IV3, IV6, IV7, IV10, IV12, IV14.

მომდევნო თემების: ვაჟა-ფშაველას „ია“ და ა. წერეთლის „გაზაფხული“ — დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ. მომდევნო 1 საათი კი მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

გაპგეთილების მასალა

გუგული ტოგონიძის „ცვრიანა“,
რთული სიტყვების მართლწერა

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- პერსონაჟების დახასიათება
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- დეფორმირებული ტექსტის აღდგენა
- საგანთშორისი კავშირი ბუნების მცოდნეობასთან
- სხვადასხვა პირში თხრობა
- რთული სიტყვების (ერთცნებიანი კომპოზიტების) მართლწერა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს, აკეთებს დასკვნებს და ასაბუთებს თავის აზრს
- აგებს მარტივ აღნერით ტექსტს
- აგრძელებს მხატვრულ ნაწარმოებს
- წერს თხზულებას ტექსტის მიხედვით
- ავლებს პარალელებს ბუნებიმეტყველების გაკვეთილებზე მიღებულ ინფორმაციასთან
- აკვირდება ერთცნებიანი კომპოზიტების (ტერმინის გარეშე) მართლწერას
- აკვირდება სიტყვის სემანტიკას (ზედსართავი სახელის მაგალითზე)

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი ამ მიზნისათვის კლასს სთავაზობს „აქტივობების რვეულში“ მოცემულ №3 დავალებას. იგი გულისხმობს აბზაცების დალაგებას იმგვარი თანმიმდევრობით, რომ ტექსტი მიიღონ (პასუხები: 3, 4, 2, 1). გაანალიზდება, რომელი მცენარეა აღნერილი ამ ტექსტში, მისი რა ნიშნებია ჩამოთვლილი, სად იზრდება იგი, საიდან იღებს მისი ფესვები სიცოცხლისათვის აუცილებელ საზრდოს...

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ცვრიანა (დროზერა) მრავალწლოვანი (იშვიათად ერთწლოვანი) მწერიჭამია მცენარე, ფოთლებიდან გამოყოფილი წებოვანი სითხით იჭერს და ინელებს მწერებს. ცნობილია მისი 90-მდე სახეობა. გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ძირითადად იზრდება ტორფიან ჭაობში. საქართველოში გვხვდება მისი 4 სახეობა.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები; გაირკვევა, რა მცენა-რეა ცვრიანა, სად ხარობს იგი (ჭაობში), როგორია გარეგნობით (პატარა წითელყვავილა მცენარეა), რა თვისება ახასიათებს (მწერიჭამიაა), კიდევ რომელი მცენარეებია ტექსტ-ში ნახსენები (გვირილა, ცისთვალა, ყოჩივარდა, ცხიმურა, წყლის ბამბა), სად იზრდება ეს მცენარეები (გვირილა, ცისთვალა, ყოჩივარდა — ველზე; ცვრიანა, ცხიმურა, წყლის ბამბა — ჭაობში); რაზე დარღობდა ცვრიანა, რას ნატრობდა იგი, რა რჩევას აძლევდნენ მეგობრები...

3. ტექსტის გააზრებისა და შეფასებისათვის დაისმება კითხვები:

- რა არის ცვრიანას წუხილის მიზეზი?
- რატომ უდალატა მან თავის ჩვევას და არ დაიჭირა მწერი?
- რამდენად მისაღებია მისი მეგობრების რჩევა?
- ცვრიანას რა თვისებები ჩანს ტექსტში? (ნაიკითხონ სათანადო ადგილები).
- მისი მეგობრების რა თვისებებზეა ტექსტში მინიშნებები? (ნაიკითხონ ეს ადგილები).
 - ბავშვების რა თვისებები ჩანს ტექსტში? გოგონას რა თვისებებზე ამახვილებს მწერალი ყურადღებას?
 - რამ მოჰვარა ცვრიანას სიხარულის ცრემლი? რაზე მიგვანიშნებს ეს ცრემლი?
 - როგორ ცრემლს ჰქვია „სიხარულის ცრემლი“?
 - როგორია ცვრიანა ტექსტის დასაწყისში? ტექსტის ბოლოს?
 - რამ შეცვალა იგი?
 - რის თქმა სურს მწერალს?
 - როგორ ფიქრობენ, შეიცვლებოდა ამის შემდეგ ცვრიანა? (დაასაბუთონ თავისი აზრი: ა) ცვრიანა არ შეიცვლებოდა, ბ) ცვრიანა ვერ იცოცხლებდა ოთახში, გ) ცვრიანა იქცეოდა ლამაზ და კეთილ ყვავილად). წერით ასრულებენ №1 და №2 დავალებებს.
- ტექსტის გააზრებისათვის სრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ).

4. ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად შედგება გეგმა, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

- ცვრიანას დარღი
- მეგობრების რჩევა
- ცვრიანას ნატვრა
- კეთილი გოგონა
- სიხარულის ცრემლი

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს გაბმული თხრობით.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

- 1. სხვადასხვა პირში თხრობა** — მოსწავლეები არკვევენ რომელ პირშია თხრობა, რატომ იყენებს ამ ხერხს მწერალი, გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს III პირში.
- 2. ინტონაციაზე ვარჯიში** — მოძებნონ ტექსტში ძახილის წინადადებები, გაარკვი-ონ, რას გამოხატავს ისინი, შეურჩიონ სათანადო ინტონაცია.
- 3. ორთოგრაფიაზე ვარჯიში** — აკვირდებიან ერთცნებიანი კომპოზიტების: ცისთ-ვალა, ყოჩივარდა, მწერიჭამია, წითელყვავილა — მართლწერას, არკვევენ, როგორ იწერება ეს სიტყვები (ერთად), რატომ (მათ შორის არ ჩაისმის „და“ კავშირი). ამ სიტყვე-ბის გამოყენებით ადგენენ წინადადებებს. ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ მოცე-მულ №4 დავალებას.

შედეგების კოდი: IV2, IV3, IV5, IV6, IV7, IV8, IV11, IV12, IV13.

გაპვეთილების მასალა

„როგორ აღმოაჩინეს ამერიკა“ („ჯეჯილიდან“),
რიცხვითი სახელი, რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერა

მიზნები

- აღწერითი ტექსტის კითხვა და ანალიზი
- მიღებული ინფორმაციის გააზრება და შეჯამება (ვინ?/რა? სად? როდის?)
- საგანთშორისი კავშირი ბუნებისმეტყველებასთან
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების გაცნობა
- როგობითი რიცხვითი სახელის მართლწერა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- ყოფს მას ცალკეულ ნაწილებად და ადგენს გეგმას
- გადმოსცემს ტექსტის შინაარსს
- წერს
- აჯამებს მიღებულ ინფორმაციას
- ადგენს მარტივ აღწერით ტექსტს
- აჯამებს მიღებულ ინფორმაციას: ვინ?/რა? სად? როდის?
- ეცნობა რაოდენობითსა და რიგობით რიცხვით სახელებს
- ეუფლება არაბული ციფრებით რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერას

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ეს მასალა დაუკავშირდება ბუნებისმეტყველების გაპვეთილებზე მიღებული ინფორმაციის გახსენებასა და შეჯამებას (ჰიორიზონტის მხარეები, რუკა...).

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის — **ა) ქრისტეფორე კოლუმბი**, ზღვაოსანი (1451-1506 წლები), წარმოშობით გენუელი, ცხოვრობდა ლისაბონში, პორტუგალიასა და კასტილიაში, ანდალუსიელი ვაჭრებისა და ბანკირების დახმარებით შეძლო საოკეანო ექსპედიციების ორგანიზება, რათა, მისი აზრით, უმოკლესი გზით განეხორციელებინა ევროპიდან ინდოეთში მოგზაურობა. 1492 წელს 3 აგვისტოს 90 კაცისაგან და 3 გემით შემდგარი ექსპედიციით გავიდა ესპანეთის ნავსადგურ პალოსიდან, გადალახა ატალნეტის ოკეანე და ამავე წლის 12 ოქტომბერს მიაღწია კუნძულ სან-სალვადორს (ბაჟიმის არქიპელაგი) და შემდეგ მოინახულა ამავე არქიპელაგის სხვა კუნძულები, აღმოაჩინა და შეისწავლა კუბა და ჰაიტი. II ექსპედიციამ (1493-1496 წ), რომელიც შედგებოდა 17 გემისა და 1 500-ზე მეტი კაცისაგან, აღმოაჩინა მცირე ანტილის კუნძულები, ასევე — პუერტო-რიკო და იამიკა. III ექსპედიციამ (1498-1500 წ), რომელიც ამჯერად 6 გემისაგან შედგებოდა, აღმოაჩინა კუნძული ტრინიდადი და მიადგა სამხრეთ ამერიკის სანაპიროს. კოლუმბმა IV ექსპედიცია (1502-1504 წ, 4 გემი) მოაწყო იმავე მარშრუტით და მიაღწია კუნძულ მარ-

ტინიკას, პონდურასის ყურეს, ნიკარაგუის, კოსტა-რიკისა და პანამის კარიბის ზღვისპირა სანაპიროებს. კუნძულების აღმოჩენას მოჰყვა ევროპელთა მიერ ამ მიწების კოლონიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობის (რომელსაც კოლუმბი ინდოელებს ეძახდა) განადგურება და დამონება. ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ამერიკის მიწები გეოგრაფიულ ნარმოდგენათა სფეროში მხოლოდ კოლუმბის მოგზაურობის შემდეგ შევიდა.

2. ტექსტი იკითხება ნაწილ-ნაწილ. ტექსტის დამუშავების გზა **ინდუქციურია** — დამუშავდება და გაანალიზდება თითოეული მონაკვეთი როგორც ლექსიკურად, ისე შინაარსობრივად და აზრობრივად. ადგენენ ტექსტის შინაარსის გადმოსაცემ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

კოლუმბის წერილი
მეფის დაეჭვება
მოგზაურობა ინდოეთისაკენ
მეზღვაურთა აჯანყება
ახლადაღმოჩენილი მიწები
კოლუმბის შეცდომა
კოლუმბის გარდაცვალება
„ახალი ქვეყნის“ აღმოჩენა
შთამომავლობის მადლიერება

მხოლოდ ამის შემდეგ კითხულობენ ტექსტს თავიდან ბოლომდე. | ეტაპზე მასწავლებელი ტექსტის გაგებისათვის კლასს უსვამს ძირითადად ფაქტობრივ მასალზე ორი-ენტირებულ კითხვებს:

- ვინ იყო კოლუმბი? სადაური იყო იგი? სად ცხოვრობდა?
- ვის სთხოვა მან დახმარება?
- რატომ დაეჭვდა მეფე ფერდინანდი, როცა კოლუმბის წერილი წაიკითხა? რა იყო ამის მიზეზი?
- როგორ შეძლო კოლუმბმა მეფის დარწმუნება?
- რა დახმარება აღმოუჩინა მას ესპანეთის მეფემ?
- როდის დატოვა კოლუმბმა ესპანეთის სანაპირო? რამდენი გემი და რამდენი მეზღვაური ღებულობდა ამ ექსპედიციაში მონაწილეობას?
- ძირითადად ვინ იყვნენ კოლუმბის მეზღვაურები?
- რა ქნეს ერთ-ერთი შტორმის დროს ამ მეზღვაურებმა?
- როდის მიაღწია კოლუმბმა მინას?
- რამდენი დღე დასჭირდა ამ მოგზაურობას?
- რა შეცდომა დაუშვა კოლუმბმა?
- რაში იყვნენ მოგზაურები დარწმუნებულნი?
- რატომ გაასამართლეს კოლუმბი?
- როდის დაბრუნდა კოლუმბი უკანასკნელი მოგზაურობიდან?
- ვინ იყო შემდეგი მოგზაური, ვინც ამერიკის ნაპირებს მიაღწია?
- როგორ უკვდავყვეს კოლუმბის სახელი?...

მოსწავლეები ამ კითხვებისა და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

3. ტექსტის ანალიზი — გაანალიზდება, კოლუმბის რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში (იგი შეუპოვარია, უკან არ იხევს, მიიწევს დასახული მიზნის შესასრულებლად; მეტის-მეტად არის თავისთავში დარწმუნებული — სწორედ ამის გამო დაუშვა შეცდომა და ინდოეთის მაგივრად ამერიკის კონტინენტზე აღმოჩნდა); მეფე როგორ არის დახასიათებული (ეჭვიანია, არავის ენდობა, მაგრამ ხელს უწყობს მეზღვაურს, რადგანაც მდიდარი ქვეყნების დამორჩილება სურს...), რატომ გამოუშვეს ამ მოგზაურობისათვის ციხიდან დამნაშავენი (ეს მოგზაურობა მეტისმეტად რთული და მძიმე იქნებოდა), რატომ აუჯანყდნენ კოლუმბს მეზღვაურები (მოგზაურობა დიდ ხანს გაგრძელდა), რატომ ვერ მიხვდა კოლუმბი თავის შეცდომას (კარგად ვერ ერკვეოდა რუკაში, მეტისმეტად სჯეროდა თავისი ძალების, მეცნიერება არ იყო სათანადოდ განვითარებული), რატომ მოექცნენ თანამედროვენი კოლუმბს მეტისმეტად მკაცრად (მან ვერ გაამართლა მათი მოლოდინი, ვერ შეძლო ინდოეთიდან ძვირფასი ქვებისა და ოქროს ჩამოტანა), რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობისათვის კოლუმბის აღმოჩენას (მან პირველმა იმოგზაურა ამ მარშრუტით), რა მოხდებოდა, თუ კოლუმბი ამერიკის ნაცვლად მართლა ინდოეთს მიაღწევდა (ამერიკის კონტინენტს მოგვიანებით მაინც აღმოაჩენდნენ), რატომ დაერქვა „ამერიკას“ ეს სახელი (ამერიკო ვესპუჩის პატივსაცემად), კოლუმბის სახელი რატომ არ დაერქვა ამ ქვეყანას (ის ისე გარდაიცვალა, რომ თავადაც არ უწყოდა თავისი აღმოჩენის მნიშვნელობა, არ იცოდნენ არც მისმა თანმედროვეებმა), როგორია დღევანდელი საზოგადოების დამოკიდებულება კოლუმბისადმი (კეთილგანწყობილი — მას ძეგლი დაუდგეს, მისი სახელი უწოდეს კონტინენტს, ქვეყანას, ერთ-ერთ შტატს, ქალაქს).

სრულდება სავარჯიშოები №1, №2, №3.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

რიცხვითი სახელი — მოსწავლეები იხსენებენ რიცხვითი სახელის რაობას, ეძებენ ტექსტში რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებს, აჯგუფებენ, აკვირდებიან, როგორ არის წარმოდგენილი აქ ეს რიცხვები (სიტყვებით თუ ციფრებით), აკვირდებიან მათ მართლწერას. სრულდება დავალება №4.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ციფრი — არაბულად ნიშნავს „ნულს“ — „ცარიელს“, არის რიცხვების გამომხატველი პირობითი ნიშანი. ყველაზე ადრეული იყო რიცხვთა სიტყვიერი ჩანერა, თანამედროვე ციფრების ნინა სახე წარმოიშვა ინდოეთში არა უგვიანეს ძვ. ნელთაღ. V საუკუნისა. ამ ციფრების გამოყენებით რიცხვების ჩანერის პოზიციური სისტემა სწრაფად გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. ევროპაში ინდური ციფრები შემოიტანეს არაბებმა X-XIII საუკუნეებში. ინდური ციფრების მოხაზულობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ძველ საქართველოში რიცხვების ჩანერა ხდებოდა ანბანის საშუალებით: ანბანის პირველი ათი ასო აღნიშნავდა ერთულებს, მეორე — ათეულებს, მესამე ასეულებს, მეოთხე — ათასეულებს... საქართველოში ციფრების გამოყენების შემთხვევას პირველად 1103 წელს ვხვდებით ბაგრატის ტაძრის წარწერაში.

რომაული ციფრები — იყენებდნენ რომაულები; სავარაუდოდ იგი ეტრუსკულისგან უნდა მომდინარეობდეს. რომაული ციფრების სისტემა ემყარება სპეციალურ აღნიშვნებს ათობითი თანრიგებისათვის (I — ერთი, X — ათი, C — 100, M — ათასი) და მათი ნახევრებისათვის ($V = 5$, $L = 50$, $D = 500$). ამასთანვე, თუ დიდი ციფრი პატარა ციფრის წინ წერია, ისინი იკრიბება: $XI = 10 + 1 = 11$; თუ პირიქით, მაშინ აკლდება: $IX = 10 - 1 = 9$. არითმეტიკული ოპერაციების დროს მათ იშვიათად იყენებენ, ძირითადად გამოიყენება რიგოთობის აღმნიშვნელად (სუკუნეები, ნლები...).

შედეგების კოდი: IV2, IV4, IV5, IV6, IV8, IV12, IV13.

გაპგეთილების მასალა

„მარკო პოლოს მოგზაურობა“ („ჯეჯილიდან“), რიგობითი რიცხვითი
სახელების გამოსახვა რომაული ციფრებით

მიზნები

- აღწერითი ტექსტის კითხვა
- ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის ანალიზი და შეჯამება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- ისტორიული პერსონაჟის დახასიათება და მისი ღვაწლის შეფასება
- მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა
- რიგობითი რიცხვის მართლწერა რომაული ციფრებით

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აჯამებს მასში მოცემულ ინფორმაციას და უკავშირებს თანამედროვეობას
- ავსებს სქემას: რა ვიცოდი, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს
- ადგენს გეგმას
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- მარტივად ახასიათებს ისტორიულ პერსონაჟს
- წერს
- ეუფლება რიცხვითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებულ ორთოგრაფიულ საკითხებს.

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ამ ეტაპის დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ, ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას მარკო პოლოს შესახებ:

მარკო პოლო (დაახლოებით 1254-1324 წლები, ვენეცია) იტალიელი მოგზაური და მწერალი. ვენეციულ ვაჭრებთან: მამასა და ბიძასთან — ერთად დაახლოებით 1271 წელს ზღვით მივიდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, გაიარა სომხეთის მთიანეთი, მესოპოტამია, ირანის მთიანეთი, პამირი, კაშგარი და ჩავიდა ჩრდ. ჩინეთში. აქ 1292 წლამდე იყო ჩინეთის ყაენის ხუბილაის სამსახურში და მოინახულა ქვეყნის სხვადასხვა მხარე. 1295 წელს ნამოვიდა სამხრეთ ჩინეთიდან და ზღვით დაბრუნდა ვენეციაში. 1297 წელს ტყვედ ჩაუვარდა გენუელებს. მისი ნაამბობი მოგზაურობაზე ჩაინერა ტყვე რუსტიჩინომ. ასე შეიქმნა „მარკო პოლოს ნიგნი“ (1298), რომელიც ნამოადგენდა ძვირფას წყაროს საქართველოს, სომხეთის, ირანის, ჩინეთის, მონღოლეთის, ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის და ისტორიის შესახებ. ნიგნში მრავალდაა შესული ხალხური თქმულებები, ლეგენდები, ლექსები... ითარგმნა მრავალ ენაზე. მომდევნო საუკუნეებში მისმა ინფორმაციაში დიდი ინტერესები გამოიწვია მოგზაურებსა (კოლუმბი) და კარტოგრაფებს შორის.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი (მასწავლებლის გადასაწყვეტია, წააკითხოს მოსწავლეებს ორივე თავი და შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაამუშაოს ისინი, თუ თითოეული თავის დამუშავებას ცალკე საათი დაუთმოს. ჩვენ ამ უკანასკნელ ვარიანტს ვუწევთ რეკომენდაციას) — ტექსტის დამუშავება ხდება **ინდუქციურად** — ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გაგრძელებით. ამ დროს აისხება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები; გაანალიზება რომელი ქვეყანებია აღნერილი ტექსტში (იტალია, მონდოლეთი, ჩინეთი); რომელი საუკუნეა (მე-13), რომელი ქალაქებია ნახსენები (ვენეცია, გენუა — იტალიის ქალაქები; პეკინი — ჩინეთის ქალაქი, რომელიც იმ დროს მონდოლეთის დედაქალაქად ითვლებოდა), კიდევ რომელი გეოგრაფიული სახელებია ნახსენები (კავკასია, შეუა აზია, კასპიის ზღვა, სპარსეთი, აფრიკა...), რომელი ისტორიული პირები არიან გამოყვანილი ტექსტში (თავად მარკო პოლო, ხუბილაი ხანი, მარკოს ბიძები: ნიკოლა და მატეო); როგორ არის აღნერილი მ-13 საუკუნის ჩინეთი (აქ მონდოლები ბატონობენ — პეკინი მონდოლეთის დედაქალაქია და მას მონდოლთა ხანი განავებს, ჩინეთში უკვე არის ქალალდის ფული, გამოიყენება დენთი, ნახშირი, ნერილებს ფოსტის საშუალებით აგზავნიან — ქვეყანა საკმაოდ წინ უსწრებს ევროპის ქვეყნებს განვითარებით), როგორ არის აღნერილი იტალია, კერძოდ, ვენეცია (იგი მეზღვაურთა და ვაჭრების ქალაქია, განვითარებულია საზღვაო მიმოსვლა სხვადასხვა ქვეყნებთან, ვაჭრები შორეულ ქვეყნებში ხშირად მიემგზავრებიან — ნიკოლო და მატეო ერთხელ უკვე იყვნენ ჩინეთში; ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იციან, რა არის ფოსტა, დენთი, ნახშირი, მიმოქცევაშია მხოლოდ ლითონის ფული, მეზობელი ქალაქები ხშირად ეპრძიან ერთმანეთს — გენუა თავს დაესხა ვენეციას...); მოქმედი პირების რა თვისებები ჩანს ტექსტში (მარკო ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა ჭკუით, სიძლიერით, მეტისმეტად აინტერესებდა მოგზაურობა და სხვადსხვა ქვეყნების გაცნობა; ბავშვობაში, როცა ის ჯერ კიდევ ვაჭრების შეგირდი იყო, სულ სხვა თვალით უყურებდა სამყაროს — აინტერესებდა არა ყიდვა-გაყიდვა და მოვება, არამედ სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხის ცხოვრება, ბუნება, მთები, მდინარეები, უყვარდა ახალ-ახალი აღმოჩენები — სწორედ ამიტომ დაარღვია ხანის ბრძანება და სპარსეთის ნაცვლად სხვა ქვეყნებისაკენ აიღო გეზი. სხვები თუ ძვირფას ქვებსა და საქონელს ყიდულობდნენ, ის ყველაფერს მოგზაურის თვალით აკვირდებოდა. არის მტკიცებასიათის, შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება — მან თვითნებურად შეცვალა მარშრუტი; მარკო დაჯილდოებულია მწერლობის ნიჭითაც — ის ისე დალაგებით, ზუსტად და საინტერესოდ მოუყვა საკანში თანამესაკნეს თავის თავგადასავალს, რომ ამ მონაცემის საფუძველზე ძალზე საინტერესო წიგნი შეიქმნა... **ნიკოლა და მატეო ტიპური ვაჭრები** არიან და სურთ შვილიც ასეთი გაზარდონ, უშიშრები არიან, რამდენადაც არ უფრთხიან შორეულ მოგზაურობას, იმსახურებენ პატივისცემას — ხუბილაიმ მათ შორ გზაზე გაუგზავნა ამალა დასახვედრად... **ხუბილაი-ხანი** — ძლიერი მბრძანებელია, რადგანაც დაპყრობილი აქვს ჩინეთის უზარმაზარი იმპერია, პატივს სცემს ევროპელებს და მათგან ბევრი რამის სწავლა სურს, ამიტომაც არ უშვებს ვაჭრებს თავისი ქვეყნიდან...).

3. გეგმის შედეგენა და ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს: (დავალება №2)

ვაჭრების გამგზავრება ვენეციიდან
ახალგაზრდა მოგზაური

უფროსების საყვედური
სტუმრად ხუბილაი-ხანთან
ჩინეთში გატარებული წლები
გზა ჩინეთიდან სპარსეთისაკენ
სამშობლოში დაპრუნება
„ნიგნი მსოფლიოს მრავალფეროვნებაზე“
ამ ნიგნის ბედი ნინათ და ახლა

ამ გეგმის მიხედვით მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს როგორც ნაწილ-ნაწილ, ისე — თავიდან ბოლომდე.

4. ტექსტის გააზრება და სიღრმისეული წვდომა — ტექსტის გააზრებისათვის სრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ). გაირკვევა, რა დამოკიდებულება ჰქონდათანამედროვეობას მარკო პოლოს ნიგნთან (აინტერესებდათ, მაგრამ თან დასცინოდნენ), რატომ იყო ამგვარი ორმაგი დამოკიდებულება (ნიგნში მრავალი საინტერესო ამბავი იყო გადმოცემული, მაგრამ მკითხველებს არ სჯეროდათ ავტორისა), რატომ არ სჯეროდათ (იმიტომ, რომ თავად არ ჰქონდათ ყველაფერი ეს საკუთარი თვალით ნანახი, ნარმოუდგენელი იყო მათთვის ქალალდის ფულის, დენთის, ნახშირის, ფოსტის არსებობა); რატომ შეიცვალა ამ ნიგნის მიმართ შემდგომ წლებში დამოკიდებულება (იმიტომ, რომ ეს ყველაფერი სხვა მოგზაურებმაც ნახეს და დაადასტურეს, ბევრი სიახლე გადმოიტანეს კიდეც; ამავე დროს ეს ნიგნი სხვა მოგზაურებს უიოლებდა მიზნის მიღწევას, სწორედ მის მიერ გავლილი გზების აღწერილობით შეიქმნა მე-15 საუკუნეში რუკა).

მოსწავლეები მსჯელობენ მარკოს გადაწყვეტილებაზე — როცა მან თვითნებურად შეცვალა მარშრუტი. რამდენად მისაღებად ეჩვენებათ ეს საქციელი? აქ ისინი წარმოადგენენ განსხვავებულ პოზიციას, ყველა აზრი მისაღებია, მთავარია, შეძლონ მათი დასაბუთება. ასევე კლასს შეიძლება სადისკუსიოდ შევთავაზოთ საკითხი: რა შეიცვლებოდა თუ მარკო მონდოლთა მბრძანებლის ბრძანებას შეასრულებდა? (აქაც პასუხების ალტერნატიული ვარიანტები შეიძლება მოვისმინოთ. ერთ-ერთი დასაშვები პასუხია — ეს აღმოჩენები კიდევ რამდენიმე წლით /საუკუნით/ გადაიწევდა.)

ამ ეტაპზე სრულდება ნერითი დავალება №3.

5. ტექსტის აგება — მოსწავლეებს ვთავზობთ წერითი დავალებისათვის თხზულებას თემაზე „ნიგნი სამყაროს მრავალფეროვნებაზე“

ამ ტექსტის აგებამდე მოსწავლეები გააანალიზებენ ვინ დაწერა ეს ნიგნი (მარკო პოლოს მონათხრობის მიხედვით ერთ-ერთმა იტალიელმა პატიმარმა, მარკოსთან ერთად რომ იჯდა გენუის ციხეში), როდის დაწერა (მე-13 საუკუნეში), სად დაწერა (გენუაში, ციხის საკანში) რა შეფასება მიიღო თანამედროვეებისაგან (ეს ნიგნი ძალზე აინტერესებდათ, მაგრამ დასცინოდნენ იმიტომ, რომ არ სჯეროდათ მასში გადმოცემული ამბები), რატომ შეიცვალა ეს დამოკიდებულება (მომდევნო საუკუნეებში დარწმუნდნენ, რომ, რაც ამ ნიგნში ეწერა, სიმართლე იყო). სრულდება დავალება №2.

6. წერა — მოსწავლეები ახასიათებენ მარკოს წერილობით, მანამდე ზეპირად ასახელებენ მის ცალკეულ თვისებებს, რომელთაც ასაბუთებენ ტექსტის მიხედვით, ადგენენ გეგმას და ასრულებენ დავალება №3-ს.

II. ენობრივ მასალზე დაკვირვება

რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა რომაული ციფრებით.

მოსწავლეები ტექსტში ეძებენ რიცხვით სახელებს და აჯგუფებენ მათ: რაოდენობითია – ერთი, 16, 3, 14, 5, 24; რიგობითია — მე-13, მე-15, მეორე. იხსენებენ რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერას, შემდეგ კი მასწავლებელი კლასს აცნობს რიგობითი რიცხვითი სახელების ჩაწერას რომაული ციფრებით, აცნობს ძირითად ნიშნებს, ავარჯიშებს რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით ჩაწერაზე. სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV2, IV3, IV5, IV6, IV8, IV10, IV11.

მომდევნო მასალა: „ქართველი მოგზაური“, რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა — წარმოადგენს წინა თემის გაგრძელებას, ამდენად მის დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

გაკვეთილების მასალა

ნოდარ დუმბაძის „მზე“, სიტუაცის სემანტიკა

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- საგანთშორისი კავშირი ბუნებისმეტყველებასთან (საქართველოს მდინარეები)
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ტექსტის კონსტრუირება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება (ზედსართავი სახელის მაგალითზე)

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აკვირდება მხატვრულ სახეებს
- ადგენს გეგმას შინაარსის გადმოსაცემად
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარს
- წერს
- აღადგენს დეფორმირებულ ტექსტს
- აღაგებს ზედსართავ სახელებს მახასიათებელი ნიშნის ზრდადობის მიხედვით

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება (6 წუთი) — მასწავლებელი კლასს ავალებს შეადგინონ ტექსტი სახელწოდებით „განთიადი“, სასურველია შესთავაზოს საყრდენი სიტყვებიც: „ცხრათვალა მზე“, „ოქროს გვირგვინი“, „მზის სიცილი“... ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ტექსტის საკუთარ ვარიანტს, რომლებიც გაანალიზდება და შეფასდება კლასში.

2. ტექსტის კითხვა — მასწავლებელი ტექსტს კითხულობს გამომეტყველებით, გზადაგზა ხსნის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებელთათვის: — ერცახუ, ერნახვი — მნვერვალი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, სიმაღლე 3 910 მ. მისი ჩრდილოეთი კალთა დამრეცია, სამხრეთი — ციცაბო. სამხრეთ კალთის 2 მყინვარი ასაზრდოებს მდინარე ჩხალთის მარცხენა შენაკადებს.

ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეებიც. ამ დროს ყურადღება გამახვილდება იმ მხატვრულ სახეებზე, რომლებსაც ბუნების მოვლენების აღწერისას იყენებს მნერალი; გაირკვევა, როგორ არის აღწერილი ტექსტში განთიადი: „იგი (მზე) დილის 6 საათზე ამობრძანდა და ოქროს ჯილასავით დაადგა ერცახუს მთას“, „მზეს გაეღიმა და ღვთიური თვალის გარშემო უთვალავი ნაოჭი გაუჩნდა“, „მზემ ოდნავ აიწია“... ყინულის

დნობა: „ყინულის სალტემ გაიჭრიალა და უცებ გასკდა“, „მზემ... უცებ იმდენი ნათელი დაღვარა, რომ მყინვარი შეტორტმანდა“, „კავკასიონის კალთები, ნაპრალები, ხევები ზათქით, გუგუნითა და თავაწყვეტილი ზვავების შემზარავი გრიალით აივსო. ერცახუ ორთქლსა, ნისლსა და ავარდნილი თოვლის ბუღში გაეხვია“... **მდინარეების დაბადება:** „დაიწყო. — რა დაიწყო? — დაბადება. — ვისი? — შვილების, ბადიშების: კოდორის, ფსოუს,...“ „შვილი უამრავი გვყავს, ბადიში ნაკლები, და ბოლოს ერთი უზარმაზარი ნაგრამი — ზღვა“, **ბუნების მშვენების განცდა:** „დედამ შვილის ხმაზე ერთი გაიხედა აღმოსავლეთისაკენ და ... ერცახუს თვალი ვერ მოწყვიტა“; **რას უწოდებს მნერალი „შეჩვეულ სასწაულს“** (მზის ამოსვლას), რატომ უწოდებს ასე (ეს „სასწაული“ — მზის ამოსვლა — ყოველდღე მეორდება და ადამიანებს მისი დანახვა აღარ უკვირთ); გაირკვევა, სად იღებენ სათავეს დასახელებული მდინარეები (მთებში, ამ შემთხვევაში — ერცახუს კალთებზე), რა სახელით მოიხსენიებს მათ ერცახუ (შვილები), რას უწოდებს იგი **ბადიშს?** (იმ ახალ მდინარეს, რომელიც ორი ან მეტი მდინარის შეერთებით მიიღება), რას უწოდებს იგი **ზღვას?** (ნაგრამი), რატომ (ყველა ეს მდინარე ზღვაში ჩაედინება; ამდენად, ერცახუს ზღვის გაჩენაში საკმაო წვლილი აქვს) ...

მოსწავლეები ტექსტს აკავშირებენ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მიღებულ ინფორმაციასთან, იხსენებენ საქართველოს მდინარეების სახელწოდებებს, ასახელებენ იმ მდინარეებს, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინება.

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

მზის ამოსვლა
ერცახუს თხოვნა
ყინულის დნობა
მდინარეების დაბადება
დილის მშვენება
შეჩვეული სასწაული...
სრულდება დავალება №1.

ამ გეგმის მიხედვით მოსწავლეები გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს როგორც ნაწილ-ნაწილ, ისე თავიდან ბოლომდე. ტექსტის მიხედვით აღწერენ განთიადის სურათს (დავალება №2). მასწავლებლის მითითებით ცდილობენ, გამოიყენონ და ზუსტად შეარჩიონ სათანადო ზედსართავი სახელები. ამ სავარჯიშოს შეიძლება ერთ-გვარი შეჯიბრის სახეც კი მივცეთ: იმარჯვებს ის, ვინც უფრო ზუსტად და უფრო მეტ ზედსართავ სახელს იყენებს.

4. ტექსტის კონსტრუირება — წყალი (დავალება №4. პასუხები — 4, 2, 3, 1.)

5. ტექსტის გააზრება — ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ)

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. თემატურ ლექსიკაზე დაკვირვება — ტექსტში გამოყენებული ადამიანთა ნათე-საობის აღმნიშვნელი სიტყვები — **შვილი, ბადიში, ნაგრამი**. მოსწავლეები აკვირდებიან მათ მნიშვნელობას, იხსენებენ მსგავსი მნიშვნელობის სხვა ლექსიკურ ერთეულებსაც (შვილიშვილი, შვილთაშვილი, შთამომავლობა...).

2. სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება — ტექსტიდან ასახელებენ იმ ზედსართავ სახელებს, რომლებსაც მწერალი იყენებს ზღვის დახასიათებისათვის (უზარმაზარი, თვალუწვდენელი, გაუთავებელი, უთავბოლო), თავადაც ასახელებენ სათანადო ზედ-სართავ სახელებს... სრულდება დავალება №3, რომელიც გულისხმობს მსგავსი შინაარ-სის ზედსართავი სახელების დალაგებას მახასიათებელი ნიშნის ზრდადობის მიხედვით (სწორი პასუხებია — მოუსვენარი, ცელქი, თავაწყვეტილი; გაცხარებული, გაბრაზებული, განრისხებული; გაცხელებული, გახურებული, გავარვარებული; აღელვებული, აქაფე-ბული, აზვირთებული; შეშფოთებული, შეშინებული, თავზარდაცემული; გაკვირვებული, განცვიფრებული, გაოგნებული; გახარებული, აღტაცებული, აღფრთოვანებული).

შედეგების კოდი: IV₂, IV₃, IV₆, IV₇, IV₈, IV₁₀, IV₁₃

გაკვეთილების მასალა

კოლაუ ნადირამის „მწუხრი“, სინონიმები

მიზნები

- პოეტური ტექსტის კითხვა და აღქმა
- გამომეტყველებით კითხვის ჩვევის დაუფლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- შესწავლილ ნაწარმოებებთან პარალელების გავლება
- საგანთშორისი კავშირი (ხელოვნებასთან)
- მარტივი ტექსტის შექმნა ნაკითხული ნაწარმოების მიხედვით

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს პოეტურ ტექსტს
- აკვირდება მხატვრულ სახეებს
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებს და მეტყველებაში იყენებს მათ
- ავლებს პარალელებს შესწავლილ ნაწარმოებებთან
- ვარჯიშობს გამომეტყველებით კითხვაში
- ქმნის მარტივ მხატვრულ ტექსტს
- წერს
- იყენებს ტექსტის ჩასწორების მარტივ ხერხებს
- აფასებს საკუთარ ნამუშევარს

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მოდუნდნენ, დახუჭონ თვალები, წარმოიდგინონ ტყე და ჩამავალი მზე (ამ დროს სათანადო განწყობის შექმნის მიზნით შეიძლება მოვასმენინოთ მუსიკაც), აღნერონ ეს სურათი ზეპირად.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: კოლაუ (ნიკოლოზ) ნადირაძე — დაიბადა 1895 წ ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1912-1916 წ) სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო „ცისფერყანწელების“ ჯგუფის თვალსაჩინო წევრი. პირველი პოეტური კრებული („ბალდაბინი“) გამოსცა 1920 წელს, განვლო გზა კლასიკური პოეტური აზროვნებისა და ფორმების უარყოფიდან ქართული პოეზიის ძირძველი ტრადიციების აღორძინებამდე. მის ლექსებს მსჯვალავს დახვეწილი ლირიზმი. მისი ძირითადი კრებულებია: „დიდ გზასთან“ — 1946 წ, „ლექსები“ — 1955 წ, „რჩეული“ — 1962 წ, „ლექსები და თარგმანები“ — 1962 წ... თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, ტიუტჩევის, ფრანგი პოტების თხზულებანი. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ ენაზე. გარდაიცვალა 1991 წ.

2. ტექსტის კითხვა და ლექსიკური ანალიზი — მასწავლებელი ტექსტის წაკითხვამდე აცნობს მოსწავლეებს ლექსის სახელწოდებას („მწუხრი“) და აწვდის სათანადო განმარტებას — საღამოს პინდი, შემოღამება, მზის ჩასვლა... კითხულობს ლექსს გამო-

მეტყველებით, საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ მახვილებზე, ინტონაციაზე, პაუზებზე, ტემპზე, ხმის ტემპრზე... აკითხებს ლექსს თავიდან ბოლომდე კითხვაში განაფულ რამდენიმე მოსწავლეს, შემდეგ კლასს ავალებს, წაიკითხონ ლექსი ჩუმად და მოძებნონ გაუგებარი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აიხსნება მასწავლებლის დახმარებითა და კლასის აქტიური მონაწილეობით (გამოიყენება „სიტყვათა სალაროც“):

სევდა — დარდი, მწუხარება

საუნჯე — სიმდიდრე, განძი

მზე მიინურა — მზე ჩავიდა

ალმასი, ლალი, მარგალიტი — ძვირფასი თვლები

საგზალი — მგზავრობისას საჭირო სურსათ-სანოვაგე, საჭმელი...

ახლადახსნილი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით მოსწავლეები ადგენენ წინადადებებს.

3. მხატვრულ სახეებზე დაკვირვება — გაირკვევა, დღის რომელი მონაკვეთია აღნერილი ამ ლექსში (მზის ჩასვლა, შემოღამება), რა შეურჩია პოეტმა სათაურად თავის ნაწარმოებს (მწუხრი), რამდენად შეესატყვისება ეს სათაური ლექსს, თვითონ სხვა ვარიანტს ხომ არ შემოგვთავაზებენ; რას გულისხმობს პოეტი „ხეების ხავერდში“ (ხეების ჩრდილს); რა განწყობა ეუფლება პოეტს მზის ჩასვლის ყურებისას (სევდა); რას გულისხმობს იგი „მზის საუნჯეში“ (სინათლეს, მზის სხივებს); რომელ ძვირფას ქვებს ახსენებს პოეტი (ალმასებს, ლალებს, მარგალიტებს), რატომ ახსენდება მას ძვირფასი ქვები ჩამავალი მზის ყურებისას (სხვადასხვა ფერად არის ცა შეღებილი), რა იგულისხმება „ღრუბლების საგზალში“ (ჩამავალი მზის ფერები, ჩამავალი მზის სხივები)...

მოსწავლეები წაკითხულ ლექსს ადარებენ წინა გაკვეთილზე შესწავლილ ნოდარდუმბაძის „მზეს“, ავლებენ მათ შორის პარალელებს, აფიქსირებენ, რა აქვთ მათ საერთო (ორივე ნაწარმოებში მზეა აღნერილი, ორივე შემთხვევაში მწერლები მხატვრულად აღნერენ ბუნების მოვლენებს), რა განსხვავებაა (პირველ ტექსტში აღნერილია განთიადი, მზის ამოსვლა, მეორე შემთხვევაში კი — მზის ჩასვლა, შებინდება; პირველი ტექსტი მოთხრობაა, მერე — ლექსი).

4. გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში.

5. ტექსტის აგება — მოსწავლეები შესწავლილი ლექსის მიხედვით აღწერენ შემოღამების სურათს (დავალება №2), კითხულობენ საკუთარ ნაწერს, ასწორებენ მას და უკითხავენ მეგობრებს, იყენებენ ცოდნის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებს.

6. სინონიმებზე მუშაობა — „აქტივობების რვეული“, დავალება №1.

7. შესწავლილი ტექსტების დასურათება — დავალება №3.

შედეგების კოდი: IV₄, IV₆, IV₇, IV₉, IV₁₁, IV₁₂

გაკვეთილების მასალა

ევგენი ზარამის „მზე“, გამაერთიანებელი სიტუაა და სასვენი ნიშნები მასთან

მიზნები


- საინფორმაციო ტექსტის კითხვა და ანალიზი
- მიღებული ინფორმაციის შეჯამება და სათანადო დასკვნების გაკეთება
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა თხრობით და წერილობით
- საგანთშორისი კავშირი მათემატიკასთან (ტრანსფერული უნარ-ჩვევების ფორმირება)
- მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა
- პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მარტივ საინფორმაციო ტექსტს
- აჯამებს ამ ინფორმაციას
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს ჯერ ვრცლად, შემდეგ მოკლედ წერს
- ადგენს მარტივ დარგობრივ ტექსტს (ამოცანის პირობა)
- იყენებს მათემატიკაში შესწავლილ ცოდნას კონკრეტულ შემთხვევაში
- ეცნობა განმაზოგადებელ (გამაერთიანებელ) სიტყვას და მასთან სასვენი ნიშნების (ორნერტილი, ტირე) გამოყენების კონკრეტულ შემთხვევებს

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — შედგება „გონებრივი იერიშის რუკა“:



დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ევგენი ხარაძე, დაიბადა 1906 წ, გარდაიცვალა — 2001 წ, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ასტრონომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1976-1986 წლებში, თსუ რექტორი 1959-65 წლებში, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი 1976-1982 წლებში, უამრავი შრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი. მისი სამეცნიერო შრომები ეხება გალაქტიკის აგებულებას, მასში მყოფ ვარსკვლავთა მახასიათებლების შესწავლას.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტის დამუშავების გზა **ინდუქციურია** — ნაწილიდან მთელისაკენ. მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ და მასწავლებლის დახმარებით აანალიზებენ აზრობრივად დასრულებული თითოეული მონაკვეთის შინაარსს, ეცნობიან იმ ინფორმაციას, რომელიც თითოეულ მონაკვეთშია მოცემული; ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

მზისა და მთვარის მდებარეობა კოსმოსში

მზის მოცულობა

მზის დაცილება დედამიწიდან

რა მოუვა ალამს მზეზე

მზის შედგენილობა

მზე სინათლისა და სოცოცხლის წყაროა

მზის ენერგიის გამოყენება მომავალში

მოსწავლეები საუბრობენ თითოეულ საკითხზე და აჯამებენ იმ ინფორმაციას, რაც მათ ამ გაკვეთილზე მიიღეს მზის შესახებ; შეიძლება შედგეს სქემაც: **რა ვიცოდი მზის შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს.** ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს წყვილებში ან ჯგუფურად.

ტექსტი გაანალიზდება თანდართული კითხვების საშუალებით, აღსანიშნავია, რომ მზე ამ ტექსტში დახასიათებლია მთვარესთან შეპირისპირებით, ამიტომ ამ მომენტზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ვრცლად, შემდეგ კი მოკლედ. ამ მიზნით გამოიყენება „აქტივობების რვეულ-ში“ მოცემული №1 დავალება: ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები, აღნიშნე +-ით ის წინადადებები, რომლებიც, შენი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია ამ ტექსტისათვის (+-ით აღინიშნება ა), გ) დ) ვ) ი) კ) ლ) პუნქტები), შემდეგ მოსწავლეები მხოლოდ ამ პუნქტებზე დაყრდნობით ჯერ თხრობით, შემდეგ კი წერილობით (დავალება №2) გადმოსცემენ ტექსტის მოკლე შინაარსს.

4. ტექსტის გააზრება — ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ). კლასს შეიძლება შევთავაზოთ სადისკუსიო თემა: „მზე ადამიანის სამსახურში“.

5. მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა — დავალება №3. აქ მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით მოსწავლეები ადგენენ მათემატიკური ამოცანის ტექსტს და ხსნიან მას:

„მზე დედამიწიდან 150 000 000 კმ-ით არის დაშორებული, იგი 400-ჯერ შორს არის დედამიწიდან, ვიდრე მთვარე“.

— რა მანძილით არის დაშორებული დედამიწიდან მთვარე?

ამოხსნა

$$150\,000\,000 : 400 = 375\,000$$

პასუხი: 375 000 კმ.

II. ეცობრივ მასალაზე ღაკვირვება

განმაზოგადებელი სიტყვა და სასვენი ნიშნები მასთან — დავალება №4.

შედეგების კოდი: $\text{IV}_2, \text{IV}_4, \text{IV}_{10}, \text{IV}_{11}, \text{IV}_{12}, \text{IV}_{13}, \text{IV}_{14}$

გაკვეთილების მასალა

როსტომ ელანიძის „ვარმია“, საკავშირებელი სიტყვები

მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ინფორმაციის შეჯამება და სათანადო დასკვნების გაკეთება
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ტექსტის შინაარსის გადმოცემა ვრცლად და მოკლედ
- საგანთაშორისი კავშირი
- საკავშირებელ სიტყვებზე (კავშირებზე) დაკვირვება და მათი ფუნქციის გარკვევა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აჯამებს მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას (რა ვიცოდი, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს)
- ადგენს გეგმას მოკლე შინაარსის გადმოსაცემად
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს ვრცლად და მოკლედ
- წერს
- აღადგენს დეფორმირებულ ტექსტს
- აკვირდება საკავშირებელი სიტყვების ფუნქციას წინადადებებში და პრაქტიკულად იყენებს მათ

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს გაიხსენონ, რომელ ისტორიული ძეგლებს იცნობენ, რა სმენიათ მათ შესახებ (ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს ჯგუფურად). აქვე მასწავლებელი კლასს ესაუბრება ვარძიის შესახებ და უჩვენებს სათანადო თვალსაჩინო მასალასაც.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ა) **როსტომ ელანიძე** — დაიბადა 1910 წელს ახმეტის რნ-ის სოფ. ჩილოში, 1932-1938 წლებში სწავლობდა თუ ფილოლოგიის, შემდეგ კი ბიოლოგის ფაკულტეტებზე, განათლებით არის მეცნიერ-ზოოლოგი, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, წლების მანძილზე მოღვაწეობდა საქ. მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში. სამწერლო მოღვაწეობას ეწევა 1927 წლიდან, როცა პირველად გამოქვეყნდა მისი ლექსები გაზ. „ახალ სოფელში“. არის ავტორი მოთხრობათა კრებულებისა: „თეთრი მთები“ (1951 წ), „მასწავლებელი“ (1954 წ), „ვია და ყაშა“ (1959 წ), „ტყის ზღაპრები“ (1961 წ), „თეთრი მერცხალი“ (1970 წ), „ბროლის ხეობა“ (1981 წ), „მოთხრობები“ (1984 წ)... მნერლის შემოქმედებაში მთავარია ისტორიული თემატიკა და ეკოლოგია — ცხოველთა და ფრინველთა სამყარო...

ბ) **ვარძია** — კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი, XII-XIII სს. ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნა-

პირზე. სამონასტრო ანსამბლი შეიქმნა ძირითადად 1184-1213 წლებში, აკურთხეს 1185 წელს 15 ავგისტოს. გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთაზე შვეულ კლდეზე, განლაგებულია 13 სართულად. მისი მშენებლობა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა — I ეტაპზე, გიორგი III-ის მეფობის წლებში (1156-1184 წ), შემუშავდა გეგმა და გამოიკვეთა პირველი სენაკები ეკლესითურთ; II ეტაპზე, თამარის მეფობისას (1184-1185 წ), არსებული გეგმა რამდენადმე შეიცვალა, ჩატარდა მონასტრის რეკონსტრუქცია, კლდეში გამოკვეთეს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, მოიხატა, დამთავრდა მონზვნების სენაკები და სათავსები, აგრეთვე თავდაცვითი ნაგებობები. IV ეტაპი დაკავშირებულია 1283 წლის მიწისძვრასთან, მშენებლობის V ეტაპზე კი შეიქმნა დიდი სატრაპეზო. მონასტერში საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსია, მათ შორის 25 მარნი 185 ქვევრით. ტაძრის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის მნიშვნელოვანი ძეგლია. ამ მხრივ საყურადღებოა გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტი იკითხება ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა მოსწავლეთა საერთო ძალების აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გარდა „სიტყვათა სალაროში“ მითითებული ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

ციცაბო — ძალზე დაქანებული (კლდე, მთა)

სათარეშოდ — ასაოხრებლად, **თარეში** — რბევა, აოხრება

ნავარდი — ლალი, თავისუფალი ფრენა; **სანავარდო** — ადგილი, სადაც ნავარდობენ

ნაქალაქევი — ადგილი, სადაც ადრე ქალაქი იყო

მხედრისაკენ ვეზი აიღო — მხედრისაკენ გაემართა

სკორე — ფრინველის განავალი, სკინტლი

გონნასული — უგონო, გულწასული

დაღადრული — დაკანრული

მონიწებით — მორიდებით

სწორუპოვარი — შეუდარებელი, საუკეთესო

ნაბუდარი — ადგილი, სადაც ადრე ბუდე იყო...

ეამბორა — აკოცა...

მოსწავლეები ერთხელ კიდევ კითხულობენ ტექსტს თავიდან ბოლომდე (ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ **ჩუმი** კითხვა), შემდეგ მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. გაანალიზდება, **როდის მოხდა** ტექსტში აღნერილი მოქმედება (თამარის დროს, ე. ი. მე-12 საუკუნეში), **სად მოხდა** (მესხეთში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას), **ვინ შეიძლება იყოს ტექსტში აღნერილი ჭაბუკი მხედარი** (შოთა რუსთაველი), **რა მინიშნებებია ამის შესახებ ტექსტში** (მოღვაწეობდა თამარის დროს, იყო ცნობილი პოეტი, დაწერა სწორუპოვარი პოემა), **მისი რა თვისებები ჩანს ტექსტში** (იგი არის გაბედული, კეთილი და უშიშარი, მოკრძალებული, აქვს მუსიკალური ნიჭი), **თამარის რა თვისებები ჩანს ტექსტში** (ძალზე კეთილია და ყურადღებიანი, აფასებს თავგანწირვას), **როგორ აშენდა ვარძია, რატომ დაერქვა მას ეს სახელი...** აქ მასწავლებელს შეუძლია, გააკეთოს მოკლე ისტორული ექსკურსი და კლასს განუმარტოს — ტექსტში მოთხოვილი ამბავი ხალხური თქმულების საფუძველზე შექმნილი, სინამდვილეში კი ვარძიის ციხექალაქის მშენებლობა თამარის მეფობამდე დაიწყო. აქვე მოსწავლეები ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ მოთავსებულ №3 დავალებას (**რა ვიცოდით თამარის შესახებ, რა გავიგეთ, რის გაგება გვაინტერესებს**).

3. მოკლე შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს და მოკლე შინაარსის გადმოსაცემად ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

საშიში მტაცებელი
ახალგაზრდა მხედრის სიმამაცე
ბავშვის გადარჩენა
მეფესთან შეხვედრა
მეფის მადლობა
ვარძიის მშენებლობა...

ამ გეგმის მიხედვით მოსწავლეები ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, ასრულებენ წერილობით №1 და №2 დავალებებს.

4. დეფორმირებული ტექსტის აღდგენა — დავალება №5 (სწორი პასუხებია: 2, 1, 4, 3).

II. ენობრივ მასალაზე ღაკვირვება

საკავშირებელი სიტყვები (კავშირები) — მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებას — „კასპიისა და შავი ზღვების შუა სივრცე სათარეშოდ და სანავარდოდ ჰქონდა“, გაირკვევა, რამდენჯერ მეორდება ამ წინადადებაში სიტყვა „და“, რომელ სიტყვებს აკავშირებს იგი (კასპიისა და შავი ზღვები, სათარეშოდ და სანავარდოდ), შემდეგ ავალებს „და“ სიტყვით ერთმანეთთან დააკავშირონ ორი წინადადება: „მესხი ფრინველის სადგომს მიუახლოვდა“, „ორბმა საფრთხე იგრძნო“. სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV₂, IV₃, IV₄, IV₇, IV₁₀, IV₁₁, IV₁₃

მომდევნო თემის — გიორგი ლეონიძის „სიყვარული მაშ გაქვს ვისი?“ დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ, ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას: — გიორგი ლეონიძე, ცნობილი ქართველი პოეტი, დაიბადა 1897 წელს სოფ. პატარძეულში, საგარევოს რაიონში; დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებლი, შემდეგ კი — სასულიერო სემინარია (1918 წ), ერთხანს სწავლობდა თსუ-ში; მისი პირველი ლექსი „მცხეთა“ დაიბეჭდა 1911 წელს; 1916 წელს გამოსცა ლიტერატურული კრებული „საფირონი“, 1923 წელს მისი რედაქტორიბით გამოიცა კვირეული სალიტერატურო გაზეთი „ბახტრიონი“; 1931 წლიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს სალიტერატურო მუზეუმს, რომლის ხელმძღვანელიც იყო 1953 წლამდ; 1967 წელს ამ მუზეუმს გიორგი ლეონიძის სახელი მიეკუთვნა. მუშაობდა ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, იყო კრებულ „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი მდივანი; ლექსების პირველი კრებული გამოსცა 1938 წელს; ავტორია მთელი რიგი ლიტერატურულ-მეცნიერული ნაშრომებისა: „დიდმოურავიანი“, „სულხან-საბა თრბელიანი“, „შაჰნავაზიანი“, „მგოსანი საიათნოვა“, „ბესიკი და მისი დრო“, „ცხოვრება ფიროსმანისა“... მისი შემოქმედებისათვის მთავარია პატრიოტული თემატიკა. გარდაიცვალა 1966 წელს.

გაკვეთილების მასალა

„აღმოჩენები“ ბუნებისმეტყველებაში, (ჩეხი მწერლის – კლარა იარუნ-კოვას – მიხედვით), მართლწერის საკითხები: მიცემით ბრუნვაში ორი ს. ჰირველ ჰირში უ-ს წინ ვ-ს ხმარება (გამეორება).

მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- გაბმულ თხრობაზე მუშაობა
- პარალელის გავლება შესწავლილ ნაწარმოებთა შორის
- საგანთაშორისი კავშირი (ქართული ენა — ბუნებისმცოდნეობა)
- მოქმედ პირთა შედარებითი დახასიათება
- მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა
- წერითი მეტყველების განვითარება
- ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობა
- მართლწერის ჩვევათა ფორმირება

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (4 ნუთი):

მასწავლებელი კლასს შეახსენებს ციტატას ადრე შესწავლილი მოთხრობიდან: „მერხზე მხოლოდ ყდალა იყო. სანდრომ მოფარებით აიღო ცარიელი ყდა, უნდოდა ისიც დაემალა, მაგრამ მასწავლებელს რამეს გამოაპარებდი?“. არკვევენ მესამე კლასში შესწავლილი რომელი ნაწარმოებიდანაა იგი (ქ. ჭილაშვილის „ფურცლები“). გაიხსენებენ, რატომ იყო მერხზე მხოლოდ ყდა (საკონტროლო ნერის დროს სანდროს ხან შეეძლა, ხან დასვარა, ხან თავის ძატიფეხურით ნაწერი არ მოეწონა, ხან კიდევ მეზობლის რვეულიდან გადაწყვიტა გადაწერა, გვერდზე ყურებაში ასოები ხაზს ააცდინა და აღმა-დაღმა შეაფინა ირიბად. ყოველი დაბრკოლების დროს თითო ფურცელი ამოხია და მხოლოდ ყდალა შერჩა). სანდროს რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში? (დაუდევრობა, სიზარმაცე, სიცრუე, თავის მოწონების სურვილი). რისი თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის? (ტყუილი არ დაიმაღლება...). რომელი ანდაზა შეესაბამება ამ მოთხრობას? (რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო).

მასწავლებელი კლასს მიმართავს: დღეს თქვენ გაეცნობით ახალ მოთხრობას „აღმოჩენები“ ბუნებისმეტყველებაში“, დააკვირდით და გაკვეთილის ბოლოს გვითხარით, რატომ გავიხსენეთ შესწავლილი მოთხრობა „ფურცლები“, რა მსგავსება და რა განსხვავებაა ამ ორ მოთხრობას შორის.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (17 ნუთი):

ტექსტს მონაცემებით კითხულობს კითხვაში განაფული 2-3 მოსწავლე (თავიდან ბოლომდე), განმეორებით, ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები:

ბუნებისმეტყველება — ბუნების შემსწავლელი მეცნიერებანი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია...).

იჭაჭება — მთელ ძალ-ღონეს ძაბავს და ისე იცინის.

ჰოროსკოპი — (ბერძნ. ჰორო — დრო, სკოპი — ვუყურებ) — ვარსკვლავთა განლაგების ცხრილი, რომელსაც ადგენდნენ შუა საუკუნეებში ასტროლოგები ამა თუ იმ პიროვნების ბედის საწინასწარმეტყველოდ.

უკრედი — ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; ცოცხალი ნივთიერების ძირითადი ფორმა, რომელიც დამახასიათებელია ცხოველური და მცენარეული სამყაროსათვის.

მოსწავლეთა ძალებით მოხდება ამ უცნობ სიტყვათა გათვალსაჩინოება (სხვადასხვა წინადადებაში გამოყენება).

ტარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის მიერ დასმულ პირველი დონის კითხვების პასუხებს მოსწავლეები სახელმძღვანელოში ამოიკითხავენ:

— რატომ იყო დათო არხეინად? („კახასაგან გადავინერე, კახა კი ყველას სჯობია“).

— რა განაცხადა დათომ? („მე სულაც არ ვდელავ, ჩემი თავის იმედი მაქვს“).

— რა უთხრა ლაშამ დათოს? („ნუ ტრაპახობ, მაგასაც ვნახავ“).

— რა უთხრა კლასს მასწავლებელმა? („ერთმა თქვენმა მეგობარმა... ერთად დაფაზე ჩამოგინეროთ“).

— რა ჩამონერა დაფაზე მასწავლებელმა? (კითხვა.... პასუხი....)

— ვისი ეგონა ეს „აღმოჩენები“ დათოს? („რატომლაც ვიფიქრე ... თავშეკავებულად ილიმებოდა“).

— რა უთხრა ლაშამ დათოს, როცა შეამჩნია, მას უყურებდა? („ეგ ჩემი ნაწერი არ არის... როგორ დავწერდი?“).

— როდის შეწყვიტეს ბავშვებმა სიცილი? („მასწავლებელმა მალე განაცხადა: ეს კი არავის აღარ მოეწონა“).

— რა უთხრა მასწავლებელმა დათოს? („შენ რომ თავიდან ბოლომდე გადაინერე... ოჯახს მიაკუთვნე?“).

— რას ამბობდა კახაზე გაპრაზებული დათო? („შეიძლება ლაშას ადგილიც კი გა-ვუცვალო... მოდი და ამის შემდეგ ენდე მავას!“).

— რა უთხრა საღამოთი კახამ დათოს? („- ნუ მემდურები... გაკეთება მინდოდა“).

— რას ამბობს ბოლოს დათო? („დაკვირვებით კი გადავინერ...“)

აქტივობა 3 — ორთოეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა (4 ნუთი):

ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს ყურადღება მახვილდება ძნელად დასაწერ და წარმოსათემელ სიტყვებზე: **ორშაპათს** (ორშაფათს) **გვქონდა** (ქვერნდა), **ბავშვები** (ბოვშები, ბავშები), **არხეინად** (არხეინათ), **გასაგონად** (გასაგონათ), **ტრაპახობ** (ტრაპახოფ), **გააკეთა** (გაკეთა), **დაასახელე** (დასახელე), **ხეები** (ხები), **კლასს** (კლას), **მეტად** (მეტათ), **მაგივრად** (მაგივრათ), **ეკუთვნოდა** (ეკუთნოდა), **ვუყურებდი** (უყურებდი), **გეყოფათ** (გეყოფად), **ვუპასუხე** (უპასუხე), **გავუცვალო** (გაუცვალო), **გადავჯდე** (გადავუდე), **ირიბად** (ირიბათ), **ჭკვიანი** (ჭკუიანი), **ჩუმ-ჩუმად** (ჩუმჩუმათ), **დაკვირვებით** (დაკვირებით).

(შეიძლება შეცდომით დაწერილი სიტყვები ბარათებით დავურიგოთ თითოეულ ჯგუფს და გაასწორონ ტექსტის გამოყენებით).

აქტივობა 4 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა კითხვა-პასუხით (5 ნუთი):

— რა შეცდომები დაუშვა დათომ წერისას? (პარკოსან ოჯახს მიაკუთვნა წერითი სამუშაო, მცენარეული უჯრედის გამადიდებელ ხელსაწყოდ მიიჩნია ლობიო და ა.შ.).

— რით იყო გამოწვეული ეს შეცდომები? (დაუკვირდებლობით. არასწორად გადაი-წერა პირველი კითხვის პასუხი კახასაგან, რასაც მოჰყვა დანარჩენი შეცდომებიც).

— რატომ გაბრაზდა დათო კახაზე? (ეგონა, კახამ შეიყვანა შეცდომაში, რატომ დაწერა „წერითი სამუშაო“, თანაც ირიბადო, სწორედ ეს მეგონა პირველი კითხვის პა-სუხიო).

— როგორ შერიგდნენ ბიჭები? (საღამოს შინენვია დათოს კახა და სიცილით უთხრა: ნუ მემდურები, სხვა დროს უფრო დაკვირვებით გადავიწერ, რა ვიცოდი, რომ შენ „აღმო-ჩენების“ გაკეთება გინდოდა. დათოც დაეთანხმა, თუმცა მოითხოვა, კახაც უნდა გად-აეჩვიოს სტრიქონების დაქანებას, რათა შეცდომაში არ შეიყვანოს ადამიანიო).

აქტივობა 5 — წაკითხულის გააზრება (4 ნუთი): ეს ნაწარმოები არის:

- ა) მხიარული და გასართობი.
 - ბ) მოსაწყები და ჭკუისასწავლი.
 - გ) მხიარული და ჭკუისსასწავლი.
- სწორი პასუხია: გ)

აქტივობა 6 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (5 ნუთი):

ა) სიტყვის ხმარება გადატანითი მნიშვნელობით —

— მოსწავლეები უკვირდებიან რომელ პირშია თხრობა (პირველ პირში) ვინ მოგვითხრობს ტექსტში აღნერილ ამბავს (დათო), ვის უყვება დათო ამ ამბავს (მსმე-ნელს);

— რომელ „აღმოჩენებზეა“ საუბარი ტექსტში („პურს ღებულობენ მიკროსკოპით“, „ხეები სუნთქავენ ხორბლით“, „ბუნებრივი სასუქია ფესვები“....“).

— ვის ეკუთვნის ეს „აღმოჩენები?“ (დათოს).

— ვინ იყენებს ამ სიტყვას? (მასწავლებელი, კახა).

— რა მნიშვნელობით იყენებენ? (ირონით, დაცინვით).

ბ) პარონიმებზე დაკვირვება —

— „მიკროსკოპი“ და „ჰოროსკოპი“ ლაშას ერთმანეთში აერია, რატომ? რით ჰგავს ეს სიტყვები ერთმანეთს? რით განსხვავდება? (ჰგავს ასოთა შემადგენლობით, შემადგენელი 10 და 9 ასო-ბერებიან 7 ერთნაირია. ამასთან თითოეულ სიტყვაში ოთხი მარცვალია, აქედან სამი მარცვალი — **რო, სკო, ჰი** — ერთნაირია, განსხვავებულია მხო-ლოდ პირველი მარცვლები: **მიკ, ჰო** — რამაც განაპირობა ამ სიტყვათა სრულიად განსხ-ვავებული შინაარსი).

მიკროსკოპი — არის ოპტიკური ხელსაწყო ძლიერ გამადიდებელი შუშებით, იხმარება თვალით უხილავი საგნებისა და ორგანიზმების დასათვალიერებლად. ხოლო **ჰოროსკო-პი** — ვარსკვლავთა განლაგების ცხრილია, რომელსაც ადგენდნენ შუა საუკუნეებში ას-ტროლოგები ამა თუ იმ პიროვნების ბედის საწინასწარმეტყველოდ.

მასწავლებლის დახმარებით ჯგუფები ასახელებენ ანალოგიურ მაგალითებს:

მიკროსკოპი — ტელესკოპი; **თერმომეტრი** — ბარომეტრი...

ტელესკოპი — ოპტიკური ხელსაწყო ცის მნათობებზე დაკვირვების საწარმოე-ბლად.

თერმომეტრი — ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო.

ბარომეტრი — ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო.

აკვირდებიან პირველი ორი მარცვლის შეცვლით გამოწვეულ შინაარსობრივ ცვლილებებს.

აქვე შეიძლება მოსწავლეებმა გაიხსენონ სიტყვაში პირველი ასოს შეცვლით გამოწვეული შინაარსობრივი ცვლილებები:

ძელა — ძელა — გელა — თელა — ნელა — ლელა
ნელი — ველი — გელი — წელი — სელი — ბელი — ცელი — ხელი
გული — სული — ფული — რული — მული — ნული — ცული
პური — შური — მური — ფური — ყური — ცური — ჭური
ქარი — კარი — ტარი — ბარი — ლარი — დარი — ზარი — სარი...

აქტივობა 7 — შეჯამება (4 ნუთი):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (გაიგეს რა არის მიკროსკოპი, ჰოროსკოპი. როგორ ცვლის სიტყვის შინაარსს მასში ერთი ასოს შეცვლა. გაიგეს რომ შენი ცოდნის იმედად უნდა იყო, სხვის იმედზე ყოფნისას ერთი დაშვებული შეცდომით უამრავი „აღმოჩენის“ ავტორი შეიძლება გახდე და ყველას ირონია დაიმსახურო), ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

აქტივობა 8 — მოსწავლეთა შეფასება (3 ნუთი):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად სიტყვიერად, კომენტარით აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. გასათვალისწინებელია შემდეგი პარამეტრები:

პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა და მასალის ფლობა), მსჯელობა კლასში (აქტიურობა, საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა); ურთიერთშეფასებაში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეებიც.

აქტივობა 9 — საშინაო დავალება (2 ნუთი):

„აღმოჩენები“ ბუნებისმეტყველებაში — წერითი სამუშაო დავალება №2 („აქტივობების რვეული“ — „ეცადე, გააგრძელო ეს მოთხოვობა“).

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — გაკვეთილს ვიწყებთ წინა გაკვეთილზე მოცემული დავალების („ეცადე გააგრძელო ეს მოთხოვობა“) ირგვლივ მსჯელობით. ვარკვევთ, წაუკითხეს თუ არა თავიანთი ნამუშევრები მეგობრებს, მოისმინეს თუ არა მათი შეფასებები. რა შეფასებები მისცეს მეგობრებმა, გაიზიარეს თუ არა მათი შენიშვნები, რომელ შენიშვნას არ იზიარებენ და რატომ... წავაკითხებთ რამდენიმე მოსწავლეს, კლასი გამოთქვამს მოსაზრებებს წაკითხულის ირგვლივ.

მოსწავლეები შეავსებენ ერთმანეთის პასუხებს (3 ნუთი).

აქტივობა 2 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა (10 ნუთი):

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ მასწავლებლის დამხმარეკითხვების საშუალებით:

— რატომ არ ლელავდა დათო შეფასების გამოცხადებისას? (კახასაგან გადაიწერა, კახა კი ყველას სჯობდა ამ საგანში).

— რას აცხადებს დათო ყველას გასაგონად? (მე სულაც არ ვღელავ, ჩემი თავის იმედი მაქვს).

— მის რა თვისებაზე მიგვითითებს ეს ფაქტი? (მატყუარობაზე, თავის მოწონების სურვილზე).

— მიხვდა დათო თავის შეცდომას? რატომ ფიქრობთ ასე?

(დათო ვერ მიხვდა თავის შეცდომას, რაც ნათლად ჩანს მოთხოვობის ბოლო სტრიქონიდან: „დაკვირვებით კი გადავინერ, მაგრამ კახაც უნდა გადაეჩვიოს სტრიქონების დაქანებას, რათა ადამიანი შეცდომაში არ შეიყვანოს“, ამბობს იგი).

— თქვენი აზრით, ჰქონდა დათოს კახაზე გაპრაზების საფუძველი?

(არ ჰქონდა, მას არ დაუშლია თავისი ნაშრომით სარგებლობა დათოსათვის, რომელ-მაც გადაწერაც კი ვერ მოაწერხა სწორად).

— რის თქმა სურს მნერალს მკითხველისათვის? (არ შეიძლება მხოლოდ სხვის იმე-დად ყოფნა, ყოველ საქმეში სიბეჭითე და დაკვირვებულობაა საჭირო).

— როგორ გვეუბნება იგი თავის სათქმელს? (მხიარულად, იუმორის სახით).

— რამ მოგვვარათ ღიმილი ამ ტექსტში?

(დათოს მიერ შესრულებულმა ნამუშევარმა, მისმა „აღმოჩენებმა“).

— რა სათაური შეიძლება შევურჩიოთ კიდევ ამ ტექსტს? („საჭიროა ყურადღება“, „მხიარული მოთხოვობა“, „დაუკვირვებელი დათო“, რაც მოგივა, დავითაო... და ა.შ.).

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ მესამე პირში გაბმული თხრობით.

აქტივობა 3 — მოქმედ პირთა დახასიათება (7 ნუთი): (ჯგუფებში მუშაობა)

მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები ასახელებენ მოთხოვობის მოქმედ პირებს (დათო, კახა, ლაშა, მასწავლებელი), ასახელებენ თითოეულის თვისებას (დათო — არხენი, თავმომწონე, დაუკვირვებელი, ზარმაცი... კახა — ჭკვიანი, ავტორიტეტული, თავმდაბალი, იუმორის მქონე... ლაშა — გამოუსწორებელი ზარმაცი, უყურადღებო, თავისთავეში დარწმუნებული... . მასწავლებელი — ტაქტიანი, ყურადღებიანი...), კლასში ადასტურებენ თითოეულის თვისებებს ტექსტიდან.

აქვე ადარებენ ერთმანეთს ქ. ჭილაშვილის „ფურცლებსა“ და ახლად შესწავლილ მოთხოვობას „აღმოჩენები“ პუნქტისმეტყველებაში. ადგენენ რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ ნაწარმოებს შორის:

(ორივე მოთხოვობაში მასწავლებელი ყურადღებიანია. „ფურცლები“ ხომ ასე მთავრდება: „მაგრამ მასწავლებელს რამეს გამოაპარებდი?“...)

ორივე მოთხოვობაში მოქმედება მიმდინარეობს სკოლაში, გაკვეთილზე, ტარდება ნერითი სამუშაო, ორივეში მოსწავლეები (სანდრო, დათო) ცდილობენ სხვისგან გადაინერონ, ორივეში ჩანს მთავარ მოქმედ პირთა ერთნაირი თვისებები (დაუდევრობა, სიცრუე, თავის მოწონების სურვილი, სიზარმაცე). ორივე მოთხოვობას შეეფერება ანდაზა: „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ამ ორ ნაწარმოებს შორის ის განსხვავებაა, რომ დათომ მოახერხა გადაწერა (თუმც შეცდომით) და წარუდგინა მასწავლებელს. ხოლო სანდრომ ვერც თვით დაწერა, ვერც გადაწერა მოახერხა, იმდენჯერ ამოხია ფურცელი რვეულიდან, რომ მარტო ყდაღა შერჩა ხელში, ამასთან, „აღმოჩენები ბუნებისმეტყველებაში“ მხიარული და ჭკუისასწავლებელია, ხოლო „ფურცლები“ მხოლოდ ჭკუისსასწავლებელი.

აქტივობა 4 — წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობა (10-11 ნუთი):

მოსწავლეები წერენ მოთხოვობის „აღმოჩენები“ ბუნებისმეტყველებაში“ მოკლე შინაარსს. ევალებათ, იმეტყველონ მესამე პირში. („აქტივობების რვეულში“ დავალება №1).

რამდენიმე მოსწავლეს წავაკითხებთ და გავაანალიზებთ მოსწავლეთა დახმარებით.

აქტივობა 5: ენობრივ მასალაზე დაკვირვება (3 ნუთი) — სავარჯიშოში („აქტივობების რვეული“, დავალება №3) ერთი და იგივე ზმნა „თქვა“ რამდენჯერმე მეორდება, მოსწავლეებს ევალებათ საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ იგი შინაარსით მახლობელი ზმნებით — განაცხადა, უთხრა, უპასუხა, სთხოვა, ჰკითხა. ზმნები ასე შეიცვლება: პირველ აბზაცში „თქვა“ შეიცვლება სიტყვით „განაცხადა“, მეორე აბზაცში — „ჰკითხა“, მესამეში — „უპასუხა“, მეოთხეში — „განაცხადა“, მეხუთეში დავტოვებთ სიტყვას „ვთქვი“, მეექვსეში შეიცვლება სიტყვით „ვთხოვე“, მეშვიდეში — „მიპასუხა“, მერვეში — „გვთხოვა“.

აქტივობა 6 — ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობა (4 ნუთი):

ყურებამდე განითლდა — (ძალიან შერცხვა)

ყურების ჩამოყრა — (დარცხვენა, დაღონება, დასუსტება)

ყურების გამოჭედვა — (თავის მობეზრება ზედმეტი ლაპარაკით)

ყურებზე ხახვი არ დამაჭრა — (ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი)

ყურებში ბამბის დაცობა — (განგებ არმოსმენა რისიმე, სიყრუის მოგონება)

ყურის დაგდება — (მოსმენა)

ყურის მოკვრა — (შემთხვევით რისამე მოსმენა)

ყურის შებერტყვა — (გამოფხიზლება, შესმენა ნათქვამისა)

ყურისძირში — სულ ახლოს, იქვე, გვერდით...

(მოხდება ამ ფრაზეოლოგიზმების გათვალსაჩინოება — მათი გამოყენება წინა-დადებებში. ნიმუში: ყურების ჩამოყრა: „გიამ დღეს დაბალი ქულების მიღების გამო ყურები ჩამოყარა“, ყურების გამოჭედვა: „ტრაბახამ ყურები გამოგვიჭედა თავისთავის ქებით...“).

აქტივობა 7 — შეჯამება (3 ნუთი)

აქტივობა 8 — შეფასება (2 ნუთი)

აქტივობა 9 — საშინაო დავალება (2 ნუთი):

„აღმოჩენები“ ბუნებისმეტყველებაში“, წერითი დავალება №4 („აქტივობების რვეული“) — გამოტოვებულ ადგილას ჩასვი კავშირი (**ოლონდ, მაგრამ, თუმცა, კი**). (პირველ წინადადებაში ჩაისმება კავშირი კი, მეორეში — **თუმცა**, მესამეში — **მაგრამ**, მეოთხეში — **კი**, მეხუთეში — **ოლონდ**).

შედეგების კოდი: IV₁, IV₂, IV₃, IV₆, IV₇, IV₁₀, IV₁₂, IV₁₃, IV₁₄

გაპგეთილების მასალა

კეთილი უჩინმაჩინები (გერმანელი მწერლის ვოლფ ბრენეკის მიხედვით),
საინფორმაციო განცხადება


მიზნები

- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- დიალოგზე დაკვირვება
- ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება
- სხვადასხვა პირში თხრობა
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივი დახასიათება
- წაკითხულის შეფასება, დასკვნების გაკეთება და საკუთარი აზრის დასაბუთება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- წერითი მეტყველების განვითარება
- დისკუსიის ხელოვნების დაუფლება
- საინფორმაციო განცხადების გაცნობა

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (9 ნუთი):

მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას — გაიხსენონ სიტყვები „კეთილის“ გამოყენებით და შეავსონ „გონებრივი იერიშის“ რუკა, რომელიც დაფაზეა დახაზული:



თითო ჯგუფი მოიფიქრებს და მორიგეობით ჩაწერს სიტყვას, ამასთან უნდა ახსნას რას ნიშნავს ეს სიტყვა. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც მეტ სიტყვას მოიფიქრებს:

კეთილსინდისიერი — პატიოსანი, სინდისიერი;

კეთილგანწყობილი — ვინც კეთილად არის განწყობილი ვისიმე, რისიმე მიმართ.

კეთილგონიერი — გონიერი, წინდახედული, ჭკვიანი; **კეთილდღეობა** — კარგი, ბედნიერი ცხოვრება; **კეთილისმყოფელი** — ვინმესთვის სიკეთის მსურველი და სიკეთის მოქმედი; **კეთილმეზობლობა** — კარგი მეზობლური ურთიერთობა; **კეთილმოსაგონარი** — სასიამოვნო მოსაგონარი; **კეთილმოსურნე** — ვინმესთვის სიკეთის მსურველი, ვისიმე მიმართ კარგად განწყობილი; **კეთილსაიმედო** — სრულიად საიმედო, მისანდობელი. **კეთილშობილი** — ზნეობრივად ფაქიზი, დიდსულოვანი, კაცთმოყვარე, პატიოსანი.

მოსწავლეები გაიხსენებენ ანდაზებს სიკეთეზე („კარგი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე ნინდაგხვდება“, „ერთი თხილის გული ცხრა ძმამგაიყო“, „სიკეთის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“, „ყველი და პურიო, კეთილი გულიო“...). მოიგონებენ, თვით რა სიკეთე გაუკეთებიათ სხვისთვის, სხვებს კი მათვის.

— შესწავლილი ნაწარმოების მიხედვით, როდის გახდება სიკეთე მუჭა ბზის ფასი? („ამქვეყნად სიკეთის ფასი არაფერია, მაგრამ თუ კაცს სიკეთეს გაუწევს და თვითონვე მოითხოვს სამაგიეროს, მაშინ სიკეთე მუჭა ბზის ფასი ხდებაო“, „ერთი მუჭა ბზე“, III კლ.).

მასწავლებელი კლასს მიმართავს **რევაზ ინანიშვილის** სიტყვებით: „ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიპყრობს ფიქრი, სადლაც ვიღაცას სცივა, სადლაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, სადლაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი ნებუტუნით ილოკავს ჭრილობას, — უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ“.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (14 ნუთი):

მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას. წაიკითხავს რვა აბზაცს, რის შემდეგ 3-4 მოსწავლე განაგრძობას კითხვას. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები:

უჩინმაჩინი — ვინც გაუჩინარებულია, შეუმჩნეველია, ვისაც ვითომდა გაუჩინარების უნარი აქვს.

უჩინმაჩინის ქუდი — (ზღაპრებში) ქუდი, რომელიც ადამიანს უჩინარს ხდის.

შტაბელი (გერმ.) — წესიერი, გეომეტრიული ფორმით დაწყობილი საშენი ან სხვა რამ მასალა, შეშა და მისთ.

ქვაფენილი — ქვით მოფენილი, მოკირწყლული ნანილი ქუჩისა (ტრანსპორტის სავალად)

კეფის მოფხანა — დაფიქრება, ორჭოფობა, გადაუწყვეტლობა რისამე

უგულისყურო — უყურადღებო

სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — უზომოდ უხაროდათ, ძალზედ კმაყოფილნი იყვნენ.

სკვერი (ინგ.) — პატარა საზოგადო ბაღი ქალაქში.

ლრიჭო — იგივეა, რაც **ლრეჩო** — ვინრო და გრძელი ჭუჭრუტანა.

ფაქტებზე ორიენტირებული კითხვებით ჩატარდება გამოკრებითი კითხვა:

— რა გადაწყვიტეს *N* კლასის მოსწავლეებმა?

— რატომ უცდიდნენ ისინი მოუთმენლად გიორგის გამოჩენას?

— რა იდეა შესთავაზა გიორგიმ ამხანაგებს?

— როგორი იყო შეჯიბრის პირობები?

- რა კეთილი საქმეებით გამოიჩინეს თავი ბავშვებმა?
- რატომ იჯდა ხოლმე სტეფანე ჩუმად? რა იყო მისი უკმაყოფილების მიზეზი?.. (პასუხებს მოსწავლეები ტექსტიდან ამოიკითხავენ).

აქტივობა 3 — ტექტის გაგება და გააზრება (7 ნუთი):

- სად ხდება ტექსტში აღნერილი ამბავი? (სკოლაში)
- რა შეჯიბრის მოწყობა გადაწყვიტეს ბავშვებმა? (ჩაეტარებინათ „კეთილი უჩინ-მაჩინების“ შეჯიბრი).

— როგორი იყო შეჯიბრის პირობები? (ახალი საქმის მოგონება — სამი ქულა, მონაწილეობის მიღება — ერთი ქულა...)

— ჩამოთვალეთ, ვინ რა გააკეთა? (გიორგი უცნობს უზარმაზარი, მძიმედ დატ-ვირთული ურიკის გაგორებაში დაეხმარა; ვანომ სახლის წინ მდებარე სკვერი დაასუფთავა. გიგამ წინადადება წამოაყენა სპორტული მოედნის მშენებლებს ქვების შტაბელებად აწყობაში მიხმარებოდნენ, ნანამ მოიფიქრა — სკვერში სილის ცარიელი ყუთი სილით აევსოთ. სტეფანემ სკოლის ფანჯრის ღრიფოები ამოლესა, იატაკი შეაკეთა, საღებავი შინიდან მოიტანა და კედლებზე დაზიანებული ადგილები შეათეთრა. ბავშვებმა მოხუც ქალს შეშა დაუხერხეს და დაულაგეს, კედლებიდან ძველი აფიშები ჩამოფხიკეს).

— რატომ ჰქვია ამ ნაწარმოებს „კეთილი უჩინმაჩინები“? (სიკეთეს უჩუმრად აკეთებდნენ; კეთილი საქმე ჩანდა, გამკეთებლები კი-არა).

— რამდენად მისაღებად გეჩვენებათ კონკურსის პირობები? (მისაღებია, განსაკუთრებით მოსაწონია, თუ ვინმე ვერ მოახერხებს სიკეთე უჩუმრად აკეთოს, ორი ქულა აკლდება).

აქტივობა 4 — ლიტერატურული პარალელების გავლება (5 ნუთი):

„ძმები“ (ქართული ხალხური ზღაპარი), „ერთი მუჭა ბზე“, „საყვედური ტყვეობაზე უარესია“).

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (5 ნუთი):

ამოიკითხონ ტექსტიდან სულიერი არსებითი სახელები, რომლებიც უპასუხებს კითხვაზე ვინ? (ქალი, კაცი, ამხანაგები, მშენებლები, ბავშვები, მეზობლები, გიორგი, კობა, სოსო, სტეფანე, ნინო, გიგა, ვანო...)

— ზმინიზედები: დღეს, უხვად, ძლივს, მერე, წინ, ჩუმად, ახლა, საღამოს, იქ, მსუბუქად, უჩუმრად, უკან, წინ...

— ნაცვალსახელები: მე, ჩვენ, ისინი, შენ, იგი, მან, მას.

— კავშირები: როცა, და, მაგრამ, კი, რომ, ხოლო.

აქტივობა 6 — შეჯამება და შეფასება (4 ნუთი):

აქტივობა 7 — საშინაო დავალება (2 ნუთი):

„კეთილი უჩინმაჩინები“, დავალება №3 („აქტივობების რვეული“).

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტის კითხვა (7 ნუთი)

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, გამოიყენება კითხვის ყველა სახე, განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება გამომეტყველებით კითხვაზე — ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ მახვილზე, ტემპზე, ტემპრზე... (ტექსტი დიალოგის ფორმისაა, ამასთან ბევრია კითხვითი და ძახილის წინადადებები).

აქტივობა 2 — ტექსტის ანალიზი (7 ნუთი)

მასწავლებელი სვამს მაღალი დონის კითხვებს (ანალიზსა და სინთეზზე ორიენტირებულს), მოსწავლემ თავად უნდა შეძლოს წაკითხულის ანალიზი და სათანადო პასუხის მოვიქრება.

— თქვენი აზრით, რომელი პირი აკეთებდა ყველაზე საჭირო საქმეს? რატომ ფიქრობთ ასე? (ზოგის აზრით, ყველაზე საჭირო საქმეს აკეთებდა სტეფანე, რადგან მისი გაკეთებული საქმე ცალკეული პიროვნებისათვის, კი არა მთელი კლასისათვის იყო სასარგებლო; ზოგის აზრით, გიორგი, რაღვან შეჯიბრების იდეა მისი მოვიქრებული იყო...)

— ამ მოთხრობაში რა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რომელი გმირი მოგეწონათ? (მოთხრობაში ყველაზე მეტად მოსაწონია საქმის უჩუმრად კეთება, გმირებიდან კი — სტეფანე, რომელიც უჩუმრად იჯდა და თუ არ შეეკითხებოდნენ, იმასაც კი არ ამბობდა, რა გააკეთა, თუმც სახლიდანაც კი მოიტანა საღებავი საკლასო ოთახის კედლების შესა-თეთრებლად, ალბათ, ფანჯრის ღრიფოების ამოსალესი მასალაც შინიდან მოიტანა, და-ნარჩენმა მოქმედმა პირებმა ვერც კი შეამჩნიეს თავიანთი საკლასო ოთახის შეკეთება, რამაც სტეფანეს გული ატკინა).

— რა განწყობითაა დაწერილი ეს ტექსტი? რამ მოგვარათ დიმილი?

(დაწერილია მხიარული განწყობით. დიმილის მომვრელია ამხანაგების შეკითხვა სტეფანესადმი: „ვიდაც გამოჩერჩეტებული ხალხი შეგხვედრია! სად მუშაობ?...“)

აქტივობა 3 — მოთხრობის დაყოფა ნაკვეთებად და დასათაურება (7 ნუთი): (ჯგუფებში მუშაობა).

ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს თითოეულ სურათს წარმოგვიდგენს თითოეული ჯგუ-ფი მოსაწონი სათაურები დაინტერება დაფაზე. გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

მეხუთეკლასელები გიორგის მოლოდინში

გიორგის დაგვიანების მიზეზი

შეჯიბრის პირობები

ნანას სიტყვა

გიგას მოვიქრება

შეკრება პარასკევს

შეკრება ორშაბათს

სტეფანეს უკმაყოფილება.

წერით სრულდება დავალება №1

აქტივობა 4 — შინაარსის გადმოცემაზე მუშაობა (5 ნუთი):

გეგმის მიხედვით ნაწილ-ნაწილ გადმოსცემენ მოსწავლეები ჯერ ცალკეული მო-ნაკვეთის, შემდეგ კი — მთელი ტექსტის შინაარსს.

აქტივობა 5 — ტექსტის გააზრება (3 ნუთი):

— მოსწავლეები მსჯელობენ, ამ მოთხოვობის მიხედვით, როგორები არიან მეცნიერებლასელები: გიორგი, სოსო, კობა, სტეფანე, ნანა, გიგა, ვანო (ახასიათებენ დადებითად — არიან კეთილი უჩინმაჩინები, გამოყოფენ მათ ერთ უარყოფით თვისებას: უყურადღებონი არიან, ვერ დაინახეს სტეფანეს მიერ განეული სიკეთე). მათგან განსხვავებით მეზობლებს („ნეტავ ვინ დაგვისუფთავა სკვერიო“), მოხუც ქალს („ნეტავ რომელი კეთილი ჯადოქარი დამეხმარაო“).

აქტივობა 5 — ნერითი სამუშაო (10 ნუთი):

შესწავლილი ტექსტის მიხედვით დაწერეთ „მხიარული შეჯიბრი“ (აქტივობების რვეული, დავალება №1).

აქტივობა 6 — გრამატიკულ მასალაზე მუშაობა (10 ნუთი):

რამდენი კითხვითი წინადადებაა ტექსტში? (რვა), რომელი მათგანი შეიცავს კითხვით სიტყვას? („**სად** დაიკარგა გიორგი?“, „**როგორ** თუ გზადაგზა ფიქრობდი?“, „**რა** მოხდა?“, „**რა** შეუძია აქ შეჯიბრი?“, „**სად** მუშაობ?“). როგორ უნდა წავიკითხოთ ეს წინადადებები? სად ავუმაღლებთ ხმას? (კითხვით სიტყვაზე — **სად**, **როგორ**, **რა**, **სად**).

— რამდენი ძახილის წინადადებაა ტექსტში? (თხუთმეტი)

— რას გამოხატავს თითოეული მათგანი? (დაღონებას, აღტაცებას, გაკვირვებას, სიხარულს, მწუხარებას, დანანებას...) კითხულობენ ამ წინადადებებს სათანადო ინტონაციით.

სასურველია, ძახილის წინადადებაზე მუშაობისას გამოვიყენოთ **ჯგუფებში მუშაობა**. თითოეულ ჯგუფს ბარათის სახით მივაწოდოთ ხუთი წინადადება. გვერდით მიუწერონ, რას გამოხატავს თითოეული მათგანი: (იმის გასარკვევად, თუ რა გრძნობაა გამოხატული ამა თუ იმ წინადადებაში, შეიძლება გამოვიყენონ ტექსტიც).

ბარათი I

1. იქნებ დაემართა რამე! (მწუხარებას)
2. ბიჭოს! ეს კარგი გასართობი იქნება! (აღტაცებას)
3. ნეტავ გენახათ, როგორ გაუკვირდა მას, როცა ურიკა ასე მსუბუქად გამოვიდა ქვაფენილზე! (სიხარულს)
4. პირდაპირ სასაცილო ამბები ხდება! (აღტაცება)
5. ჩვენ კი ისევ შეუმჩნევლები ვართ! (დანანებას)

ბარათი II

1. ნახეთ რა მოუვა ბავშვებს, ამდენ სილას რომ დაინახავენ! (სიხარულს)
2. მე უფრო უკეთესი რამ მოვიგონე! (აღტაცება)
3. სად და ჩვენს საკლასო ოთახში! (დანანებას)
4. ამდენ საქმეს უხმაუროდ როგორ აკეთებენ! (გაკვირვებას)
5. აი, რა მოვიფიქრე! (სიხარულს)

ბარათი III

1. აი, სად არის საჭირო შენი დახმარება! (მოწოდებას)
2. როგორ გაუკვირდებათ, ხვალ ოთხი შტაბელი რომ ლახვდებათ! (სიხარულს)
3. მყითხაობენ — ნეტავი ვის უნდა ექნაო! (აღტაცებას)
4. ვიღაც გამოჩერჩეტებული ხალხი შეგხვედრია! (გაკვირვებას)
5. ორი ქულა დავკარგე! (დაღონებას)

აქტივობა 7 — შეჯამება და შეფასება (3-4 ნუთი):

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (2-3 ნუთი) „აქტივობების რვეული, დავალება №2.

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა და ანალიზი (14 ნუთი):

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. ყურადღება ექცევა ტექსტის შინაარსის მესამე პირში გადმოცემას, ფაქტების ლოგიკურ თანმიმდევრობას, ორთოეპიასა და ინტონაციას.

ტექსტის საანალიზოდ მოსწავლეები ერთმანეთს დაუსვამენ კითხვებს (წყვილებში მუშაობა), აფასებენ ამ შეკითხვებზე მიღებულ პასუხებს.

მსჯელობენ მოქმედ პირთა საქციელზე, აფასებენ მათ, გამოთქვამენ საკუთარ აზრს და ასაბუთებენ, მარტივად ახასიათებენ ლიტერატურულ პერსონაჟებს, იყენებენ ტექსტს.

მსჯელობენ, რის თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის (აუცილებელია ადამიანს პქონდეს როგორც სიკეთის უჩუმრად კეთების, ასევე სიკეთის დანახვის უნარი).

მსჯელობენ სად და როდის მიუღიათ მონაწილეობა კონკურსში, უჩუმრად თუ დახმარებიან ვინმეს.

აქტივობა 1 — პარალელის გავლება შესწავლილ ტექსტებთან (7 ნუთი):

მოსწავლეები ერთხელ კიდევ გაიხსენებენ უჩინარი ბიჭების მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეებს „კეთილი უჩინმაჩინების“ მიხედვით — რა უწოდა უჩინარ ბიჭებს მოხუცმა ქალმა (კეთილი ჯადოქრები).

— რომელი შესწავლილი მოთხრობა გაგახსენათ სიტყვებმა: „სიკეთე“ „უჩინარი“ (მოთხრობა „სიკეთე“ (III კლ.). გაიხსენებენ როგორ მოევლინა ღამით სიკეთეზე მეოცებებ ბიჭს უჩინარი, როგორ შეჰპირდა იგი ბიჭს ოცნების შესრულებას სიკეთის კეთების სანაცვლოდ), რით ბოლოვდება ეს მოთხრობა?

(მას შემდეგ ყველამ იცოდა „ქვეყანა სიკეთე“, რომელზეც ოდესმე ლმერთი ჩამოსვლას ინებებს“).

გაიხსენეთ რომელი მოთხრობიდანაა „სწორედ ეს არის სიკეთის დაუნახავობა! — ნაღვლიანად აშრიალდა მუხის ფოთოლი და ღამით დადენილი ცის ნამი ცრემლებად ექცა“.

(„გაზაფხული მოვიდა“ (II კლასი). მუხის ფოთოლი ყოჩივარდას მთელი ზამთარი

საბანივით ზედ ეფარა, რათა ყინვას არ დაეზრო, ქარს არ ამოეთხარა მიწიდან“, გაზაფ-ხულზე კი ყოჩივარდამ თქვა: „საიდან მოჩერჩეტდაო“, რომელმაც გული ატკინა მუხის ფოთოლს).

გაიხსენებენ შესწავლილ ანდაზებს სიკეთეზე.

აქტივობა 3 — დისკუსია გამონათქვამის — „სიკეთე მზის შუქსა ჰგავს — ან-ათებს და ათბობს“ — ირგვლივ (7 ნუთი):

კლასი იყოფა სამ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი გვთავაზობს თავის მოსაზრებას გამონათქვამის ირგვლივ. აუცილებელია ამ მოსაზრების დასაბუთება მოქმედებს პრინ-ციპი: **ყველას აზრი საყურადღებოა.** მასწავლებელი არ ერევა მოსწავლეთა პასუხებში, აძლევს მოლოდ გეზს, რომ სწორად წარიმართოს დისკუსია და არ მიიღოს დაპირისპირების ხასიათი. მოსწავლეები იხსენებენ მაგალითებს შესწავლილი ტექსტებიდან, პირადი ცხოვრებიდან, ამ ეტაპზე მთავარია არა მხოლოდ ჭეშმარიტების ძიება, არამედ დის-კუსის ხელოვნების თანდათან დაუფლება, მოსმენა, სხვისი აზრის პატივისცემა, საკუ-თარი მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება.

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება 12 ნუთი:

მოსწავლეები კითხულობენ დაფაზე წინასწარ დაწერილს.

განცხადება

დღეს, 18 აპრილს, გაკვეთილების შემდეგ ყველანი ვრჩებით საკლასო ოთახში. ვი-საუბრებთ შეჯიბრის კვირეულზე.

კეთილი უჩინმაჩინები.

არკვევენ: — რა ლონისძიების შესახებ არის მითითებული ამ განცხადებაში, სად ტარდება ეს დონისძიება, როდის ტარდება და ვინ ანერს ხელს ამ განცხადებას.

— ამგვარ განცხადებას საინფორმაციო განცხადება ეწოდება, აცნობს კლასს მას-წავლებელი და თვით მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში, რას ისახავს მიზ-ნად საინფორმაციო განცხადება, რა უნდა იყოს მასში სრულად მითითებული (გვ.). ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ მე-4 დავალების ა პუნქტს: „შეადგინე საინფორმა-ციონ განცხადება თემაზე „ექსკურსიის მოწყობა“:

ნიმუში:

განცხადება

კვირას, 25 მაისს, IV კლასი ანუბს ექსკურსიას მცხეთაში. ვიკრიბებით სკოლასთან დილის 8 საათზე.

მეოთხეულასელები.

აქტივობა 5 — შეჯამება და შეფასება (3 ნუთი)

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 ნუთი):

„კეთილი უჩინმაჩინები“ საინფორმაციო განცხადება საზეიმო დღესასწაულის მოწყობა-ზე („აქტივობების რვეული“, დავალება №4 პ).

შედეგების კოდი: IV₂, IV₃, IV₇, IV₉, IV₁₀, IV₁₁, IV₁₂

გაპგეთილების მასალა

„ორშაბათი მმიმე დღეა“ (ნაწილები მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავი ადასავლიდან“), მიზნობრივი ტექსტის აგება — განცხადება

მიზნები

- მხატვრული ნაწარმოების კითხვა და ანალიზი
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- მოკლე შინაარსის გადმოცემა
- გაბმული მეტყველების განვითარება
- კრიტიკული აზროვნების ფორმირება
- მარტივი მიზნობრივი ტექსტის — განცხადება — აგება
- ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლეები კითხულობენ და აანალიზებენ მხატვრულ ტექსტს
- ყოფენ მას ცალკეულ ნაწილებად და ადგენენ გეგმას მოკლე შინაარსის გადმოსაცემად
- გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ვრცლად, შემდეგ — მოკლედ
- აკეთებენ დასკვნებს, ასაბუთებენ თავის აზრს
- აგებენ მარტივ მიზნობრივ ტექსტს (განცხადება)
- წერენ
- მუშაობენ წყვილებში, ჯგუფურად

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მოსწავლეები იხსენებენ წინა წელს შესწავლილ ნაწყვეტს „ტომ სოიერის თავი ადასავლიდან“ — „მოხერხებული ტომი“ (ზოგიერთს შეიძლება წაკითხულიც ჰქონდეს სრული ტექსტი); იხსენებენ, ვინ არის ამ ნაწარმოების ავტორი, ვინ არის ტომი, სად და როდის ხდება ამ ნაწარმოებში აღნერილი ამბავი, ტომის რა მოქმედება დაამახსოვრდათ, მისი რა თვისებებია მათთვის მისაღები ან მიუღებელი...

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: მარკ ტვენი (სამუელ კლემანსო), 1835-1910 წლები, ცნობილი ამერიკელი მწერალი, ამერიკული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებული, საბავშვო ლიოტერატურის კლასიკოსი; იყო ასოთამწყვბის შეგირდი, ლოცმანი, ოქროს მაძიებელი; უურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა იუმორისტულ ნაწარმოებებს, პამფლეტებს, სტატიებს, რეპორტაჟებს; მის შემოქმედებაში გამოირჩევა „ტომ სოიერის თავი ადასავალი“, რომელიც ავტობიოგრაფიული შეფერილობისაა; „უფლისნული და მათხოვარი“, რომელიც ისტორიულ თემაზეა შექმნილი; „ჰეკლბერი ფინის თავი ადასავალი“, რომელშიც გაკრიტიკებულია მონობა, რაც უდიდეს პრობლემას ნაწარმოადგენდა იმდროინდელი ამერიკული საზოგადოებისათვის. მარკ ტვენის შემოქმედების საფუძველია ხალხური იუმორი; მან ამერიკულ მოთხოვას მისცა სრულიად ახალი იერი და შეიტანა მასში სატირული კარიკატურა, კომიზმი, კომიკურის ტრაგიკულთან მოულოდნელი შერწყმა. მთელ მის შემოქმედებას გასდევს ღრმა დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი: მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა მასწავლებლის დახმარებითა და კლასის აქტიური მონაწილეობით აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. კითხვის დამთავრების შემდეგ დაისმის ტექსტის შინაარსზე ორიენტირებული კითხვები:

- რატომ იყო ტომ სოიერი ცუდ გუნებაზე?
- რას უწოდებდა იგი სკოლაში ყოფნას?
- რა ხერხს მიმართა მან?
- რა ანდერძს იპარებდა ტომი?
- რატომ შეშინდა მისი ძმა?
- რატომ გაეცინა დეიდა პოლს?
- რა შედეგი მოჰყვა ტომის მცდელობას, დარჩენილიყო შინ?
- რატომ იყო იძულებული ტომი, ნასულიყო სკოლაში?

ტექსტის ანალიზისათვის დაისმის კითხვები:

- რას უწოდებს ტომი „ნამებას“? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად დამაჯერებული იყო ტომის ტყუილი?
- რატომ არ დაიჯერა დეიდას ბიჭის ავადმყოფობა?
- თქვენი აზრით, ტომს სხვა ავადმყოფობა რომ მოეგონებინა, დაუჯერებდა მას დეიდა?

- ტომის რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში? (დაასაბუთეთ ტექსტიდან)
- რა ანდაზები გაგახსენდათ ტექსტის კითხვისას? („ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“, „ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ გამოტყდებაო“...)
- თქვენი აზრით, რა არის სასაცილო ამ ნაწარმოებში?
- როგორ ფიქრობთ, მოსწონს მწერალს ტომის საქციელი? რატომ ფიქრობთ ასე?
- თქვენც ხომ არ შეგმოხვევიათ მსგავსი რამ?
- როგორ ფიქრობთ, რა გადახდებოდა იმ დღეს სკოლაში ტომს?...
- ნაიკითხეთ ტექსტიდან ის ადგილი, საიდანაც ჩანს, რომ ა) ტომს არ უყვარს სწავლა, ბ) ტომს ემარჯვება ტყუილის თქმა, გ) დეიდა პოლს ძალიან უყვარს ტომი და ზრუნავს მასზე, დ) ტომი ვერ ერკვევა მედიცინაში...
- თქვენი აზრით, სწორად აქვს ამ ნაწყვეტს სათაური შერჩეული?

3. შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს და თითოეულ აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთს ურჩევენ სათაურს, თანაც ცდილობენ, რომ ტექსტში მოძებნონ მხოლოდ არსებითი და ძირითადი, ადგენენ „მოკლე გეგმას“, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

- ა) ტომის ფიქრები
- ბ) მისი გადაწყვეტილება
- გ) ტომს თითო სტკივა
- დ) ანდერძი
- ე) დეიდას შიში
- ვ) ტყუილს მოკლე ფეხი აქვს (დავალება 1)

ამ გეგმის მიხედვით მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის მოკლე შინაარსს, შემდეგ საკუთარი შეხედულებით ირჩევენ ერთ-ერთ საკითხს და წერილობით გადმოსცემენ სათანადო მონაკვეთის შინაარსს (დავალება №2).

4. წყვილებში მუშაობა — დავალება №4 — მოსწავლეები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით ამთავრებენ ტომის „ანდერძს“ და წერენ მას.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. ორთოგრაფიაზე ვარჯიში — მოძებნეთ ტექსტში სიტყვები, რომლებიც იწერება ორი მ-თი (ტომმა), ორი ს-თი (ტანისამოსს), რატომ იწერება აქ ორი მ? ორი ს? მოძებნეთ ის სიტყვები, რომელთა მართლწარმოთქმა და მართლწერა ერთმანეთს არ ემთხვევა (ავად, ავადმყოფობა, დააყოვნებს, ეკვროდა...)

2. მარტივი მიზნობრივი ტექსტის შექმნა — მოსწავლეები ეცნობიან განცხადების შინაარსს; წესებს, რომელთა მიხედვითაც უნდა დაიწეროს იგი; რა და რა ნაწილებისა-გან შედგება (ვის მიემართება იგი, ვინ წერს ამ განცხადებას, ძირითადი ტექსტი, ხელის მოწერა, თარიღი), სად, ფურცლის რომელ მხარეს იწერება ესა თუ ის ნაწილი... ნიმუშის მიხედვით მოსწავლეები თავადაც ქმნიან ანალოგიურ ტექსტებს (დავალება №4).

შედეგების კოდი: IV₂, IV₄, IV₆, IV₈, IV₉, IV₁₀, IV₁₁, IV₁₄

გაკვეთილების მასალა

ჩესტერფილდის „მამის წერილი ცხრა წლის ვაჟიშვილს“,
საკომუნიკაციო ტექსტის აგება

მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- წაკითხულის შეფასება და სათანადო დასკვნების გაკეთება
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- საკომუნიკაციო ტექსტის აგება და წერა (წერილი ახლობელს)

აქტივობები

- მოსწავლეები კითხულობენ და აანალიზებენ ტექსტს
- აფასებენ წაკითხულს, აკეთებენ დასკვნებს, ასაბუთებენ საკუთარ აზრს
- გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს
- აგებენ მარტივ საკომუნიკაციო ტექსტს (წერილი ახლობელს)
- წერენ

I. გაკვეთილის მსვლელობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი სვამს შეკითხვას — თუ მიუწერიათ როდესმე წერილი ახლობლისათვის და რა საშუალება გამოიყენებიათ ამისათვის (ფოსტა, ელექტროფოსტა), ფოსტით გაგზავნისას რა არის საჭირო (კონვერტი, რომელსაც აუცილებლად აქვს მარკა), რის მითითებაა აუცილებელი (მისამართის), როგორ იწყებენ წერილის წერას, როგორ ამთავრებენ, თუ უთითებენ თარიღს... შესწავლილი ნაწარმოებიდან („მარკო პოლოს მოგზაურობა“) იხსენებენ, რომელ ქვეყანაში გამოიყენეს პირველად ფოსტა წერილების გასაგზავნად (ჩინეთში), რომელ საუკუნეში (XIII)...

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: გრაფი ჩესტერფილდი — XVIII საუკუნის ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, უკედავება მოიპოვა თავისი ეპისტოლარული მემკვიდრეობით — ერთადერთი ვაჟიშვილის, ფილიპისადმი, მინერილი წერილებით. წერილებში ავტორი ვრცლად მსჯელობს სწავლა-აღზრდის საკითხებზე, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტულაობას. იმდენად პოპულარული იყო მისი შეხედულებები, რომ მის წერილებში გამოთქმულ აღზრდის საკითხებზე მომდევნო ხანებში პედაგოგიური სკოლის შექმნაც კი სცადეს.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს ჩესტერფილდის თხზულებას „წერილი ცხრა წლის ვაჟიშვილს“. ყურადღება ექცევა გამომეტყველებით კითხვას — ტექსტი მონოლოგურია და დამრიგებლობითი ხასიათის, ამიტომ უნდა შეირჩეს სათანდო ინტონაცია და ტემპი, კითხვისას ლოგიკური

და ფსიქოლოგიური მახვილებით უნდა გამოიყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფრაზები.

გაანალიზდება, რაარისამწერილის მიზანი (ვაჟიშვილის დარიგება), წერილის მიხედვით, რით აღნევს ნიჭიერი კაცი მიზანს (სისტემატური მუშაობითა და გულისყურით), რაზე სწორი მამა (მის შვილს გულისყური აკლია), რა რჩევას აძლევს (დააგროვოს მისმა შვილმა ცოდნის მარაგი, სანამ საამისო დროა), რით შეუძლია ადამიანს დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებაში (ცოდნითა და აღზრდით), რა არის სწავლისათვის აუცილებელი (ნიჭი, გულისყური, დრო), რასთან არის შედარებული ცოდნის შეძენა (მოსავლიან წლებში ბეღელში მარცვლეულის შენახვასთან, რომელიც მოუსავლიან წლებში გამოდგება), რა მიაჩნია მას ნამდვილ ცოდნად (წიგნების კითხვა და ადამიანებთან ურთიერთობა, ცოდნის ეს ორი სახე ერთმანეთს ავსებს), რომელი შესწავლილი ფრაზა ეხმიანება ამ წერილს (ილიას „არც სულ უნიგნობა ვარგა და არც მხოლოდ წიგნებიდამ გამოხედვა“), რომელი ქართველი მწერლის ნაწარმოები გაახსენდათ ამ წერილის კითხვისას (დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“), რა აქვს ამ ორ ნაწარმოებს საერთო...

მასწავლებლის შემდეგ ტექსტს **ჩუმად** კითხულობენ მოსწავლეები და მოინიშნავენ იმ ადგილს, რომელიც, მათი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; ჩაინიშნავენ იმ დარიგებას, რომელსაც ეთანხმებიან (ან არ ეთანხმებიან), ასაბუთებენ თავის აზრს (დავალება №1), შეიძლება ამას ერთგვარი დისკუსიის სახეც კი მიეცეს; წაკითხული წერილის მიხედვით ცდილობენ, დაახასიათონ წერილის ადრესატი და ადრესანტი.

შესწავლილი ტექსტის მიხედვით წერენ „მამის რჩევას“ (დავალება №2).

3. საკომუნიკაციო ტექსტის აგება — დავალებები №3 და №4.

შედეგების კოდი: IV₁, IV₃, IV₇, IV₉, IV₁₉, IV₁₁

მომდევნო ორი მასალის: ასტრიდ ლინგრენის „**საუბარი მამასთან**“ (ნაწყვეტი მოთხოვნილი „ყაჩალის ასული რონია“) და ვაჟა-ფშაველას ლექსის „**პაპიჩემის ანდერძი**“ დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ, ვთავაზობთ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ასტრიდ ლინგრენი — გამოჩენილი შვედი საბავშვო მწერალი ქალი, დაიბადა 1907 წელს, გარდაიცვალა 2002 წელს, თარგმნილია 85 ენაზე, გამოცემულია 100-ზე მეტ ქვეყანაში, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს: „სახურავის ბინადარი კარლსონი“, „პეპი გრძელწინდა“, „ყაჩალის ასული რონია“...

გაქვეთილების მასალა

რევაზ ინანიშვილის „მოხეტიალე მუსიკოსი“, ხელობის აღმნიშვნელი სახელები, რთული სიტყვების მართლწერა

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- წაკითხულის გააზრება და სათანადო დასკვნების გაკეთება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- მხატვრული ტექსტის აგება
- ნაწერის ჩასწორება და კორექტირება
- ხელობის აღმნიშვნელ სიტყვებზე დაკვირვება
- ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გაიაზრებს წაკითხულს, აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს
- ადგენს მოკლე გეგმას ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარს მოკლედ და ვრცლად
- აგებს ტექსტს
- წერს
- ეუფლება საკუთარი ნაწერის ჩასწორებისა და კორექტირების ხერხებს
- ეცნობა ხელობის აღმნიშვნელ სიტყვებს, იყენებს მათ მეტყველებაში
- ვარჯიშობს კომპოზიტების მართლწერა

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — მასწავლებელი კლასს აცნობს ტექსტის სათაურს „მოხეტილე მუსიკოსი“, სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, ვის შესახებ იქნება საუბარი ამ ტექსტში, თავისი წარმოდგენით დაახასიათონ მოხეტიალე მუსიკოსი, შეიძლება ამ მიზნით შედგეს გონიერი იერიშის რუკაც და გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა.

2. ტექსტის კითხვა — ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები, შეიძლება გამოვიყენოთ „პაუზებით კითხვა“; გზადაგზა, კითხვის პროცესშივე აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

მხედ გამოიყურებოდა — ახალგაზრდულად, ყოჩალად გამოიყურებოდა
არჩევანში არ შედიოდა — არ არჩევდა, სულ ერთი იყო
სათივე ღვთის მოწყალებად მიაჩნდა — სათივითაც ძალიან კმაყოფილი იყო
უშფოთველი ძილით — მშვიდი ძილით...

შედგება მოკლე გეგმაც, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:
მოხეტიალე მუსიკოსის საქმიანობა
ხალხის აზრი მოხეტიალე მუსიკოსის შესახებ
შეხვედრა მეშუქურესთან
კეთილი მასპინძელი
მუსიკოსის ოსტატობა
ბედნიერი სტუმარ-მასპინძელი

3. ტექსტის ანალიზი — ტექსტი ჯერ გაანალიზდება | დონის კითხვებით:

- სად ცხოვრობდა მოხუცი მევიოლინე?
- როგორ გამოიყურებოდა იგი?
- რას საქმიანობდა?
- რას ამბობდა ხალხი მის შესახებ?
- როგორ მოხვდა იგი მეშუქურესთან?
- რას საქმიანობდა მეშუქურე?
- რა სიტყვებით შეაფასა მასპინძელმა სტუმრის საქმიანობა?

მომდევნო ეტაპზე დაისმის წაკითხულის გააზრებასა და **შეფასებაზე** ორიენტირებული კითხვები:

— რა ზემოქმედება მოახდინა მუსიკამ მეშუქურეზე? (მოიხიბლა მუსიკით — იგი სულგანაბული უსმენდა და ისეთი თვალები ჰქონდა, რომ მევიოლინემ მეორე და მესამე მელოდიაც დაუკრა).

— რატომ იყო ეს ორივე ადამიანი რამდენიმე წუთით ყველაზე ბედნიერი ამ ქვეყანაზე? რამ მოჰკვარათ მათ ეს გრძნობა? (ორივე საჭირო საქმეს აკეთებდა, ორივეს სიხარული მოჰკონდა ადამიანებისათვის).

— მუსიკოსის რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში? (**იგი შრომისმოყვარეა** — ძალზე უყვარს თავისი საქმე, უკრავს კარგად, არ ერიდება არც ფიზიკურ შრომას და ამის გამო ფიზიკურადაც ძლიერია; **კეთილია** — უხარია, მსმენელს სიხარულსა და კმაყოფილებას რომ ანიჭებს; **არ არის ხარბი** და ფულის მოყვარული, მცირედითაც კმაყოფილია...); მეშუქურის რა თვისებები ჩანს? (ცოტა უკმეხია, მრისხანედ გამოიყურება, არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, მაგრამ **კეთილია** — სტუმარს თავისი ლუკმა გაუნანილა; **შრომისმოყვარეა** — კეთილსინდისიერად ასრულებს თავის საქმეს, აქვს სხვისი შრომისა და გარჯის დაფასების უნარი; **გაუნათლებელია** — ვერ მიხვდა რა იყო ვიოლინო, მაგრამ აქვს მუსიკის მოსმენისა და აღქმის ნიჭი...), რა აქვს ამ ორ გმირს საერთო (ორივე მარტოა ამ ქვეყანაზე, ორივე თავისი საქმის ოსტატია, ორივე საოცრად კეთილია, ორივეს უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს სხვისი დახმარება...),

კლასს შეიძლება სადისკუსიოდ შევთავაზოთ თემები:

ა) მუსიკოსის საქმიანობას სხვადასხვა შეფასებას აძლევენ. ხალხის რომელი მოსაზრებაა სწორი?

ბ) ვინ უფრო საჭირო საქმეს აკეთებს — მუსიკოსი თუ მეშუქურე?

ტექსტის გააზრებისათვის სრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ).

3. წერა — წერილობით შედგება მოკლე გეგმა (დავალება №1), ამ გეგმის მიხედვით წერილობით გადმოსცემენ ტექსტის მოკლე შინაარსს (დავალება №2), ასევე ვთავაზობთ საწერად თავისუფალ თემას: „რატომ დახეტიალობდა მუსიკოსი“, მოსწავლეებმა ამ ტექსტს თავად უნდა შეურჩიონ სათაური, შეადგინონ გეგმა, წერის დამთავრებისას ერთხელ კიდევ წაიკითხონ, ჩაასწორონ შემჩნეული შეცდომები და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინონ მისი პრეზენტაცია.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

ა) ხელობის აღმნიშვნელ სიტყვებზე დაკვირვება — ერთმანეთს შეუპირისპირდება სიტყვათა ორი რიგი; აკვირდებიან, რას გამოხატავს პირველ სვეტში ჩამოწერილი არსებითი სახელები (უსულო საგანს, დაესმით კითხვა **რა?**), მეორე სვეტში ჩამოწერილი არსებითი სახელები (სულიერ საგანს, აღნიშნავენ ხელობას, დაესმით კითხვა **ვინ?**), ვარჯიშობენ ხელობის აღმნიშვნელი სახელების მიღებაზე, შეიძლება დავაკვირვოთ მანარმოებელ თავსართ-ბოლოსართზე (მე- ... -ე).

ბ) რთული სიტყვების მართლწერაზე ვარჯიში — დავალება №4.

შედეგების კოდი: IV₂, IV₃, IV₆, IV₇, IV₁₀, IV₁₁, IV₁₂, IV₁₃

გაპგეთილების მასალა

გოდერმი ჩოხელის „მგელი“, არსებითი სახელის ჯგუფები
შინაარსის მიხედვით (საკუთარი და საზოგადო,
გეოგრაფიული და სადაურობის სახელები)

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- არსებითი სახელის შინაარსობრივ ჯგუფებზე დაკვირვება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟს
- წერს
- აგრძელებს შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებს
- აკვირდება არსებითი სახელის ჯგუფებს შინაარსის მიხედვით (საკუთარი და საზოგადო, გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელები)

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება: ამ ეტაპის დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი: ტექსტს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები, გზადაგზა ხსნიან უცნობ ლექსიკურ ერთეულებს და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) მგლის გაჭირვება

ბ) გამიხარდას გადაწყვეტილება

გ) ადამიანი ეხმარება მგელს

ე) სიკეთის ყმუილი...

ტექსტი გაანალიზდება შემდეგი კითხვების საშუალებით:

— ვინ არის გამიხარდა? სად ცხოვრობს იგი?

— რატომ წავიდა იგი მგელთან?

— რა სიტყვებით გააცილა იგი ცოლმა?

- როგორ დაეხმარა გამიხარდა მხეცს?
 - როგორ გამოხატა მგელმა თავისი მადლიერება?
 - რა სადღეგრძელოს ამბობს გამიხარდა? ვის ადღეგრძელებს იგი?
 - თქვენი აზრით, რატომ ენდობა მგელი გამიხარდას?
 - გამიხარდას რა თვისებები ჩანს ტექსტში? (კეთილია, მგელიც კი ებრალება და მის დასახმარებლად მიდის; უშიშარია — იარაღი არ მიაქვს თან...)
 - რამდენად დამაჯერებლად შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტში აღწერილი ამბავი? (ეს საკითხი სადისკუსიოდ შეიძლება შევთავაზოთ კლასს)
 - რა სიტყვებით ამთავრებს მნერალი თხრობას?
 - თქვენი აზრით, რის თქმა სურს მნერალს მკითხველისათვის? (სიკეთის დანახვა მგელსაც კი შეუძლია...)
 - როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად აქვს ტექსტს სათაური შერჩეული? შეიძლება თუ არა სხვა სათაური შევურჩიოთ მას?
 - შეიძლება თუ არა გავაგრძელოთ ეს ამბავი? თქვენ როგორ გააგრძელებთ?
- ნერილობით სრულდება დავალებები №1 და №2.
- მოსწავლეები თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. საზოგადო და საკუთარი სახელები:

- რა ჰქვია ნაწარმოების მთავარ გმირს?
 - როგორ ფიქრობთ, რატომ შეურჩია მნერალმა თავის გმირს ეს სახელი? რაზე მიგვანიშნებს ამით? დაასახელეთ ადამიანთა სხვა სახელებიც, რომლებიც ადრე შესწავლილ ტექსტებში შეგხვედრიათ.
 - სად ხდება ტექსტში აღწერილი მოქმედება? (სოფელში, რომლის სახელია ჩოხი)
 - რა მდინარე ჩამოუდის ამ სოფელს? (მდინარე არაგვი)
 - დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი სხვა მდინარეების სახელწოდებებიც.
 - რა ჰქვია მთას, საიდანაც მგლის ყმული ისმის? (საკიდობნოის მთა)
 - დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი სხვა მთების სახელწოდებები.
- ეძლევა დასკვნა საზოგადო და საკუთარი სახელების შესახებ. სრულდება დავალება №3.

2. სადაურობის აღმნიშვნელი სახელები:

- სოფლის სახელწოდებაა ჩოხი, მნერალი კი გვარად ჩოხელია, როგორ ფიქრობთ, რაზე მიგვითითებს ეს გვარი? (მნერალი ამ სოფლიდან არის).
- თქვენი აზრით, სადაურია რუსთაველი? რაზე მიგვითითებს ეს სახელი?
- აწარმოეთ სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები შემდეგი სახელებიდან: თბილისი —
ქუთაისი —
ქართლი —
შეიძლება კლასი დავაკვირვოთ სადაურობის აღმნიშვნელ -ელ სუფიქსზეც. სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV₂, IV₃, IV₄, IV₆, IV₇, IV₈, IV₁₀, IV₁₂

გაკვეთილების მასალა

ოტია იოსელიანის „როგორ მოკვდა მურია“, ტექსტის კონსტრუირება, სიტუაციის სემანტიკა (რელატიური სინონიმები)

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- პერსონაჟების მარტივად დახასიათება
- საკუთარი აზრის დასაბუთება, კრიტიკული აზროვნების განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ტექსტის აგება სათაურის მიხედვით
- რელატიურ სინონიმებზე დაკვირვება (ტერმინის გარეშე)

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს
- გაიაზრებს წაკითხულს, აკეთებს დასკვნებს და ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- ვარჯიშობს სხვადასხვა პირში (I და III) თხრობაზე
- წერს
- იყენებს ტექსტის კორექტირებისა და ჩასწორების მარტივ სტრატეგიებს
- მუშაობს წყვილებში, ჯგუფურად, ინდივიდუალურად

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ამ მიზნით კლასს შეიძლება ჯგუფური მუშაობისათვის შევთავაზოთ სათაური ტექსტისათვის: „ადამიანის ოთხფეხა მეგობრები“. მოფიქრებისათვის ეძღვათ რამდენიმე წუთი, პასუხების პრეზენტაცია და შეფასება ხდება კლასში.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — (ტექსტი ორ ნაწილად არის გაყოფილი. სასურველია, ეს ნაწილები ცალ-ცალკე დამუშავდეს). ტექსტი იკითხება ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, შედგება გეგმაც, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

მურიას გაუჩინარება
ბავშვის წუხილი
მურიასა და ცოფიანი ნაგაზის ორთაბრძოლა
მურიას მკურნალობა
მურიას ერთგულება
ოთხფეხა მეგობრის ძებნა
მურიას სიკვდილი
ტექსტი გაანალიზდება სხვადასხვა დონის — გაგებაზე, ანალიზსა და შეფასებაზე

ორიენტირებული — კითხვებით:

- რატომ წუხს პიჭი?
 - რატომ არ შეუშინდა იგი ცოფიან ძაღლს?
 - რა გადაწყვიტეს სოფლელებმა?
 - ვინ უშველა მურიას?
 - როგორ მკურნალობდა ბაბუა მურიას?
 - როდის მისცა მან შვილიშვილს ძაღლთან მიახლოების ნება?
 - რატომ წავიდა მურია შინიდან?
 - როგორ მოკვდა მურია?
 - რამდენად გაამართლა ბაბუას მკურნალობის მეთოდმა?
 - მოხუცის რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით და ნაიკითხეთ სათანადო ადგილები.
 - ვინ მოგვითხრობს ტექსტში გადმოცემულ ამბავს? რა შეგიძლიათ თქვათ მის შესახებ? ნაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილები.
 - თქვენი აზრით, რამდენად სწორი იყო მეზობლის გადაწყვეტილება — მოეკლა მურია?
 - რამდენად სწორად მიგაჩნიათ ბაბუას გადაწყვეტილება — არ მოკლას ეს ძაღლი?
 - სად ხდება ნაწარმოებში აღნერილი მოქმედება? ვინ და ვინ არიან მოქმედი პირები? რომელი გმირები არიან აქ მთავარი?
 - თუ ჩანს ტექსტში მწერლის დამოკიდებულება მომხდარი ამბისადმი? დაასაბუთეთ.
- მოსწავლეები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, ყურადღება მახვილდება III პირში თხრობაზე.
- ტექსტის გააზრებისათვის სრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ). აქვე წყვილებში სრულდება დავალება №1.
- საშინაო დავალებად უმჯობესია, შევთავაზოთ დავალება №2.

3. ტექსტის კონსტრუირება — მოსწავლეები ორი შეთავაზებული სათაურიდან იორჩევენ ერთ-ერთს (დავალება №3) და აგებენ ტექსტს.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. სხვადასხვა პირში თხრობა — მოსწავლეები აკვირდებიან, რომელ პირშია ტექსტში თხრობა, იხსენებენ ამავე ავტორის სხვა ნაწარმოებებსაც, სადაც ასევე I პირშია თხრობა და ცდილობენ გაარკვიონ, რატომ მიმართავს ამ ხერხს ავტორი ასე ხშირად (რათა თხრობა უფრო უშუალო იყოს, მწერალმა უფრო ადვილად დაამყაროს ურთიერთობა მკითხველთან, უფრო ზუსტად გვითხრას თავისი სათქმელი...).

2. სიტყვის მრავალმნიშვნელიანობაზე დაკვირვება — სიტყვა „ჯოხის“ რამდენიმე შესატყვისი არსებობს ქართულში, ერთ-ერთი მათგანი — **ხელკეტი** — ტექსტშიაც არის გამოყენებული, ეცნობიან სხვა ლექსიკურ ერთეულებსაც (სახელმძღვ. გვ. 144). ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: IV₃, IV₄, IV₆, IV₇, IV₁₀, IV₁₁, IV₁₂

გაპგეთილების მასალა

მერაბ ელიოზიშვილის „საკუთარ ბუდეში დატევევებული“, ერთცნებიანი კომპოზიტები, ფრინველთა ნაშიერთა სახელები

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ტექსტის აგება ანდაზის მიხედვით
- პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება
- რთული სიტყვების (ერთცნებიანი კომპოზიტების) მართლწერა

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს ვრცლად და მოკლედ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით
- ქმნის ტექსტს ანდაზის მიხედვით
- წერს
- იყენებს ცოდნის შეფასებისა და თვითშეფასების ფორმებს
- ეუფლება ორთოგრაფიულსა და პუნქტუაციურ ჩვევებს
- ეცნობა ახალ ლექსიკურ ერთეულებს და მეტყველებაში იყენებს მათ

I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება — ამ ეტაპის დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის — ელიოზიშვილი მერაბ, თანამედროვე ქართველი მწერალი და დრამატურვი, დაიბადა 1934 წელს ცხინვალში, დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი 1957 წელს, პირველი მოთხრობები გამოაქვეყნა ფურნალ „ცისკარში“ 1958 წელს, პირველი კრებული „მოლოდინი“ — 1961 წელს, ავტორია მოთხრობათა კრებულებისა: „დიდედები და შვილიშვილები“ (1964 წ), „ბებერი მეზურნეები“ (1968 წ), „ძმანო კახელნო“ (1975 წ)... მისი პიესები: „არაფერი“, „დათვები“, „ბებერი მეზურნეები“, „ბერიკონი“... ნარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე. მას ეკუთვნის აგრეთვე კინოსცენარები ფილმებისათვის; „თეთრი ქარავანი“ (1963 წ, რეჟისორი ე. შენგელაია), „დიდი მწვანე ველი“ (1967 წ, რეჟ. თ. კოკოჩაშვილი), „დიდედები და შვილიშვილები“ (1969 წ, რეჟ. ნ. მჭედლიძე), „ბებერი მეზურნეები“ (1973 წ, რეჟ. თ. კვაჭაძე). ამჟამად ეწევა სასულიერო მოღვაწეობას.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტს პაუზებით კითხულობენ მოსწავლეები: I პაუზა: „არა, — თავი გაიქნია დიდედამ“, II პაუზა: „... ერთგულებით კვებავდა ბარტყებს“, III პაუზა „... ჯერ კიდევ იყნენ, დაიზრდებიან“, IV პაუზა „... მინდვრისაკენ მოუსვეს“, V პაუზა: „... არა და სულაც ჩემი იქნება“... თითოეული პაუზის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ და ტექსტის წაკითხვის შემდეგ უდარებენ მას ავტორისეულ ვარიანტს. ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმებიც.

მოსწავლეები კვლავ კითხულობენ ტექსტს და ასათაურებენ თითოეულ აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთს, ადგენენ გეგმას მოკლე შინაარსის გადმოსაცემად, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

გვირილების კრეფა

მინდორში სიარულის ნამდვილი მიზეზი

ბიჭების გადაწყვეტილება

ჩხუბი

დაგვიანებული სინანული

ტექსტი გაანალიზდება შემდეგი კითხვების საშუალებით:

— სად დარბოდნენ ბიჭები?

— რა იყო დიდედას უკმაყოფილების მიზეზი?

— რატომ დარბოდნენ ბიჭები მინდორში?

— რა გადაწყვიტეს მათ?

— რატომ ვერ მიფრინავდნენ მწყრის ჩოჩრები თბილი ქვეყნებისაკენ?

— რაზე წაკამათდნენ ბიჭები?

— რა შეემთხვათ დატყვევებულ ბარტყებს?

— ვინ იყო დამნაშავე ბარტყების დაღუპვაში?

— როდის იგრძნეს ბიჭებმა საკუთარი დანაშაული?

— დაახასიათეთ თენგო და ზურა, მათი რა თვისებები ჩანს? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

— თუ ჩანს ნაწარმოებში მწერლის დამოკიდებულება მომხდარისადმი? იწონებს თუ კიცხავს ბიჭების მოქმედებას? სად, რომელ სიტყვებში ჩანს ეს? („ან კი რა ეთქმოდათ?! დამნაშავენი იყვნენ ორივენი“).

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ტექსტში აღწერილი ამბისადმი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

რომელი შესწავლილი ნაწარმოები გაგახსენდათ ამ მოთხოვნის კითხვისას?

— რა ანდაზა გაგახსენდათ? („ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“).

— თქვენი აზრით, რაც ბიჭებმა ჩაიდინეს, დანაშაული იყო თუ შეცდომა?

— როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცეოდნენ ამ ამბის შემდეგ თენგო და ზურა? ხომ არ შეგიძლიათ გააგრძელოთ ეს ამბავი?

სრულდება დავალებები №1 და №2.

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს როგორც ვრცლად, ისე — მოკლედ.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

1. ნაშიერთა სახელების გაცნობა — ტექსტში ნახსენებია სიტყვა **ჩოჩორი**, რომელიც ამ შემთხვევაში აღნიშნავს მწყრის ნაშიერს, მოსწავლეები ეცნობიან ფრინველთა ნაშიერების სხვა სახელწოდებებსაც (სახ. გვ. 147) და ამ ცოდნის გამოყენებით ასრულებენ №3 დავალებას.

2. რთული სიტყვების მართლწერაზე დაკვირვება — სახ. გვ. ????.

3. პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება — დავალება №4.

შედეგების კოდი: IV₂, IV₃, IV₅, IV₆, IV₇, IV₁₀, IV₁₃, IV₁₄

გაკვეთილების მასალა

სერგო კლდიაშვილის „სოფლის გზაზე საქართველოში“,
ტექსტის აგება, მისი კორექტირება

მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება: ტექსტის აგება სათაურის მიხედვით, მისი ჩასწორება და კორექტირება

აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- აკეთებს სათანადო დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს თხრობით და წერილობით
- ეუფლება კითხვისა და წერის სტრატეგიებს
- კრიტიკულად აკვირდება სხვათა მეტყველებას და ცდილობს მათს მეტყველებაში შემჩნეული შეცდომების დაფიქსირებასა და გასწორებას

გაკვეთილის მსვლელობა

1. კითხვისათვის მზადება: მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: „სტუმარი“, „მასპინძელი“ და მოსწავლებს ავალებს ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ ტექსტი. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი — ტექსტს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი, დასვამს რამდენიმე საკონტროლო, განმაზოგადებელ კითხვას:

- წელიწადის რომელი დროა აღწერილი ამ ტექსტში?
- რომელი ქართული ტრადიციაა აღწერილი მასში?

ტექსტს განმეორებით ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები, გზადაგზა, კითხვის პროცესში, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით ერთხელ კიდევ კითხულობენ ტექსტს **ჩუმალ**, ყოფენ მას ცალკულ მონაკვეთებად და ადგენენ გეგმას, პასუხების პრეზენტაცია და შეფასება ხდება კლასში.

ტექსტი გაანალიზდება შემდეგი კითხვების დახმარებით:

- როგორ არის აღწერილი ტექსტში უცხო მოსახლის ეზო? მასპინძელი?
- როგორ გაუმასპინძლდნენ უცხო სტუმარს უცნობი მასპინძლები?
- რა განწყობა დაეუფლა მწერალს, როცა უცნობი მასპინძლის ეზო დატოვა?

— რამ დააყენა ივი ასეთ ხასიათზე?
— წაიკითხეთ ტექსტიდან ის ადგილი, სადაც მწერლის განწყობა არის აღნერილი („რა დამღლის ვიარო წმინდა ქართულ მინაზე, რა დამღლის ვუცქირო ჩემი ქვეყნის ცასა და მზეს! ამაზე დიდი სიკეთე რა ვინატრო!”).

— მასპინძლების რა თვისებები ჩანს ტექსტში? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით (ისინი **შრომისმოყვარენი** არიან — ეზოკარგად აქვთ მოვლილი; **დაუზარელნი** — ქალი-შვილი წყლის მოსატანად წყაროზე გაიქცა; ბერიკაცი **კეთილმოსაუბრეა** — უცხო სტუ-მარს ნაცნობივით გაუბა საუბარი, **გულუხვები** არიან — სტუმარს შესანიშნავად გაუ-მასპინძლდნენ...).

— რომელ ქართულ ტრადიაციაზეა საუბარი ტექსტში? რამდენად მისაღებია თქვენთვის უცხო ადამიანის გამასპინძლება? სხვა რომელ ქართულ ტრადიციებს გაიხ-სენებთ კიდევ? რომელი ქართული ტრადიცია მოგწონთ ყველაზე მეტად? თქვენ თუ იცავთ რომელიმე ტრადიციას?

— სად ხდება ტექსტში აღნერილი მოქმედება?
— თქვენი აზრით, თუ არის ამის შესახებ მინიშნებები ტექსტში?
— როგორ ფიქრობთ, რატომ არ ასახელებს მწერალი ამ სოფლის სახელწოდებას? (ასეთი ამბავი ყველა ქართულ სოფელში შეიძლებოდა, რომ მომხდარიყო).

ტექსტის გააზრებისათვის სრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია ბ)

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა — მოსწავლეები ჯერ თხრობით, შემდეგ კი წერილობით (დავალება №2) გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. ყურადღება მახვილდება III პირში თხრობაზე.

4. ტექსტის აგება — მოსწავლეები შემოთავაზებული სათაურებიდან ირჩევენ ერთ-ერთს (დავალება №2), იხსენებენ ტექსტის აგებისა და კორექტირების ძირითად სტრატე-გიებს (სათაურის გააზრება, გეგმის შედგენა, „შავად“ წერა, წერის დამთავრების შემდეგ დაწერილის გადაკითხვა და შემჩნეული შეცდომების ჩასწორება, „თეთრად“ წერა, პრე-ზენტაცია, ურთიერთშეფასება და თვითშეფასება, შენიშვნების გათვლისწინება მომავ-ლისათვის...) და იწყებენ წერას (დავალება №2).

5. ენობრივ მასალაზე დაკვირვება — მოსწავლეები ეცნობიან „აქტივობების რვეულში“ დახაზულ სქემას (დავალება №3): ვინ თქვა, რა თქვა, როგორ უნდა ეთქვა? მასწავლებელთან ერთად შეაქვთ მასში რამდენიმე ნიმუში (მაგ. ვინ თქვა? — მწერალმა, რა თქვა? — შემორაგული, როგორ უნდა ეთქვა? — შემოღობილი...). ეს დავალება მათ ეძლევათ მთელი ზაფხულისათვის.

შედეგების კოდი: IV₂, IV₃, IV₅, IV₇, IV₈, IV₁₀, IV₁₂, IV₁₃

შემდგომი მასალის: მუხრან მაჭავარიანის „დღე მოიწევს კრიალა“ — დაგეგმავას მასწავლებელს ვანდობთ, ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას მწერლის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის — მუხრან მაჭავარიანი, თანამედროვე პოეტი, დაიბადა 1929 წ, სოფ. არგვეთში, საჩხერის რ-ნში, 1954 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგის ფაკულტეტი, 1967-1984 წლებში იყო უურნალ „პიონერის“, ხოლო 1982-1992 წლებში უურნალ „საუნჯის“ მთავრი რედაქტორი, პირველი ლექსიები 1952 წელს გამოაქვეყნა, 1958 წელს გამოვიდა პოეტის ორი კრებული: „წითელი მზე და მწვანე ბალახი“ და „სიჩუმე უშენოდ“, რომელიც ითარგმნა რუსულ ენაზე და 1959 წელს პოეტს მოუტანა დიდი აღიარება — ახალგაზრდობის მსოფლიო VII ფესტივალის ლაურეატის წოდება. პოეტის მთელი შემოქმედება დაფუძნებული პატრიოტიზმზე, სამშობლოს სიყვარულითაა შთავონებული მისი ყოველი ლექსი, მის პოეზიას ხშირად ახლავს მაურული, მხნე განწყობა, რაც წინამდებარე ლექსისთვისაც არის დამახასიათებელი.